საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა
და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი

საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

ISSN 2720-7919

1

2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი

საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

ISSN 2720-7919

1

2021

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

ზურაბ ლომსაძე - ცენტრის დირექტორი,ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი მეტალურგიის დარგში

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ნოდარ ჭითანავა - ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი;

ოთარ ფარესიშვილი - ცეტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;

გიორგი მაღალაშვილი - ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორ-ემერიტუსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

გივი თალაკვაძე - ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

დავით გამეზარდაშილი - ცენტრის დირექტორის მოადგილე, ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

ლაურა კვარაცხელია - ცენტრის ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;

ნოდარ გრძელიშვილი - ცენტრის ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრი;

ლალი ჩაგელიშვილი - ცენტრის უფროსი სპეციალისტი.

მის: საქართველო,თბილისი,კოსტავას ქ.№69,სტუ.კორპ.X, სართული V, ოთახი 515; 514

www.gtu.ge; www.gnr.gtu.ge

ელ-ფოსტა: kepsi@gtu.ge z.lomsadze@gtu.ge

ტელ: (+995 32) 2223216; (+995 32) 599514284

ეძღვნება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

100 წლის იუბილეს

ნოდარ გრძელიშვილი

ლაურა კვარაცხელია

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

ნაწილი პირველი

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები

თბილისი 2021

მონოგრაფიაში განხილულია ტურისტული რესურსების სახეობები, მათი შეფასების თავისებურებები და მეთოდები, ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ტურიზმის რესურსული ბაზის შეფასების რეგიონულ ასპექტებს. წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, დოქტორანტებისა და მკვლევრებისთვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ტურიზმის და რეკრეაციის განვითარების საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

რედაქტორები:

ნოდარ ჭითანავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ლომსაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

თენგიზ ურუშაძე - აკადემიკოსი, პროფესორი

მაია აზმაიფარაშვილი - ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

ნანა ბერძენიშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წიგნი იბეჭდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ოქმი #10.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე წიგნში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, საავტორო უფლების მქონე სუბიექტის ნებართვის გარეშე.

სარჩევი

შესავალი 8

თავი 1. ტურისტული რესურსები: განვითარებისა და კლასიფიკაციის ევოლუცია 11

1.1. ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის თავისებურებები 11

1.2. ტურისტული რესურსების სახეობები.....18

1.3. ტურიზმის განვითარების რესურსების კლასიფიკაცია 29

1.4. ტურიზმის მართვის რეგიონული ასპექტები 39

თავი 2. რეგიონული ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების მეთოდური მიდგომები 46

2.1. შეფასების რაოდენობრივი მეთოდები 46

2.2. შეფასების ხარისხობრივი მეთოდები 51

თავი 3. იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის მართვის თანამედროვე სისტემები 61

3.1. იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა 61

3.2. ტურისტული რესურსების კადასტრი და განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები 65

3.3. ტურიზმის მართვის გეოინფორმაციული სისტემები 78

თავი 4. ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონების ტერიტორიული თავისებურებები..... 86

4.1. ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება (არსი,პრინციპები,გამოცდილება)... 86

4.2. რეგიონის (მუნიციპალიტეტის) ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასება 90

4.3. ტურისტული კლასტერების ფორმირება 96

თავი 5. ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები 99

5.1. ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალი 99

5.2. ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი....101

5.3. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა 108

5.4. ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კრიტერიალური ბაზა ...111

5.5. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკის გამოყენების ძირითადი მიმართულებები 120

5.6. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება 126

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები 142
დანართები 147

აბრევიატურა

ბრპ - ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations Organization)

გდბტ - განსაკუთრებული დაცული ტერიტორია

გის - გეოინფორმაციული სისტემა (Information Sistem, GIS)

ეეტ - ექვივალენტურ-ეფექტიანი ტემპერატურა

ეტ - ეფექტიანი ტემპერატურა

იგის - ინტეგრირებული **გის**-ები (IGIS, Integrated GIS)

იუნესკო - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, გაეროს სპეციალიზებული სააგენტო

მბ - მონაცემთა ბაზა

მგის - მუნიციპალური **გის**-ი (urban GIS)

მტო - მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (WTO)

რეტ - რადიაციულ-ექვივალენტური ტემპერატურა

რრ - რეკრეაციული რესურსები

სეღ - საერთო ეკონომიკური ღირებულება

სეღშ - საერთო ეკონომიკური ღირებულების შეფასება

ტგრ - ტურიზმის განვითარების რესურსები

ტრკ - ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი

ტრპ - ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი

ტრრ - ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

ტრს - ტურისტულ-რეკრეაციული სისტემა

Local GIS – ადგილობრივი **გის**-ები

Environmental GIS – ბუნებათდაცვითი **გის**-ები

Regional GIS - რეგიონული **გის**-ები

NSDI - ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა

სარჩევი

შესავალი 8

თავი 1. ტურისტული რესურსები: განვითარებისა და კლასიფიკაციის ევოლუცია 11

1.1. ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის თავისებურებები 11

1.2. ტურისტული რესურსების სახეობები.....18

1.3. ტურიზმის განვითარების რესურსების კლასიფიკაცია 29

1.4. ტურიზმის მართვის რეგიონული ასპექტები 39

თავი 2. რეგიონული ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების მეთოდური მიდგომები 46

2.1. შეფასების რაოდენობრივი მეთოდები 46

2.2. შეფასების ხარისხობრივი მეთოდები 51

თავი 3. იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის მართვის თანამედროვე სისტემები 61

3.1. იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა 61

3.2. ტურისტული რესურსების კადასტრი და განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები 65

3.3. ტურიზმის მართვის გეოინფორმაციული სისტემები 78

თავი 4. ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონების ტერიტორიული თავისებურებები..... 86

4.1. ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება (არსი,პრინციპები,გამოცდილება)..... 86

4.2. რეგიონის (მუნიციპალიტეტის) ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასება 90

4.3. ტურისტული კლასტერების ფორმირება 96

თავი 5. ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები 99

5.1. ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალი 99

5.2. ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი …....101

5.3. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა 108

5.4. ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კრიტერიალური ბაზა 111

5.5. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკის გამოყენების ძირითადი მიმართულებები 120

5.6. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება 126

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები 142

დანართები 147

შესავალი

ტურიზმის განვითარება თანამედროვე პირობებში ახალ მასშტაბებს იძენს და რიგი თავისებურებებით ხასიათდება. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის სათანადო პირობების შექმნა და რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მოსახლეობის გაჯანსაღება და დასვენების ორგანიზება წარმოადგენს გამყვანი ტურიზმის ალტერნატივას (განსაკუთრებით მიმდინარე პანდემიის პირობებში) და ხელს უწყობს ტურისტული მომსახურების ტერიტორიული ბაზრის განვითარებას.

ტურიზმი და რეკრეაცია საქართველოს რეგიონებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. შიდა ტურიზმის განვითარება გახდა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანა.

ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირურთიერთობების პრობლემა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების თავისებურებათა შესწავლის განსაკუთრებული ასპექტია და, ამდენად, თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ბუნების დაცვა, მისი რესურსების ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენება შეიძლება განხილული იქნეს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანათა ჰარმონიული გადაწყვეტის კონტექსტში.

საქართველოში ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში უდავოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, ვინაიდან მისი ზეგავლენის ხარისხი (საწარმოო ძალების ტერიტორიების რაოდენობა, ხარისხი და შეხამება) განსაზღვრავს ტერიტორიის, რეგიონის ბუნებრივ–რესურსულ პოტენციალს, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობისა და სამეურნეო საქმიანობის განლაგების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბუნებრივი რესურსების მდიდარი წყაროების ათვისება ხელს უწყობს მსხვილი სამრეწველო ცენტრების წარმოქმნას, სამეურნეო კომპლექსებისა და ეკონომიკური რაიონების ჩამოყალიბებას. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი დიდ ზეგავლენას ახდენს რეგიონის საბაზრო სპეციალიზაციასა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე. ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ხასიათი ზეგავლენას ახდენს რეგიონული განვითარების ეკონომიკურ ზრდასა და ტემპებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ეკონომიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბუნებრივ–რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, მისი ტერიტორიული შეთანწყობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხების გამოვლენა და რეგიონის სოციალურ–ეკონომიკურ კომპლექსში მისი რაციონალური და დაბალანსებული გამოყენების პრობლემების განზოგადება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რეგიონული ტურიზმის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტის ამსახველი სამეცნიერო პუბლიკაციების საკმაო რაოდენობა, ყურადღებას იქცევს რეგიონული ტურიზმის განვითარების რესურსული პოტენციალის განსაზღვრის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. ამასთან დაკავშირებით, ტურიზმის რესურსული ბაზის ეფექტიანი მართვის მიზნით, წიგნში განხილულია ტურისტული რესურსების განსაზღვრის (შეფასების) ცნობილი მიდგომების სისტემატიზაციის, ტურიზმის

განვითარების რესურსების შეფასების მეთოდოლოგიის საკითხები. ნაჩვენებია, რომ ტურისტული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტურიზმის მართვის სფეროში მომზადებისა და მხარდაჭერის გადაწყვეტილებების მიღების სისტემა ამჟამად საჭიროებს შემდგომ დახვეწას. საქართველოში ტურიზმის განვითარების სწორად დაგეგმვისთვის აუცილებელია ტურიზმის განვითარების არსებული რესურსების კომპლექსური შეფასება, რაც შესაძლებელს გახდის უფრო სრულად გათვალისწინებული იქნეს როგორც ბუნებრივი, ასევე ისტორიულ-კულტურული პოტენციალი, საერთოდ, რეგიონში ტურისტული საქმიანობის არსებული შესაძლებლობანი.

ტურიზმის განვითარების რეგიონული და მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამების ღონისძიებების მეცნიერული დასაბუთება ხელს შეუწყობს მიმზიდველი რეგიონების გამოვლენას ინვესტიციების მოსაზიდად, შესაძლებელს გახდის ფინანსური საშუალებების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვას, ტურიზმის განვითარებით მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდას.

რეგიონის ტურიზმის განვითარების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების ანალიზისთვის. შეფასების იმ კრიტერიუმებისა და პარამეტრების წონის ახსნის გათვალისწინებით, რომლებიც განპირობებულია რეგიონების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით.

საქართველოს რეგიონების ტურიზმის რესურსული ბაზის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების რთული კომპლექსი ჯერ-ჯერობით არ არის ყოველმხრივ და დეტალურად გაშუქებული.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს რეგიონული ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის ფორმირების პერსპექტივებისა და თანამედროვე ტენდენციების კვლევების, ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების თეორიისა და პრაქტიკის განხილვა და გაანალიზება უახლესი მიდგომების გათვალისწინებით.

ნაშრომში გამოყენებულია მნიშვნელოვანი მოცულობის ანალიტიკური და სტატისტიკური მასალა ცნობილი მეცნიერების: მ.ტრუასის, პ.დეფერის, ე.უშაკოვას, ა.ვეიდენფელდის, გ.რიხტერის, ი. ზოლოტარევის, ი. ფლეტჩერის, ტ. მიჰალიკის, ი.ზორინის, დ. სტაინსის, ა.კუსკოვის, პ.ჩენგის, დ. ლინის, ა.მინცის, ვ. კვარტალნიკოვის, ჯ.დანიელის, ა. გავრილოვის, ი. ქსიონგის, რ.ჯონგმანის და სხვათა კვლევითი მონაცემები. გამოყენებულია ასევე ,,საქსტატის'' ინფორმაცია ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მასალები და ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევითი შრომები. ასევე, ამ წიგნის ავტორების მიერ სხვადასხვა დროს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთში, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები, წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები.

წიგნი მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო თემატიკის შესრულების ფარგლებში და და გამოიცა ასევე ცენტრის სახსრებით. გულითადი მადლობა გვინდა მოვახსენოთ ცენტრის დირექტორს და ამ წიგნის რედაქტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, **ბატონ ზურაბ ლომსაძეს.**

მადლობას ვუხდით წიგნის რედაქტორს, ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი ახალგაზრდა მეცნიერის აღმზრდელს, **ბატონ ნოდარ ჭითანავას;** წიგნის **რეცენზენტებს: აკადემიკოსს, პროფესორ თენგიზ ურუშაძეს, პროფესორ მაია აზმაიფარაშვილს, პროფესორ ნანა ბერძენიშვილს.** მადლობა ბატონ **ანტონ დვალაძეს** წიგნზე მუშაობისას გაწეული ტექნიკური დახმარებისთვის. მადლობა ყველა კეთილისმსურველს, ვინც რაიმე სახით მიიღო მონაწილეობა წიგნზე მუშაობის პროცესში.

ავტორები მადლიერებით მიიღებენ ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან და სამართლიან შენიშვნა - მოსაზრებას და გაითვალისწინებენ შემდგომ კვლევებში.

თავი 1. ტურისტული რესურსები: განვითარებისა და კლასიფიკაციის ევოლუცია

1.1. ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის თავისებურებები

საქართველოს ეკონომიკის დინამიკური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტადიაზე გადასვლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების რესურსული უზრუნველყოფის პრობლემებს. რეგიონული ეკონომიკის განვითარების ტემპები უშუალოდ არის დამოკიდებული არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე. რეგიონის რესურსული ბაზა ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ბუნებრივი, შრომითი, ფინანსური, სამრეწველო და ა.შ. წარმოების ფაქტორების ერთობლიობას, რომლებსაც გააჩნია რეგიონის განვითარების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობის განმსაზღვრელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები.

რეგიონის ყველა არსებული რესურსი, მათი წინასწარი შეფასებისა და ანალიზის შედეგად, წარმოადგენს განვითარების პროექტების განხორციელების საშუალებას. რეგიონის რესურსული ბაზის ანალიზი მოიცავს ბუნებრივ-რესურსული, ეკონომიკური, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შეფასებას. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს რეგიონების რესურსებისა და საწარმოო ძალების განლაგების და მათი განვითარების ტერიტორიული თავისებურებები.

რეგიონის ეკონომიკის განვითარების რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია განისაზღვროს რეგიონული განვითარების პროგრამების რესურსული უზრუნველყოფის ნაკლოვანებები, დისპროპორციები და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში რეგიონის მონაწილეობის თავისებურებები. მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს რეგიონის რესურსული ბაზის მიმდინარე მდგომარეობა, გამოვლენილ იქნეს რეგიონის ეკონომიკის „ზრდის წერტილი“. აუცილებელია განხორციელდეს რეგიონული რესურსული ბაზის ნაწილის ალტერნატიული გამოყენების შესაძლებლობების შეფასება იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება მისი არაეფექტიანი გამოყენება, გაკეთდეს რესურსების აღდგენის ტემპების პროგნოზი.

ყოველი რეგიონისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების სპეციფიკასა და ხასიათს.

ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, მდგრადი განვითარების მიღწევა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივნისის განკარგულებით # 1292 დამტკიცებულია ,,2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა'' [1]. ასევე შემუშავებულია საქართველოს ყველა რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისათვის - მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს რეგიონების ეკონომიკური განვითარების საკითხებს (რამდენად სრულყოფილია ეს სტრატეგიები, ეს ცალკე საკითხია).

რეგიონული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნაზე. იგი უნდა აისახოს ეკონომიკურ ზრდაში,

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებისა და კეთილდღეობის ამაღლებაში, რეგიონების კონკურენტული განვითარების პირობების შექმნაში. რეგიონული ეკონომიკის განვითარება და არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა ხელს შეუწყობს გახანგრძლივებული ეკონომიკური კრიზისის გადალახვას, მშპ-ს მნიშვნელოვნად გაზრდას.

ამასთან, რეგიონული პოლიტიკა საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და მისი მთავარი მიზანია საერთო და რეგიონული ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფით ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნება. რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ცხოვრების ღირსეული დონის მიღწევა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გათანაბრება და სოციალურ პირობებში მნიშვნელოვანი კონტრასტების გამორიცხვა შეადგენს. რეგიონული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და ფუნქციონირების რეგულირება [**2; გვ. 52-53**]. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით, ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების მექანიზმი, რომ სახელმწიფოს რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების (რეგიონები) სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა [**3; გვ. 8-9**].

აუცილებელია რეგიონების კონკურენტუნარიანი განვითარების პირობების შექმნა, რეგიონებს შორის ეკონომიკების ინტეგრაცია, რათა შეიქმნას ეროვნული ეკონომიკის ერთიანი სივრცე.

კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა, შექმნას ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესს, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ, სტაბილურ დონეს და გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას. საქართველოს მხარეების კონკურენტუნარიანობასა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობებზე საუბარი ერთობ გართულებულია ქვეყნის მხარეების განვითარების დონესა და მათ სამომავლო პერსპექტივებს შორის არსებული დიდი განსხვავებების გამო. არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი დედაქალაქს, სხვა ქალაქებს, მუნიციპალიტეტებს, მაღალმთიან რეგიონებსა და ქვეყნის სხვა ნაწილებს შორის [**4**]. ნებისმიერი რეგიონის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მისი მდგრადი განვითარება, ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა. დღეისათვის მდგრადობის ფენომენი დაფიქსირებულია მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმებში, ამიტომ ძნელია მისი გახსნა რეგიონისთვის დამახასიათებელ მკაფიო ღონისძიებებში. თვით ეს ღონისძიებები შეიძლება გავყოთ ეკონომიკური და ადმინისტრაციული ხასიათის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების, ტაქტიკური და სტრატეგიული ტიპის, სტანდარტულ და ანტიკრიზისულ, სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალური დონის ღონისძიებებად.

მდგრადობის შესაფასებლად უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი გარემოს პარამეტრებისა და მათი მიმართულებების ცვლილებების შეფასებას. აუცილებელია ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის სტატისტიკური შეფასების გაფართოება, აგრეთვე რეგიონის სამეურნეო სისტემის მდგრადობაზე ეკოლოგიური ფაქტორების გავლენის დაკონკრეტება. არსებობს რეგიონის გარემოს მდგომარეობის შეფასების რიგი მიდგომები,

თუმცა, საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა ჯერ-ჯერობით არ არის, ამიტომ საჭიროა გარემოს მდგომარეობის, ბუნებრივი რესურსების მოხმარების მასშტაბების, სამრეწველო ნარჩენების გამონაყოფის (წარმონაქმნის) და ცხოველმყოფელობის შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს ზარალისა და ეკოლოგიური რისკის შეფასებას, ასახავს ბუნების დაცვისთვის გაწეული დანახარჯების, ნარჩენების გაწმენდის ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების ხარისხს და სხვა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ მაჩვენებლებს [5].

რეგიონის ეკონომიკის განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული მისი სტრუქტურის შემადგენელი ბაზრების ფუნქციონალურ მდგომარეობაზე. შეიძლება გამოიყოს რეგიონული ბაზრების ძირითადი მიმართულებები: მომსახურების ბაზარი, წარმოების რესურსული ბაზარი, კაპიტალის ბაზარი და ადამიანური რესურსების ბაზარი. რეგიონის ეკონომიკური ზრდა დასტურდება რეგიონში წარმოებული და მოხმარებული პროდუქციის თანაფარდობის დინამიკით.

რეგიონული ბაზარი არის სასაქონლო ურთიერთობებისა და კავშირების გეოგრაფიულად განსაზღვრული, კომპლექსურად ორგანიზებული ღია სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება კონტაქტი მატერიალურ, ფინანსურ, საკრედიტო და ფულადი სახსრების ნაკადებს შორის, როგორც რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და რეგიონში ახალი ინსტიტუციური გარემოს ევოლუციურ ფორმირებას ახდენს [6].

რეგიონული ბაზრები ერთ მთლიანობაში აერთიანებენ რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესის საგარეო და საშინაო ეკონომიკურ სივრცეებს, ხოლო შიდა სივრცე წარმოადგენს რეგიონული ბაზრების ინფრასტრუქტურის სისტემის ფორმირების სოციალურ-ეკონომიკურ არეალს.

ზოგადად, რეგიონის საბაზრო სისტემა არის სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებული ბაზრების ერთობლიობა, რომელთა მთავარი მიზანი რეგიონული ეკონომიკის ეფექტური განვითარების უზრუნველყოფაა.

ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ საბაზო რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლება საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საწარმოო ძალების განვითარების გარკვეული დონის არსებობის პირობებში.

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია შეიცავს მიწის, ნიადაგების, კლიმატურ, მინერალურ, წყლის, ტყის, რეკრეაციულ ჯგუფებს. ბუნებრივი რესურსები აღდგენისა და ხარჯვის შესაძლებლობის მიხედვით იყოფა შემდეგ სამ ჯგუფად:

- **მინერალური ნედლეულის ამოწურვადი არაგანახლებადი ნედლეული.** მიწის ქერქში მრავალი მილიონი წლის განმავლობაში წარმოქმნილი რესურსების მარაგები მოიპოვება და იხარჯება წარმოებაში ათწლეულების პერიოდში;
- **ამოწურვადი განახლებადი ბიოლოგიური რესურსები** - მაგალითად: ტყის, თევზის. მათ გააჩნიათ თვითაღდგენის უნარი, ადამიანის დახმარებით შესაძლებელია კვლავწარმოება, თუმცა, გადამეტებული ექსპლუატაციის შედეგად, ამოწურვადი რესურსები შეიძლება გამოილიოს და მთლიანად გაქრეს;
- **ამოუწურავი** - წყალი, ჰაერი, ნიადაგი. გაჭუჭყიანების შედეგად მათ შეიძლება დაკარგონ ბუნებრივი თვისებები და დაბინძურდნენ.

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური კლასიფიკაცია ემყარება მათ გამოყენებას სამეურნეო სფეროებსა და დარგებში. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო რესურსებს და არასაწარმოო სფეროს რესურსებს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია ეროვნული მეურნეობის დარგებში გამოყენების მიხედვით

ეროვნული მეურნეობის დარგები	**რესურსების სახეობები**
სამრეწველო	- საწვავის; - ენერგეტიკული; - მეტალური (ლითონური); - აგროქიმიური; - სამშენებლო; - წყლის; - ტყის ნედლეულის და სხვ.
სასოფლო-სამეურნეო	- ნიადაგობრივი - მიწის, მათ შორის სახნავები და საძოვრები; - სარწყავი წყლები; - ვეგეტაციის პერიოდის ნალექებისა და ტემპერატურების ჯამური რაოდენობა; - სარეწაო ცხოველები და სხვ.
არასაწარმოო სფეროს რესურსები	- წყალსატევები და მათი გამოყენება მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; - ტყეები ქალაქების ირგვლივ და ბუნებისდაცვითი; - რესურსები ადამიანების დასვენებისა და გაჯანსაღებისთვის; - რესურსები სპორტული ნადირობისა და მეთევზეობის და სხვ.

რესურსების სამეურნეო კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნიშანთვისებას წარმოადგენს მათი გამოყენება, როგორც ერთმიზნობრივად, ასევე მრავალმიზნობრივად. **ერთმიზნობრივი** გამოყენების რესურსებს მიეკუთვნება მინერალური წიაღისეული - მადნები, ენერგიის წყაროები, რომლებიც საჭიროა სამრეწველო ნედლეულის, საწვავის, სითბური და ელექტრო ენერგიის საწარმოებლად; **მრავალმიზნობრივი** გამოყენების რესურსებს განეკუთვნება ტყის, სასოფლო-სამეურნეო, რეკრეაციული სავარგულების ფართობები, სამრეწველო და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, წყალსატევები, რომლებიც ითვალისწინებს მათი გამოყენების მრავალ საშუალებას და მიმართულებას (ზოგჯერ ამ ჯგუფში გაერთიანებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები).

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

- **მშპ**-ს აბსოლუტური სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე, ამ მაჩვენებლების ცვლილებათა დინამიკა;
- მოსახლეობის შემოსავლების დონე და მათი დიფერენციაციის ხარისხი;
- სიცოცხლის ხანგრძლივობა, ადამიანების ჯანმრთელობის დონე;

- მატერიალური კეთილდღეობისა და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის, საცხოვრებლის და სხვა მომსახურების მოხმარების დონე, საოჯახო მეურნეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი მოხმარების საქონლით;
- განათლების დონე;
- ჯანდაცვის დონე - პოლიკლინიკებით, აფთიაქებით, საავადმყოფოებით, დიაგნოსტიკური ცენტრებით და გადაუდებელი დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფა, შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- მცირე ბიზნესის განვითარება;
- გარემოს მდგომარეობა;
- კულტურული ცხოვრების განვითარების დონე.

აღვნიშნავთ, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება მაკროეკონომიკური პირობებით, რეგიონის ადგილით შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში, დარგობრივი სტრუქტურით, გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი რესურსების არსებობით, ასევე რეგიონული მართვის მეთოდებით.

იმის გამო, რომ არსებობს რეგიონების მნიშვნელოვანი განსხვავება **ბუნებრივი რესურსების** პოტენციალში, ისტორიულ განვითარებაში და დამკვიდრებულ სამრეწველო სპეციალიზაციაში, აღინიშნება რეგიონების სივრცითი დიფერენციაცია, რაც განაპირობებს მათი განვითარების განსხვავებულ სტრატეგიებს. იმისათვის, რომ გაიზარდოს რეგიონების რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობა, აუცილებელია არსებული **ბუნებრივი რესურსების** მარაგების ობიექტური შეფასება, მათი მზოგავი და რაციონალური გამოყენება. აუცილებელია რეგიონების ნაკლებად გამოყენებადი და დაბალი ეფექტიანობით გამოყენებული რესურსების გამოვლენა, შეძლებისდაგვარად რესურსების ალტერნატიულ გამოყენებაზე გადასვლა.

ტურიზმი ხელს უწყობს ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას, მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების შექმნას და შენარჩუნებას, სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

ტურისტული დარგის განვითარებას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკას შეუქმნას აუცილებელი „ზრდის წერტილები“. რეგიონებისთვის, რომლებსაც არ გააჩნია ტრადიციული ტურისტული სპეციალიზაცია, მაგრამ ფლობენ მნიშვნელოვან ტურისტულ პოტენციალს, ტურიზმის განვითარება შეიძლება იქცეს რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის საშუალებად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მთლიან რეგიონულ პროდუქტს. ტურიზმი ასევე შესაძლებელს გახდის ხანგრძლივი სოციალური ეფექტის მიღებას ადგილობრივი მოსახლეობის გაჯანსაღებისა და დასვენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით.

პრაქტიკულად, საქართველოს ყველა რეგიონი (მხარე) ფლობს მნიშვნელოვან **ტურისტულ პოტენციალს.** თუმცა, განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტერიტორიების განვითარების ისტორიული წინაპირობები და მათი ინდუსტრიული განვითარების დონე, ტურიზმის განვითარების პოტენციალი და რეგიონების ტურისტული სპეციალიზაცია, განსხვავებულია.

ამავდროულად, ცალკე აღებული **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსები** განლაგებულია არათანაბრად, ძალიან ხშირად რეგიონის ტერიტორიაზე მიმზიდველი ტურისტული ზონების მდებარეობა ატარებს ცალკეული კერის ხასიათს. ეს იმიტომ ხდება,

რომ ტურიზმის განვითარების ცენტრების მისწრაფება ხდება მიმზიდველი **ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსებისკენ.**

ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს სამრეწველო წარმოების ალტერნატივას, რადგან ის არ მოითხოვს **ბუნებრივი რესურსების** პირდაპირ ხარჯვას, პირიქით, მიმართულია რეგიონის რესურსული პოტენციალის კვლავწარმოებაზე და მზოგავ გამოყენებაზე, ასევე უკუგების მიღების საშუალებას იძლევა რესურსული პოტენციალის შემადგენელი ნაწილებიდან - როგორიცაა, ინოვაციური, შრომის, საინვესტიციო და სხვ.

დღესდღეობით **ტურიზმი** არის ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება. იგი განაპირობებს ქვეყნის **რეგიონების ბუნებრივი რესურსული პოტენციალის** ეფექტიან გამოყენებას, ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრას და დამატებითი სახსრების მოზიდვას ეკონომიკაში. ამასთანავე, **რეგიონული ტურიზმის** განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის დასვენების ორგანიზების, მათი კულტურული დასვენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, გარკვეულ გავლენას ახდენს არამხოლოდ რეგიონზე, რომელშიც იგი ვითარდება, არამედ საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სფეროებზეც; როგორც ეკონომიკური მოვლენა, **ტურიზმი** ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასა და მომსახურების გაწევასთან; როგორც სოციალური მოვლენა - **ტურიზმი** უშუალო კავშირშია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, მათ დასვენებასთან, შემოსავლებთან, ცხოვრების წესთან და ა. შ. [7].

ტურიზმი რთული, მრავალწახნაგოვანი ცნებაა, წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული დარგების მთელ ინდუსტრიას. **ტურიზმი** - ეს არის ეროვნული ეკონომიკის დარგი, ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი მიმართულება. ტურიზმი წარმოადგენს საქმიანობის საკმაოდ რთულ სახეობას, რომელიც პირდაპირ შეხებაშია როგორც საზოგადოების, ისე ეკონომიკის სხვადასხვა დარგთან. ტურიზმი დასვენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, ხოლო დასვენება ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნილებაა შრომაში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღსადგენად.

,,ტურიზმის მთავარი მიზნებია: დასვენება, შემეცნება, მკურნალობა, საქმიანი მოგზაურობა, სპორტი და რელიგია. **ტურიზმი**, შემადგენელი მომსახურების სახეობებისა და მათი ტურისტებისათვის წარდგენის ადგილის მიხედვით, **იყოფა შიდა და საერთაშორისო ტურიზმად. შიდა ტურიზმი** (domestic or internal tourism) – არის საქმიანობა, დაკავშირებული მოცემული ქვეყნის მაცხოვრებლების ტერიტორიაზე ადგილობრივი ტურისტებით ტურიზმის განხორციელებასთან. **საერთაშორისო ტურიზმი** (international tourism) – საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია ერთი ქვეყნის მაცხოვრებლების მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ტურიზმის განხორციელებასთან. ასეთი ტურისტები უცხოელ ტურისტთა კატეგორიას განეკუთვნებიან. საქმიანობას, რომელიც მოცემული ქვეყნის ტურისტებისთვის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების გაწევას ისახავს მიზნად, ეწოდება **გამყვანი ტურიზმი** – (outbound tourism). ხოლო საქმიანობას, რომელიც უცხოელი ტურისტებისთვის მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების მიწოდებას ითვალისწინებს, ეწოდება **შემომყვანი ტურიზმი** – (inbound

tourism), ზოგჯერ იხმარება ტერმინები „outgoing tourism“ და, შესაბამისად, “Incoming tourism“’’ **[8; გვ.21].**

საქართველოში **შიდა ტურიზმი** წარმოადგენს სწრაფად განვითარებად დარგს. ქვეყანაში სულ უფრო მეტ რეგიონს მოიცავს ტურისტული ნაკადების მიმართულებები, თუმცა, ყველა რეგიონს არ ძალუძს (ვერ ახერხებს) სრულად გამოიყენოს თავისი **ტურისტული რესურსები** რეგიონის ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკური მონაცემებით 2019 წელს საქართველოში **ტურიზმის ინდუსტრია,** მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, მაინც გაიზარდა. ,,საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 9 მლნ-იან ნიშნულს - 9,357,964 მლნ შეადგინა (+7.8%). საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა ვიზიტების 54.6% ; მას მოსდევს : აჭარა 30.2%, ქვემო ქართლი 17% და მცხეთა-მთიანეთი 16.9%. დანარჩენ რეგიონებს შედარებით მცირე რაოდენობის ვიზიტორები სტუმრობდნენ: სამცხე-ჯავახეთი 6.6%, კახეთი 6.5%, იმერეთი 4.9%, შიდა ქართლი 3.1%, სამეგრელო-ზემო სვანეთი 2.8%, გურია 1.3%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი 0.2%. ადგილების (ქალაქების) ჭრილში - თბილისი და ბათუმი ლიდერობენ 28.9%. ვიზიტორთა უფრო მცირე რაოდენობა ესტუმრა სხვა დანიშნულების ადგილებს. მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარნეული 11.4%, ყაზბეგი 8.3% და მცხეთა 6.8%. სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების (დესტინაციის) ადგილებია: ქუთაისი 4.6%, გუდაური 4.5%, სიღნაღი 3.7%, რუსთავი 3.7%, ბორჯომი 3.1%, ქობულეთი 2.8%.

საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 8.5 მლრდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეულმა საშუალო დანახარჯმა 1,102 ლარი შეადგინა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯების 27.5%) და განთავსების საშუალებებზე (23.7%) დაფიქსირდა’’.

ტურიზმის განვითარებაში ძირითადი წინაღობებია (აქ არ იგულისხმება covid-19, რომელმაც მთელ მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაზე უდიდესი ნეგატიური გავლენა მოახდინა) - რეგიონების უმრავლესობაში ტურისტული პოტენციალის განუვითარებლობა, მცირე ბიზნესის არასაკმარისი მხარდაჭერა.

რეგიონულ ეკონომიკაში ტურიზმის ადგილის განსაზღვრა იწყება **რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შეფასებით**, რომელიც ეფუძნება **ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის კვლევას.**

ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასებამდე აუცილებელია ტურისტული რესურსმცოდნეობის თეორიული საფუძვლებისა და ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების არსებული მეთოდების შესწავლა. ასევე აუცილებელია განისაზღვროს **ტურისტული რესურსების არსი, ტურიზმის რესურსების ძირითადი სახეობები, მათი კლასიფიკაცია.**

საინტერესოა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები. **,,**საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ რეკორდულად მცირე რაოდენობა შეადგინა 1,747,110 (-81,3%), რითაც გაუტოლდა 2011 წლამდე არსებულ მონაცემს. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტების რაოდენობას 1,513,421 (-80.4%) და სხვა ვიზიტებს (არატურისტული) - 233,689 (-85.7%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ

განხორციელებული ვიზიტებიდან - 1,087,093 (-78.6%) ტურისტული ვიზიტი (ვიზიტი ღამისთევით) იყო, ხოლო 426,328 (-83.9%) - ერთდღიანი ვიზიტი.

2020 წელს შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში შეადგინა 542 მლნ დოლარი (კლება -83.4%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ მოგზაურობაზე 180 მლნ დოლარი (კლება -72.5%). შედეგად საერთაშორისო მოგზაურობის ბალანსი საქართველოში 361 მლნ დოლარით (-86.2%) განისაზღვრა. აღნიშნული კლება აისახა საერთაშორისო მოგზაურობის წილზე სერვისის ექსპორტში, რომელიც 71%-დან 23%-მდე შემცირდა.

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 12.5 მლნ ვიზიტი განახორციელეს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კლება -12.5% დაფიქსირდა. ყველაზე მეტი ვიზიტი 36.8% თბილისიდან დაფიქსირდა. შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი 45.9% საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. მოგზაურობის მთავარ მიზანს მეორე სახლის მონახულება ვიზიტების 15.8%-სთვის შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილით - 14.4%-ით იყო წარმოდგენილი შოპინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტები. მკურნალობა/გაჯანაღების მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა 8.6% შეადგინა, ხოლო დასვენება,გართობა,რეკრეაციის მიზნით კი, ვიზიტების 7.7% განხორციელდა. სხვა ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის იყო ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა - 3.9%.

შიდა ვიზიტების 22.7% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოჰყვება ბათუმი 8.1% და ქუთაისი 6.2%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 3.1%, მცხეთა 2.1%, ხაშური 1.8%, გორი 1.5% და ზუგდიდი 1.4%. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული - იმერეთი 17.3%, აჭარა 11.9% და კახეთი 8.7% იყო.

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1.7 მლრდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 141.6 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 36.6% საყიდლებზე დაფიქსირდა''.

1.2 ტურისტული რესურსების სახეობები

ტურიზმში რესურსები აუცილებელია ტურიზმის ცალკეული მომსახურებისთვის და კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად. **ტურისტული რესურსები** ტურისტული საქმიანობის საფუძველია და წარმოადგენს ტურისტული ინტერესის ობიექტებს, აქვთ პოტენციური უნარი დააკმაყოფილონ ადამიანების ტურისტული მოთხოვნილებები. იქ, სადაც არ არსებობს აუცილებელი **ტურისტული რესურსები,** როგორც წესი, ტურიზმი ვერ ვითარდება. ცალკეული **ტურისტული რესურსის** არსებობა ითვალისწინებს მხოლოდ შეზღუდული მასშტაბის ტურიზმს.

,,ტურიზმის, როგორც ბუნებათსარგებლობის მრავალდარგოვანი სახეობა, რომელიც აკმაყოფილებს განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მოთხოვნებს, ბუნებრივ კომპლექსებს ყველაზე მრავალფეროვან მოთხოვნებს უყენებს'' [9;გვ.161].

იმისათვის, რომ გავიგოთ **ტურისტული რესურსების არსი** და განვსაზღვროთ **რეკრეაციული რესურსებისგან მათი განსხვავება,** შევადაროთ ცნებები - „ტურიზმი“ და ,,რეკრეაცია“. აღსანიშნავია, რომ ეს ცნებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, თუმცა, მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავებები. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოცემული დეფინიციის განსაზღვრებისა და გამოყენების ტერმინოლოგიური პრობლემები.

ცნობილია, რომ **ტურიზმი** - არის ადამიანების მიერ საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება დასვენების, გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი ან პროფესიულ-საქმიანი მიზნით, დროებითი ყოფნის ადგილზე საქმიანობის ანაზღაურების გარეშე, არაუმეტეს ერთი წლის პერიოდში.

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - United Nations Organization) ტურიზმს განსაზღვრავს როგორც მიგრაციას, რომელიც არაა დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, - ანუ ტურისტის მოძრაობა მოგზაურობის საწყის ადგილზე დაბრუნებით მთავრდება.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (**მტო**) გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის“ (სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) თანახმად, **ტურიზმი** არის :

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორი;

- მდგრადი განვითარების ფაქტორი;

- სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;

- საქმიანობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისთვის.

საქართველოს 1997 წლის 6 მარტის ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ" კანონით ტერმინი **,,ტურიზმი" განმარტებულია როგორც ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და / ან სხვა მიზნით 24 საათზე მეტი დროით.**

ტურიზმის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან იგი წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის რეგულირებისა და განვითარებისათვის თეორიულ პრინციპებს.

რეკრეაცია (ლათინური RECREATION - აღდგენა) - ეს არის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, აქტივობების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯანმრთელი, მაგრამ გადაღლილი ადამიანის ნორმალური გუნება-განწყობის და შრომისუნარიანობის აღდგენის მიზნით [10].

რეკრეაცია ჩვეულებრივ განიხილება როგორც დასვენება და შრომის პროცესში დახარჯული ადამიანის ძალების აღდგენა და დასვენება. ცნება „რეკრეაცია“ მოიცავს დასვენების ყველა სახეობას - სანატორიულ-საკურორტო მკურნალობას, ტურიზმს და სხვ. ემოციური და ფსიქოლოგიური ძალების, ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა ხორციელდება ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მიღმა დასვენების გზით.

რეკრეაციული საქმიანობა არის ადამიანის ის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება თავისუფალი დროის მანძილზე ფიზიკური ძალების აღდგენისა და ყოველმხრივი განვითარებისთვის [11].

რეკრეაციისთვის სპეციალიზებულ ადგილებად ითვლება სანატორიუმები, პანსიონატები, საკურორტო კომპლექსები და სხვ. აღსანიშნავია, რომ რეკრეაციის საზღვრები ძალიან ფართოა. ის მოიცავს მოკლე დროით რეკრეაციულ აქტივობას სამუშაოზე შესვენებისას და ხანგრძლივ რეკრეაციულ საქმიანობას ყოველწლიური შვებულებისა და არდადეგების დროს, ასევე ყოველკვირეულ დასვენებას. პირველ შემთხვევაში რეკრეაცია არ სცილდება ყოველდღიურობას, ადამიანის საწარმოო საქმიანობას, მეორე შემთხვევაში - იგულისხმება ჩვეულებრივი ცხოვრების წესის ხანგრძლივი შეცვლა. რეკრეაციის როგორც პირველი, ისე მეორე სახეობა აუცილებელია ადამიანის ნორმალური ცხოვრებისთვის, განურჩევლად მისი სოციალური სტატუსისა.

ტურიზმი და რეკრეაცია განსხვავდება ცნების მოცულობით. რეკრეაცია მოიცავს ხანმოკლე რეკრეაციულ აქტივობას ყოველდღიურობის ფარგლებში. ტურიზმი პირიქით - უარყოფს უფერულობის, ყოველდღიურობის, რუტინულობის ყოველგვარ გამოვლინებას. მის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრების წესის, შედარებით ხანგრძლივი დროით გარემოს შეცვლა.

ამის საფუძველზე მოკლევადიანი გამაჯანსაღებელი, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი და სხვა საქმიანობა, - რომელიც მოტივაციურად ტურისტული საქმიანობის მსგავსია, მაგრამ ხორციელდება ადამიანების ჩვეულებრივი გარემოს პირობებში, - ხვდება ტურიზმის ფარგლებს გარეთ.

განხილული ცნებების მოცულობა განსხვავებულია იმითაც, რომ სამსახურებრივი მიზნით მოგზაურობები მივლინების ადგილზე ანაზღაურების გარეშე, წარმოადგენს **ტურიზმის** განუყოფელ ნაწილს მაშინ, როცა **რეკრეაცია** არ მოიცავს ადამიანის საქმიანობის პროფესიულ სახეობებს.

ამრიგად, **ტურისტული საქმიანობა ყოველთვის არ არის რეკრეაციული, ხოლო რეკრეაციული - ტურისტული.** დასავლეთის ლიტერატურაში გამოყოფილია ცნებები „**სუფთა" ტურიზმი** (საქმიანი, საგანმანათლებლო), **„სუფთა" რეკრეაცია** (მოკლევადიანი რეკრეაციული საქმიანობა ყოველდღიურობის ფარგლებში) და **გარდამავალი ფორმა - რეკრეაციული ან სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი და ტურიზმის მოსაზღვრე სახეობები.** ზოგ მათგანს (მაგ.,კულტურულ-შემეცნებითი, სპორტული, რელიგიური) უკავია შუალედური მდგომარეობა „სუფთა" და რეკრეაციულ ტურიზმს შორის, სხვებს (მაგ., აგარაკზე გამგზავრება), - უკავია ადგილი რეკრეაციულ ტურიზმსა და „სუფთა" რეკრეაციას შორის საზღვარზე.

თუ **რეკრეაცია შეიძლება მიეკუთვნოს ადამიანის საქმიანობის სოციალურ მდგენელს,** მაშინ **ტურიზმი არის ეკონომიკური ბუნების.** შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმს განეკუთვნება საქმიანობის სახეობები, რომლებიც რეკრეაციის საზღვრებს გარეთაა (მიღმაა), ხოლო რეკრეაციას - საქმიანობის სახეობები, რომლებიც თავისი არსით არ წარმოადგენს ტურიზმს.

დეფინიციების - **„ტურიზმი" და „რეკრეაცია"- შედარების პროცესში გამოვლენილია მათ შორის მთავარი განსხვავება - სოციალური (სოციალურ-ეკონომიკური) და ბიოლოგიური მდგენელების სხვადასხვა თანაფარდობა.** ამიტომ არასწორია „ტურისტული" და „რეკრეაციული" რესურსების ცნებების გაიგივება. ამავდროულად, რეკრეაციული რესურსები შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურიზმის ორგანიზებისთვის, ხოლო ტურიზმი შეიძლება იყოს რეკრეაციის ერთ-ერთი ფორმა.

აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, ტურისტული საქმიანობის ორგანიზების, რეგიონთმცოდნეობისა და სხვა მეცნიერებების სამეცნიერო ლიტერატურაში „**ტურისტული**“ და **„რეკრეაციული“ რესურსები,** ასევე ცნება **„ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“**, ძალიან ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმები.

„ტურისტულ“ და **„რეკრეაციულ“ რესურსებს** შორის ტოლობის ნიშანი არ უნდა დაისვას - ცნება **„ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“** გამოყენებული იქნეს მხოლოდ მისთვის შესაბამისი მნიშვნელობით: **რესურსები, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმისთვის.**

ტურისტულ რესურსებს განეკუთვნება ბუნებრივი გარემოს სპეციფიკური თვისებები, ასევე მათი შერწყმა, შეხამება ადამიანის საქმიანობასთან; ბუნებრივი, ისტორიული, სოციალურ-კულტურული ობიექტები - რომლებიც წარმოადგენს ტურისტების ინტერესის საგანს, უბიძგებს მათ მოგზაურობისკენ, გააჩნია უნარი დააკმაყოფილოს მათი ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური ძალების აღდგენისა და განვითარების მოთხოვნილებები.

რეკრეაციული გეოგრაფიის თვალსაზრისით **ტურისტულ რესურსებს** განეკუთვნება ბუნებრივი და ანთროპოგენური გეოსისტემები, არტეფაქტები - რომელთაც რეკრეაციული საქმიანობისთვის გააჩნია კომფორტული თვისებები და სახმარი ღირებულება, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს გარკვეული კონტინგენტის ადამიანების დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზებისთვის ფიქსირებულ დროში, არსებული მატერიალური შესაძლებლობებისა და გარკვეული ტექნოლოგიის საშუალებით.

ტურისტული რესურსების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენს საფუძველს ტურპროდუქტის ფორმირებისთვის. **ტურისტულ რესურსებად ითვლება ყველაფერი, რისი გამოყენებაც შეიძლება ტურისტული საქმიანობის ორგანიზებისთვის და ტურისტების მოსაზიდად გარკვეულ ტერიტორიაზე.**

ტურისტული რესურსები ეფექტიანად გამოიყენება, თუ ისინი იქნება მიმზიდველი და ხელმისაწვდომი, ასევე ტურისტებისთვის უსაფრთხო. ატრაქციულობა ვლინდება ტურისტებისთვის მიმზიდველობის ხარისხით. ტერიტორიის ხელმისაწვდომობა მიღწეული უნდა იყოს ტურისტების მიყვანის შესაძლებლობით დასვენების ადგილამდე (აეროპორტები, საზღვაო და სამდინარო პორტები, რკინიგზის სადგურები, გზები, ტურისტულ ობიექტამდე უსაფრთხო მისასვლელები). საინფორმაციო ხელმისაწვდომობა განისაზღვრება საკმაო ინფორმაციის არსებობით დასვენების ადგილების შესახებ - სტატიები ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, ჟურნალებში, გაზეთებში; ბეჭდური სარეკლამო პროდუქცია; შენიშვნები, ჩანაწერები, ბუკლეტები, ცნობები ინტერნეტის ქსელში, ტურფირმების საიტებზე და ა.შ.

საქართველოს კანონში ,,ტურიზმის და კურორტების შესახებ'', რომელიც მიღებულია 1997 წელს, **ტურისტული რესურსები** განსაზღვრულია როგორც ,,ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვრებო რესურსების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს'' **[12].**

მოცემული განმარტება არ შეესაბამება რეგიონის პოტენციალისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების (ორგანიზების) შეფასების თანამედროვე მიდგომებს. ამიტომ ტურისტული რესურსების შეფასების თეორიული საფუძვლების სრულყოფის (გაუმჯობესების) მიზნით შემოგვაქვს ცნება - **„რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსები“**. ეს უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე უბრალოდ **„რეგიონის ტურისტული**

რესურსები“, რადგან რეგიონის, როგორც დინამიკურად განვითარებადი ტერიტორიული სისტემის განხილვის საშუალებას იძლევა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნული კანონი საკმაოდ მოძველებულია და საჭიროებს ძირფესვიან განახლებას.



ნახ.1. კლასიფიკაცია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საქმიანობის სახეობების მიხედვით

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსები - ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ობიექტებისა და პირობების ერთობლიობაა, რომელიც აუცილებელია რეგიონში ტურისტების მომსახურების ორგანიზებისთვის - კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად და წინ წასაწევად, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. შემდგომში **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების** ჩამოყალიბებისას გამოვიყენებთ ამ ცნებას.

ტურისტული რესურსების ძირითად თვისებებს განეკუთვნება:

- ატრაქციულობა (მიმზიდველობა);
- ხელმისაწვდომობა;
- შესწავლის ხარისხი;
- სანახაობრიობა;

- ლანდშაფტის პეიზაჟური მახასიათებლები;
- სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები;
- პოტენციური მარაგი;
- გამოყენების საშუალებები.

ტურისტული რესურსების სპეციფიკურ თვისებებს წარმოადგენს: მთლიანობა, ტევადობა, საიმედოობა, უნიკალურობა, შემეცნებითი და რეკრეაციული ღირებულება, ცნობადობა, ეგზოტიკურობა, გამომხატველობა, დაცულობა, უსაფრთხოება და სხვ. [10].

მთლიანობაში იგულისხმება ტურისტული რესურსებისა და მათი ელემენტების განუყოფლობა, მათი არსებობა გარკვეულ ურთიერთკავშირში.

ტევადობა განისაზღვრება ტურისტების რაოდენობით, რომლის მიღება შეუძლია ტერიტორიას, რომელზეც განთავსებულია ტურისტული რესურსები.

საიმედოობა ტურისტული რესურსების ის თვისებაა, რომელიც განისაზღვრება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მთელი კომპლექსის მდგრადობით ტურისტული ტერიტორიების ჩარჩოებში.

უნიკალურობა ტურისტული რესურსების განისაზღვრება მათი იშვიათობით და განსაკუთრებული მიმზიდველობით დედამიწის ნებისმიერი კუთხიდან ჩამოსული ტურისტებისთვის.

შემეცნებითი ღირებულება - ობიექტის კავშირი კონკრეტულ ისტორიულ ობიექტთან, ცნობილი ადამიანების ცხოვრებასა და შემოქმედებასთან.

რეკრეაციული ღირებულება - ობიექტის გამოყენების შესაძლებლობა ტურისტების დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზებისთვის.

ცნობადობა - ამა თუ იმ ტურისტული ობიექტისა და კომპლექსის პოპულარობა ტურისტებს შორის.

ეგზოტიკურობა - ობიექტების კონტრასტულობის ხარისხი ტურისტების მუდმივი საცხოვრებელი ადგილის პირობებთან შედარებით, ობიექტების განსაკუთრებულობა.

გამომსახველობა - ობიექტის ურთიერთქმედების ხარისხი გარემოსთან, ნაგებობებთან, ბუნებასთან.

დაცულობა - ობიექტის მუდმივი მზადყოფნა უცვლელად ხარისხიან მდგომარეობაში ტურისტების ორგანიზებული მიღებისთვის.

უსაფრთხოება - ტურისტული რესურსების თვისება, რომელიც გამოიხატება ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მათი გამოყენებისას შესაძლო ნეგატიური შედეგების არსებობაში.

ტურისტული რესურსების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:

• **მარაგების მოცულობა** (მინერალური რესურსების წყაროების დებეტი; ტურისტული ტერიტორიების ფართობი; ტურისტული ცენტრების საექსკურსიო პოტენციალი), რომელიც აუცილებელია ტურისტული კომპლექსების პოტენციური ტევადობის ათვისების დონის, დატვირთვების ოპტიმიზაციის განსასაზღვრად;

• **რესურსების გავრცელების ფართობი** (წყალშემცველი ჰორიზონტების, პლაჟების ზომები; გატყიანება ან წყლის რესურსების ტერიტორიები; მდგრადი თოვლის საფარის საზღვრები), რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პოტენციური ტურისტული ტერიტორიები, დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები;

• **შესაძლო ექსპლუატაციის პერიოდი** (სასარგებლო კლიმატური პერიოდის, საბანაო სეზონის, მდგრადი თოვლის საფარის ხანგრძლივობა), რომელიც განსაზღვრავს ტურიზმის სეზონურობას, ტურისტული ნაკადების რიტმულობას;

• **ტერიტორიული უძრაობა რესურსების უმეტესობა სახეობების,** რაც ტურისტული ინფრასტრუქტურის მიზიდულობას განაპირობებს მათი კონცენტრაციის ადგილებში;

• **შედარებით დაბალი კაპიტალტევადობა და საექსპლუატაციო ხარჯების დაბალი ღირებულება,** რაც ინფრასტრუქტურის შედარებით სწრაფად შექმნისა და სოციალური და ეკონომიკური ეფექტების მიღების, ასევე რესურსების ცალკეული სახეობების დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებას იძლევა;

• **მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა,** რაციონალური ბუნებათსარგებლობის ნორმების დაცვითა და რეკულტივაციისა და კეთილმოწყობის აუცილებელი ღონისძიებების გატარების გზით [13].

ამრიგად, **ტურისტული რესურსების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:** რეკრეაციული რესურსების მარაგების მოცულობა, რესურსების გავრცელების ფართობები, შესაძლო ექსპლუატაციის პერიოდი, შედარებით დაბალი კაპიტალტევადობა და საექსპლუატაციო ხარჯების დაბალი ღირებულება, მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა და ეკოლოგიურობა (იხ. **ცხრილი 2.**). **ტურისტული რესურსების** ხარისხი ჩვეულებრივ განისაზღვრება მათი ატრაქციულობით (ტურისტებისთვის მიმზიდველობით და სატრანსპორტო და ინფორმაციული ხელმისაწვდომობით).

ცხრილი 2

ტურისტული რესურსების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები [13]

მახასიათებელი	**შეფასების, რესურსების გამოყენების შეზღუდვის პარამეტრები**
ბუნებრივი რეკრეაციული რესურსურსების მარაგების მოცულობა	- მინერალური რესურსების წყაროების დებეტი; - ტურისტული რესურსების ფართობი; - ტურისტული ცენტრების საექსკურსიო პოტენციალი. ბუნებრივი რესურსების მარაგების შესახებ ინფორმაცია აუცილებელია ტურისტული კომპლექსების პოტენციური მოცულობის, ათვისების დონის, დატვირთვების ოპტიმიზაციის (სამკურნალო ტალახები, მინერალური წყლები და სხვ.) დასადგენად.
რესურსების გავრცელების ფართობი	- წყალშემცველი ჰორიზონტების, პლაჟების ზომები; - ტერიტორიის გატყიანება და წყლის რესურსები; - მდგრადი თოვლის საფარის საზღვრები. დახასიათება საშუალებას იძლევა განისაზღვროს პოტენციური ტერიტორიები ტურიზმის განვითარებისთვის, დადგინდეს სანიტარიული დაცვის საზღვრები.

შესაძლო ექსპლუატაციის პერიოდი	- კეთილსასურველი კლიმატური პერიოდის, საცურაო სეზონის ხანგრძლივობა; - მტკიცე თოვლის საფარის არსებობის პერიოდი. ექსპლუატაციის პერიოდი განსაზღვრავს ტურიზმის სეზონურობას, ტურისტული ნაკადების რიტმულობას.
რესურსების ტერიტორიული უძრაობა	- ტერიტორიული უძრაობა განაპირობებს ტურისტული ინფრასტრუქტურის მიზიდულობას ტურიზმის განვითარების რესურსების კონცენტრაციის ადგილებზე (ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლები, განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და სხვ.).
ეკონომიურობა	- შედარებით დაბალი კაპიტალტევადობა; - საექსპლუატაციო ხარჯების დაბალი ღირებულება; - დანახარჯების სწრაფი ანაზღაურება. საშუალებას იძლევა საკმაოდ სწრაფად შეიქმნას ინფრასტრუქტურა და მიღებული იქნეს სოციალური და ეკონომიკური ეფექტები, ასევე დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული ტურიზმის განვითარების რესურსების ცალკეული სახეობები.
ატრაქციულობა	- ტურისტებში პოპულარობის ხარისხი. განსაზღვრავს მდგრად მოთხოვნას ტურისტული ობიექტების მონახულებაზე.
ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	- მყარსაფარიანი გზების არსებობა; - სიახლოვე საერთაშორისო აეროპორტებთან, საზღვაო და სამდინარეო პორტებთან, რკინიგზის სადგურებთან. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას.
ინფორმაციული ხელმისაწვდომობა	- ინფორმაციის არსებობა ტურისტულ ცნობარებში, ენციკლოპედიებში; - რეგიონების წარდგენა დარგობრივ საერთაშორისო და რეგიონულ გამოფენებსა და ბაზრობებზე; - გეოინფორმაციული სისტემები, ტურისტული ვებგვერდები, გეოპორტალები; - რეგიონული ტურიზმის წინწაწევა **მის**-ის, ინტერნეტის ქსელის მეშვეობით. ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს ბაზრის სუბიექტებს, წინ წაიწიოს რეგიონული ტურპროდუქტი, ამაღლდეს ტერიტორიის ტურისტული მიმზიდველობა.
მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა	მრავალჯერადი გამოყენება შესაძლებელია რაციონალური ბუნებათსარგებლობის ნორმების დაცვით და ბუნებრივი რესურსების რეკულტივაციისა და აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებით, იმავდროულად ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვით და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებით.

ეკოლოგიურობა	- გარემოს დაბინძურების ხარისხი; -არასანქცირებული ნაგავსაყრელების არსებობა ტურისტული ობიექტების სიახლოვეს და მათკენ მიმავალ გზაზე; - სამრეწველო საწარმოების სიახლოვე. ეკოლოგიურ ფაქტორს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ტურიზმის განვითარების რესურსების მიმზიდველობა.

მომხმარებლები ტურისტულ რესურსებს უყენებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ბუნებრივი ღირებულებების გამოყენება - ბუნების ღირსშესანიშნაობების, ნაკრძალი ტერიტორიების პეიზაჟების მონახულება და სხვ.;
- კულტურული ღირებულებების შეთვისება - კულტურის გაცნობა, ისტორიის ძეგლების, არქიტექტურის, მუზეუმების, გამოფენების, თეატრების მონახულება და ა.შ.;
- სპორტით დაკავების შესაძლებლობა - საფეხმავლო, საწყლოსნო, სათხილამურო, ველოსპორტი, ავტო- და მოტომოგზაურობა, სეირნობა, ცურვა, სპორტული თამაშები და ა.შ.;
- სამოყვარულო თევზაობა, ნადირობა.

რესურსები ტურიზმის განვითარების მთავარი ფაქტორია, თუმცა ტურიზმის ყველა მიმართულება არ არის რესურსორიენტირებული - ანუ მრავალფეროვანი რესურსების არსებობას არ მოითხოვს. განვსაზღვროთ ტურიზმის ის სახეობები, რომლებსაც აქვთ მკაფიოდ გამოხატული რესურსული ორიენტაცია.

გამომდინარე მოტივებიდან, რომლებიც ადამიანს განაწყობენ სამოგზაუროდ, შეიძლება გამოვყოთ ტურიზმის შემდეგი სახეობები; .

ტურიზმი დასვენების მიზნით მდგომარეობს მოკლევადიან ან უფრო ხანგრძლივ დასვენებაში ორგანიზმის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური აღდგენის მიზნით. ამ ჯგუფს განეკუთვნება კურორტული დასვენებაც, რომლის დროსაც ძალების აღსადგენად ან სამკურნალოდ გამოიყენება ტერიტორიის ლანდშაფტურ-კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსები.

რეკრეაციული ტურიზმი ყველაზე გავრცელებული ტურიზმის სახეობაა და ხორციელდება დასვენების, გაჯანსაღების, ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ძალების აღდგენისა და განვითარების მიზნით. ტურიზმის ეს სახეობა გამოირჩევა ტურისტების საქმიანობის სახეობების დიდი მრავალფეროვნებით და შეიძლება მოიცავდეს სანახაობრივ და კულტურულ-გასართობ პროგრამებს, ვარჯიშებს ინტერესების შესაბამისად, სპორტით დაკავებას, სპორტულ ღონისძიებებზე დასწრებას და ა.შ.

სამკურნალო ტურიზმი - დაკავშირებულია ადამიანის დიაგნოსტიკური, პროფილაქტიკური და სამკურნალო მომსახურების მოთხოვნილებასთან, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც კურორტების ფარგლებში ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებით, ასევე სპეციალიზებული კლინიკებისა და სამედიცინო ცენტრების ჩარჩოებში, ყველაზე თანამედროვე აპარატურისა და უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს განაპირობებს **სამკურნალო ტურიზმის ორი ძირითადი - სამკურნალო კლინიკური და სამკურნალო კურორტული** ფორმის გამოყოფას. გამოყენებული ტურისტული რესურსების ძირითად სახეობას წარმოადგენს **ბუნებრივი სამკურნალო რესურსები.**

ბუნებრივი სამკურნალო რესურსების საფუძველს (რომლებსაც ხშირად **კურორტულ ფაქტორებს** უწოდებენ) შეადგენენ **ჰიდრომინერალური რესურსები - მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახები.** განსაკუთრებულ რესურსს წარმოადგენენ **ლანდშაფტურ-კლიმატური პირობები.**

კულტურული ტურიზმი - ორიენტირებულია კულტურის ობიექტებისა და მოვლენების შემეცნებაზე და იყოფა **შემეცნებით და მომლოცველ სახეობებად.**

შემეცნებითი ტურიზმი მოიცავს ისტორიული, კულტურული ან გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების მონახულებას. შემეცნებითი მიზნით მოგზაური ტურისტები ინტერესდებიან მათ მიერ მონახულებული რეგიონების სოციალური და ეკონომიკური მოვლენებით. შემეცნებითი ტურიზმი დაფუძნებულია ჯერ ერთი, - რეგიონის ან ქვეყნის ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების, მუზეუმების, თეატრების, ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული ცხოვრების წესისა და ტრადიციების გაცნობაზე, და მეორე, - ტურისტებისთვის მრავალფეროვანი საექსკურსიო პროგრამის გაცნობაზე. მთელ რიგ შემთხვევებში **შემეცნებითი ტურიზმი** შეიძლება შერწყმული იყოს **რელიგიურ ტურიზმთან.**

რელიგიური ტურიზმი - რელიგიური დღესასწაულები, მომლოცველობა და რელიგიური მსვლელობები ყოველთვის უბიძგებდა ადამიანებს მოგზაურობისკენ. მომლოცველობა, რომელიც წარმოადგენს წმინდა ადგილების მონახულებას მკაფიოდ განსაზღვრული საკულტო მიზნებით, მიღებულია ყველა რელიგიასა და წარმართულ კულტებში. მომლოცველობითი ტურები, შემეცნებითი კულტურულ-ისტორიული ტურებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებენ არამხოლოდ შემეცნებით მიზნებს, არამედ განსაზღვრული რიტუალის ჩატარებას რწმენის მიხედვით [14]. იგი ეფუძნება სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების რელიგიურ მოთხოვნილებებს და გულისხმობს მოგზაურობას წმინდა ადგილებში. ბევრი ავტორი გამოყოფს **რელიგიური ტურიზმის სამ მიმართულებას: სამომლოცველო, შემეცნებით და სამეცნიეროს.** ამასთან, რელიგიური ტურიზმი უნდა განვასხვავოთ სამომლოცველო (პილიგრიმული) ტურიზმისგან. **რელიგიური ტურიზმი** შეიძლება შემოისაზღვროს საკულტო არქიტექტურის ობიექტების დათვალიერებით და არ ითვალისწინებს, თუ რომელი სარწმუნოების მიმდევარია ადამიანი. **სამომლოცველო ტურიზმის** მიზანს კი წარმოადგენს იმ ადგილების მონახულება, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული რელიგიური მნიშვნელობა. სამომლოცველო ტურიზმი გულისხმობს მორწმუნე მომლოცველების რელიგიური კულტის ყველა ელემენტის შესრულებას.

საზოგადოებრივი ტურიზმი დაკავშირებულია მოგზაურობასთან ნათესავების, ნაცნობების, მეგობრების მონახულების მიზნით. საზოგადოებრივ ტურიზმს ასევე განეკუთვნება **კლუბური ტურიზმი,** რომლისთვისაც დამახასიათებელია მოგზაურების შეგნებული გაერთიანება ჯგუფებად გარკვეული ინტერესების მიხედვით.

ბიზნეს ტურიზმი - პროფესიული და კომერციული მიზნით განხორციელებული მოგზაურობა: მონახულება საფონდო ბირჟების, გამოფენების, ბაზრობების, შეხვედრების.

საკონგრესო (MICE) ტურიზმი - მოიცავს **დიპლომატიურ ტურიზმს,** კონგრესებში მონაწილეობას, ასევე ტურიზმს, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა ღონისძიებებს. ძალიან ხშირად გარკვეული ტერიტორიის ძირითადი რესურსია სამოგზაურო მიზნისთვის.

ეკოლოგიური ტურიზმი - ეკოტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი მიმართულებაა. სპეციალისტებში ტურიზმის სახეობებიდან არც ერთი იწვევს

ისეთ ინტერესსა და მწვავე კამათს, როგორც ეკოტურიზმი. **ეკოტურიზმი** უმეტესწილად **ორიენტირებულია ბუნებრივ რესურსებზე** და ნაკლებად - კულტურულ-ისტორიულ რესურსებზე. ეკოტურიზმი გულისხმობს მოგზაურობას ადამიანის მიერ ნაკლებად შესწავლილ ტერიტორიებზე, რომლებიც ხშირად ხვდებიან განსაკუთრებულ დაცულ ტერიტორიათა კატეგორიაში.

ეკოლოგიური ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, იძლევა ეკონომიკური ზრდისა და ბუნების დაცვის შეთავსების საშუალებას.

ეკოლოგიური ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად **ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის აუცილებლობა.** ეკოლოგიური ტურიზმი მათთვის არამარტო შემოსავლების, არამედ ბუნების დაცვის მთავარი გარანტი უნდა იყოს [**15; გვ.24**].

ეკოლოგიური ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა **აგროტურიზმი**, **სოფლის ტურიზმი.** ეკოლოგიური ტურიზმის ეს სახეობა წარმოადგენს ტურისტული ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტს და სრული უფლება აქვს იყოს დამოუკიდებელი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სოფლების მრავალფეროვან აგროგარემოს.

აგროტურიზმს განეკუთვნება ცალკეული ტურისტებისა და ორგანიზებული ჯგუფების ბუნებრივი და სპეციალურად მოწყობილი მოგზაურობა სოფლებში დასვენების, სოფლის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების, მეურნეობის მართვის სისტემისა და ბუნებათსარგებლობის შემეცნების მიზნით.

სპორტული ტურიზმი მოიცავს ტურისტი-ინდივიდების ან ტურისტების ორგანიზებული ჯგუფების გამგზავრებას სპორტული საქმიანობის ან დიდ სპორტულ ღონისძიებებზე დასწრების მიზნით - შეჯიბრებები, ჩემპიონატები, ოლიმპიადები. როგორც წესი, სპორტული ტურიზმი ითვალისწინებს, რომ ამგვარი მომსახურების პოტენციური მომხმარებლები იქნებიან არაპროფესიონალი სპორტსმენები, რომლებიც ასეთი მოგზაურობების ორგანიზებას აკისრებენ სპეციალიზებულ ტურისტულ ფირმებს, კლუბებს ან ორგანიზაციებს.

სპორტული ტურიზმი შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი ფორმით - **აქტიური და პასიური.** აქტიური ფორმა ითვალისწინებს ტურისტის უშუალო მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში, ლაშქრობებსა და შეჯიბრებებში. პასიური ფორმა (რომლის გამოყოფას და სპორტული ტურიზმისთვის მიკუთვნებას ყველა სპეციალისტი არ ეთანხმება) ითვალისწინებს ტურისტების მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში მაყურებლისა და გულშემატკივრის სახით.

ტურიზმის სათავგადასავლო და ექსტრემალური სახეობები წარმოადგენენ ტურისტული საქმიანობის ორ საკმაოდ ახლომდგომ მიმართულებას.

სათავგადასავლო ტურიზმი - დასვენების სპეციფიკური სახეობაა, რომლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი კავშირი ეგზოტიკური ადგილების მონახულებასა და საქმიანობის უჩვეულო სახეობებით დაკავებას შორის (მდინარეებზე ხე-ტყის დაშვება, დაივინგი, საფარი, საჰაერო ბურთებით მოგზაურობა). სათავგადასავლო ტურიზმი ხშირად უკავშირდება რისკის მაღალ ხარისხს, მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვებს; გაურკვევლობის, მოგზაურობისას მოულოდნელობის ელემენტების არსებობას, რაც ტურისტებში იწვევს დიდ აზარტს, თუმცა მათგან მოითხოვს გამბედაობას, ამტანობას, სპეციფიკურ ცოდნას და გამოცდილებას. ბოლო პერიოდში მსოფლიოში გაჩნდა სპეციალური ინფრასტრუქტურა **სათავგადასავლო ტურიზმის**

მიზნებისთვის. სათავგადასავლო ტურიზმის ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგ., სათავგადასავლო პარკები.

ექსტრემალური ტურიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა. სათავგადასავლო ტურიზმისგან განსხვავებით ექსტრემალური ტურიზმის ორგანიზება ხშირად ხდება ტურისტების მხრიდან დამოუკიდებლად და მნიშვნელოვანი რისკის შემცველია ტურისტების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის.

თვითშემოქმედებითი ტურიზმი - მოგზაურობა გადაადგილების აქტიური საშუალებების გამოყენებით. ტურისტების მიერ დამოუკიდებლად, მაგრამ გამოცდილი ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, ორგანიზებული. სწორედ ინსტრუქტორის არსებობა და გადაადგილების აქტიური ბუნებაა დამახასიათებელი თვითშემოქმედებითი ტურიზმისთვის.

თვითშემოქმედებით ტურიზმს განეკუთვნება მისი შემდეგი მიმართულებები: საფეხმავლო, საწყლოსნო, სამთო, სათხილამურო, სპელეოტურიზმი, ავტოტურიზმი, ველოტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, მოტოტურიზმი.

თვითშემოქმედებითი ტურიზმი ხორციელდება რამდენიმე ფორმით. ყველაზე პოპულარულია ტურისტული ლაშქრობები, ტურისტული ექსპედიციები ნაკლებად ცნობილ და მიმზიდველ ადგილებში, ტურისტული შეკრებები და ტურისტულ-სპორტული შეჯიბრებები.

თვითშემოქმედებითი ტურიზმი ემყარება ინდივიდების, მცირე ტურისტული ჯგუფების, ნებაყოფლობითი ტურისტული გაერთიანებების, კავშირებისა და ტურისტული კლუბების საქმიანობას.

სოციალური ტურიზმი – წმინდა ეკონომიკური კატეგორიაა და ტურიზმის ნებისმიერი სახეობის სახესხვაობას წარმოადგენს. მისი სუბსიდირება ხდება სოციალურ საჭიროებებზე გამოყოფილი სახსრებით, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების, ახალგაზრდობის, პენსიონერების, ინვალიდებისა და სხვა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის მოგზაურობის პირობების შექმნისათვის, მათი დასვენების უფლებების გამოყენებით (სახსრებს გამოყოფენ სამთავრობო, არასამთავრობო, საქველმოქმედო და ა.შ. ფონდები) **[15; გვ.23]**. (იხ. დანართი 1.).

1.3. ტურიზმის განვითარების რესურსების კლასიფიკაცია

ტურისტული ბიზნესის განვითარება ხორციელდება შემდეგი ძირითადი მდგენელების არსებობისას, როგორიცაა: კაპიტალი, ტექნოლოგია, შრომითი, ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსები. თუმცა ტურიზმში ბიზნესის განვითარებისთვის კაპიტალის, ტექნოლოგიის, მაღალპროფესიული კადრების ფლობასთან ერთად ასევე აუცილებელია ადგილის შერჩევა, სადაც არსებობს **ტურიზმის განვითარებისთვის რესურსები** (შემდგომში - **ტურისტული რესურსები).** თუ რომელიმე ტერიტორიის საზღვრებში არ არის **ტურისტული რესურსები,** მაშინ ადამიანს შესწევს უნარი შექმნას ისინი. ბოლო წლების პრაქტიკამ აჩვენა **ხელოვნური ტურისტული რესურსების** (მსხვილი თემატური პარკები, ტურისტული კომპლექსები, ატრაქციონები) შექმნის შესაძლებლობა.

სწორედ **ტურისტული რესურსების** არსებობა განაპირობებს ტურისტული ბიზნესის ფორმირებას ამა თუ იმ რეგიონში. **ტურისტული რესურსები** განსაზღვრავს რეგიონში ტურიზმის განვითარების სპეციფიკას, საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების ფორმირებას. ტურისტული რესურსების არსებობისა და მრავალფეროვნების საფუძველზე იგეგმება და იხსნება ახალი ტურისტული მარშრუტები.

ტურიზმის სფეროში დაკავებულ ადამიანებს აუცილებელია წარმოდგენა ჰქონდეთ რეგიონული ტურიზმის განვითარებაში **ტურისტული რესურსების არსის , სტრუქტურისა და როლის შესახებ,** ფლობდნენ ტურისტული რესურსების განვითარების შეფასებისა და გარემოს დაცვის მეთოდებს.

ტურისტული რესურსების კლასიფიკაციის განსაზღვრისას გამოიყენება რამდენიმე მიდგომა. ტურისტული რესურსების ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციებია, რომლებიც პოლონელი ეკონომისტის მ.ტრუასის (1963წ.) და ფრანგი ეკონომისტის პ.დეფერის (1972წ.) მიერაა შემოთავაზებული.

მ.ტრუასის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ტურისტული რესურსების დაყოფა ადამიანის შრომით შექმნილ და ადამიანის შრომით არშექმნილ რესურსებად. მ.ტრუასი ტურისტულ რესურსებს ჰყოფს შემდეგ სამ ჯგუფად :

- **ბუნებრივი ტურისტული რესურსები,** რომლებიც განისაზღვრება როგორც „პოტენციური ტურისტული კაპიტალი“, რომელსაც განეკუთვნება კლიმატი, ჰაერი, პეიზაჟი, ზღვები, ტბები, მდინარეები, მთები, ტყეები და სხვ.;
- **ტურისტული რესურსები, ადამიანის შრომით შექმნილი** - ანუ არქიტექტურული ნაგებობები, ძეგლები, ხელოვნების ნაწარმოებები და სხვ. ეს არის საჩვენებელი ან საექსკურსიო ობიექტები;
- **„დამატებითი„ ტურისტული რესურსები** , რომლებიც იქმნება ადამიანის შრომით გაწეული სამსახურით და მოიცავენ რეგიონის ინფრასტრუქტურას და ტურისტების მიღებისა და მომსახურების ყველა საწარმოს. ასეთ რესურსებს ასევე შეიძლება ეწოდოს „მოგზაურობის ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობები“ და ამგვარად შეფასდეს მომსახურების სფეროს განვითარების დონე ტურისტების მიღებისა და მომსახურებისთვის.

მ.ტრუასისგან განსხვავებით პ.დეფერი არ მიაკუთვნებს ტურისტების მიმღებ და მომსახურების საწარმოებს ტურისტულ რესურსებს. ყველა ტურისტულ რესურსს პ.დეფერი ჰყოფს შემდეგ ჯგუფებად: **ჰიდრომი, ფიტომი, ლითომი და ანთროპომი.** ყოველი ჯგუფი ფლობს გარკვეულ ელემენტებს **[10].**



ნახ.2. ტურისტული რესურსების ურთიერთკავშირი

ჰიდრომი - ტურისტული რესურსები, რომელთა აუცილებელი მდგენელი წყალია. ამ ჯგუფის ელემენტებია: ტბები, მდინარეები, ზღვების სანაპიროები, თოვლიანი მთები და მყინვარები, მინერალური წყლების წყაროები, ჰიდროელექტროსადგურები, ჩანჩქერები და ა.შ.

ფიტომი - ბუნებრივი ტურისტული რესურსები, რომელთა შემადგენლობაში შედის მიწა. ფიტომის ელემენტები შეიძლება იყოს ორი ტიპის:

1. თვით ბუნების მიერ შექმნილი (ტყეები, მთები, კლდეები, ვულკანები, ლამაზი პანორამები).

2. ადამიანის შრომის შედეგად შექმნილი (ეროვნული პარკები, ბაღები).

ლითომი - ყველაფერი, რაც ადამიანის შრომით არის შექმნილი და იწვევს ტურისტების ინტერესს ან თავად (უშუალოდ თვითონ), ან თავისი დანიშნულებით. ლიტომის ელემენტებს მიეკუთვნება:

- არქიტექტურისა და წინანდელი ცივილიზაციების ძეგლები;
- უბრალო საცხოვრებლები, ადამიანების ცხოვრებისა და ადათ-წესების დამახასიათებელი, მაგ., ეთნოგრაფიული სოფლები ან მუზეუმები ღია ცის ქვეშ;
- თანამედროვე ნაგებობები: ხიდები, აეროპორტები, სამთავრობო შენობები, სპორტული ნაგებობები, უნივერსიტეტები, თანამედროვე საქმიანი ან საცხოვრებელი კვარტლები, აკვარიუმები და ა.შ.

ანთროპომი - ტურისტული რესურსები რომლებიც მოიცავენ ტურისტების ინტერესის გამომწვევ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სახეობას გარემო მდგომარეობისგან დამოუკიდებლად. ანთროპომის ელემენტებს განეკუთვნება:

- თვითონ ადამიანი, მისი ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები და ადათ-წესები;
- ადამიანის საქმიანობის უძველესი სახეობები, რომლებიც ქრება, ან გაქრობის ზღვარზეა, ისეთი, როგორიცაა ხალხური რეწვა, ეროვნული სახალხო დღესასწაულები, ფოლკლორი, ეროვნული კოსტუმები და ეროვნული მუსიკა;
- სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებები, ასევე სასწავლო დაწესებულებები და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ტურისტული რესურსების ელემენტები შეიძლება იყოს ურთიერთდაკავშირებული, ანუ ტურისტული რესურსების ერთი და იგივე ელემენტი ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ჯგუფს ეკუთვნოდეს. **გამოყენების ხასიათის მიხედვით** ისინი შეიძლება დაიყოს პირდაპირ და ირიბ რესურსებად, რომელსაც მიეკუთვნება ათვისებისა და გამოსაყენებლად მიმზიდველი პირდაპირი ტურისტული რესურსების სოციალურ-ეკონომიკური რესურსები: მატერიალური, ფინანსური, შრომითი, ინფორმაციული. **ტურისტული რესურსების მთელი კომპლექსი შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად [16]:**

1. **ბუნებრივი:** კლიმატი, წყლის რესურსები, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, ბუნებრივი ძეგლები და ნაკრძალები, თვალწარმტაცი ლანდშაფტები და სხვ.;

2. **კულტურულ-ისტორიული:** მუზეუმები, გამოფენები, თეატრები, არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლები, ეთნოგრაფიული განსაკუთრებულობა და ა.შ.;

3. **სოციალურ-ეკონომიკური:** ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა - სატრანსპორტო ქსელის განვითარების დონე, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფის დონე, შრომითი რესურსები.

ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს ტურისტული რესურსების კლასიფიკაციას, გამოსახულს ნახ.3-ზე. მოცემულ კლასიფიკაციაში შემოთავაზებულია **ტურისტული რესურსების დაყოფა ბუნებრივ, ტურისტული ინტერესების აღმძვრელ და ინფრასტრუქტურულ რესურსებად**. გარდა ამისა, გამოყოფილია ფაქტორების ჯგუფი, რომლებიც გამოიყენება როგორც **ტურისტული წარმოების ფაქტორები.** ვთვლით, რომ - ჯგუფი - **„რესურსები როგორც წარმოების ფაქტორი"- უნდა მიეკუთვნოს უშუალოდ ტურისტულ რესურსებს, ვინაიდან მათ გარეშე ტურპროდუქტის შექმნა შეუძლებელია.**

თუ გავითვალისწინებთ ტურისტული მომსახურების ისეთ თვისებას, როგორიცაა წარმოებისა და მოხმარების უწყვეტობა, - **საგანმანათლებლო რესურსები გამოიყენება როგორც ტურისტული,** მაგალითად, ექსკურსიამძღოლის ან სამასაჟო კაბინეტის სპეციალისტის კვალიფიკაცია, სასტუმროს ადმინისტრატორის მიერ ენების ცოდნა და სხვ.

ტურისტული რესურსებისადმი ზემოჩამოთვლილი მიდგომების გათვალისწინებით, **ტურისტული რესურსების მთელი კომპლექსი** შეიძლება დაიყოს შემდეგ სამ ჯგუფად:

1. **ბუნებრივ-კლიმატური;**
2. **ისტორიულ-კულტურული;**
3. **სოციალურ-ეკონომიკური რესურსები.**

ტურისტული დესტინაციის რესურსები (იხ. ნახ.3).

ტურიზმისა და რეკრეაციული საქმიანობის განსავითარებლად აუცილებელია **ბუნებრივი რესურსების არსებობა,** რომლებიც ხასიათდება ტერიტორიის გეოგრაფიული მდგომარეობით და მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით.



ნახ.3. ტურისტული დესტინაციის რესურსების კლასიფიკაცია

ბუნებრივი რესურსები ყოველთვის იყო **ტურიზმის განვითარების საფუძველი.** მნიშვნელოვანია **ბუნებრივი რესურსების,** როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. **ბუნებრივი ტურისტული რესურსები** უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან გასაჯანსაღებლად აქტიურად გამოიყენება.

ბუნებრივი ტურისტული რესურსები - ბუნებრივი კომპლექსის ელემენტებია, რომლებიც ვლინდებიან გარკვეულ ფართობზე, გარკვეულ დროს, და შეიძლება გამოყენებული იქნეს რეკრეაციისა და ტურიზმის მიზნით.

ნახ.4.-ზე მოცემულია **ბუნებრივი ტურისტული რესურსების** კლასიფიკაცია. აღვნიშნავთ, რომ კლასიფიკაციის ზოგი ელემენტი გამოყენებულია რეკრეალოგიიდან, რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაციიდან.



.

ნახ.4. ბუნებრივი ტურისტული რესურსების კლასიფიკაცია

ყველა ბუნებრივი რესურსი უნდა განვიხილოთ მათი რეკრეაციული ან ტურისტული თვალსაზრისით. თუმცა, **ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი** შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს და, უმთავრესად, დამოკიდებული რეგიონის სპეციალიზაციაზე.

ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაციის საფუძველში დევს ამ კატეგორიის გაორებული ბუნება, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მათ ბუნებრივ წარმოშობასთან, - მეორე მხრივ, აისახება ტურიზმისთვის მათ ეკონომიკურ მნიშვნელობაში.

გამოყოფენ **ბუნებრივი რესურსების** შემდეგ ჯგუფებს.

წარმოშობის მიხედვით ბუნებრივი ტურისტული რესურსებია:

- **ფიზიკური**: მზის სინათლე, მოქცევა-უკუქცევა, ქარის ძალა და სხვ.;
- **ბიოლოგიური** : ეს ცოცხალი ბუნებაა, ფლორა, ფაუნა; ნიადაგობრივი წარმოშობის;
- **ენერგოინფორმაციული**: ნოოსფერული ბუნების სპეციფიკური ველები, რომლებიც წარმოადგენენ მიზიდულობის ფაქტორებს ადგილის ან ლანდშაფტის სახით. რესურსების

ეს ტიპი არის ბაზა ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარებისთვის, როგორიცაა კულტურული, რელიგიური და სხვ.

- **რეკრეაციული** გამოყენების სახეობების მიხედვით გამოყოფენ მინერალურ წყლებს, ტალახებს, აბაზანებს, სოლარიუმებს და ტყეებს.

მილევის სიჩქარის მიხედვით ბუნებრივი ტურისტული რესურსები არსებობს:

- **მილევადი ბუნებრივი რესურსები** - ანუ რესურსები, რომელთა რაოდენობა სულ უფრო მცირდება მისი მოპოვების ან ამოღების შედეგად ბუნებრივი გარემოდან. ისინი, თავის მხრივ, იყოფიან განახლებად სუფთა ჰაერად, მტკნარ წყლად, ნაყოფიერ ნიადაგად, მცენარეულობად, ცხოველთა სამყაროდ და არაგანახლებად მინერალურ რესურსებად. რესურსები შეიძლება გამოიფიტოს, რადგან არ ხდება შევსება ბუნებრივი პროცესების შედეგად და ასევე იმიტომ, რომ მათი მარაგების შევსება ხდება უფრო ნელა, ვიდრე ხდება მოხმარება. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ტალახები, მინერალური წყლები და ა.შ.;
- **არამილევადი ბუნებრივი რესურსები,** რომელთაც მიეკუთვნება ბუნებრივი რესურსების ნაწილი - მზის ენერგია, ქარი, ზღვის მოქცევა, გამდინარი წყალი.

მოცემული კლასიფიკაცია მსგავსია ზემოთ განხილული რეგიონის **ბუნებრივი რესურსების** კლასიფიკაციის, მაგრამ უფრო დაზუსტებულია რესურსების მილევისა და აღდგენის სიჩქარის კრიტერიუმით.

თვითაღდგენისა და კულტივირების მიხედვით:

- **აღდგენადი რესურსები,** რომელთაც შეიძლება განეკუთვნებოდეს ტყე, თუმცა მისი აღდგენის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია;
- **არააღდგენადი,** როგორიცაა შეუქცევადი კლიმატური ცვლილებები.

განსაკუთრებითაა გამოყოფილი ბუნებრივი სამკურნალო რესურსები - რეკრეაციული რესურსები,რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ან რეგიონის მოსახლეობის, ასევე ტურისტების სამკურნალოდ ან დასვენებისთვის.

საჭიროა განვასხვავოთ ***ბუნებრივი რესურსები ტურისტული საქმიანობის პროცესში ჩართვის ხასიათის მიხედვით:***

- **ბუნებრივი რესურსების** აღქმა შეიძლება მზერით, მაგ., პეიზაჟების, მზის ჩასვლის ან ამოსვლის, ლამაზი ლანდშაფტის ყურება. ამ შემთხვევაში შეიძლება ეკოლოგიური ტურიზმის შესახებ საუბარი, ვინაიდან ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა არ ახდენს მათზე ნეგატიურ ზემოქმედებას;
- **ბუნებრივი რესურსები** გამოიყენება მათი პირდაპირი ხარჯვის გარეშე. მაგ., ტურისტების მიერ მუდმივად მონახულების შედეგად ხდება ტყის მასივების დეგრადაცია ან ზღვის სანაპირო ხაზის დაბინძურება. ტურისტების უკონტროლო მოზღვავებამ შეიძლება დაარღვიოს ეკოლოგიური ბალანსი ქვეყნის ეკოსისტემაში;
- ხორციელდება **ბუნებრივი რესურსების** უშუალო ხარჯვა ტურისტული საქმიანობის პროცესში. ბუნებრივი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს პრაქტიკულად სრული გამოფიტვა და გაქრობაც კი; მაგალითად, მინერალური რესურსების უზომო მოხმარებამ (მლაშე წყლების, სამკურნალო თიხისა და ტალახების), რომლებიც გამოიყენება სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მიზნით, შეიძლება გამოიწვიოს რესურსების მარაგების შემცირება ან მათი გამოფიტვა.

კლიმატური ტურისტული რესურსები - ამინდის პირობები, რომლებიც განისაზღვრება ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობით, ქმნიან საფუძველს ტურიზმის სხვადასხვა

სახეობის განსახორციელებლად, მაგ., ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და მზიანი დღეების რაოდენობა.

ისტორიულ-კულტურული რესურსები - ეს არის ერთობლიობა ობიექტებისა და მოვლენების, რომლებიც დაკავშირებული არიან ადამიანის საქმიანობასთან და წარმოდგენილები არიან მატერიალური და არამატერიალური სახით.

მატერიალური ისტორიულ-კულტურული ობიექტები მოიცავენ წარმოების საშუალებებისა და საზოგადოების სხვა მატერიალური ღირებულების ერთობლიობას მისი განვითარების ყოველ ისტორიულ საფეხურზე. **არამატერიალური სულიერი ისტორიულ-კულტურული ობიექტები** - ეს არის საზოგადოების მიღწევების ერთობლიობა განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებაში, შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში.

ისტორიულ-კულტურულ ობიექტებს შორის წამყვანი როლი განეკუთვნება **ისტორიისა და კულტურის ძეგლებს,** რომლებიც გამოირჩევიან ყველაზე მაღალი მიმზიდველობით და წარმოადგენენ კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მთავარ საშუალებას.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები დაყოფილია ხუთ ძირითად სახეობად: ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის, ხელოვნების ძეგლები, დოკუმენტური ძეგლები.

ისტორიის ძეგლებს განეკუთვნება შენობები, ნაგებობები, დასამახსოვრებელი ადგილები და ნივთები, დაკავშირებული მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის, ხალხების კულტურისა და ყოფის განვითარებასთან, სახელმწიფოს გამოჩენილ ადამიანებთან.

არქეოლოგიის ძეგლებს განეკუთვნება ნაქალაქარები, ყორღანები, უძველესი დასახლებების ნაშთები, სიმაგრეები, საწარმოები, არხები, გზები, სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველი ნივთები, უძველესი დასახლებული პუნქტების ისტორიული კულტურული ფენების უბნები.

ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლებს განეკუთვნება არქიტექტურული ანსამბლები და კომპლექსები, ისტორიული ცენტრები, კვარტალები, მოედნები, ქუჩები, უძველესი დაგეგმარების ნაშთები და ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანება; სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო, საკულტო არქიტექტურის, ხალხური ხუროთმოძღვრების ნაგებობები, ასევე მათთან დაკავშირებული მონუმენტური, დეკორატიულ-გამოყენებითი, მებაღეობა-საპარკო ხელოვნების ქმნილებები, გარეუბნების ლანდშაფტები.

ხელოვნების ძეგლებს მიეკუთვნება მონუმენტური, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხელოვნების სხვა სახეობების ნაწარმოებები. დოკუმენტურ ძეგლებს განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების აქტები, სხვა წერილობითი და გრაფიკული დოკუმენტები, კინოფოტოდოკუმენტები და ხმის ჩანაწერები, ასევე უძველესი და სხვა ხელნაწერები და არქივები, ფოლკლორისა და მუსიკის ჩანაწერები, იშვიათი ბეჭდური გამოცემები.

ისტორიულ-კულტურულ რესურსებს განეკუთვნება სხვა ობიექტებიც: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის ორიგინალური საწარმოები, თეატრები,

სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტული ნაგებობები, ბოტანიკური ბაღები და სხვ.

ყველა ობიექტი, რომელიც გამოიყენება კულტურულ-შემეცნებით ტურიზმში, იყოფა ორ ჯგუფად: **მოძრავი და უძრავი.**

პირველ ჯგუფს შეადგენს ხელოვნების, არქეოლოგიური აღმოჩენების, მინერალოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციების ძეგლები, დოკუმენტური ძეგლები და სხვა ნივთები, საგნები და დოკუმენტები, რომელთა გადაადგილება ადვილად შეიძლება. ამ ჯგუფის ტურისტული რესურსების გამოყენება უკავშირდება მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და არქივების მონახულებას. უძრავი რესურსების ჯგუფს განეკუთვნება ისტორიის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის, არქეოლოგიისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლები და სხვა ნაგებობები, რომელთა გადაადგილება შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ **ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ტურისტული რესურსების** არსებობა ტურისტული პროდუქტის ღირებულების განმსაზღვრელია, მაგრამ **სოციალურ-კულტურული რესურსების** გარეშე ტურისტული საქმიანობის განვითარება შეუძლებელია. ტურისტული რესურსების სწორედ ეს ჯგუფი ხდის შესაძლებელს **ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების** ხელმისაწვდომობას, ქმნის გარკვეული ხარისხის ტურპროდუქტს, პირდაპირი გავლენა აქვს ტურიზმის ეფექტურობაზე.

ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური რესურსები განისაზღვრება, როგორც ანთროპოგენური ბუნების ობიექტებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიის უფრო ეფექტიანი განვითარებისთვის ქვეყანასა და რეგიონში. ამავდროულად, **სოციალურ-ეკონომიკური ობიექტები და მოვლენები** დასვენების ორგანიზების პროცესში ერთდროულად წარმოადგენენ როგორც **პირობებს,** ასევე **რესურსებს.** მაგალითად, საკურორტო ადგილის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც არ არის ჩართული ტურისტულ საქმიანობაში,- გამოდის როგორც ამ საქმიანობის პირობა, ხოლო მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს ტურისტული დაწესებულებების საქმიანობაში, - გამოდის როგორც **ტურისტული მეურნეობის შრომითი რესურსები.**

ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური რესურსები იყოფა ექვს ძირითად მიმართულებად:

1. ინფორმაციული რესურსები;
2. შრომითი და საგანმანათლებლო რესურსები;
3. ფინანსური რესურსები;
4. მატერიალური რესურსები;
5. მმართველობითი რესურსები;
6. ტურიზმის ინფრასტრუქტურა.

1. ***ტურიზმის ინფორმაციულ რესურსებს*** ქმნის სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც ტურისტი ღებულობს სხვადასხვა დროს:

- ტურისტული მოგზაურობის მომზადების პროცესში გზამკვლევების, ცნობარების, პერიოდული ბეჭდური მასალების, ასევე მეგობრების, ნაცნობებისა და ნათესავების რჩევების გამოყენება;

- ტურისტული მოგზაურობის განხორციელებისას - დაკვირვებების დახმარებით, ექსკურსიამძღოლების მონათხრობით, ბუკლეტების, რუკების, გზამკვლევების გაცნობით ადგილზე;
- ტურისტული მოგზაურობის დასრულებისას - წარმოდგენებისა და შთაბეჭდილებების გაღრმავებისა და განმტკიცების მიზნით.

ინფორმაციული რესურსები წარმოადგენენ საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსებს ტურისტული რეგიონებისა და ცალკეული ტურპროდუქტების წინ წასაწევად. ისინი მოიცავენ კარტოგრაფიულ, სარეკლამო ბეჭდურ პროდუქციას, შენიშვნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ელექტრონულ მულტიმედია რესურსებში.

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში ტურიზმს დიდი ყურადღება ექცევა. ქვეყნები, რომლებიც სპეციალიზებული არიან ტურისტების მიღებაზე, უდიდესი ტირაჟით გამოსცემენ გზამკვლევებს ძირითადი რეგიონებისა და ტურისტული ცენტრების შესახებ, ბუკლეტებს, ცნობარებს, რუკებს, ფურცლებს, კატალოგებს, სარეკლამო მასალას. ხშირად ეს მასალა ურიგდება ტურისტებს უფასოდ ან სიმბოლური გადასახადით საინფორმაციო ჯიხურებში, მუზეუმებში, მეტროს გადასასვლელებში და ა.შ.

2. ***ტურიზმის შრომით რესურსებს*** განეკუთვნება ტურისტული საწარმოების კადრები - როგორც საშტატო პერსონალი, ასევე ის მომუშავეები, რომლებიც მიწვეული არიან სამუშაოდ ტურისტულ სეზონზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ინდუსტრია მოიცავს ეკონომიკის როგორც ძირითადი, ასევე მასზე მიბმული წარმოებებისა და დარგების დიდ რაოდენობას. სწორედ ამ მიზეზით, ტურიზმის სფეროში დასაქმებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა წარმოადგენს გარკვეულ სირთულეს.

საგანმანათლებლო ტურისტულ რესურსებში იგულისხმება პროფილური განათლების მქონე პროფესიონალი კადრების არსებობა. დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში სპეციალიზებული საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების არსებობას, რომლებიც ამზადებენ ტურინდუსტრიის სპეციალისტებს. საქართველოში და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში შექმნილია დიდი რაოდენობით სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სპეციალისტების მრავალდონიან მომზადებას ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროსთვის. ტურისტული განათლების კარგი დონით ხასიათდებიან შვეიცარია, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი. საქართველოში მრავალი სასწავლო დაწესებულებაა დაკავებული როგორც უმაღლესი, ასევე სპეციალური განათლების სპეციალისტების მომზადებით.

3. ***ტურიზმის ფინანსურ რესურსებს*** შეადგენენ ფულადი სახსრები, რომლებიც შეიძლება მიემართებოდეს ტურიზმის სფეროში და იხარჯებოდეს სხვადასხვა მიმართულებით: როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტირებით; საერთაშორისო ტურისტებისგან შემოსავლებით; ფულადი საშუალებების წყალობით, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი მომსახურებით.

4. ***მატერიალური რესურსები*** შეადგენენ ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად ფონდებს. ამჟამად ფართოდ გამოიყენება ცნება **„ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“.** ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ქვეშ იგულისხმება **მატერიალური და საწარმოო ძალების საგნობრივი ელემენტების ერთობლიობა,** რომლებიც გამოიყენება ტურისტული მომსახურების გასაწევად. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამოიყენება მხოლოდ ტურისტების მიერ, განსხვავებით ტურიზმის ინფრასტრუქტურისგან, რომელიც

გამოიყენება როგორც ტურისტების მიერ, ასევე ტურისტული მომსახურების მწარმოებლების მიერ. ტურიზმის **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ობიექტების კლასიფიკაციის საფუძველში დევს სამი ძირითადი ნიშანი:** შეთავაზებული მომსახურების სახეობები, ეკონომიკური ელემენტები და საკუთრების ფორმები იმ სუბიექტების, რომლებიც საქმიანობას ეწევიან.

5. ***მმართველობითი რესურსების*** ქვეშ ხშირად იგულისხმება ტურიზმის მართვის ინდუსტრიის იერარქიული სტრუქტურა, რომელიც არსებობს გარკვეულ ქვეყანაში ან რეგიონში (მართვის მუნიციპალური და რეგიონული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები, ტურისტული საწარმოების ხელმძღვანელები).

6. ***ინფრასტრუქტურულ ტურისტულ რესურსებს*** სხვადასხვა მკვლევრები ჩვეულებრივ არ მიაკუთვნებენ სოციალურ-ეკონომიკურ რესურსებს, განიხილავენ განცალკევებულად. ვთვლით, რომ ტურიზმის ინფრასტრუქტურის მიკუთვნება სოციალურ-ეკონომიკურ რესურსებზე, მიზანშეწონილია. ეს **ტურისტული რესურსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა,** რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს რეგიონში ტურისტული საქმიანობის განხორციელების ეფექტიანობაზე. **ტურისტული ინფრასტრუქტურის** განვითარება ხელმისაწვდომს ხდის ტურისტულ რეგიონს და თვით ტურპროდუქტს, ამაღლებს მის მიმზიდველობას და კონკურენტუნარიანობას.

ტურიზმის ინფრასტრუქტურას განეკუთვნება: განთავსების კოლექტიური საშუალებები (სასტუმროები, მოტელები), ტურისტული ბაზები, კვების და სავაჭრო საწარმოები, ტრანსპორტის საწარმოები, ტურისტული აღჭურვილობისა და ინვენტარის გაქირავების პუნქტები, ტურისტული კლუბები, სადგურები და სხვ.

ბუნებრივ-კლიმატური და ისტორიულ-კულტურული რესურსები პირობითად მუდმივი რესურსებია - ანუ აქვთ უნარი არ შეიცვალონ თვისებები დროის ხანგრძლივ პერიოდში. **სოციალურ-ეკონომიკური რესურსების** ჯგუფი ცვალებადია, მისი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფო რეგულირების ხარისხზე, რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობაზე, რეგიონული ტურპროდუქტის მოთხოვნის არსებობასა და სხვა ფაქტორებზე.

ყველაზე მიზანშეწონილია **ტურისტული რესურსების** იმ კლასიფიკაციის გამოყენება, რომელიც დაყოფილია სამ ჯგუფად (ბუნებრივ-კლიმატურ, ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურად, რომლებიც მოიცავენ ტურისტულ ინფრასტრუქტურას), რადგან ეს კლასიფიკაცია ყველაზე სრულად ასახავს ნებისმიერი რეგიონის რესურსულ მდგენელს. (იხ. დანართი 2.).

1.4. ტურიზმის მართვის რეგიონული ასპექტები

რეგიონის ტურისტული რესურსების კომპლექსური შეფასება წარმოადგენს დარგის განვითარების მნიშვნელოვან პირობას. შესაბამისად, ტურიზმის მართვაში რეგიონული ასპექტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ტურიზმის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია მის ტერიტორიულ მდგენელთან. ტურისტული დარგის ეფექტიანი მუშაობის განსაზღვრისას ჩვეულებრივ ხდება

გამსხვილებული ტერიტორიული საზღვრების გათვალისწინება (ქვეყანა, რეგიონი). ტერიტორიების უფრო დეტალური განხილვა გამოიყენება არასაკმარისად. ეს დაკავშირებულია ტურიზმში სტატისტიკური აღრიცხვის სპეციფიკასთან. შედარებით განვითარებულ ტურისტულ ცენტრებში **ტურისტული რესურსების** არსებობა საკმაოდ დეტალურადაა გამოკვლეული. **საშუალო პერსპექტიულობის და ნაკლებად შესწავლილი რეგიონები (მაგრამ ტურიზმისთვის პერსპექტიული) პრაქტიკულად დარჩენილია ყურადღების მიღმა. რეგიონების ტურისტული რესურსების** შესწავლის პროცესში ინფორმაციის შესაგროვებლად საჭიროა საკმაოდ დიდი ფინანსური საშუალებები და დრო. და რაც მთავარია, თვით **ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდოლოგია** ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია.

ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობა რომ გაიზარდოს, საჭიროა სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე განხორციელდეს რეგიონების **ტურისტული პოტენციალის შეფასება და მართვა**. სწორედ **რეგიონული შიდა ტურიზმი** უნდა იქცეს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდის ათვლის წერტილად - მან უნდა გახადოს შესაძლებელი ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურება, არსებული **ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების** საფუძველზე ხარისხიანი ტურპროდუქტის შეთავაზება.

რეგიონული პოლიტიკის ძირითადი დებულებები გამოყენებადია ტურისტული ბაზრისთვის. რეგიონებში ტურიზმის განვითარებისთვის სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი მდგომარეობს **სოციალურ-ეკონომიკური რესურსების მართვაში.** ეს ხორციელდება ტურისტული ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ხელშემწყობი პირობების შექმნით. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის კონცეფციაში წინ არის წამოწეული ტურიზმი და ტურიზმის ინფრასტრუქტურა, როგორც ერთ-ერთი პირველი რიგის პრიორიტეტული მიმართულება ტურისტული დარგის განვითარებაში. ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი გადაქცევა ეკონომიკის მაღალშემოსავლიან დარგად. ამ ამოცანის რეალიზება დღესდღეობით შეუძლებელია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის სრული გამოყენების, დასვენებისა და ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავების გარეშე.

საინტერესოა ამ მხრივ ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025'', რომელშიც ასახულია საქართველოს მთავრობის მიზანი - აქციოს ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსები მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად [17].

აუცილებელია შეიქმნას ინსტიტუციონალური პირობები ქვეყნის კონკურენტუნარიანი ტურისტული ბაზრის ფუნქციონირებისთვის.

მეცნიერებაში, ჩვეულებრივ, ფართოდ გამოიყენება შემდეგი ცნებები: ტურისტული რეგიონი, ტურისტული რაიონი, ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი, რეგიონული ტურისტული კომპლექსი, ტურისტული კლასტერი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგად არის დამუშავებული ტურიზმის ეკონომიკის ტერმინოლოგიური ნაწილი, ზემოჩამოთვლილი ტერმინებიდან ზოგი მოითხოვს დაზუსტებას ან თანამედროვე ფორმულირებას. ეს ყველაფერი ეხება ტურისტული საქმიანობის განვითარების ტერიტორიულ ასპექტებს.

ჩვენი შეხედულებით, ცნება **„ტურისტული რეგიონი"** მოითხოვს დაზუსტებას. ადგილობრივი და უცხოური შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის პროცესში ამ

საკითხთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ საბაზო ცნება, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან მომიჯნავე ტურისტულ მეცნიერებებს - ტურიზმის გეოგრაფიას, ტურიზმის ეკონომიკას და ტურიზმის მენეჯმენტს - არის სწორედ ცნება **„ტურისტული რეგიონი“.**

მოცემულ ცნებას მინიჭებული ჰქონდა გარკვეული როლი ტურიზმის გეოგრაფიაში. ჩვეულებრივ, ყველა სტატისტიკური მონაცემი, ანგარიში და ცნობა ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ იკრიბება ტურისტული რეგიონებიდან.

მსოფლიო ტურისტული რეგიონების გეოგრაფიის თეორიული და გამოყენებითი საკითხების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უმაღლესი სასწავლებლებით წარმოდგენილ სკოლებს [18].

ტერმინს **„რეგიონი“** სულ აქვს 100-ზე მეტი ახსნა-განმარტება. ამ ტერმინის ოფიციალური განსაზღვრება მოცემულია რეგიონული პოლიტიკის ძირითად დებულებებში. მათში **რეგიონი განმარტებულია როგორც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ფლობს ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-კულტურული და სხვა პირობების ერთობლიობას.**

რეგიონის ცნება, მისი თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად ანტიკურ რომში გვხვდება [19; გვ.193]. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განსხვავებული შეხედულების თანახმად, „რეგიონი“ შედარებით ახალი ცნებაა და იგი მხოლოდ მე-15 საუკუნიდან გვხვდება. **რეგიონი** წარმოიშვა ლათინური „regere''-დან (მართვა, წარმართვა, ბატონობა), რომელმაც მოგვიანებით მიიღო ფორმა „რეგიო“. დროთა განმავლობაში, რეგიონმა შეიძინა მიმართულების, ობიექტის, სფეროს, ტერიტორიის მნიშვნელობა [20]. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **„რეგიონალური... მოიცავს (ეხება) ცალკეულ მხარეს, ქვეყანას ან რამდენიმე მეზობელ ქვეყანას“** [21; გვ. 87]. „რეგიონის'' განმარტება შეუძლებელია მხოლოდ ერთი დეფინიციით. იგი ხშირად მიჩნეულია როგორც ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური სუბგაერთიანება, როგორც სუბნაციონალურ ტერიტორიულ ერთეულთა თანამშრომლობის აღმნიშვნელი ცნება და სხვ. [22; გვ.27].

„რეგიონი არის ქვეყნის სხვადასხვა რანგის, ე.ი. სიდიდის იერარქიული ტერიტორიული ნაწილი რაიმე პრაქტიკული ან შემეცნებითი მიზნებით გამოცალკევებული ტერიტორიული სივრცე“.[22*]

,,რეგიონი ეს არის ერთიანი გლობალური სახალხომეურნეობრივი კომპლექსის გამოცალკავებული ნაწილი რაღაც ნიშნებით (ტერიტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური), რომელიც თავის მხრივ აერთიანებს კონკრეტულ ტერიტორიას და მატერიალური წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების კომპლექსს. ამ ფაქტორებიდან ერთი რომელიმეს წინა პლანზე წამოწევა განაპირობებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან გეოგრაფიული რეგიონის ფორმირებას. რეგიონი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული, გეოგრაფიული და ეკონომიკური ერთეულები მათში დარგებისა და ტერიტორიების გაერთიანების პირობით'' [23;გვ.224].

ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში „რეგიონი'' მოიცავს ისეთ განსხვავებულ ტერიტორიულ ერთეულებს, როგორიცაა გერმანიის მიწები, ბრიტანული საგრაფოები ან ნიდერლანდური პროვინციები [24].

დღესდღეობით მრავალ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) „**რეგიონის**'' ცნებაში გაიგივებულია სხვადასხვა რანგის **ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულები** (ავტონომიური ერთეულები, მხარეები, ქალაქები, სასოფლო-ადმინისტრაციული

რაიონები), რომელთაც გააჩნიათ მმართველობის საკუთარი ორგანოები, ეკონომიკური და სოციალური კომპლექსები, ინფრასტრუქტურა და სხვ. **რეგიონის დამახასიათებელი ნიშნებია:**

1. სივრცობრივი მთლიანობა;

2. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა შიდარეგიონული კავშირები;

3. ეკონომიკური ერთგვაროვნება;

4. რეგიონის ორგანული კავშირი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან;

5. მართვადობა.

რეგიონი ინსტიტუციურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნოფსიქოლოგიურ და ა. შ. ფუნქციებს ასრულებს. **რეგიონული განვითარების მიზანია,** ერთი მხრივ, შექმნას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ჰარმონიული განვითარებისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პირობები,- მეორე მხრივ, რეგიონული სამეურნეო კომპლექსების განვითარების და ქვეყნის ეკონომიკასთან მისი სიმბიოზის საფუძველზე ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას. [**25; გვ.14-15**].

ევროპარლამენტმა თავის 1988 წლის 18 ნოემბრის რეგიონულ ქარტიაში **რეგიონი** განსაზღვრა როგორც **ტერიტორია,** რომელიც, გეოგრაფიული თვალსაზრით, აყალიბებს გარკვეულ მთლიანობას ან არის იმ **ტერიტორიების კომპლექსი,** რომლებიც ჩაკეტილ სტრუქტურას წარმოადგენენ და რომელთა მოსახლეობისთვის დამახასიათებელია განსაზღვრული საერთო ელემენტები [**26; გვ.524**].

რეგიონული ეკონომიკის ცნობილი სპეციალისტი ნ.ნეკრასოვი რეგიონს განიხილავს როგორც, **„ქვეყნის მსხვილ ტერიტორიას მეტნაკლებად ერთგვაროვანი ბუნებრივი პირობებით, საწარმოო ძალების განვითარების დამახასიათებელი მიმართულობით ბუნებრივი რესურსების კომპლექსის შერწყმის საფუძველზე შესაბამის და პერსპექტიულ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან“** [**27**]. ეს განსაზღვრება შეიძლება საფუძვლად დაედოს ცნების - **„ტურისტული რეგიონი“**- განსაზღვრებას შესაბამისი დაზუსტებით და დამატებით.

„რეგიონი - ეს არის სოციალურ-ეკონომიკური სივრცითი ერთიანობა, რომელიც ხასიათდება საკუთრების ყველა ფორმის წარმოების სტრუქტურით, მოსახლეობის კონცენტრაციით, სამუშაო ადგილებით, ადამიანის სულიერი ცხოვრებით სივრცისა და დროის ერთეულზე გათვლით და რომელსაც გააჩნია ტერიტორიის მართვის ადგილობრივი ორგანოები“ [**28**].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია **(მტო) ტურისტულ რეგიონს** განსაზღვრავს როგორც ტერიტორიას, რომელსაც გააჩნია სპეციალური ნაგებობებისა და მომსახურების დიდი ქსელი, რაც აუცილებელია დასვენების ან გაჯანსაღების ორგანიზებისთვის. ამ განსაზღვრებიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება - დამოუკიდებლად რომ ითვლებოდეს ტურისტული რეგიონი, მას უნდა გააჩნდეს ყველა აუცილებელი ნაგებობა იქ ჩასული ტურისტების დასაბინავებლად. **ტურისტული რეგიონი** განისაზღვრება როგორც ადგილი, რომელიც ფლობს ტურისტულ ნაგებობებსა და მომსახურებას, - რომელსაც ირჩევს ტურისტი ან ტურისტთა ჯგუფი, - და რომელსაც ჰყიდის მომსახურების მწარმოებელი [**29**].

არის ასევე სხვაგვარად ფორმულირებული **ტურისტული რეგიონის** შემდეგი განსაზღვრება: „...ეს არის ტერიტორია, რომელიც აირჩია ტურისტმა მოგზაურობის მიზნით

და რომელიც ფლობს საკმაო შესაძლებლობების კომპლექსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტურისტის ყოფნა განსაზღვრული ვადით“ [30].

ტურიზმის მენეჯმენტში მიღებულია შემდეგი განმარტება: **„ტურისტული რეგიონი** - ეს არის ნებისმიერი ტერიტორია, რომლის მიმართ არსებობს ტურისტების ინტერესი და რომელსაც შეუძლია მათ მოემსახუროს [31].

შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი **ტურისტული რეგიონის** განსაზღვრებები საკმაოდ ვიწროა - ისინი არ იძლევა საშუალებას, რომ რეგიონი განხილული იყოს როგორც **ტერიტორიული ტურისტული კომპლექსი.**

ბოლო დროს, რეგიონული მეცნიერების სულ უფრო მეტი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ აუცილებელია რეგიონად ითვლებოდეს ქვეყნის სუბიექტები. ვეთანხმებით ამ მტკიცებულებას, რადგან ტურისტული საქმიანობის მართვა უფრო ეფექტიანი იქნება სწორედ მათი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში.

ტურისტული რეგიონის განსაზღვრებისადმი სხვადასხვა მიდგომების გათვალისწინებით, გთავაზობთ შემდეგ ცნებას: **„ტურისტული რეგიონი - ეს არის ტერიტორია, რომელსაც გააჩნია აუცილებელი ტურისტული რესურსები და პირობები ტურისტული საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის, რომელიც შეესაბამება გარკვეულ ადმინისტრაციულ საზღვრებს და იმართება სახელმწიფო ორგანოებით, ასევე გააჩნია თავისი ტურისტული სპეციალიზაცია და იმიჯი (სახე)“.**

ტურისტული რეგიონი - ეს არის ფართო ცნება, ამიტომ რეგიონის სტრუქტურაში მიზანშეწონილია გამოიყოს **ტურისტული რაიონები.** ტურისტული დარაიონება წარმოადგენს დარგობრივი დარაიონების სახეობას (რომელიც ასახავს ტურიზმის მხოლოდ ერთ ასპექტს), რომლის აღწერა შესაძლებელია ფუნდამენტურ საფუძველზე. **ტურისტულ დარაიონებაში რაიონი განისაზღვრება როგორც რეკრეაციული და ტურისტული ხასიათის გამოყენების ტერიტორია.** რიგი ავტორებისა ტურისტულ რაიონს განიხილავს, როგორც ტურისტების მომსახურებაში სპეციალიზებული ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული ტურისტული საწარმოების ტერიტორიულ ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა ტერიტორიის არსებული ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული კომპლექსებისა და მისი ეკონომიკური პირობების გამოყენებით წარმატებით დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნილებები.

რეკრეაციულ დარაიონებაში გამოიყოფა **რაიონის (მუნიციპალიტეტის) წარმომქმნელი შემდეგი ნიშნები:**

- ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების - სამკურნალო, ტურისტული, სპორტული და სხვ., რეკრეაციული და ტურისტული ფუნქციების სტრუქტურა, უპირატესი გამოყენების შესაბამისად;
- ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული ათვისების ხარისხი (განვითარებული, საშუალო ან სუსტად განვითარებული რაიონი);
- რაიონის გახსნილობის (ღიაობის) ხარისხი;
- ათვისების პერსპექტიულობა.

ტურისტული რაიონი - ეს ტერიტორიაა, რეგიონის ნაწილი, ფლობს **ტურისტულ რესურსებს** მიმზიდველობის გარკვეული ნიშნებით, უზრუნველყოფილია ტურისტული ინფრასტრუქტურითა და ტურიზმის ორგანიზების (წარმოებების) სისტემით.

ყოველი **ტურისტული რეგიონის** ტერიტორიაზე ჩვეულებრივ ყალიბდება ერთი ან რამდენიმე ტურისტული ან ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი. **ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი (ტრკ) - რთული მეურნეობაა, სადაც შედის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, მომსახურე საწარმოები და თანმდევი დარგები - სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოები, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები, საექსკურსიო ობიექტები, საგზაო-სატრანსპორტო ქსელი, სუვენირების წარმოება და სხვ.**

რეგიონული ტრკ განიხილება, როგორც ერთობლიობა ურთიერთდაკავშირებული ძირითადი და დამატებითი საწარმოების, დარგებისა და მართვის ორგანოების, რომლებიც ქმნიან (აყალიბებენ) ერთობლივ ტურისტულ პროდუქტს და მიმართული არიან მომხმარებლების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მოცემულ განსაზღვრებაში არის მსგავსება ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის ცნებასთან, მაგრამ არ არის გამოყოფილი მისი ტერიტორიული საზღვრები.

ტრკ - ეს არის რეგიონის (ტერიტორიის) საერთო სამეურნეო კომპლექსის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ტურისტული, რეკრეაციული და თანმდევი საწარმოებისა და ორგანიზაციების შეხამებას, რომელთა საქმიანობა კოორდინირდება სახელმწიფო და/ან სხვა სტრუქტურებით და მიმართულია უნიკალური ტურპროდუქტის შექმნაზე, წინწაწევასა და რეალიზაციაზე ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების გათვალისწინებით [32].

წარმოდგენილი განსაზღვრება, ჩვენი აზრით, არის უფრო მისაღები და მოხერხებული, რადგან შეიცავს სახელმწიფო მართვის რეგიონულ სტრუქტურას, რაც გავლენას ახდენს კომპლექსის განვითარებაზე, და მიუთითებს, რომ კომპლექსი ეკუთვნის გარკვეულ ადმინისტრაციულ საზღვრებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ განსაზღვრებაში აღნიშნულია **ტურისტული პოტენციალის** ეფექტიანი გამოყენება უნიკალური ტურპროდუქტის შესაქმნელად - ანუ მიუთითებს **რეგიონის ტურისტულ სპეციალიზაციაზე.**

რეგიონის ტურისტული რესურსების შეფასებისთვის წარმოდგენილი ცნების გამოყენება საშუალებას იძლევა შემოისაზღვროს ტურისტული ტერიტორიის საზღვრები და განისაზღვროს დარგის სოციალურად მნიშვნელოვანი და შემოსავლის წარმომქმნელი ქვესისტემები და ელემენტები, საწარმოები, ორგანიზაციები, კომპანიები და ა.შ. შესაბამისად, ეს (ცნება) საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და დადგინდეს იმ საწარმოებისა და დარგების კუთვნილება, რომლებიც პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული არიან ტურპროდუქტის წარმოებასა და რეალიზაციასთან.ცნების - **„რეგიონული ტურისტული კომპლექსი“**- გამოყენება საშუალებას იძლევა გამოჩნდეს ტერიტორიული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური და ინფორმაციული კავშირი ქვეყნის ტურისტული კომპლექსის ელემენტებსა და სისტემებს შორის.

ასეთი კავშირების დამყარება მეტად მნიშვნელოვანია რეგიონისთვის პრიორიტეტული შემომყვანი და შიდა ტურიზმის სახეობების განვითარებისას. და ბოლოს, ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა შემუშავდეს ერთიანი პრინციპები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდება დაგეგმვის (დაპროექტების), აუცილებელი ინფორმაციის მოძიების, აღრიცხვისა და ანალიზის, ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლების დაანგარიშების სამუშაოების ჩატარება და მომავალში მათგან ერთიანი (მთლიანი) სტრუქტურის შექმნა.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეგიონულ მიდგომას** დიდი მნიშვნელობა აქვს **ქვეყანაში ტურიზმის მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის.** დღესდღეობით არ არსებობს ერთიანი მიდგომა ტერიტორიების ტურისტული საზღვრების განსაზღვრებაში.

ტურიზმის მართვის პოზიციიდან გამომდინარე, ყველაზე სწორი მიდგომაა **რეგიონული ტურიზმის განვითარება მისი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში. თუმცა, ეს ყოველთვის არ ემთხვევა ბუნებრივი კომპლექსების საზღვრებს, მაგრამ არის ყველაზე საფუძვლიანი და მიზანშეწონილი. ტურისტული რეგიონების საზღვრების ფარგლებში ფორმირდება რეგიონული ტურისტული კომპლექსები, რომლებსაც შეუძლიათ გაერთიანდნენ კლასტერებად უფრო ეფექტიანი მართვისა და ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისთვის [33;გვ.198-202].**

ქვეყნის რეგიონების ტურისტული რესურსების ობიექტური კომპლექსური შეფასება საფუძვლად უნდა დაედოს შიდა ტურიზმის განვითარების პროგრამებს. ტურისტული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებით და ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის მხარდაჭერით.

თავი 2. რეგიონული ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების მეთოდური მიდგომები

2.1. შეფასების რაოდენობრივი მეთოდები

რეგიონის ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები შეიცავს საერთო პრინციპებს, მეთოდებს და წესებს, რომლებიც **აუცილებელია**:

- ტურისტული რესურსების კომპლექსური შეფასების კონცეფციის შესამუშავებლად;
- ტურისტული რესურსების ცალკეული სახეობებისა და პირობების კვლევისა და შეფასებისთვის;
- რეგიონების ტურისტული პოტენციალის განსასაზღვრად;
- რეგიონის ტურისტული დარაიონებისა და რეიტინგული შეფასებისთვის;
- ტურისტული რესურსებისა და ობიექტების პასპორტიზაციისთვის, რეესტრების წარმოებისთვის.

ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია მათი სხვადასხვა სახეობების მიმართ მოცემულია ცხრილი3-ში, სადაც გამოყოფილია **რესურსების შეფასების მეთოდების რაოდენობრივი, ხარისხობრივი და კომპლექსური ჯგუფები.**

ხარისხობრივი მეთოდებიდან განსაკუთრებითაა გამოყოფილი იუნესკოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ნუსხაში ობიექტების შეტანის მეთოდიკა.

განვიხილოთ **ტურისტული რესურსების შეფასების რაოდენობრივი მეთოდები.** ტურისტული რესურსების შეფასების რაოდენობრივი მეთოდების ჯგუფი შეიცავს კარტოგრაფიულ და მათემატიკურ მეთოდებს.

კარტოგრაფიული მეთოდი. ჩვეულებრივ, **ტურისტული რესურსების შეფასება** იწყება **კარტოგრაფიული მასალების ანალიზით.** კარტოგრაფიული პროდუქცია აუცილებელია ტურისტული რესურსების შეფასების შედეგების ინტერპრეტაციისთვის.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად, ტურისტული პროდუქტის განვითარების ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ქვეყნის ღირსეული სახის (იმიჯის) შექმნისაკენ, ეფუძნებოდეს მიმზიდველ სიმბოლურ მახასიათებლებს. ამიტომ ეროვნული ტურისტული პროდუქტის განვითარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის კარტოგრაფიულ უზრუნველყოფას.

არსებითად, **რუკები - ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის** განუყოფელი ნაწილია, ტურიზმის განვითარება მაღალი დონის კარტოგრაფიული თანხლების გარეშე შეუძლებელია. კარტოგრაფიულ ინფორმაციაზეა დამოკიდებული მოგზაურობის ორგანიზება და მისი წარმატებით დასრულება. რუკები, ატლასები, ტურისტული სქემები, ბუკლეტები - ყოველი მათგანი ფართოდ გამოიყენება მოგზაურობის მომზადებისა და განხორციელების სხვადასხვა სტადიაზე. მომხმარებელთა ფართო წრე განაპირობებს ტურიზმისთვის კარტოგრაფიული პროდუქციის მრავალფეროვნებას.

ცხრილი 3

ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია

მეთოდის დასახელება	**დახასიათება**	**გამოყენების სფერო**
	რაოდენობრივი მეთოდები	
კარტოგრაფი-ული მეთოდი	შეფასება ტარდება საყოველთაო გეოგრაფიული და თემატური ტურისტული რუკებით	წინასწარი შეფა-სება, შეფასების შედეგების ინტერპრეტაცია
მათემატიკური მეთოდი	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების რეესტრების შედგენა, შეიძლება შეიცავდეს ტურიზმის რესურსების ხარისხობრივი შეფასების ელემენტებს	რესურსების ყველა სახეობა
	ხარისხობრივი მეთოდები	
სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასება	ტარდება ტერიტორიის კლიმატის კომ-ფორტულობისა და ბუნებრივი ფაქტორების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების კვლევა. გამოიყენება პირობითი ტემპერატურების სისტემა და კომპლექსური კლიმატოლოგიის მეთოდი	ბუნებრივ-რეკრეაციული მეთოდი
ესთეტიკური შეფასება	განისაზღვრება რესურსების ეგზოტიკურობისა და უნიკალურობის ხარისხი, ადამიანზე ემოციური ზემოქმედების ხარისხი	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები
ტექნოლოგი-ური შეფასება	შეიცავს ბუნებრივი რესურსების ტურისტული საქმიანობისთვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების საკითხებს, ტერიტორიის საინჟინრო-სამშენებლო ათვისების შესაძლებლობების განსაზღვრებას. განისაზღვრება რესურსების ტექნოლოგიური მზადყოფნის, ვარგისობის, კომფორტულობის და ტურისტების მიერ მონახულების უსაფრთხოების ხარისხი	ბუნებრივი რესურსები ისტორიულ-კულტურული რესურსები
ეკონომიკური შეფასება	სხვადასხვა ღონისძიებების ეფექტიანობა, მიმართული რესურსების უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებაზე. გამოიყენება ქულობრივი მეთოდები, რენტული შეფასებების მეთოდი, საერთო ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია, რესურსების გამოყენების პირდაპირი მოხმარების ღირებულება და სხვ.	რესურსების ყველა სახეობა
იუნესკოს მეთოდიკა	კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოიყოფა შემოქმედების შედეგრები, ბუნებრივისთვის - განსაკუთრებული სილამაზისა და ესთეტიკური	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული

	ღირებულების ფენომენები	რესურსები
ეკოლოგიური შეფასება	ხორციელდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, განისაზღვრება ტურისტული რეგიონის ტერიტორიაზე და მასთან ახლოს განთავსებული სამრეწველო ობიექტების ნეგატიური გავლენის ხარისხი	ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები
კომპლექსური მეთოდები		
ტურისტული რესურსების კადასტრი	ტურისტული რეგიონის შესახებ ცნობების კრებული შეიცავს ეკონომიკური შეფასების ობიექტების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღწერას, დინამიკისა და ხარისხის შესწავლის შესახებ მონაცემებს თანდართული კარტოგრაფიული და სტატისტიკური მასალებით.	რესურსების ყველა სახეობა
ტერიტორიების ტურისტული განვითარების გეოინფორმაციული სისტემები	იქმნება ტურისტული რეგიონის ინფორმაციული მოდელი, რომელიც შეიცავს რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დახასიათებას, რეგიონის რეკრეაციულ დარაიონებას და სპეციფიკაციას	რესურსების ყველა სახეობა

ტურისტული კარტოგრაფიის როლი განუსაზღვრელად დიდია ქვეყნის სახის ფორმირებაში. დღესდღეობით ტურისტული რუკები და სქემები სულ უფრო ხშირად გამოდის სარეკლამო როლში და წარმოადგენს პროდუქციას, რომელიც ტერიტორიის ტურისტული იმიჯის ფორმირებას ახდენს **[34].** ტურისტული ხასიათის ინფორმაციას უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს კარტოგრაფიული რუკები, ატლასები, ტურისტული სქემები, სარეკლამო აბრები და სხვ. არსებითად, **ტურისტული რუკები** გეოგრაფიული რუკებია ტურისტული მიზნების შესაბამისობით და დანიშნულებით.

ტურისტულ რუკებს წარედგინება განსაკუთრებული მოთხოვნები გამომსახველობითი და კითხვადობის მიმართებით - მათ ახლავთ ნახატები, ფოტოები, მაჩვენებლები, ტექსტები და მრავალნაირი საცნობარი.

დამახასიათებელი განსაკუთრებულობით გამოირჩევა **ტურისტული რუკები.** მათ შორისაა **მსხვილმასშტაბიანი რუკები,** რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას კონკრეტული რეგიონის შესახებ. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული კომპლექსური ტურისტული შინაარსის რუკები, რომლებიც ასახავენ აუცილებელი ცნობების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების, სატრანსპორტო ქსელის, განთავსებისა და დასვენების ადგილების, საზოგადოებრივი კვების, კავშირგაბმულობის, სამედიცინო დახმარების ობიექტების და სხვათა სრულ ნაკრებს. **მსხვილმასშტაბიან ტურისტულ რუკებს** განეკუთვნება ასევე რუკები, მიძღვნილი დასვენებისა და ტურიზმის ცალკეული სახეობებისადმი. მაგალითად, დეტალური ინფორმაციის შემცველი რუკები - მეთევზეებისთვის თევზის სხვადასხვა სახეობის თევზჭერის ადგილების, წყალსატევების სიღრმის, მდინარეების

დინების სიჩქარის შესახებ და სხვ.; სოკოს შემგროვებლებისთვის ტყის სახეობრივი შემადგენლობის, სოკოს შეგროვების პოპულარული ადგილების დაწვრილებითი დახასიათებით და სხვ.; სამთო ტურიზმისთვის რეკომენდებული სხვადასხვა სირთულის კატეგორიის მარშრუტების მითითებით; გამოქვაბულების, საშიში ფერდობების, შესაძლო ღამისთევის ადგილების შესახებ და სხვ.

საშუალომასშტაბიანი და, იშვიათად, **მცირემასშტაბიანი ტურისტული რუკები** გამოიყენება ტურისტების მიერ ქვეყნის ან რეგიონის წინასწარი (პირველადი) გაცნობისთვის, სავარაუდო მონახულების, ასევე მნიშვნელოვანი სიგრძის მარშრუტების შერჩევის მიზნით. ეს რუკები იძლევიან მიმოხილვით ინფორმაციას და განეკუთვნებიან **კომპლექსური რუკების ტიპს.** ასეთ რუკებზე, საერთო გეოგრაფიული დატვირთვის გარდა, მიუთითებენ ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტებს. ეს ობიექტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეადგენენ ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები, უფრო მეტად საინტერესო ბუნებრივი ობიექტები - ჩანჩქერები, გამოქვაბულები, მთის მწვერვალები, ნაკრძალები, - რომლებიც წარმოადგენს ტურისტული მონახულების მიზანს. მეორე ჯგუფში შედის ინფრასტრუქტურის ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფს ტურისტებისთვის საინტერესო ადგილების მონახულების შესაძლებლობას - ტურისტების განთავსების ადგილები და კემპინგები, სასტუმროები, კაფე-რესტორნები, მედპუნქტები და სხვ.

შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით ტურისტული რუკები შეიძლება დაიყოს **საერთო და სპეციალიზებულად. საერთო ტურისტული რუკები** აჩვენებს საერთო გეოგრაფიულ ელემენტებს (საგზაო ქსელს, დასახლებულ პუნქტებს, მდინარეებს, ტბებს, ტყეებს, რელიეფს და სხვ.) და ტურისტული დანიშნულების ობიექტებს - არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლებს, ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, მუზეუმებს, სასტუმროებს, ტურისტულ ბაზებს, კემპინგებს და ა.შ. ეს რუკები გამოიყენება რეგიონის (რაიონის) გასაცნობად, მოგზაურობის მარშრუტის ასარჩევად, სხვადასხვა ცნობების მისაღებად ღირსშესანიშნაობების განლაგებისა და ტურისტების მომსახურების სისტემის შესახებ.

ტერიტორიის მოცვისა და ასახვის ხასიათის მიხედვით, საერთო ტურისტული რუკები შეიძლება დაიყოს მიმოხილვით, სამარშრუტო და ქალაქების გეგმების რუკებად.

მიმოხილვითი რუკები მასშტაბით 1:200 000-დან 1:1 000 000-მდე მოიცავენ ქვეყანას მთლიანად, ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს და გეოგრაფიულ რეგიონებს, რომლებიც იწვევენ ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს.

სამარშრუტო ტურისტული რუკები - სქემები, აჩვენებენ საფეხმავლო, სათხილამურო, საწყლოსნო, საავტომობილო, სარკინიგზო კომბინირებული მარშრუტების ვიწრო ზოლს. საფეხმავლო მარშრუტების ტურისტული რუკები ჩვეულებრივ გამოიცემა მასშტაბებში - 1:100 000-დან 1:400 000-მდე, სხვები - უფრო დაბალ მასშტაბებში.

ქალაქების ტურისტული გეგმები გამოიცემა ცალკე ან თავსდება მიმოხილვით და სამარშრუტო რუკებთან ან ატლასებთან ერთად დამატებების სახით.

სპეციალიზებული ტურისტული რუკები გამოიცემა უცხოელი ტურისტებისთვის ტურიზმის რეკლამისა და პროპაგანდის მიზნით. მათი დანიშნულებაა დასვენების ადგილების, ღირსშესანიშნაობების, ტურიზმის ობიექტების, შეჯიბრებების ადგილის ორიენტირების პოპულარიზაცია.

ტურიზმის ორგანიზებისა და დაგეგმვისთვის ხდება შემდეგი რუკების შემუშავება:

- ბონიტირების, რომლებიც აფასებენ ბუნებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ პირობებს და ტურიზმის განვითარებისთვის საინჟინრო წინაპირობებს;
- რომლებიც აჩვენებენ კავშირებს ტურისტულ რესურსებსა და ტურისტულ ნაკადებს შორის (მაგ., ბუნებრივი კომპლექსების ტურისტული დატვირთვების მიმართ მდგრადობის რუკები);
- ტურისტული დარაიონების, რომლებიც შეიცავენ ტურიზმის ტერიტორიული ორგანიზების შესაძლებლობების ინფორმაციას;
- თემატური ტურისტული რუკები.

ტურისტები, როგორც წესი, ტურისტული რუკების დახმარებით:

- აფასებენ სავარაუდო მონახულების რაიონს, შეარჩევენ ოპტიმალურს დროის, მანძილის, მარშრუტის სირთულის ხარისხის მიხედვით; ეცნობიან განთავსების ადგილის, კვების და სხვა არსებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას;
- ახდენენ ადგილის ორიენტირებას, ღებულობენ ინფორმაციას სხვადასხვა ბუნებრივი, სამეურნეო და კულტურულ-ისტორიული ობიექტების ზუსტი ლოკალიზაციის შესახებ; ვიზუალურად აფასებენ მანძილებსა და მიმართულებებს;
- გამოყოფენ აბსოლუტურ და ფარდობით სიმაღლეებს, ფერდობების დახრილობას და სხვა რელიეფთან დაკავშირებულ პარამეტრებს; ეცნობიან მონახულების სამიზნე ბუნებრივი ობიექტების მახასიათებლებს (მაგალითად, საწყლოსნო ტურიზმისთვის - ჰიდროგრაფიული ობიექტების პარამეტრები); ღებულობენ ინფორმაციას ისტორიულ-კულტურული ობიექტების შესახებ (მაგალითად, ქრონოლოგიური ცნობები).

ტურისტული რუკების მომხმარებლებს ასევე წარმოადგენენ ტურისტული საქმიანობის განვითარებით დაინტერესებული ტურისტული საწარმოები, ტურიზმის მართვის სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები, კავშირები (რომლებიც იქმნება ტურინდუსტრიის მხარდასაჭერად).

ტურისტული რესურსების შეფასების მათემატიკური მეთოდი ეფუძნება ობიექტებისა და რესურსების შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია რაოდენობრივი მახასიათებლების სისტემის სახით, გამოიყენება ტურისტული რესურსების შეფასებისა და შედარებითი ანალიზისთვის.

ძირითადი მოთხოვნები ტურისტული რუკებისადმი - გასცეს საიმედო და ამომწურავი ინფორმაცია ადგილის, ტურისტული ინტერესების ობიექტების, ტურისტული სერვისის ობიექტების განლაგების შესახებ. ტურისტულმა რუკებმა უნდა გადაწყვიტოს ტურისტის წინაშე მდგარი ამოცანების მთელი კომპლექსი: ოპტიმალური მარშრუტის და გადაადგილების საშუალების არჩევა; კომფორტული მოგზაურობისთვის აუცილებელი და საკმარისი დროის გამოთვლა; მარშრუტის გავლის დროს კომუნიკაციური შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სხვ.

ბოლო პერიოდში საქართველოში გამოცემული კარტოგრაფიული ნაწარმის მოკლე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს ტურისტული რუკების მრავალფეროვნების ზრდას. თუმცა, უკვე არსებული პროდუქცია ზღვაში წვეთია რეალურ საჭიროებასთან

შედარებით, მითუმეტეს, რომ ზოგჯერ რუკების ესთეტიკური მხარე ან მისი შინაარსი მოითხოვს დამუშავებას ან შესწორებებს.

გარდა **ზოგადი ხასიათის ტურისტული რუკების** შექმნისა, მეტი ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული **თემატურ მრავალფეროვნებაზე**, რაც საქართველოს მსგავს მდიდარი ისტორიის და მრავალფეროვანი ბუნების ქვეყანაში, თავისთავად სირთულეს არ წარმოადგენს [**34**].

2.2. შეფასების ხარისხობრივი მეთოდები

ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების ხარისხობრივ მეთოდებს მიეკუთვნება : სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასება, ესთეტიკური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური შეფასება, იუნესკოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ობიექტების შეტანის მეთოდიკა, ასევე ეკოლოგიური შეფასება (იხ. ცხრ.3). განვიხილოთ ტურიზმის ბუნებრივი რესურსების ხარისხობრივი შეფასების მეთოდები.

სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასებისას **იკვლევენ ადამიანის ორგანიზმზე ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებას, მათ კომფორტულობას. ამასთან, წამყვან როლს თამაშობს რეკრეაციული კლიმატური რესურსების შეფასება.**

კლიმატის ქვეშ იგულისხმება მოცემული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ამინდის მრავალწლიანი რეჟიმი. მისი ზემოქმედება ადამიანზე შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტული ამინდის პირობებში - იგულისხმება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი მეტეოროლოგიური მოვლენების კომპლექსი, ატმოსფეროს ქვედა ფენის მდგომარეობა მოცემულ დროს გარკვეულ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობას - როგორც საპასუხო რეაქციას ამინდის პირობებზე. კლიმატის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ამინდის ფიზიკურ ფაქტორებს, არამედ მის ზემოქმედებას ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე. სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასებისთვის იყენებენ პირობითი ტემპერატურების სისტემას და კომპლექსური კლიმატოლოგიის მეთოდს.

პირობითი ტემპერატურების სისტემა ხასიათდება კომპლექსური მაჩვენებლების ზემოქმედებით მეტეოროლოგიური ელემენტების ბუნებრივ რესურსებზე: ჰაერის ტემპერატურაზე, ფარდობით ტენიანობაზე, ქარის სიჩქარეზე, მზის რადიაციასა და გრძელტალღიან გამოსხივებაზე. მაგალითად, კომპლექსურ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ისეთ ელემენტებს , როგორიცაა ტემპერატურა და ტენიანობა, - ეწოდება ეფექტიანი ტემპერატურა -**ეტ**; ტემპერატურის, ტენიანობისა და ქარის მაჩვენებელს - ექვივალენტურ-ეფექტიანი ტემპერატურა - **ეეტ;** ტემპერატურის, ტენიანობის, ქარის სიჩქარისა და მზის რადიაციის მაჩვენებელს - რადიაციულ-ექვივალენტური ტემპერატურა - **რეტ**. პირობითი ტემპერატურების შესახებ ცნებასთან დაკავშირებულია ცნება **„კომფორტის ზონა“,** რომელიც უმრავლესობა ადამიანებისთვის მდებარეობს 17-23 ^{0}C-ის ფარგლებში, მის გარეთ ადამიანი გრძნობს გადაციებას ან გადახურებას. აქტიური რეკრეანტებისთვის კომფორტის ზონა მდებარეობს **ეეტ**-ის 12-16 ^{0}C-ის საზღვრებში [**10**].

კომპლექსური კლიმატოლოგიის მეთოდი გვეხმარება ადამიანის ორგანიზმზე მეტეოროლოგიური პირობების მთელი კომპლექსის ზემოქმედების, მათ შორის, „დღეღამური ამინდის“, „მომენტის ამინდის“, ამინდის ცვლილებების კონტრასტულობის შესწავლაში.

ცნების - „დღეღამური ამინდი“ გამოყენება მოტივირებულია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციების დღეღამური რიტმით, რომლებიც დამოკიდებულია ამინდის დღეღამურ მაჩვენებლებზე.

ამინდის მთელი მრავალფეროვნება გაანალიზდება კლასიფიკაციის საშუალებით, როდესაც გამოყოფილია **ამინდის 16 კლასი,** რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის სამ ჯგუფს: არაცივი (არაყინვიანი) ამინდი (8 კლასი), ამინდი ჰაერის ტემპერატურის გარდამავლობით 0 ^{0}C-იდან (2 კლასი) და ყინვიანი ამინდი (6 კლასი). ადამიანისთვის უმეტესწილად სასარგებლოა ამინდის ყველა კლასი, როდესაც დღისით ბევრი მზეა, მაღალია ხილული და ულტრაიისფერი სხივების შემოდინება, კარგი განათებაა და განსაკუთრებით მიმზიდველია გარემო ლანდშაფტები.

კონტრასტული ცვალებადობისგან დამოკიდებულებით გამოყოფილია ამინდის შემდეგი რეჟიმები: ძლიერ მდგრადი -25%-მდე, მდგრადი - 25-34%, ცვალებადი - 35-50%, ძლიერ ცვალებადი - 50%-ზე მეტი. ადამიანის ორგანიზმზე ამინდის პირობების ზემოქმედების შეფასებისას დიდი ყურადღება ექცევა თბოცვლას სხეულსა და გარემოს შორის, ვინაიდან საბოლოოდ ორგანიზმის მდგომარეობა უმეტესწილად განისაზღვრება თბოშეგრძნებით.

ადამიანის მდგომარეობაზე ამინდის გავლენის ობიექტური შეფასების ძიებამ მიგვიყვანა ისეთ კრიტერიუმამდე, როგორიცაა ორგანიზმის თერმორეგულატორული მექანიზმების დაძაბულობის ხარისხი, რომელიც განისაზღვრება ან ადამიანის სხეულის საშუალოშეწონილი ტემპერატურის ცვლილებით, ან ოფლდენის სიდიდის ცვლილებით. ადამიანის სხეულის საშუალოშეწონილი ტემპერატურისგან დამოკიდებულებით, თერმოშეგრძნების გათვალისწინებით, - ამინდის ცნობილი ტიპები იყოფა 9 კატეგორიად - უკიდურესი ცივიდან ძალიან ცხელამდე.

ყველაზე სასიამოვნო თერმოშეგრძნებას ეწოდება კომფორტული მდგომარეობა, როცა ადამიანი არ გრძნობს არც სიცხეს, არც სიცივეს. კომფორტული მდგომარეობა წარმოიქმნება სხეულის 31-33 ^{0}C-ის საშუალოშეწონილი ტემპერატურისას. ცხელი ამინდის დროს თერმორეგულატორული მექანიზმების დაძაბულობა ხასიათდება ოფლდენის სიდიდით, ხოლო ცივი ამინდის დროს - კანის საშუალოშეწონილი ტემპერატურის სიდიდით. (იხ.ცხრილი 4) [10].

ცხრილი 4

ურთიერთკავშირი ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასა და ამინდის ტიპს შორის

კანის საშუალო შეწონილი ტემპერატურა	თერმოშეგრ-ძნება	ოფლდენა გ/სთ	თერმორეგულატო-რული დატვირთვა	ამინდის შეფასება	საკვლევი პერიოდი
34-ზე მეტი	ძალიან ცხელა	750-ზე მეტი	გადაჭარბე ბული	ცხელი დის კომფორტუ ლი	არასასია მოვნო
იგივე	ცხელა	400-750	დიდი	იგივე	იგივე
იგივე	ძალიან თბილა	250-400	ზომიერი	იგივე	იგივე
33-34	თბილა	150-250	სუსტი	ცხელი, სუბკომფორ-ტული	სასიამოვნო
31-32,9	კომფორ-ტული	100-150	მინიმალური	კომფორ-ტული	იგივე
29-30,9	გრილა	100-ზე ნაკლები	სუსტი	გრილი და ცივი, ნაწი-ლობრივ დისკომფორ-ტული	იგივე
27-28,9	ცივა	იგივე	ზომიერი	ცივი დისკომ-ფორტული	არასასია-მოვნო
23-26,9	ძალიან ცივა	იგივე	დიდი	იგივე	იგივე
23-ზე ნაკლები	უკიდურე-სად ცივა	იგივე	გადაჭარბებული	იგივე	იგივე

აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს ჰავა - საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით **[35].**

საქართველოს ჰავის ნაირგვარობას განსაზღვრავს ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე: ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები. ადგილობრივ ჰავას ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი, რომელიც საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების უშუალო შემოჭრისგან, ხოლო შავი ზღვა აზომიერებს (ზომიერს ხდის) ტემპერატურის მერყეობას და ხელს უწყობს ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში **[36].**

ესთეტიკური შეფასების დროს გამოიკვლევა ბუნებრივი ლანდშაფტის ან მისი კომპონენტების ზემოქმედება ემოციურობაზე. საქმე ეხება ადამიანის ემოციურ რეაქციას

ამა თუ იმ ბუნებრივ კომპლექსზე. მაღალი ესთეტიკური ღირებულების ტერიტორიები სარგებლობენ უფრო მეტი მოთხოვნით.

ესთეტიკური ღირებულება დამოკიდებულია ლანდშაფტის მორფოლოგიურ სტრუქტურაზე, პეიზაჟის ელემენტების მრავალფეროვნებაზე. არაიშვიათად იყენებენ ცნებას „პეიზაჟური მრავალფეროვნება“, რომელიც შედგება ბუნებრივი კომპლექსის სტრუქტურისა და სხვა ასეთი კომპლექსების კავშირებისგან.

პეიზაჟური მრავალფეროვნება განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით: **ლანდშაფტის მორფოლოგიური სტრუქტურა** - ხასიათდება რელიეფით, მცენარეული საფარით, ჰიდროგრაფიით, ლანდშაფტის კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათით; **ლანდშაფტის მოზაიკურობის ხარისხი** - საზღვრების კონტურების რაოდენობის შეფარდება შესასწავლი ლანდშაფტების ფართობთან ; **ლანდშაფტების მრავალფეროვნების ხარისხი** - საზღვრების შეფარდება ლანდშაფტის ფართობთან ; **მარშრუტზე ფონური დომინანტებისა და სტრუქტურული დეტერმინანტების შეხვედრის სიხშირე** და სხვ.

ბუნებრივი კომპლექსების ესთეტიკური თვისებები ხასიათდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მაგალითად, გატყიანების ხარისხი, ხეთა სიხშირე, ტყის სართულიანობა, მოზარდი მცენარეებისა და ქვეტყის სიმრავლე. დაბლობის ტყიანი რაიონებისთვის დომინანტ ნიშნად ჩვეულებრივ მიღებულია სივრცის გატყიანების ხარისხი.

გატყიანების პროცენტისგან დამოკიდებულებით გამოყოფენ ღია, ნახევრადღია და დახურულ სივრცეებს. ესთეტიკური შეფასებისას უმაღლეს ქულას ღებულობენ ბუნებრივი კომპლექსები ნახევრადღია სივრცეებით (ტყიანი და არატყიანი ადგილების მონაცვლეობა). ასევე მნიშვნელოვანია მცენარეულობისა და რელიეფის მონაცვლეობის ხასიათი.

ბუნებრივი რესურსების ესთეტიკური შეფასების სხვა მეთოდებს შორის ბოლო დროს ხდება ეგზოტიკურობისა და უნიკალურობის საზღვრების დამდგენი მეთოდების შემუშავება. ეგზოტიკურობა განისაზღვრება როგორც დასვენების ადგილის კონტრასტულობის ხარისხი მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან მიმართებაში, ხოლო უნიკალურობა - როგორც ობიექტებისა და მოვლენების განუმეორებლობისა და შემხვედრობის ხარისხი.

ტექნოლოგიური შეფასება მოიცავს რესურსების გამოყენების ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებს, მთლიანად ტურისტული საქმიანობისთვის ამა თუ იმ სახეობის სამუშაოსთვის; ტერიტორიის საინჟინრო-სამშენებლო შესაძლებლობების შეფასებას ტურისტული დაწესებულებების შექმნისთვის.

ასე, მაგალითად, შესაძლებელია კულტურულ-ისტორიული რესურსების ტექნოლოგიური შეფასების ჩატარება. შევნიშნავთ, რომ შეფასების ყველა სახეობა არ გამოიყენება კულტურულ-ისტორიული რესურსებისთვის. შეუძლებელია სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასების გამოყენება კულტურულ-ისტორიული რესურსების მიმართ, ვინაიდან შეფასების ეს ტიპი ახასიათებს მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. კულტურულ-ისტორიული რესურსების შესაფასებლად სრულიად შესაძლებელია როგორც ტექნოლოგიური, ისე ესთეტიკური, ეკოლოგიური შეფასების ჩატარება.

კულტურულ-ისტორიული რესურსების ტექნოლოგიური შეფასება მნიშვნელოვანია ტურისტების მისაღებად ტურისტული რესურსების ტექნოლოგიური მზადყოფნის, ვარგისობის, კომფორტულობის ხარისხის დასახასიათებლად.

ესთეტიკური შეფასება დამოკიდებულია ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა უნიკალურობა, ესთეტიკური ტევადობა და ტურისტზე ზემოქმედების უნარი, პეიზაჟების მრავალფეროვნება და ჰარმონია გარემოსთან. ცნება „ესთეტიკური ტევადობა" გულისხმობს დასათვალიერებელი ობიექტის ფიზიკურ და კულტურულ მდგომარეობას, მისი შემადგენელი დეტალებისა და ფრაგმენტების რაოდენობას.

რაც უფრო გრანდიოზულია ობიექტი, მით უფრო მეტ საგნებს შეიცავს, მით უფრო მეტი დროა საჭირო მის დასათვალიერებლად, მით უფრო ლამაზი და საინტერესოა ტურისტებისთვის (მაღალია მისი ესთეტიკური ტევადობა). თუმცა, **ესთეტიკურ შეფასებას** გააჩნია ერთი დიდი ნაკლი - **სუბიექტივიზმი**, რომელიც გამოწვეულია ადამიანების მიერ ობიექტების შეფასებისას, ყველა ცალკე აღებული ადამიანის ესთეტიკური აღქმის სხვადასხვაობის (განსხვავებულობის) გამო.

განვიხილოთ **კულტურულ-ისტორიული რესურსების შეფასების მეთოდები.** ამ რესურსების **ტექნოლოგიური შეფასება** შეიძლება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმებით: ობიექტის ფიზიკური გადარჩენის ხარისხი (მაღალი, საშუალო, დაბალი); ობიექტის გამოყენების კომფორტული ვადის დრო; გაშვების უნარი (ადამიანების რაოდენობა დღეში); საჩვენებელი ექსპონატების რაოდენობა; ტურისტების მიერ კეთილმოწყობილი ობიექტების დათვალიერების რაოდენობა და ხარისხი; ტურისტებისთვის დროის გარკვეულ მომენტში ხელმისაწვდომი საჩვენებელი ობიექტების პროცენტი; ობიექტის ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესების შესაძლებლობა [18].

ეკონომიკური შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს სხვადასხვა ღონისძიებების ეფექტიანობა, რომლებიც მიმართულია **ტურისტული რესურსების** უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებაზე.

ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ **ტურისტული რესურსების შეფასება საკმაოდ ძნელია.** დღესდღეობით, ძირითადად შემუშავებულია განსახილველი რესურსების შეფასების მიდგომები, დაფუძნებული ქულობრივი შეფასების მეთოდებზე. თუმცა, შეფასების ქულების მეთოდები არ სარგებლობს უპირობო აღიარებით, ვინაიდან არ არის მოკლებული სუბიექტურობას და არ იძლევა ეკონომიკურ ანალიზს დაქვემდებარებულ გათვლილ მაჩვენებლებს. ამავდროულად, **ბუნებრივი რესურსების** ბევრი მახასიათებელი შეიძლება გაიზომოს შედარებითი პირობითი სიდიდეებით - მაგალითად, რომელიმე ლანდშაფტის შემეცნებითი ღირებულებით. ამიტომ, იქ, სადაც რაოდენობითი მეთოდების გამოყენება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ან ჯერ არ არის შემუშავებული, **ქულების მეთოდები წარმოადგენს შეფასების ერთადერთ მეთოდს.**

ეკონომიკური შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს **ტურისტული რესურსების** გამოყენების ეფექტიანობა და **ახალი ტურისტული ტერიტორიების** ათვისების ეფექტიანობა. ამასთანავე, **სწორედ ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასება არის ყველაზე ძნელი.**

განვიხილოთ ეკონომიკური შეფასების ძირითადი მეთოდები ტურიზმის ცალკეულ სახეობებთან მიმართებაში. **ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასება** უნდა

წარმოადგენდეს მაჩვენებლების სისტემას, რომლებიც ასახავენ ტურისტული საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებს მათი ხარისხობრივი თვისებების გათვალისწინებით.

ტურისტული რესურსების **ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგია** ჯერ-ჯერობით იმყოფება ფორმირების სტადიაზე, თუმცა, შეიძლება დაყრდნობა **რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების** მეთოდებზე. გამოვყოფთ **ბუნებრივი რეკრეაციული რესურსების** სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებს, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო ტურიზმში :

- სხვადასხვა სახეობის სამკურნალო რესურსების კურორტული გამოყენების ეფექტი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება მთელი საბადოს ათვისების ჯამური ეფექტი;
- ეკონომიკური ეფექტი, მიღებული ერთი რეკრეანტის გამოჯანმრთელებისგან;
- რიცხოვნობა პირობითად გამონთავისუფლებული თანამშრომლების, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების ხარჯზე ერთი წლის განმავლობაში, სანატორიუმებში გაჯანსაღების შემდგომ;
- დროებითი შრომის უუნარობის საერთო შემცირება ერთი წლის განმავლობაში ერთი რეკრეანტის გამოჯანმრთელების შემდეგ;
- ფულადი სახსრების ეკონომია ავადმყოფობის ფურცლების განაღდებაზე (საზღაურზე) ერთი წლის განმავლობაში სანატორიულ-კურორტული მკურნალობის შემდეგ.

ბუნებრივი რესურსების შეფასების არსებული მეთოდები, - ისეთები, როგორიცაა რენტული შეფასების მეთოდი (დიფერენციული რენტის საფუძველზე), შეფასება ათვისების ხარჯების მიხედვით და სხვა, - პრაქტიკულად გამოუსადეგარია **რეკრეაციული ბუნებრივი რესურსების** შემთხვევაში, რადგან რესურსები ფასდება მათი სამრეწველო და სოფლის მეურნეობაში გამოყენებით, საბოლოო პროდუქტის მიხედვით.

ტურისტული რენტა განიხილება, როგორც ქვეყნის ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური საშუალებების რეალური წყარო, რადგან ტურიზმის რესურსები სახელმწიფოს საკუთრებაა, ხოლო რენტა არის ზედმეტი ღირებულების გაზრდა კაპიტალის საშუალო ნამატზე. რენტის განსაზღვრის მექანიზმი მდგომარეობს ბუნებათსარგებლობის გადასახადების დადგენაში, რომლებიც დამოკიდებულია ტურისტული რესურსების გამოყენების ინტენსივობაზე.

ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური ეფექტი მჟღავნდება სამკურნალო დაწესებულებებისა და ტურისტული საწარმოების მუშაობის შედეგიანობასა და მთელი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარებაში (ხდება დარგებისა და ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის შეფასება).

დღესდღეობით არსებობს **რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების** გაანგარიშების ათობით სხვადასხვა მეთოდიკა. ერთ-ერთი მათგანი შემოთავაზებულია ამერიკელი სპეციალისტების მიერ : **მასში საფუძვლად აღებულია დამსვენებლების მიერ გაწეული ხარჯების ჯამი.** სხვა სპეციალისტები ითვალისწინებენ მხოლოდ გზაში დახარჯულ, - დასვენების ადგილამდე და უკან დაბრუნების, - სატრანსპორტო ხარჯებს, რადგან ხარჯების ძირითად ნაწილს სწორედ ისინი წარმოადგენენ. მ.კლაუსმა დაადგინა კანონზომიერება მანძილს, სატრანსპორტო ხარჯსა და ტურისტული ცენტრის მონახულებას შორის, - მაგალითად, სატრანსპორტო ხარჯის ერთი დოლარით გაზრდა

ამცირებს მონახულების რაოდენობას გაანგარიშებით ყოველ ათას მნახველზე რაიონის ახლომდებარე (უახლოესი) ტურისტული ცენტრიდან 500-დან 400 მ-მდე; საშუალოდ დაშორებულზე -1200-დან 800 -მდე და შორი რაიონიდან - 100 მონახულებიდან 0-მდე. თუ დავეყრდნობით ამ კანონზომიერებას, გარკვეული ტურისტული ცენტრის რესურსების ღირებულება შეიძლება მივიღოთ, როგორც დასვენების ადგილამდე და უკან მგზავრობის ტრანსპორტის ხარჯებსა და მის საერთო ხარჯებს შორის სხვაობა, გამრავლებული წლის განმავლობაში დამსვენებელთა რიცხვზე.

აღსანიშნავია, რომ **ტურისტული რესურსების** გამოყენების ეკონომიკური შეფასების ჩატარება უნდა შეიცავდეს **რეგიონში მათი გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზს.** ტურიზმის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა მიკროდონეზე ხასიათდება ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემით, რომლებიც ასახავენ ტურისტული მომსახურების რეალიზაციის რაოდენობრივ მოცულობას და მათ ხარისხობრივ მხარეს :

- ტურისტული ნაკადის მოცულობა;
- ტურისტული დანახარჯების სიდიდე;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და განვითარება;
- ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები;
- საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები.

ტურისტული ნაკადის მოცულობის დამახასიათებელ მაჩვენებლებს განეკუთვნება: ტურისტების საერთო რაოდენობა, მათ შორის ორგანიზებული და თვითშემოქმედი (დამოუკიდებელი) ტურისტების, ღამისთევის ტურ/დღე-ების, საწოლი/დღე-ების რაოდენობა, საშუალო თვიური რაოდენობა ტურ/დღე-ების.

ტურისტების საერთო რიცხვი იზომება ადამიანების რაოდენობით, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა მოგზაურობაში. მაჩვენებელი განისაზღვრება კონკრეტულ პერიოდში დარეგისტრირებული ტურისტების რაოდენობის დაჯამებით.

ტური-დღეების რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$D = H \times t_m \tag{1}$$

სადაც, D - ტური-დღეების, კაც-დღეების რაოდენობაა;

H - ტურისტების რაოდენობა, კაც.;

t_m - მოცემულ რეგიონში ერთი ტურისტის ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა, დღეები.

ჯამური ტურისტული ხარჯის P სიდიდე კონკრეტულ რეგიონში გამოითვლება ფორმულით:

$$\mathrm{P} = \mathrm{H} \times \mathrm{P}_m \tag{2}$$

სადაც, P_m - მოგზაურობის პერიოდში ერთი ტურისტის საშუალო ხარჯი დღეში, ლარი.

უთანაბრობის კოეფიციენტების K_D- გამოთვლა შეიძლება სამი გზით ფორმულებით:

$$K_D = D_{max}/D_{min} \times 100\%, \quad (3)$$

სადაც, D_{max} ; D_{min} - ტური-დღეების რიცხვი თვეში მაქსიმალური და მინიმალური ტურისტული ნაკადის, შესაბამისად, კაც-დღეები;

$$K_D = D_{max}/D_Y \times 100\%, \quad (4)$$

სადაც, D_Y - ტური-დღეების წლიური რიცხვი, კაც-დღეები;

$$K_D = D_{max}/ D_m \times 100\%, \quad (5)$$

სადაც, D_m - ტური-დღეების საშუალო თვიური რიცხვი, კაც-დღეები;

ტური-დღეების საშუალო თვიური რაოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$D_m = D_Y /12 \quad (6)$$

ინფრასტრუქტურის განვითარების სიმძლავრის მაჩვენებლების ჯგუფი შეიცავს:

- დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურბაზების, სასტუმროების, სანატორიუმების და ა.შ. საწოლების ფონდი;
- საწოლების რიცხვი, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეთავაზებული;
- ადგილების რიცხვი ტურისტების კვების საწარმოების სავაჭრო დარბაზებში;
- ადგილების რიცხვი თეატრებში, გამოყოფილი ტურისტებისთვის;
- აბაზანების რიცხვი წყლით სამკურნალო დაწესებულებებში, გამოყოფილი ტურისტებისთვის და ა.შ.

საწოლების ფონდის სიმძლავრე განისაზღვრება ფორმულით:

$$M_b = K_r \times 365 \times K_c \times t_m \quad (7)$$

სადაც, M_b - საწოლი-ადგილების საერთო რაოდენობა, საერთ.;

K_r - საწოლი-ადგილების რიცხვი, წლიური გამოყენების, საერთ.;

K_m - საწოლი-ადგილების რიცხვი, სეზონური გამოყენების, საერთ.;

t_m - დღეების რიცხვი, სეზონური გამოყენების, დღეები.

ტურისტული საწარმოს (დაწესებულების) საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეიცავენ:

- ამონაგები ტურისტული პროდუქტის რეალიზაციიდან;
- გამოყენების მაჩვენებლები სამუშაო ძალის რესურსების;
- გამოყენების მაჩვენებლები ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების;
- მაჩვენებლები შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ფონდის;
- მაჩვენებლები ტურისტული დაწესებულებების (საწარმოების) ფინანსური მდგომარეობის.

მაჩვენებლებს - რომლებიც ახასიათებენ საერთაშორისო ტურიზმის მდგომარეობასა და განვითარებას, განეკუთვნება:

- ტურისტების რაოდენობა, რომლებმაც მოინახულეს უცხო ქვეყნები (განისაზღვრება გადაკვეთილი სახელმწიფო საზღვრების რიცხვით);
- ტური-დღეების რაოდენობა უცხოელი ტურისტების მიხედვით;
- ჯამური ფულადი დანახარჯები, რომლებიც გაიღეს ტურისტებმა უცხოეთში მოგზაურობისას.

ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს **მაჩვენებლების სისტემის** (რომელიც ყოველმხრივ ახასიათებს საერთაშორისო ტურიზმს) **გაერთიანებული მაჩვენებლების გაანგარიშება.** ტარდება **მრავალზომიერ-სტატისტიკური ანალიზი,** რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიღებული შედეგების მაღალი სანდოობა და მინიმუმამდე დაიყვანოს შეფასებების სუბიექტურობა. მაჩვენებლების სისტემა შედგება **12 მაჩვენებლისგან,** რომლებიც გაერთიანებულია **მაჩვენებლების 4 ჯგუფად.**

პირველი ჯგუფი - საერთო მაჩვენებლები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების: ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი - სოციალური განვითარების ინტეგრალური მაჩვენებელი, შეიცავს ცხოვრების დონისა და ხარისხის (რომლებზეც დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ტურისტული აქტივობა) კომპლექსურ შეფასებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის საბაზო მეთოდიკის თანახმად, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი გამოითვლება როგორც სამი კერძო მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკული : რეალური **მშპ** ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტით აშშ დოლარში. დაბადებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობისა და განათლების მიღწეული დონის (მოწიფული მოსახლეობის წიგნიერება და ახალგაზრდობის განათლება) მიხედვით.

მეორე ჯგუფი - ტურისტული მოთხოვნილების მაჩვენებლები, შეიცავს 5 მაჩვენებელს:

1. ტურისტული ჩასვლის კოეფიციენტი;
2. ქვეყნის წილი მსოფლიოში ტურისტული ჩასვლების საერთო მოცულობაში;
3. ტურისტული გასვლის კოეფიციენტი;
4. ქვეყნის წილი მსოფლიოში ტურისტული გასვლების საერთო მოცულობაში;
5. ხარჯების წილი რეკრეაციაზე საოჯახო საქმიანობის (მეურნეობების) ბიუჯეტებში.

როგორც ვნახეთ, **ტურისტული ნაკადების ინტენსივობის** შესაფასებლად ზოგჯერ გამოიყენება მოსახლეობის მიგრაციის კლასიკური შედარებითი მაჩვენებლები - **ჩასვლის კოეფიციენტი და გასვლის კოეფიციენტი.** ტურისტული ჩასვლის კოეფიციენტი გამოითვლება როგორც ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ჩამოსული უცხოელი ტურისტების რიცხვის შეფარდება მისი მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან.

ტურისტული გასვლის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც ქვეყნიდან გასული ტურისტების რიცხვის შეფარდება მისი მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან.

ტურისტული მიგრაციის ინტენსივობის სურათის შევსება ხდება ორი სხვა მაჩვენებლით: **შემოსვლითი და გასვლითი ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის წილის მაჩვენებლებით,** რომლებიც ასახავენ ტურისტული მოთხოვნის სივრცობრივ კონცენტრაციას. **საოჯახო მეურნეობის ბიუჯეტებში რეკრეაციის ხარჯების წილი** წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებით მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ტურიზმის ბაზარზე მოსახლეობის მომხმარებლობით ქცევას.

მესამე ჯგუფი - ტურისტული წინადადებების მაჩვენებლები. შეიცავს დაბალანსებული მაჩვენებლების ორ ჯგუფს:

- ქვეყანაში განთავსების საშუალებების სიმჭიდროვე (ადგილების რაოდენობა სასტუმროებსა და განთავსების ანალოგიურ საშუალებებში ერთ კვ.კმ-ზე);
- ქვეყნის წილი საერთო მსოფლიო სასტუმრო ფონდში.

მეოთხე ჯგუფი - ქვეყნის ეკონომიკაში საერთაშორისო ტურიზმის მნიშვნელობის მაჩვენებლები :

- დამატებითი ღირებულების წილი, შექმნილი საერთაშორისო ტურიზმში (%-ებში ქვეყნის **მშპ**-დან);
- ტურისტული მომსახურების წილი ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობაში, %-ებში;
- საერთაშორისო ტურიზმში დაკავებული მოსახლეობის წილი ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, %-ებში;
- საერთაშორისო ტურიზმში ინვესტიციების წილი %-ებში (ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების საერთო მოცულობაში).

ამგვარად, **ეკონომიკური შეფასება** შეიცავს ტურისტული საქმიანობის პროცესში **ტურისტული რესურსების ეფექტიანი გამოყენების მეთოდების ანალიზს, მიკრო- და მაკროდონეებზე ტურისტული საქმიანობის შედეგებს და ტურისტული რესურსების ღირებულებით შეფასებას.**

ეკოლოგიური შეფასება ტურისტული რესურსების - შეიცავს გარემოს დაბინძურების მონიტორინგს: მდგომარეობა წყლის, ტყისა და სხვა ბუნებრივი ტურისტული რესურსების; ტურისტული მომსახურების ტერიტორიაზე და ზონებთან ახლოს განთავსებული სამრეწველო ობიექტების ნეგატიური გავლენის ხარისხის და ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის განსაზღვრა; არასანქციონირებული ნარჩენების ნაგავსაყრელების არსებობა ტურისტული სანახაობის ობიექტებთან ახლოს და ავტო- და რკინიგზის მაგისტრალების გასწვრივ და სხვა პირობები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ ტურისტულ ნაკადებსა და ტურპროდუქტის ხარისხზე.

თავი 3. იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმის მართვის თანამედროვე სისტემები

3.1. იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა

იუნესკოს (**UNESCO**) მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ობიექტების შეტანის მეთოდიკა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, ვინაიდან ობიექტების შეტანა წარმოდგენილ ნუსხაში რეგიონს ანიჭებს მსოფლიო მნიშვნელობის სტატუსს, ზრდის მის ტურისტულ მიმზიდველობას.

იუნესკოს ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია **ტურისტული რესურსების შეფასების უნიკალური მეთოდიკა,** რომელიც გამოიყენება ბუნებრივი და კულტურული ობიექტების მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად.

არსებობს იუნესკოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შეფასების **კრიტერიუმების სისტემა,** რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის მიხედვით გამოყოფილია ხელოვნების შედევრები, ხოლო ბუნებრივი მემკვიდრეობის მიხედვით - განსაკუთრებული სილამაზისა და ესთეტიკური ღირებულების ფენომენები. შეფასება ხდება 10 კრიტერიუმის მიხედვით. რომელთაგან 6 განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შეფასებას. იმავდროულად, ყოველი ტურისტული ობიექტი ან კომპლექსი შეიძლება შეფასდეს ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმის პოზიციიდან.

იუნესკოს მეთოდიკა საკმაოდ ორიგინალურია, მაგრამ არის მხოლოდ საერთაშორისო ტურიზმის დონის ადეკვატური. კრიტერიუმების შესაბამისი დამუშავებით მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს რეგიონულ დონეზე.

მსოფლიო მემკვიდრეობა - ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტები, რომელთა მიმართ **პრიორიტეტულ ამოცანებს** წარმოადგენს **დაცვა და პოპულარიზაცია,** გამომდინარე მათი განსაკუთრებული ისტორიული ან ეკოლოგიური მნიშვნელობიდან.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტები პლანეტის მთელი მოსახლეობის კოლოსალურ ინტერესს იწვევენ. ბუნებრივი და კულტურული ობიექტების უმრავლესობა უნიკალურია.

1972 წ. იუნესკომ მიიღო მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1975 წ.; 2009 წ. 186 მონაწილე-ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. თითქმის ყოველ წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სესიაზე ხდება **მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსის** მინიჭება, რომელსაც გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- **იძლევა უნიკალური ბუნებრივი კომპლექსების დაცვის, შენარჩუნების და მთლიანობის დამატებით გარანტიას;**
- **ამაღლებს ტერიტორიებისა და მათი მმართველი დაწესებულებების პრესტიჟს;**
- **ხელს უწყობს ნუსხაში შეტანილი ობიექტების პოპულარიზაციას და ბუნებათსარგებლობის ალტერნატიული სახეობების, პირველ რიგში, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას;**

- **უზრუნველყოფს პრიორიტეტულობას ფინანსური საშუალებების მოზიდვაში მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტების მხარდასაჭერად, პირველ რიგში, მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდიდან;**
- **ხელს უწყობს ბუნებრივი ობიექტების დაცულობის მდგომარეობის მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზებას.**

სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზეა განლაგებული მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტები, თავის თავზე იღებენ მათი დაცვის ვალდებულებას.

ნუსხის ფარგლებში არსებობს **განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ქვენუსხა.** მასში დროებით შეყვანილია ობიექტები, რომლებიც განიცდის ბუნებრივი მიზეზით ან ადამიანის ჩარევის შედეგად გამოწვეულ სხვადასხვა სახის საშიშროებას - შეიარაღებული კონფლიქტები და ომები, მიწისძვრები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები,დაბინძურება, ბრაკონიერობა და უწესრიგო მშენებლობა. განსაკუთრებულ ნუსხაში შეტანა მიუთითებს მათზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაზე და დაცვის მიზნით გადაუდებელი ზომების მიღებაზე [37].

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ფორმირების **მთავარი მიზანია** გახდეს ცნობადი და დაცული თავის მხრივ უნიკალური ობიექტები, ამისთვის, და ობიექტურობიდან გამომდინარე, შედგენილი იქნა **შეფასების კრიტერიუმები.**

UNESCO-ს ძირითადი კულტურის კონვენციები წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის უნიკალურ გლობალურ პლატფორმას და ქმნის ყოვლისმომცველ კულტურული მმართველობის სისტემას, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებებს და უნივერსალურ ფასეულობებს.

UNESCO-ს კონვენციების მიზანია არქეოლოგიური ძეგლების, წყალქვეშა მემკვიდრეობის, მუზეუმის კოლექციების, არამატერიალური მემკვიდრეობის და სხვა ფორმების მემკვიდრეობის სახით წარმოდგენილი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ასევე ინოვაციისა და შემოქმედების მხარდაჭერა კულტურის სხვადასხვა დარგებში [38].

UNESCO-ს წევრი ქვეყნების უმეტესობაში არის დაფუძნებული **იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიები,** რომლებიც აქტიურად არიან ჩართული თავის ქვეყანაში UNESCO-ს სამუშაო გეგმის განსაზღვრაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. დღეისათვის მსოფლიოში შექმნილია 199 ეროვნული კომისია.

გარდა ამისა, 184 წევრ ქვეყანას ჰყავს მუდმივი წარმომადგენლობა UNESCO-ში (ქ. პარიზი).

1992 წლის 7 ოქტომბერს, საქართველო გახდა UNESCO-ს სრულუფლებიანი წევრი. ამავე წელს, ორგანიზაციის კონსტიტუციის მე-7 მუხლის საფუძველზე, დაარსდა **საქართველოს UNESCO-ს საქმეთა ეროვნული კომისია,** რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს UNESCO-ს მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების კოორდინირება და ორგანიზაციის საქმიანობის პოპულარიზაცია [39].

მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ 1972 წლის კონვენციის ფარგლებში შეიქმნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სია, რომელშიც დღეისათვის წარმოდგენილია 1153 ძეგლი, მათ შორის 0,4% საქართველოს ძეგლებია.

ქვეყნები, სადაც არის 10 და მეტი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი (მონაცემები წარმოდგენილია 2021 წლის ივლისის მდგომარეობით). (იხ.ცხრილი 5*).

ცხრილი 5*



არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სია, რომელშიც წარმოდგენილია 4 ქართული ნომინაცია:

1. ქართული მრავალხმიანობა – 2001 წელს ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს მიერ აღიარებული იქნა როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი. ხოლო 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციაზე საქართველოს მიერთების შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა შეტანილ იქნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში.

2. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი – შეტანილ იქნა 2013 წელს.

3. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა – შეტანილ იქნა 2016 წელს.

4. ქართული ჭიდაობა – შეტანილ იქნა 2018 წელს [40].

პირველად საქართველოს ისტორიაში, 4 დაცული ტერიტორია UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას დაემატა და ღირსეული ადგილი მოიპოვა ამაზონის ტყის, გრანდ კანიონის ეროვნული პარკის, იელოუსთოუნის ეროვნული პარკის, მთა ეთნას, შვეიცარიის ალპების გვერდით [41].

ამრიგად, მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში წარმოდგენილია 4 ქართული ძეგლი: „მცხეთის ისტორიული ძეგლები“, „გელათის მონასტერი“, „ზემო სვანეთი“ და „კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები“ [42].

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოში -2021 წლის მონაცემებით - მოიცავს ოთხ ძეგლს, რომლებიც ქრონოლოგიურად წარმოდგენილია ცხრილი 5-ში.

ცხრილი 5

#	სურათი	სახელწოდება	მდებარეობა	დაარსების თარიღი	სიაში შეტანის წელი	№	კრიტერიუმი
	მცხეთის ისტორიული ძეგლები:						
1		სვეტიცხოველი	მცხეთა	1010 — 1029	1994	708	III, IV
		ჯვრის მონასტერი		586 — 604			
		სამთავროს მონასტერი		XI საუკუნე			
2		გელათის მონასტერი	ქუთაისი	XII საუკუნე	1994	710	iv
3		ზემო სვანეთი	რაჭაში		1996	709	iv, v
4		კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები	კოლხეთის დაბლობი		2021	1616	ix, x

საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს UNESCO-ს საქმიანობაში შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის სფეროში - ამ საკითხზე მომუშავე UNESCO-ს კომიტეტის წევრი იყო 2013-2017 წლებში.

UNESCO-ს მსოფლიო საერთაშორისო დოკუმენტური რეესტრი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტების, ხელნაწერების, ზეპირი ტრადიციების, აუდიოვიზუალური მასალის, ბიბლიოთეკებისა და არქივების ექსპონატების კოლექციას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის დოკუმენტური მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობისა და დაცვის უზრუნველყოფას.

საქართველოს მიერ წარდგენილი შემდეგი ნომინაციები შეტანილი იქნა UNESCO-ს მსოფლიო საერთაშორისო დოკუმენტურ რეესტრში:

„ბიზანტიური ხანის ქართული ხელნაწერები“ – 2011 წ.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და გეოგრაფიული ატლასი – 2013 წ.

შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსანი“-ს ხელნაწერთა კოლექცია – 2013 წ.

„საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული უძველესი ხელნაწერები“ – 2015 წ.

„ოთხთავი-პალიმფსესტი“ – 2017 წ.

UNESCO-ში გაწევრიანების დღიდან საქართველო შეუერთდა ორგანიზაციის 12 კონვენციას.

UNESCO-ს ასოცირებული სკოლები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, ორგანიზაციის კომპეტენციაში შემავალ მთავარი მიმართულებების სფეროებში: კულტურული მემკვიდრეობა, ტოლერანტობა, ეკოლოგია, ადამინათა უფლებები და ა.შ. ასევე სკოლები მონაწილეობას იღებენ იუნესკოს სხვადასხვა დიდ პროექტებში.

საქართველოში UNESCO-ს 23 ასოცირებული სკოლაა - აქედან 11 თბილისშია, დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

3.2. ტურისტული რესურსების კადასტრი და განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები

ტურისტული რესურსების შეფასების კომპლექსურ მეთოდებს უნდა მივაკუთვნოთ საკადასტრო ცნობების სისტემისა და რეგიონების ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემის შექმნა.

კადასტრი წარმოადგენს სისტემატიზებულ მონაცემთა კრებულს, რომელიც მოიცავს შემდეგ პოზიციებს :

- ადგილმდებარეობა და საკუთრება;
- ობიექტების ან მოვლენების ხარისხობრივი და რაოდენობრივი აღწერა მათი ეკონომიკური აღწერით;
- მონაცემები დინამიკისა და მათი შესწავლის ხარისხის შესახებ თანდართული კარტოგრაფიული და სტატისტიკური მასალებით;

- ობიექტებისა და მოვლენების შესახებ რეკომენდაციები, მათი დაცვის ღონისძიებების შეთავაზებით;
- შემდგომი კვლევების აუცილებლობის შესახებ მითითებები.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი კადასტრების შექმნის სფეროში აჩვენებს, რომ **საკადასტრო სისტემა საფუძვლად უდევს მრავალი ბუნებრივი რესურსის, კერძოდ : მიწის, წყლის, ტყის, მინერალურის - მართვას.**

ტურისტული რესურსების კადასტრის შემუშავებისას გამოყენებული უნდა იყოს **მათი არსებობისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო,** აგრეთვე **ექსპერტული შეფასებების და ტურისტული რესურსების მიმზიდველობის შეფასების შედეგები,** რომლებიც მიიღება გამოკითხვით და სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგით.

ტურისტული ტერიტორიის რესურსული შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე იქმნება (ფორმირდება) **ტურისტული რესურსების კადასტრის** სტრუქტურული ცხრილი (იხ. ცხრ. 6) **[10].**

ცხრილი 6

ტურისტული რესურსების კადასტრის სტრუქტურულ - შეფასებითი ცხრილი

რესურსის სახეობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მალიმიტირებელი ფაქტორები**
კულტურულ-ისტორიული რესურსები		
ტურისტული და საექსკურსიო ჩვენების ობიექტები	მსოფლიო დონე	ობიექტის გამტარუნარიანობის ნორმა
	ეროვნული დონე	
	ადგილობრივი დონე	
ინფრასტრუქტურული რესურსები		
განთავსების საშუალებები	კლასიფიკაციურობა(ვარსკვლავიანობა)	ნომრების ფონდის ადგილების რაოდენობა
	მოხმარების სეგმენტების მიხედვით საწარმოს ორიენტირება	
	სხვა კრიტერიუმები	
კვების საწარმოები	საწარმოს ტიპი	გაწყობის რაოდენობა
	საწარმოს კლასი	
	სამზარეულო მიმართულება	
	სხვა კრიტერიუმები	
ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის სახეობები	სატრანსპორტო სისტემის გამტარუნარიანობა
	მოძრაობის ინტენსიურობა	
	სხვა კრიტერიუმები	
ვაჭრობა	პროდუქციის სახეობები	ბაზრის გაჯერებულობა
	სხვა კრიტერიუმები	

საბანკო მომსახურება	მომსახურების სახეობები	ბანკის კრედიტუნარიანობა
	სხვა კრიტერიუმები	
სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა	კრიტერიუმების სხვადასხვა ერთობლიობა	მომსახურების შესაძლებ-ლობის კრიტერიუმები
ბუნებრივ -რეკრეაციული რესურსები		
კლიმატური ფაქტორი	ნალექების რეჟიმი	ზემოქმედების რეჟიმი
	ატმოსფეროს ცირკულაცია	
	ქარის რეჟიმი	
	სხვა კრიტერიუმები	
წყლის რესურსი	რესურსის სახეობა	დასაშვები ანთროპოგე-ნურ-რეკრეაციული დატვირთვა:ტექნოლოგი-ური და ფსიქოლოგიური
	სანაპიროს შეფასება	
	ფსკერის დახასიათება	
	სანიტარიულ-ჰიგიენური დახასიათებები	
	ტურიზმის განვითარებაში გამოყენება	
	სხვა კრიტერიუმები	
საბაღე -საპარკო რესურსი: პარკები, ბაღები, სკვერები	რესურსის სახეობა	ეკოლოგიური გამტარუნარიანობა
	რესურსის თემატიკა	
	სხვა კრიტერიუმები	

ტურიზმის მართვა მოითხოვს სარწმუნო და სრულ ინფორმაციას რეგიონების ტურისტული რესურსების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ. იმავდროულად, საჭიროა ყველა არსებული რესურსის, აგრეთვე ტურისტების მიღებისა და მომსახურების პირობების კომპლექსური შეფასება. **საკადასტრო აღრიცხვა** უნდა ჩატარდეს **ტურისტული რესურსების სამი ძირითადი ჯგუფის მიმართ :**

1, რესურსები, - რომლებიც წარმოშობენ ტურისტულ ინტერესს **(ისტორიულ-კულტურული რესურსები**), - წარმოადგენენ ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს;

2. **ინფრასტრუქტურული რესურსები** (ქალაქთწარმომქმნელი და ქალაქთმომსახურე სფეროები);

3. **ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები.**

ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კადასტრები - ეს არის ერთობლიობა ცნობების, კრებულების, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ორგანიზაციური და ტექნიკური მაჩვენებლების, მომხმარებლების შემადგენლობისა და კატეგორიების, ამ რესურსების რაოდენობრივი და თვისებრივი მდგომარეობის, მათი ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების შესახებ.

ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კადასტრების ფორმირებისა და წარმოებისთვის ცნობები მიეწოდება: წიაღისეული რესურსების, ზედაპირული წყლის

რესურსების, ტყის რესურსების, ნიადაგობრივი რესურსების; წყალ-ჭაობიანი სავარგულების - მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობის; ჰიდრობიოლოგიური რესურსების; ცხოველების სარეწაო სახეობების რესურსების; ველურ პირობებში მზარდი მცენარეების გამოყენებადი სახეობების; სოკოების, იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი სახეობების; კლიმატური რესურსების; ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის ინტეგრალური შეფასების; განსაკუთრებული დაცული ტერიტორიების; რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ბუნებრივი ობიექტების მიხედვით.

ბუნებრივი რესურსის ყოველი ცალკეული კადასტრი უნდა იყოს შედგენილი როგორც **ბუნებრივი რესურსების კადასტრების მთელი სისტემის ნაწილი.** მხოლოდ მაშინ მიიღწევა მათი ურთიერთკავშირი და გადაიჭრება **ბუნებრივი რესურსების მართვის** ინფორმაციული უზრუნველყოფის ბევრი საკითხი. თუმცა, დღესდღეობით ბუნებრივი რესურსების კადასტრების სისტემა, როგორც ასეთი, არ არსებობს. მაგრამ, თუ მას ახსენებენ, - იგულისხმება ცალკეული კადასტრების უბრალო ჯამი, სტრუქტურულად და ფუნქციურად ერთმანეთთან კავშირის გარეშე. ამიტომ ბუნებრივი რესურსების კომპლექსური საკადასტრო მოდელის არარსებობის პრობლემა ართულებს რეგიონების ტურისტული რესურსების კომპლექსური კადასტრული მოდელის შექმნას, რადგან იგი უნდა წარმოადგენდეს მის საფუძველს.

ბუნებრივი რესურსების კადასტრების შემადგენლობა ბუნებრივი გარემოს ძირითადი კომპონენტების შესაბამისად ასახულია ცხრილი 7-ში. **ტურისტული რესურსების ერთიანი მოდელის შექმნაში არსებითი მომენტია საკადასტრო ცნობების შეჯერება და შეკრებითობა.** რადგან ბუნებათსარგებლობის მართვა ხორციელდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, და ეს ყოველთვის არ ემთხვევა ბუნებრივ საზღვრებს, ამიტომ კადასტრის შინაარსი, პირველ რიგში, უნდა პასუხობდეს პრაქტიკის ამოცანებს ანუ არსებულ მართვის სისტემას. მთელი საკადასტრო ინფორმაცია უნდა მიეკუთვნოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს.

ბაზრის პირობებში აუცილებელია, რომ კადასტრის სტრუქტურა პასუხობდეს რესურსების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანი გამოყენების მოთხოვნებს. კადასტრის შედგენის მეთოდიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია მისი განახლებისა და შევსების პერიოდულობა ან უწყვეტობა.

კადასტრი უნდა განიხილებოდეს როგორც ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შესახებ გეოგრაფიული ან გეოლოგიური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ინფორმაციის ანალიზის, სისტემატიზაციისა და შეკრების შედეგი, რომელიც დასრულდება კადასტრული შეფასებების მიღებით. იმავდროულად, **ეკონომიკური შეფასება** (მათი დადგენის თანმიმდევრობა, შეფასების კრიტერიუმი) მეთოდურად და პრაქტიკულად წარმოადგენს სამუშაოს ყველაზე რთულ ეტაპს. განსაკუთრებით ეს ეხება **ბუნებრივ რეკრეაციულ რესურსებს,** რომელთა ეკონომიკური შეფასება სუსტად არის შემუშავებული. ეკონომიკური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ **რეკრეაციული რესურსებისთვის, რომელთა სამეურნეო ეფექტი შეიძლება გაიზომოს - მინერალური წყლების, სამკურნალო ტალახების, ტყის, ზედაპირული წყლების, ბუნებრივი ეროვნული პარკებისთვის.**

ცხრილი 7

ბუნებრივი რესურსების კადასტრების შემადგენლობა ბუნებრივი გარემოს ძირითადი კომპონენტების შესაბამისად

ბუნებრივი გარემოს კომპონენტები	**რესურსების ძირითადი სახეობები**	**ძირითადი სამეურნეო დანიშნულება**	**ბუნებრივი რესურსების კადასტრების სახეობები**
ლითოსფერო	მიწის	სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარი საშუალება, საწარმოო ძალების განთავსების ბაზისი	მიწის
	სასარგებლო წიაღისეული	მინერალური და სათბობ-ენერგეტიკული ნედლეული	სასარგებლო წიაღისეულის
ბიოსფერო	ბუნებრივი მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო	ტყის მეურნეობა, ხის გადამამუშავებელი, ქიმიური მრეწველობა,საკვები ნედლეული, სამონადირეო-სარეწაო მეურნეობა	ტყის, სპეციალიზებული სახეობები,სამონადირეო-სარეწაო, რეკრეაციული და სხვა დანიშნულების
ჰიდროსფერო	წყლის	სამრეწველო, ს/ს და საყოფაცხოვრებო წყლის მოხმარება	წყლის
ატმოსფერო	კლიმატური	აგროკლიმატური მონაცემები, სამუშაოს კლიმატური პირობების, მრეწველობის, ტრანსპორტის, მოსახლეობის ცხოვრების შესახებ მონაცემები	სპეციალიზებული სახეობები

ტურისტული რესურსების ერთიანი კომპლექსური მოდელის შექმნა აუცილებელია ამა თუ იმ რეგიონში ტურიზმის განვითარების კომპლექსური დაგეგმვისთვის. იგი არის საფუძველი რეგიონებში ტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამებისა და კონცეფციების დასამუშავებლად. **ტურისტული რესურსების კადასტრის** შედგენა საშუალებას მოგვცემს ტერიტორიის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის, როგორც სპეციალისტების, ასევე ტურისტების თვალსაზრისით.

ტურისტული რესურსების კადასტრის შექმნის უმნიშვნელოვანესი მიზანი მდგომარეობს ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებში ტურიზმის განვითარების ყველა წინაპირობის ეფექტიანი გამოყენების გზების გამოვლენაში. ამისთვის საჭიროა კადასტრი შეიცავდეს **ტურისტული რესურსების კომპლექსურ დახასიათებას,** მათი დეტალური აღრიცხვისა და კლასიფიკაციის, ათვისების ეკონომიკური ეფექტიანობის თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების, გამოყენების ანალიზისა და მისი ძირითადი პერსპექტივების, ასევე მისი დაცვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების ჩათვლით.

ტურისტული რესურსების ღირებულებითი შეფასება მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებულ ბაზას მათი მოხმარებისთვის გადასახადებისა და სხვა საფასურის ფულადი გადასახადების განსასაზღვრად.

განვიხილოთ **ერთიანი ტურისტული კადასტრის** კონცეპტუალური მოდელის შექმნის ძირითადი ელემენტები.

1. შეფასება მიწის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების მათი გამოყენების მიზნით ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობაში.
2. ტერიტორიის კლიმატური და ლანდშაფტური განსაკუთრებულობის (თავისებურების) ანალიზი.
3. ცენტრალური და ადგილობრივი სტატუსის მქონე განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების განსაზღვრა.
4. ტერიტორიების ეკოლოგიური უსაფრთხოების მონიტორინგი.
5. ანთროპოგენური ტურისტული დატვირთვებისადმი ტერიტორიების მდგრადობის განსაზღვრა.
6. ტერიტორიების შეფასება და მათი მიმზიდველობის განსაზღვრა ბუნებრივი და კულტურული ტურისტული რესურსებით გაჯერებულობის (დატვირთულობის) მიხედვით.
7. ტურისტული ტერიტორიების დარაიონება რეგიონების არსებული ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში.
8. ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის ინდუსტრიის შეფასება გამოყოფილ ტურისტულ ტერიტორიებზე.
9. ტურისტული ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული შეფასება.
10. ტურისტული ტერიტორიების რეიტინგული შეფასება და მათი კლასიფიკაცია ცენტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის ზონებად.
11. ტურისტული ტერიტორიების პასპორტიზაცია.
12. ტურისტული რესურსების მოხმარების სტანდარტების შემუშავება გამოყოფილი ზონების მიხედვით ტერიტორიაზე ზღვრული დასაშვები ანთროპოგენური დატვირთვების გათვალისწინებით.
13. ტურისტული რესურსების ერთიანი კადასტრის შემუშავება.
14. ტურისტული რესურსების, ტურისტული ზონებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და ტურიზმის ინდუსტრიის განლაგების გენერალური სქემის შემუშავება.
15. ტურისტული დარაიონების და ტურისტული რესურსების განლაგების კატალოგებისა და ტოპოგრაფიული რუკების შემუშავება.
16. ტურისტული რესურსების ოპერატიული მონიტორინგისა და მოხმარების კონტროლის სისტემის შემუშავება.
17. პასპორტიზებული ტურისტული ტერიტორიების და ტურისტული მარშრუტების ცენტრალური რეესტრის შექმნა.
18. ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავება, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პერსპექტივით.

ტურისტული რესურსების ერთიანი კადასტრი შეიძლება გამოყენებული იქნეს: როგორც რეგიონში ტურიზმის განვითარების დაგეგმვისა და პროგნოზირების, ტურისტული რესურსების მოხმარებისა და აღდგენის კონტროლის დონის ინსტრუმენტი; ტერიტორიაზე ტურისტული დატვირთვის განსაზღვრის, სისტემის აღრიცხვისა და

რესურსების მრავალკრიტერიული რანჟირების, ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასების, ტურისტული მარშრუტების პროექტირების დასაბუთების ინსტრუმენტი; როგორც საინფორმაციო-საცნობარო სისტემა და სხვა მიზნებისთვის.

ერთიანი ტურისტული კადასტრის მოდელში საჭიროა დაემატოს განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების (გდბტ) კადასტრი, რომლებსაც განეკუთვნება სახელმწიფო ბუნებრივი ნაკრძალები, მათ შორის - ბიოსფერული, ეროვნული პარკები, ბუნებრივი პარკები, სახელმწიფო ბუნებრივი აღკვეთილები, ბუნების ძეგლები, დენდროლოგიური პარკები და ბოტანიკური ბაღები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილები და კურორტები.

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ XII საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ VI-ს "კანონთა კრებული" მოიხსენიებს ყორულის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს — იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ეგრეთ წოდებული "ხატის ტყეები", რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპურ ნაკრძალებს წარმოადგენდა. პირველი ოფიციალური ნაკრძალი კი უფრო მოგვიანებით, 1912 წელს, კახეთში შეიქმნა და მას ლაგოდეხის ნაკრძალი ეწოდა. მე-XX საუკუნის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანდათან სხვა ნაკრძალები და დაცული ტერიტორიები დაფუძნდა [43; გვ.5].

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში ამჟამად 14 სახელმწიფო ნაკრძალია, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 139,048 ათას ჰა-ს. ასეთი კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე შესვლა ნებადართულია მხოლოდ საგანმანათლებლო და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო ნაკრძალებია:

- ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი
- ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი
- ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი
- ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი
- ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი
- თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი
- კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი
- ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი
- ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი
- სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი
- მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი
- რიწის სახელმწიფო ნაკრძალი
- ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი
- ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი

საქართველოში 13 ეროვნული პარკია, რომელთა საერთო ფართობი 445 767 ჰა-ს შეადგენს. საქართველოში პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „თბილისის ეროვნული პარკი“ ეწოდა, შეიქმნა 1973 წელს.

ეროვნული პარკი, ზოგადად, იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი, ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით.

საქართველოს ეროვნული პარკები:

- ალგეთის ეროვნული პარკი
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
- ვაშლოვანის ეროვნული პარკი
- თბილისის ეროვნული პარკი
- თუშეთის ეროვნული პარკი
- კინტრიშის ეროვნული პარკი
- კოლხეთის ეროვნული პარკი
- მაჭახელას ეროვნული პარკი
- მტირალას ეროვნული პარკი
- ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი
- ყაზბეგის ეროვნული პარკი
- ჯავახეთის ეროვნული პარკი
- ერუშეთის ეროვნული პარკი

საქართველოში 23 აღკვეთილია და მათი საერთო ფართობი 75 207 ჰა-ს შეადგენს.

1996 წლამდე საქართველოში აღკვეთილის კატეგორია არ არსებობდა. იმ პერიოდში შექმნილი იყო სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები, რომლებიც იმართებოდა საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ. ამჟამად, აღკვეთილებში სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე დაარსებულია სამონადირეო მეურნეობები. მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული **განახლებადი რესურსის** მოხმარება.

საქართველოში მდებარე აღკვეთილები:

- ასას აღკვეთილი
- აჯამეთის აღკვეთილი
- ბუღდაშენის აღკვეთილი
- გარდაბნის აღკვეთილი
- თეთრობის აღკვეთილი
- ილტოს აღკვეთილი
- იორის აღკვეთილი
- კარწახის აღკვეთილი
- კაცობურის აღკვეთილი
- ლაგოდეხის აღკვეთილი
- მადატაფას აღკვეთილი
- ნეძვის აღკვეთილი
- სათაფლიას აღკვეთილი
- სულდის აღკვეთილი
- ქობულეთის აღკვეთილი
- ყორუღის აღკვეთილი
- ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი

- ჭაჭუნას აღკვეთილი
- ხანჩალის აღკვეთილი
- პონტოს მუხის აღკვეთილი
- ფარავნის ტბის აღკვეთილი
- საღამოს ტბის აღკვეთილი
- აბულის ტბის აღკვეთილი

2020 წლის მდგომარეობით, სულ ბუნების ძეგლების საერთო ფართობი 2748.99 ჰა-ს შეადგენს. ბუნების ძეგლი არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები.

საქართველოს ბუნების ძეგლები:

- აბანოს მინერალური ტბის ბუნების ძეგლი
- ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი
- არწივის ხეობის ბუნების ძეგლი
- ბალდის კანიონის ბუნების ძეგლი
- ბირთვისის ბუნების ძეგლი
- ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი
- ბღერის მღვიმის ბუნების ძეგლი
- გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი
- გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი
- დაშბაშის კანიონის ბუნების ძეგლი
- დიდღელის მღვიმის ბუნების ძეგლი
- თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი
- თრუსოს ტრავერტინების ბუნების ძეგლი
- იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი
- მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი
- მდ. აბაშის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი
- მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი
- ნაზოდელავოს მღვიმის ბუნების ძეგლი
- ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი
- ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- ონიორეს ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლები
- ოჩხომურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი
- როშკის ლოდების ბუნების ძეგლი
- საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი
- სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი
- საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი

- სახიზარის კლდის ბუნების ძეგლი
- სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი
- ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი
- ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლები
- ქეთერისის მინერალური ვოკლუზის ბუნების ძეგლი
- ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი
- ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი
- წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი
- ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი
- ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინის ბუნების ძეგლი
- ჯორწყუს მღვიმის ბუნების ძეგლი

საქართველოში 3 დაცული ლანდშაფტია. მათი საერთო ფართობია 138 327 ჰა.

ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე შესაძლებელია ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა, კონსერვაციის მიზნების ხელშეწყობა, ამავდროულად ეკოტურიზმის განვითარება და სოციალური პროექტების განხორციელება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. საქართველოს დაცული ლანდშაფტებია: თუშეთის დაცული ლანდშაფტი (31 320 ჰა); არაგვის დაცული ლანდშაფტი (99 802ჰა); თრუსოს დაცული ლანდშაფტი (7 007 ჰა).

საქართველოს დაცული ტერიტორიების კატეგორიები და ფართობი*), 2019წ.

	რაოდენობა, ერთეული	ფართობი, ჰექტარი
სახელმწიფო ნაკრძალები	14	131 301
ეროვნული პარკები	12	430 202
აღკვეთილები	23	75 207
ბუნების ძეგლები	40	2 749
დაცული ლანდშაფტები	1	31 518

* აფხაზეთის არ-ისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით.

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

2020 წლის მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი,13 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 23 აღკვეთილი და 3 დაცული ლანდშაფტი. საქართველოში (IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით) ხუთი სხვადასხვა კატეგორიის 93 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 11,38 % (793,351 ჰა) უკავია.

2020 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 240,268 ვიზიტორი ესტუმრა, კლება წინა წელთან -80%-ს შეადგენა. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე 26,432 იყო, კლებამ კი -95.7% შეადგინა. უცხოელ ვიზიტორებს შორის სჭარბობდნენ: რუსები (წილი 18.7%), გერმანელები (წილი 10.3%), ებრაელები (წილი 8%), პოლონელები (წილი 6.7%) და ლატვიელები (წილი 6.1%). ყველაზე მეტი ვიზიტორი თბილისის ეროვნულ პარკს - 61,890 (25.8%), ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 28,515 (11.9%) და მარტვილის კანიონს - 21,489 (8.9%) ესტუმრა. ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორი კი პრომეთეს - 7,090 (26.8%), მარტვილის კანიონს - 3,401 (12.9%) და ყაზბეგის ეროვნულ

პარკს- 3,390 (12.8%) ესტუმრა. შემცირებული ვიზიტორების რაოდენობა დაცული ტერიტორიების შემოსავლებზეც აისახა. დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 899,076 ლარი შეადგინა, კლება წინა წელთან - 90.4%-ია. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: პრომეთეს მღვიმე - 290,589 ლარი, მარტვილის კანიონი - 255,644 ლარი, სათაფლია - 98,569 ლარი და ოკაცის კანიონი - 91,756 ლარი. კოვიდმა და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დაცულ ტერიტორიებზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2021 წლის 27 ივლისს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას შეემატა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა, თუმცა, დღესდღეობით საქართველოში არ არის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს და/ან აკვატორიას, რომელიც წარმოადგენს წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობის, ნადირობის, თევზრეწვისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების, აგრეთვე, ტურიზმისთვის საჭირო ბუნებრივ საფუძვლებს. დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახლებებსაც. ტერიტორიაზე არ უნდა მოხვდეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნები [44].

საინტერესოა სტატისტიკა დინამიკაში 2007-2020 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით, - თუ როგორ ხდებოდა ტურისტთა ნაკადების ზრდა წლების მიხედვით, და როგორი სწრაფი ვარდნაა 2020 წელს მსოფლიო პანდემიის გამო.



წყარო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; საქსტატი

ქვეყნის ბუნების ტერიტორიული დაცვის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ''[45].

გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების და საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან [46].



ტყის რეკრეაციისა და ეკოტურიზმის სარგებლის განსაზღვრა.

ტყის რეკრეაციის ღირებულება რიცხვებში სხვადასხვა გზით შეიძლება გამოისახოს. არსებობს რეკრეაციის ღირებულების დადგენის ორი ძირითადი გზა [47].

- **პირველი მეთოდიკა** ბუნებრივ რესურსებს აფასებს მათზე არსებული მოთხოვნის მრუდის მიხედვით. აღნიშნული მიდგომის შესაბამისად, შემოსავალი არაპირდაპირ კავშირშია შეთავაზებულ სერვისებთან და, რა თქმა უნდა, მერქნული მასალებისა და ნაკვეთების ფასთან.
- **მეორე მიდგომა** სატყეო მეურნეობისთვის იყენებს წარმოებისთვის საჭირო ისეთ ტრადიციულ მეთოდებს, როგორიცაა - დანახარჯების ანალიზი, ტყის მოვლისა და

შენარჩუნების ხარჯების ანალიზი, პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების დადგენა და ა.შ.

ორივე მეთოდოლოგია ტყის რეკრეაციული ღირებულებისა და ტურისტული მოთხოვნების დადგენას არ ახდენს. თუმცა, რეკრეაციული სარგებლიდან მიღებული შემოსავლების შესახებ საბაზისო მონაცემების არარსებობის პირობებში, აღნიშნული მეთოდოლოგიები საშუალებას გვაძლევს ირიბად შევაფასოდ ტურისტული სექტორიდან შემოსავლების მიღების პერსპექტივები. ეს ხორციელდება ტურისტულ სფეროში მოქმედი სხვადასხვა კომერციული ერთეულების (რესტორნები, სასტუმროები, სექტორში დაკავებული ადამიანების სამუშაო ადგილები, პროდუქტები და სხვ.) შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ან დანაკარგების ანალიზის შედეგად (მაგალითად, კეთილმოწყობის უზრუნველყოფის საფასური ან ის დანაკარგები, რომელიც ტყის ინდუსტრიამ მიიღო მერქნული რესურსების არმოპოვების გამო).

ტყის ესთეტიკას და **რეკრეაციულ ფუნქციას** ხელს უწყობს ტურიზმის და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სექტორების განვითარებას. რეკრეაციული შესაძლებლობები და მომხიბლავი ლანდშაფტები ქმნის ტურისტული ატრაქციონების განვითარების შესაძლებლობას, როგორც ტყეებით დაფარული ფართობების მიმდებარე დასახლებებში, ასევე ქალაქთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე. ასეთ ტერიტორიებზე ტყის შენარჩუნება ან მისი ვიზუალური მხარის გაუმჯობესება შეიძლება გახდეს ტყის მენეჯმენტის წარმართვის უმნიშვნელოვანესი მეთოდი (საშუალება). ეს იმას გულისხმობს , რომ იქმნება ე.წ. **ბუნებრივი ტურიზმის გარემო,** რაც უმეტესწილად ფასდება ლანდშაფტით, ხოლო პეიზაჟს ენიჭება უდიდესი პრიორიტეტი ტურისტული დანიშნულების ადგილის არჩევაში.

მიუხედავად ამისა, მხოლოდ ახლახანს დაიწყო **ტყის რეკრეაციული ფუნქციისა** და ამ სფეროდან **შემოსავლების გენერირების მეცნიერულ დონეზე შესწავლა.** ტყის რეკრეაციის სოციალური ღირებულება არის ისეთივე არამატერიალური სარგებელი, როგორიცაა ესთეტიკური ღირებულება და ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება **[48].**

მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულმა ლანდშაფტური პრეფერენციის კვლევებმა **[49; 50]** აჩვენა, რომ ტრადიციული ტყის მენეჯმენტის რეგენერაციული და რეკრეაციული პრაქტიკით ჩანაცვლება ძალიან დიდ გავლენას ახდენს ლანდშაფტის ,,ღირებულებაზე''. ეს ნიშნავს, რომ რეკრეაციული გარემოს შესაქმნელად ტყის რესურსების მართვა, ერთი მხრივ, უნდა იყოს შეთავსებული ადამიანების მოლოდინებთან და, მეორე მხრივ, - ხელს უწყობდეს სატყეო მეურნეობის წარმართვის უკეთესი მეთოდების შემოღებას.

ერთ-ერთი გადამწყვეტი გამოწვევა ბუნებრივი და ეკოტურიზმის განვითარებაში არის **საბაზრო მექანიზმის შემუშავება,** რომელიც ტყის ფონდის განმკარგავ და მოსარგებლე მხარეებს მისცემს საშუალებას მიიღოს ტურისტული სექტორიდან შემოსავლები. დიდი ალბათობით, ეს არის ზუსტად ის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს **მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას.**

ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე აღნიშნავს, რომ ,,საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს და განასხვავებს მათ სამყაროს მრავალი სხვა

ქვეყნისა და რეგიონისაგან. ქვეყანაში, რომლის ფართობი 69 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, უმეტეს ნაწილში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-280 დღემდე აღირიცხება, 26 ათასზე მეტი მდინარე იღებს სათავეს, ათასზე მეტი ენდემური მცენარე ხარობს და 30-მდე ნიადაგობრივ-კლიმატური ზონაა აღწერილი. ძნელად თუ მოიძებნება ბიომრავალფეროვნებით საქართველოსთან შესადარი რეგიონი. საქართველოში მცენარეების განსაკუთრებულ, ფართობის ერთეულზე გამოსახულ, მრავალფეროვნებას მთელ მსოფლიოში აღიარებენ და სწორედ ეს არის მისი ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი'' [51;გვ.65].

3.3. ტურიზმის მართვის გეოინფორმაციული სისტემები

ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის ანალიზისას და სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის განვითარების პროგრამების შემუშავებისას სპეციალისტებს შეხება აქვთ ინფორმაციის დიდ მოცულობასთან, მათ შორის კარტოგრაფიულთან. ასეთი ინფორმაციის დამუშავების შეუცვლელ საშუალებას წარმოადგენს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (**გის**)- (**GIS**) (Geographic Information System).

ამჟამად ინფორმაციული ტექნოლოგიები აქტიურად ინერგება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარმოების ყველა სფეროში, მათ შორის ტურისტულ საქმიანობაში. შესაბამისად, ტურიზმის განვითარების ტრადიციულ კარტოგრაფიულ უზრუნველყოფას ცვლის (ხშირ შემთხვევაში კი, - უკვე ჩაანაცვლა) თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები კარტოგრაფირებისა და სივრცითი მონაცემების მიწოდების სფეროში.

გეოინფორმაციული ტექნოლოგიები - ეს არის გარემო სამყაროს შესახებ ინფორმაციის ახალი სახეობების მიღების პროგრამულ-ტექნოლოგიური საშუალებების ერთობლიობა. მოცემული ტექნოლოგია აერთიანებს ტრადიციულ ოპერაციებს ისეთ მონაცემთა ბაზებთან მუშაობისას, როგორიცაა **შეკითხვის მოთხოვნა და სტატისტიკური ანალიზი**, სრულფასოვანი ვიზუალიზაციისა და გეოგრაფიული სივრცითი ანალიზის უპირატესობებით (რომლებსაც იძლევა რუკა).

გეოგრაფიული ინფორმაცია სპეციფიკური ხასიათის ინფორმაციაა. იგი წარმოადგენს კავშირების ერთობლიობას სამყაროს ძირითადი კონცეფციების წარმოსადგენად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **გეოგრაფიული ინფორმაცია წარმოადგენს სივრცითი ობიექტების აღწერას, რომელიც შედგება მრავალი კომპონენტისგან.** თითოეული კომპონენტი ხასიათდება საკუთარი ატრიბუტებითა და მახასიათებლებით, რომელთა სრულყოფილი წარმოდგენა აუცილებელია ადეკვატური გეოგრაფიული მოდელის ასაგებად. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება „**გის**"-ები. გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა წარმოადგენს გეოგრაფიული ცნებების გამოსახვისა და დამუშავების შედარებით ახალ მიდგომასა და ტექნოლოგიას, რომელიც სხადასხვა სახის მონაცემთა ერთობლივი, ურთიერთდაკავშირებული მოდელის შექმნისა და დამუშავების საშუალებას იძლევა [52; გვ.9].

სატელიტური რუკა

გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა „გის" - ინფორმაციული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს სივრცობრივ-კოორდინირებული სივრცითი მონაცემების შეგროვებას, შენახვას, დამუშავებას, ხელმისაწვდომობას, ასახვასა და გავრცელებას.

რუკების შექმნა და გეოგრაფიული ანალიზი არ წარმოადგენს რაღაც აბსოლუტურად ახალს. თუმცა, **გის-ის ტექნოლოგია არის ახალი, უფრო შესაბამისი თანამედროვეობასთან, უფრო ეფექტიანი, მოხერხებული და სწრაფი მისასვლელი პრობლემების ანალიზთან და ამოცანების გადაჭრასთან,** რომლებიც დგას საერთოდ კაცობრიობის, კონკრეტული ორგანიზაციის ან, კერძოდ, ადამიანთა ჯგუფის წინაშე. **გის-ი ავტომატურს ხდის ანალიზისა და პროგნოზის პროცედურას, რაც მიუთითებს მის უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.**

როცა ვსაუბრობთ ტურიზმის განვითარების მართვის გეოინფორმაციულ უზრუნველყოფაზე, მხედველობაში გვაქვს **გეოინფორმაციული სისტემის შექმნა,** რომელიც მოიცავს ქვეყნის და მისი **ტურისტული რეგიონების ინტერაქტიურ რუკას,** რეგიონების არსებული ტურისტული რესურსების, მათი ტურისტული პოტენციალის შესახებ ერთიან მონაცემთა ბაზას. ამავდროულად, **ტურისტული გის-ი უნდა იყოს ღია ხელმისაწვდომობის და მუდმივად განიცდიდეს განახლებას.** ამ შემთხვევაში ის იქნება ტურისტული ნაკადების და ქვეყნის ცალკეული რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების მართვის ეფექტიანი საშუალება. **ტურისტული გის-ის მეორე დონის შექმნის ამოცანა - ქვეყნის იმიჯის** (სახის) **შექმნა მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე.**

თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – ტურიზმის განვითარებაში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები ინფორმირებისა და რეკლამირების ტრადიციულ საშუალებებთან (პრესა, რადიო, ტელევიზია) ერთად, სულ უფრო ფართოდ იყენებენ ინტერნეტის საშუალებებს, მათ შორის სოციალურ ქსელებსაც.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, კერძოდ კი გეოინფორმაციული სისტემები, იძლევიან საშუალებას სრულიად ახლებურად წარმოვაჩინოთ ტურისტული პოტენციალი, რესურსი და პროდუქტი. ციფრულ ინტერაქტიურ **გის**-რუკაზე შესაძლებელია განთავსდეს ტურისტული მარშრუტები და ინფრასტრუქტურის ობიექტები ტექსტური და ვიზუალური (ფოტო/ვიდეო) ინფორმაციით. ასეთი ტურისტული **გის**-ის ინტეგრირება ტურისტულ **ვებ** პორტალში არამარტო ხელმისაწვდომს გახდის აღნიშნულ ინფორმაციას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, არამედ ყველა მსურველს მისცემს საშუალებას ვირტუალურად იმოგზაუროს **ინტერაქტიურ გის**-რუკაზე, განვლოს ტურისტული მარშრუტი, დაათვალიეროს ამ მარშრუტზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, გააკეთოს მარშრუტის შეკვეთა ან სასტუმროს დაჯავშნა ონლაინ რეჟიმში [**53; გვ.2**].

განვიხილოთ გეოინფორმაციული სისტემის განსაკუთრებულობისა და სტრუქტურის თავისებურებანი. **გის**-ი იძლევა ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას რომელიმე ტერიტორიაზე წარმოქმნილ ნებისმიერ სიტუაციაზე, მის შესახებ მთელი კარტოგრაფიული და თემატური ინფორმაციის მიღებით. ის წარმოადგენს კარტოგრაფიულ კვლევას ნებისმიერი რუკების, გეგმების და სქემების ერთდროული შედგენით. გის-ის საფუძველზე შესაძლებელია სხვადასხვა პროცესების, მოვლენების მოდელირება და მათი მდგომარეობის ცვლილების დროში შესწავლა.

გის-ის სტრუქტურა, როგორც წესი, შეიცავს ოთხ აუცილებელ ქვესისტემას:

1. მონაცემების შეყვანა, რომლებიც უზრუნველყოფენ შეყვანას და/ან დამუშავებას რუკების სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სივრცითი მონაცემების და სხვ.;
2. შენახვა და მოძიება - შესაბამისი ანალიზისთვის მონაცემების ოპერატიული მიღების, მათი აქტუალიზებისა და კორექტირების საშუალებას იძლევა;
3. დამუშავება და ანალიზი - პარამეტრების შეფასების, საანგარიშო-ანალიტიკური ამოცანების გადაჭრის საშუალებას იძლევა;
4. მონაცემების წარდგენა - სხვადასხვა სახის რუკების, ცხრილების, ბლოკ-დიაგრამების, ადგილის ციფრული მოდელების და ა.შ.

გის-ი შეიცავს სივრცითი ობიექტების მონაცემებს. ტერიტორიული მოცვის მიხედვით გამოყოფენ გლობალურ, ან პლანეტარულ **გის**-ებს (global GIS), სუბკონტინენტურ **გის**-ს, ეროვნულ **გის**-ს, რომელთაც ხშირად გააჩნიათ სტატუსი - სახელმწიფო, რეგიონული **გის**-ები (regional GIS), სუბრეგიონული **გის**-ები და ლოკალური ანუ ადგილობრივი (local GIS). **გის-**ებს განასხვავებენ ინფორმაციული მოდელირების საგნობრივი არით, მაგ., ქალაქების ან მუნიციპალური **გის**-ები, **მგის**-ები (urban GIS), ბუნებათდაცვითი **გის**-ები (environmental GIS), ტურისტული და ა .შ. მათ შორის განსაკუთრებული სახელწოდება (როგორც ფართოდ გავრცელებულმა) მიიღო მიწის ინფორმაციულმა სისტემებმა.

გის-ი განისაზღვრება მასში გადასაჭრელი ამოცანებით (სამეცნიერო და გამოყენებითი), რომელთა შორისაა : რესურსების ინვენტარიზაცია - მ.შ. კადასტრი, ანალიზი, შეფასება, მონიტორინგი, მართვა და დაგეგმვა; მხარდაჭერა გადაწყვეტილებების მიღებაში. ინტეგრირებული **გის**-ები, **იგის**-ები (integrated GIS, IGIS) -

ითავსებენ **გის**-ის ფუნქციურ შესაძლებლობებს და მონაცემების დისტანციური ციფრული დამუშავების გამოსახულებებს ზონდირების ერთიან ინტეგრირებულ გარემოში.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით **გის**-ის რუკების ვიზუალიზაცია შეიძლება ადვილად შეივსოს საანგარიშო დოკუმენტებით, სამგანზომილებიანი გამოსახულებებით, გრაფიკებით, ცხრილებით, დიაგრამებით, ფოტოებით და სხვა საშუალებებით, მაგ., მულტიმედიით.

ტურიზმი არის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთი ტრადიციული დარგი (სფერო). ამავდროულად, რეგიონებისთვის (რომლებიც ფლობენ უნიკალურ ბუნებრივ პოტენციალს ან გააჩნიათ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა) აუცილებელია ფართო პროფილის გამოყენებითი გეოინფორმაციული სისტემების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემდეგი ამოცანების გადაჭრას: ტერიტორიის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღრიცხვა, ტურისტული მომსახურების საწარმოების აღრიცხვა, ტურისტული მარშრუტების აღრიცხვა, ტურისტული ნაკადების ანალიზი, ტერიტორიის განვითარების დაგეგმვა და სხვ.

ტურისტული გის-ების მომხმარებლების წრე საკმაოდ ფართოა: კულტურისა და ტურიზმის რეგიონული ადმინისტრაციების განყოფილებებიდან დაწყებული, - რომლებიც გეგმავენ ტურისტულ და რეკრეაციულ მომსახურებას, - რიგით მოქალაქეებამდე, რომლებსაც სურთ, აირჩიონ შესაფერისი ადგილი დასასვენებლად.

განვიხილოთ **ტურიზმის მართვის რეგიონული გეოინფორმაციული სისტემების ფორმირების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები. ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა გის-ის შევსება** ანუ **ინფორმაციის შეგროვება და მიწოდება** რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შესახებ.

ამჟამად **ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდური ბაზა ფორმირების პროცესშია. ტურისტული გის-ის** შექმნის მეთოდური უზრუნველყოფა დაკავშირებულია ტურისტული რესურსების შეფასების სტანდარტული მეთოდიკის განსაზღვრასთან, ტურისტული რესურსებისა და პირობების (რომლებიც შეადგენენ რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს) კომპლექსური შესწავლის საკითხის გადაწყვეტასთან.

ტურისტული ტერიტორიების პასპორტიზაცია მდგომარეობს მონაცემთა ბაზის (**მბ**) ფორმირებაში, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- მოცემული ტერიტორიის დასახელება;
- მისი ადგილმდებარეობის, ფართობისა და საზღვრების აღწერა;
- ტერიტორიის გეგმა;
- განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიის ნაკვეთების ჩამონათვალი;
- სხვა ცნობები.

რესურსების ცალკეული ჯგუფების მდგომარეობა განსაზღვრავს რეგიონების ტურისტულ სპეციალიზაციას - მაგალითად, კომფორტული კლიმატური პირობები და მდიდარი ბუნებრივი რესურსები სამკურნალო და რეკრეაციული ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა, ხოლო კულტურული რესურსების სიუხვე ტერიტორიაზე - შემეცნებითი ტურიზმის.

მონაცემთა ბაზების და ბანკების ფორმირება (ისტორიულ-კულტურული ობიექტების, ტურისტული მარშრუტების, ტურიზმის ინფრასტრუქტურის ობიექტების)

არის ტურისტული **გის**-ის აუცილებელი ელემენტი. სწორედ ტურისტული ინფორმაციის ამ საცავების საფუძველზე და ანალიტიკური ინსტრუმენტების დახმარებით, ტურისტული **გის**-ი იძენს ღირებულებას და ხდება ინტერაქტიური. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ტურისტული მარშრუტების დამოუკიდებელი პროექტირება, განთავსების საშუალებების შედარება კომფორტულობის მიხედვით, დამატებითი მომსახურების ნაკრების შერჩევა და ა.შ.

რესურსების მონაცემთა ბაზები და ბანკები იქმნება ცენტრალური და რეგიონული მონაცემების ოფიციალური წყაროების საფუძველზე, თუმცა, დასაპროექტებელ **გის**-ში უნდა იყოს მითითებები ტურინდუსტრიის ორგანიზაციებისა და რეგიონების დამოუკიდებელ **ვებ** გვერდებზე.

წარმოდგენილი გეოსივრცობრივი მონაცემების შესაძლებლობების უფრო ფართოდ გამოყენებისთვის მიზანშეწონილია ტურისტულ **გის**-ში დაემატოს ტურისტული ობიექტების ფოტოსურათები, ვიდეორგოლები, აუდიო ჩანაწერები, 3D-გამოსახულებები და სხვ. **გის**-ის საშუალებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტურისტული ღონისძიებების ON LINE ტრანსლირება, თუ წინასწარ იქნება დაყენებული WEBB-კამერები და უზრუნველყოფილი სერვერთან კავშირი.

შესაძლებელია, რომ რიგი ობიექტების ზოგი ფუნქცია და ცნობა იყოს მიუწვდომელი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური ორგანოები ტურიზმის მართვის სფეროში და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სურვილის შემთხვევაში, შეძლებენ მიიღონ ამ ინფორმაციასთან დაშვება.

რეგიონული ტურისტული **გის**-ის პოტენციური მომხმარებლები პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ცენტრალური ადმინისტრაციები, რომლებიც გეგმავენ რეგიონებში ტურიზმის განვითარებას (სამინისტროები, კომიტეტები, დეპარტამენტები, განყოფილებები);
- ტურისტული ბაზრის სუბიექტები, რომლებიც დაკავებული არიან ტურპროდუქტის შემუშავებით (ტუროპერატორები, საექსკურსიო ფირმები, ტურკლუბები და სხვ.);
- ინვესტორები, საკუთრების ყველა ფორმის;
- სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ტურისტული მომსახურების მომხმარებლები, მოგზაურები.

რეგიონულ დონეზე ტურიზმში **ინფორმატიზაციის** განვითარება მოითხოვს რეგიონული ინფორმაციული რესურსების შექმნას (მათ შორის, ტურისტული საიტების, პორტალების), რომლებიც ემსახურება რეგიონული ტურისტული პროდუქტის წინწაწევას **[54; გვ.80-82].**

განვიხილოთ **ელექტრონული ტურისტული რესურსების ძირითადი ტიპები,** რომლებიც საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს მოთხოვნა კონკრეტულ ტურისტულ პროდუქტზე და წინ წამოიწიოს ტერიტორიის იმიჯი (სახე):

- პირველი ტიპი - ტურისტული ენციკლოპედიები, შეიცავენ რუბრიკების უბრალო ნაკრებს;
- მეორე ტიპი - ტურისტული საიტები, განისაზღვრება 5-7 რუბრიკის ნაკრებით დასვენების ძირითადი სახეობებისა და ტურისტული ჩვენების ობიექტების

მიხედვით. ტურისტული საიტები წარმოადგენენ სპეციალიზებულ ტურისტულ რესურსებს, რომლებიც მიმართულია წინწაწევაზე ცალკეული ტურისტული ტერიტორიების, მარშრუტების, ობიექტების და სხვ.;

- მესამე ტიპი - ტურისტული გზამკვლევები, შეიცავენ 4-5 რუბრიკას, რომლებიც შედგება ვიზუალური ფოტო-, ვიდეოების რიგის, დღიურების, მოგზაურობაზე ანგარიშებისგან;
- მეოთხე ტიპი - გეოინფორმაციული სისტემის ტურისტული მულტიმედიის ინფორმაციული რესურსები. რუბრიკები შედგენილია ტურისტული სივრცის, ტერიტორიული პრინციპის ტიპების მიხედვით; ტურიზმის სახეობების მიხედვით და ა.შ., ისინი დაფუძნებულია კარტოგრაფიულ მასალაზე, ელექტრონულ ბაზებსა და მონაცემთა ბანკებზე.

ნებისმიერ რეგიონს ესაჭიროება ხელსაყრელი, მიმზიდველი, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი **ტურიზმის განვითარების რესურსების მართვის გეოინფორმაციული სისტემა**.

ძირითადი ამოცანების ანალიზი, რომელთა გადაწყვეტა ხდება რეგიონული ტურისტული **გის**-ით, აჩვენებს, რომ ტურისტული **გის**-ის წარმოდგენის ყველაზე მოხერხებული ფორმაა გეოპორტალი.

რეგიონული ტურისტული გეოპორტალი ხელს შეუწყობს რეგიონული და შემოყვანის ტურიზმის განვითარებას, გაუმჯობესებს რეგიონის ტურისტულ იმიჯს, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარების რეგიონული და მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციას.

ეფექტიანი **რეგიონული ტურისტული გის**-ის შესაქმნელად აუცილებელია დასაწყისში ჩამოყალიბდეს კონცეფცია. რეგიონული ტურისტული გეოპორტალის **ძირითადი კონცეფცია-იდეა** - მოხერხებული, მიმზიდველი, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი **რეგიონის ტურისტული პოტენციალის მართვის გის-ის შექმნაა.**

რეგიონული ტურისტული გეოპორტალის მეშვეობით შეიძლება გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- ტერიტორიული ობიექტების გამოყოფა რეგიონის ადმინისტრაციული რუკის გამოყენებით;
- რეგიონის ტურისტული რესურსების გამოვლენა, კლასიფიკაცია და პასპორტიზაცია;
- მიღებული ინფორმაციის დამუშავების სისტემის სისტემატიზაციისა და უნიფიკაციის ფორმირება ინფორმაციულ პორტალზე მისი განთავსების მიზნით;
- ობიექტების განთავსება ელექტრონულ რუკაზე;
- ადმინისტრირების ეფექტიანი სისტემის და „უკუკავშირის“ შექმნა ინფორმაციულ პორტალზე;
- რეგიონული ტურისტული პროდუქტის წინწაწევა.

ადგილობრივი ტურისტული გის-ის შექმნის გამოცდილება ჯერ-ჯერობით მცირეა. განსაკუთრებულ როლს **გის**-ები ასრულებენ რეგიონებში ტურიზმის განვითარების დაგეგმვის პერსპექტიული პროექტების დამუშავების დროს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ქვეყნის რიგ უნივერსიტეტებში ისწავლება **გის**-ტექნოლოგიები.

არსებობს ინტეგრირებული პროგრამული სისტემები ტურისტული **გის**-ების შესაქმნელად, რომელთა დანიშნულებაა მართვის ტერიტორიულ ორგანოებში გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, არსებობს სხვადასხვა ვებ საიტი და აპლიკაცია, მაგრამ ვისურვებდით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზაზე ხელმისაწვდომობა შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს. საქართველოს რეესტრში რეგისტრირებული ინფორმაცია მწირია, ხშირად არაზუსტი და არასაკმარისი დაინტერესებული პირებისა და მხარეებისთვის. ამჟამად მიმდინარეობს და ასევე დაგეგმილია რიგი პროექტებისა [55], რომელიც გააუმჯობესებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. აქქვე უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო სისტემების მიმართულებით განხორციელებულია 2 პროექტი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის და **გის (GIS)** პორტალის შექმნა და განვითარება [56].

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო მონაწილეობს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნაში. მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის არქივის დიგიტალიზაციის და მონაცემთა ბაზის შევსების პროექტი[57].

ტურისტული **გის**-ების უპირატესობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი ქვეყნის ტურიზმის განვითარების უზრუნველყოფის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ-ჯერობით გეოინფორმაციული ტექნოლოგიები არ წარმოადგენენ საკმაო მნიშვნელობის ინსტრუმენტს თანამედროვე ტურისტულ ბიზნესში, მაშინ, როცა უცხოეთში გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ზოგიერთი მსხვილი ტურისტული და სოციალურ-კულტურული პროექტის განუყოფელი ნაწილია.

გის-ი გვეხმარება კლიენტების მოთხოვნაზე პასუხების მიღების დროის შემცირებაში; საჭირო ღონისძიებებისთვის შესაფერისი ტერიტორიების, სხვადასხვა პარამეტრების (მაგ., ნიადაგებს, კლიმატსა და საგზაო ქსელის გამავლობას შორის) ურთიერთკავშირის გამოვლენაში; ტურიზმში **გის**-ის ტექნოლოგიით ინტერნეტ-პროექტების რეალიზაციაში.

რეგიონული ტურისტული გეოპორტალი საშუალებას იძლევა რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ მონაცემების სისტემაში შემცირდეს გაურკვევლობის ხარისხი, უფრო ეფექტიანად წაიწიოს წინ რეგიონული ტურისტული პროდუქტი, ჩამოყალიბდეს რეგიონის დადებითი ტურისტული იმიჯი, ეცნობოს მომხმარებლებს რეგიონში ჩასატარებელი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ.

გეოპორტალის საშუალებით შესაძლებელია **გეოინფორმაციული სისტემის** ჩამოყალიბება, რომელიც გაერთიანებს რეგიონულ ტურისტულ პორტალს და მონათესავე ინფორმაციულ რესურსებს - ტურისტული საწარმოების საიტებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საიტებს ინდივიდუალური და ჯგუფური თვითშემოქმედებითი ტურიზმის და სხვ.

ტურისტული **გის**-ების შექმნისა და მოხმარების უპირატესობების მიუხედავად, არსებობს მათი შექმნის, დანერგვის და თანაგამოყენების პრობლემები - როგორიცაა, ინფორმაციული, ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური პრობლემები. ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ ცნობების შეგროვება წარმოადგენს საკმაოდ რთულ და შრომატევად პროცესს, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ საშუალებებს.

გის-ის სტრუქტურის შემუშავება, მისი შესრულება და გაყვანა ღია ხელმისაწვდომობაზე - ეტაპებია, რომელთა განხორციელება შეიძლება გაგრძელდეს წლები. დანერგვის შემდეგ გრძელდება **გის**-ის თანაგამოყენების პროცესი - მონაცემების აქტუალიზაცია, ინფორმაციის დამატება, ტექნიკური თანადგომა.

რეგიონული ტურისტული გის-ის მონაცემთა ბაზები იქმნება ტურისტული რესურსების სახეობების მიხედვით, რომელთა არსებობა აისახება რეგიონის ინტერაქტიურ რუკაზე.

გეოპორტალში იგეგმება რეკრეაციული და სამკურნალო ტურიზმის, სპორტული ტურიზმის, შემეცნებითი, სამონადირეო და სათევზაო ტურიზმის რუკებისა და სხვა თემატური რუკების განთავსება. **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების მართვის გის-ის შექმნა წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა გადაიჭრას ტურიზმის მართვაში გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების ამოცანების ფართო სპექტრი, მათ შორის, ტურიზმის განვითარების რესურსული მდგენელის ეფექტიანი გამოყენების შეფასებაშიც.** ტურიზმის მართვის რეგიონული გეოინფორმაციული სისტემის გამოყენების შესაძლებლობები ძალიან ფართოა.

თავი 4. ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონების ტერიტორიული თავისებურებები

4.1. ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება (არსი, პრინციპები, გამოცდილება)

ზოგიერთი მეცნიერის აზრით "**რაიონი**", წარმოადგენს ლოკალიზებულ ტერიტორიას, რომელიც ხასიათდება შემადგენილი ელემენტებით, ერთიანობით, ურთიერთკავშირით, მთლიანობით. ამასთან, ეს მთლიანობა მოცემული ტერიტორიის განვითარების ობიექტური პირობა და კანონზომიერი შედეგია.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ გრაეს აზრით, რაიონი ეს არის ტერიტორია, რომელიც გამოირჩევა საკმაოდ დამახასიათებელი ნიშნებით იმისათვის, რომ ის გამოვაცალკეოთ მეზობლებისაგან.

რეგიონთმცოდნეობის და ეკონომიკური დარაიონების პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები შემდეგნაირად განმარტავენ "რაიონი"-ს ცნებას:

- ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ ვ. ჯონსის აზრით, რაიონი ეს არის ტერიტორია, რომლის შიგნით არის ერთსახოვნება ერთ ან რამდენიმე ურთიერთობაში;

- ჩრდილო კაროლინიდან პროფესორი ვუფტერი რაიონს განსაზღვრავს როგორც ტერიტორიას, რომლის ფარგლებში ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების შეხამებამ შექმნა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების ერთსახოვნება;

- მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორ რ. ხარტსხორნის აზრით, რაიონი ესაა უწყვეტი ტერიტორია, რომლის ფარგლებში არსებობს გარკვეული ხარისხის ერთსახოვნება საერთო (ბუნებრივ და კულტურულ) ლანდშაფტებში;

- ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ რ.პლატის აზრით, რაიონი ეს არის ტერიტორია, რომელიც გამოყოფილია როგორც მიწის ხასიათის საერთო ერთსახოვნების, ასევე მისი გამოყენების საერთო ერთსახოვნების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ის ნიშნები, რომელთა მიხედვით ესა თუ ის ტერიტორია შეიძლება მიკუთვნებული იქნეს რაიონს, კერძოდ, - ტერიტორიის მთლიანობა, სპეციალიზაცია და ეკონომიკური კავშირები, - საკმაოდ ზოგადია და მათში ხვდება ტერიტორიის ისეთი წარმონაქმნებიც, როგორიცაა ზონა, არეალი, ანკლავი და რეგიონი.

ზონა - ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სარტყელს, კერძოდ, რაიმე საერთო ნიშნის მიხედვით გამოყოფილ სივრცეს (მაგ., ტყის ზონა, საარტილერიო ცეცხლის ზონა, აკრძალული ზონა).

არეალი - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოედანს, სივრცეს (კერძოდ, იგულისხმება მცენარის ან ცხოველის ცალკეული სახეობის, სასარგებლო წიაღისეულის და ა.შ. გავრცელების არე დედამიწის ზედაპირზე).

ანკლავი - ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მიწადაქსაქსულობას, კერძოდ, სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის განცალკავებულ ნაწილს, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ტერიტორია აკრავს გარს და საზღვაო ნაპირი არა აქვს, ხოლო თუ აქვს,- სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ მას ნახევარ ანკლავს უწოდებენ. ანკლავთან საგზაო კავშირისა და სხვა კომუნიკაციის უფლება მისმა მფლობელმა

სახელმწიფომ უნდა მიიღოს, ანკლავის მომიჯნავე სახელმწიფოსთან დადებული შეთანხმებით.

მთელ მსოფლიოში უფრო მეტად გავრცელებულია არა ეკონომიკური, არამედ ადმინისტრაციული დარაიონება. ამასთან დაკავშირებით უცხოურ პრაქტიკაში გამოყოფენ დარაიონების რამდენიმე ტიპს.

პირველი ტიპი - ადმინისტრაციული დარაიონება, რომელიც ეფუძნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის არსებული სისტემის გამოყენებას. ეს ტიპი ძალიან გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.

მეორე ტიპი - გამოიყენება ახალი რაიონების შექმნის აუცილებლობის შემთხვევაში. ეს გეგმიური პროგრამული დარაიონებაა ადმინისტრაციული რაიონების გაერთიანების პრინციპის დაცვით.

მესამე ტიპი - ესაა ეკონომიკური დარაიონება, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფის არსებული სისტემის დამსხვრევას და მის შეცვლას ტერიტორიის ახლებურად დაყოფით.

მეოთხე ტიპი - ესაა ინდივიდუალური დარაიონება, რომელიც დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის, სადაც რეგიონული დაგეგმვა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს **[58; გვ.258-264].**

ამ მხრივ საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს რეკრეაციული რაიონი და რა პრინციპებით ხდება რეკრეაციული დარაიონება. ***რეკრეაციული დარაიონება*** დაკავშირებულია ტერიტორიის დაყოფასთან ერთგვაროვნობის ნიშნებით და რეკრეაციული გამოყენების ხასიათის მიხედვით. მკვლევართა მიერ დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის წარმომქმნელ ნიშნებად შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მახასიათებლები. ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის წარმომქმნელი ნიშნების არჩევანი ასევე დამოკიდებულია რაიონის, რეგიონის, სახელმწიფოს საკვლევი ტერიტორიის მასშტაბზე.

ტერიტორიის, საკურორტო ზონებისა და ცალკეული რეკრეაციული ობიექტების **ზონირება კომფორტულობის მიხედვით** ხორციელდება გენერალური გეგმების შედგენის დონეზე. თუმცა, ყოველი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონწარმომქმნელი ნიშანი ასახავს მხოლოდ კერძო შემთხვევებს, რაც განაპირობებს ამა თუ იმ რეგიონში ტურიზმის განვითარებას, მაგ., რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზებისთვის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების განაწილებას მათი კეთილისმყოფელობის ხარისხის მიხედვით. ამავდროულად, ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებისა და მისი განვითარების პერსპექტივებისთვის, საჭიროა ჩატარდეს **ტერიტორიის რეკრეაციული გამოყენების კომპლექსური ანალიზი, რაც წარმოადგენს რეკრეაციული დარაიონების საფუძველს.** ამავე დროს, დაცული უნდა იყოს ***დარაიონების ზოგადგეოგრაფიული პრინციპები:*** ობიექტურობა, მრავალასპექტურობა, იერარქიულობა და კონსტრუქციულობა.

ობიექტურობა ნიშნავს კონკრეტული მახასიათებლების ასახვას ტურისტულ-რეკრეაციული რაიონწარმომქმნელი ნიშნებით. კომპლექსური შეფასების **მრავალასპექტურობას** განაპირობებს ტურიზმის სახეობების მრავალფეროვნება. **იერარქიულობა** განსაზღვრავს ტერიტორიის დაყოფას გარკვეულ ურთიერთკავშირსა და დაქვემდებარებაში მყოფ ზონებად, ქვეზონებად, რაიონებად და ქვერაიონებად.

კონსტრუქციულობას განსაზღვრავს დარაიონებისას დასმული ამოცანების გარკვეულობა, მკაფიოდ გაწერილი ამაცანათა ნუსხა. ტრადიციული ეკონომიკური მიდგომიდან განსხვავებით, რომელშიც განიხილება რაიონის მხოლოდ ერთი ფუნქცია - ტურისტების მომსახურება, რეკრეაციულ დარაიონებაში რაიონი განისაზღვრება როგორც ტერიტორია, რეკრეაციული გამოყენების ხასიათით ერთგვაროვანი, მაგრამ ნიშნების კომპლექსით განსხვავებული.

რეკრეაციულ დარაიონებაში **რაიონწარმომქმნელ ნიშნებად** შეიძლება შეირჩეს: რეკრეაციული ფუნქციების სტრუქტურა, რეკრეაციული რესურსების უპირატესი გამოყენებისგან დამოკიდებულებით; ტერიტორიის რეკრეაციული ათვისების ხარისხი (განვითარებული, საშუალო- და სუსტადგანვითარებული რაიონი); რაიონის ღიაობის ხარისხი; ათვისების პერსპექტიულობა. ამ ნიშნების მიხედვით ტერიტორია იყოფა რეკრეაციულ ზონებად და რაიონებად.

რეკრეაციული ზონა განისაზღვრება ტურიზმის განვითარების საერთო მიმართულებით და მასში შემავალი რაიონებით, კერძოდ, რაიონწარმომქმნელი ნიშნების განსხვავებით განპირობებული. უპირატესი რეკრეაციული ფუნქციების პრინციპის თანახმად, რაიონები იყოფა: **მონოფუნქციონალურ** - სადაც დომინირებს ერთი ფუნქცია - სამკურნალო დასვენება, და **მრავალფუნქციონალურ** რაიონად, რომელიც გამორჩეულია ფუნქციათა სიმრავლით (სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სპორტული და ეკოლოგიური ტურიზმი).

რეკრეაციული ათვისების ხარისხი ფასდება კონკრეტული სიდიდით - ტერიტორიის აბსოლუტური ათვისებით, რომელიც ტოლია რაიონის რეკრეაციულ დაწესებულებებში ადგილების ჯამური რიცხვის შეფარდების მის ფართობთან - ათას კვ.კმ. **რაიონის გახსნილობის ხარისხი** დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ჭარბობს დასასვენებელ დაწესებულებებში - ადგილობრივი თუ ჩამოსული რეკრეანტები. ტურიზმის განვითარებისთვის რაიონის პერსპექტიულობა დამოკიდებულია მრავალ შიდა და გარე ფაქტორზე: უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, ცნობადობა სამამულო და მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე და ა.შ. წარმოდგენილი რაიონწარმომქმნელი ნიშნები მუდმივი არ არის - დროთა განმავლობაში მათი შინაარსი ან რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება შეიცვალოს. ყველაზე სტაბილურია რაიონის ფუნქციური სტრუქტურა, რადგან ის რესურსების არსებობით არის განპირობებული. რაიონის ათვისების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული რეკრეაციულ პოლიტიკაზე ტურიზმის მიმართ: ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერითა და ტურისტულ სფეროში ინვესტიციებისთვის ეკონომიკური ხელშეწყობით რაიონში შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს დასვენების საწარმოების რიცხვი.

რაიონის გახსნილობის ხარისხი დაკავშირებულია უნიკალური რეკრეაციული რესურსებისა და ტურისტულ ბაზარზე ტერიტორიის პოპულარობის შეთავსებასთან. თუმცა, გარემო პირობებმა (პოლიტიკური არასტაბილურობა, არასასიკეთო ეკონომიკური მდგომარეობა, ტურისტების მოზღვავება შეიძლება შემცირდეს ან პირიქით - გაიზარდოს მოდა ეგზოტიკურ ტურებზე) შეიძლება ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას ნაკლებად ათვისებულ რაიონებში უცხოელი ტურისტების ხარჯზე და, ამ რაიონებმა, დარჩებიან რა სუსტადგანვითარებულ რაიონებად, - იმუშაონ როგორც გახსნილებმა. რაიონწარმომქმნელი ფაქტორების ცვლილება აიხსნება რეკრეაციული დარაიონების

დაზუსტების აუცილებლობით - რადგან დარაიონების სქემა წარმოადგენს რეკრეაციული საქმიანობის ტერიტორიული ორგანიზების განსაზღვრული ეტაპის ასახვას.

ტურისტულ-რეკრეაციული ზონები შეიძლება დაიყოს:

1. ზონა - ტერიტორია, რეკრეაციული განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიული. გამოირჩევა მოსახლეობის მაქსიმალური რეკრეაციული მოთხოვნილებით და მათ დასაკმაყოფილებლად საკმაო რესურსებით, რაც საშუალებას იძლევა განვითარდეს რეკრეაციული საქმიანობის ყველა ძირითადი სახეობა. ეს არის რეკრეაციულად განვითარებული და პოლიტიკურად სტაბილური ტერიტორია.

2. ზონა - ხასიათდება ნაკლები და არაერთგვაროვნად განაწილებული რეკრეაციული მოთხოვნილებებით, ჭარბი რეკრეაციული რესურსებით, რომლებიც ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი ათვისებისთვის. რეკრეაციული ათვისების ხარისხი მერყეობს სუსტადგანვითარებულიდან განვითარებულამდე. ეს ტერიტორია პოლიტიკურად სტაბილურია, პერსპექტიულია უახლოესი ათვისებისთვის.

3. ზონა - ყველაზე წინააღმდეგობრივი ზონა, რომელშიც შედის: ნაკლებად პერსპექტიული, **დახურული რაიონი** დიდი რეკრეაციული მოთხოვნილებით და მცირე რესურსებით, - და **გახსნილი რაიონები** ჭარბი რესურსებით, რომელთა განვითარება შეზღუდულია პოლიტიკური არასტაბილურობის გამო.

4. ზონა - დახურული ზონა, გაყოფილი ორ ქვეზონად: ნაკლებად პერსპექტიულ, პრაქტიკულად აუთვისებელ ქვეზონად და აქტიურად ათვისებულ, დიდი პერსპექტივების ქვეზონად.

მეთოდოლოგიურად რეკრეაციული ზონების დახასიათება უნდა ასახავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ზონის გეოგრაფიული მდებარეობა და მის შემადგენლობაში შემავალი რაიონები;
- მოცემულ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ძირითადი ფაქტორების მოქმედება (ადგილობრივი მოსახლეობის რეკრეაციული მოთხოვნილება, მათი დაკმაყოფილების პირობები, რეკრეაციული რესურსები);
- რეკრეაციული პოტენციალის დახასიათება - ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები (ლანდშაფტები, ბიოკლიმატი, ჰიდრომინერალური რესურსები), ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა, ისტორულ-კულტურული პოტენციალი (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები), ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის მატერიალური ბაზის განვითარების ხარისხი;
- ტურიზმის ფუნქციური სტრუქტურა და დომინირებული მიმართულებები;
- რეკრეაციული ათვისების პრობლემები და პერსპექტივები.

ნებისმიერ ტერიტორიას აქვს ტურისტული რესურსების გარკვეული ნაკრები (ერთობლიობა), რომელზეც დამოკიდებულია რეკრეაციული განვითარების სპეციალიზაციის განსაზღვრა. სამკურნალო-რეკრეაციული ტურიზმი - ბუნებრივად ორიენტირებული ტურისტული რაიონების რეკრეაციული პოტენციალის ათვისების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა. რეკრეაციული პოტენციალის კვლევის სპეციფიკისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრის მიზნით სამკურნალო- რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია პირველ რიგში განხილული იქნეს

ტურიზმის მოცემული სახეობის გაგების მნიშვნელობა, სპეციფიკა, აღქმა და ძირითადი განსაკუთრებულობა.

საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო-რეკრეაციული რესურსებით. ქვეყნის ტერიტორიის მცირე ფართობზე 11 კლიმატური სარტყელია, რაც, გეოგრაფიულ პირობებთან ერთად, ლანდშაფტის მკვეთრად განსხვავებულ ტიპებს ქმნის. კლიმატური სარტყლების სიმრავლე, მარადთოვლიანი მწვერვალები და მყინვარები, შავი ზღვის თბილი სუბტროპიკული სანაპირო, ვრცელი დაბლობები, მთები, ტბები, ჩანჩქერები, მდინარეები და მიწის წიაღიდან ამოსული უამრავი მინერალური წყარო კურორტებისა და საკურორტო ადგილების სიუხვეს განაპირობებს. ამჟამად ქვეყანაში რეგისტრირებულია 103-ზე მეტი კურორტი და 180-მდე საკურორტო ადგილი, გამოვლენილია მინერალური წყლების 2300-ზე მეტი გამოსავალი, რომელთა ჯამური დებიტი დღე-ღამეში ასეულობით მლნ ლიტრს შეადგენს. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში 102 კურორტი ფუნქციონირებდა, რომელთაგან 6 - წყალტუბო, გაგრა, ბორჯომი, ქობულეთი, ახალი ათონი და ბიჭვინთა - საკავშირო მნიშვნელობის იყო, 35 - რესპუბლიკური, დანარჩენი კი - ადგილობრივი. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში. კურორტების ტიპის მიხედვით კლიმატურია 44 (მათ შორის 25 ზღვისპირაა), შერეული (კლიმატურ-ბალნეოლოგიური ან ბალნეოკლიმატური) – 31 და ბალნეოლოგიური - 28.

სამკურნალო პროფილის მიხედვით საქართველოს ცნობილი კურორტები იყოფა: მთის კლიმატურ, ბალნეოლოგიურ, ზღვისპირა კლიმატურ, ბალნეოკლიმატურ, კლიმატურ-ბალნეოლოგიურ და პელოიდურ კურორტებად.

ქვეყნის საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების რეგიონული თავისებურებების, აგრეთვე საკურორტო რესურსების ხასიათის, დანიშნულებისა და განლაგების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 12 საკურორტო-რეკრეაციულ რაიონად, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სპეციალიზაციით, დაწესებულებების სტრუქტურითა და განვითარების პოტენციური შესაძლებლობებით [**59; გვ.53-67**].

4.2. რეგიონის (მუნიციპალიტეტის) ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასება

რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის (**ტრპ**) შესწავლისას აუცილებელია სისტემური მიდგომის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს **ტრპ**-ის ფორმირების ფაქტორების კომპლექსური ხასიათი, გამოვლინდეს ბუნებრივი, კლიმატური, კულტურულ-ისტორიული, სოციალური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ რეგიონული ტურიზმის განვითარებას.

თუ რეგიონს აქვს მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა - სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს შემომყვანი და შიდა ტურიზმის ნაკადების გაზრდას [**60; გვ.293**].

რეგიონული ტურიზმის განვითარების პირობები ემყარება ტერიტორიულ-რესურსულ მდგენელს, რომლის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები და კლიმატური პირობები [61; გვ.73-74]. ბუნებრივ - რეკრეაციული რესურსების შეხამება ბუნებრივ პირობებთან ქმნის **ბუნებრივ-რეკრეაციულ პოტენციალს (ბრპ).** ფართო გაგებით, ცნება „**პოტენციალი**" ნიშნავს არსებული რესურსების, ფაქტორების ერთობლიობას, რომელთა გამოყენება და ამოქმედება შეიძლება გარკვეული შედეგის მიღების მიზნით. **ბუნებრივ-რეკრეაციულ პოტენციალი** შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი მდგენელი და ბუნებრივი რესურსების ყველა სახეობის (დღესდღეობით ცნობილი) ერთობლიობა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური კრიტერიუმების მიხედვით უახლოეს მომავალში [62, გვ.11-15]. ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი ასევე შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც ბუნებრივი პოტენციალის ნაწილი, ხოლო რეკრეაციული პოტენციალის ქვეშ, გამომდინარე ცნება „პოტენციალი"-ის (ძალა, შესაძლებლობა) ეტიმოლოგიიდან, იგულისხმება მოძიებული და ექსპლუატაციაში მყოფი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები [63; გვ.19-27]. კონკრეტული რეგიონის ბუნებრივი შესაძლებლობების ერთობლიობა განიხილება როგორც რეკრეაციულ-რესურსული პოტენციალის **მდგენელი** [64; გვ.77-79].

განხილული ცნებების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს **ბუნებრივი რესურსები,** რომლებიც ტერიტორიის არსებული პოტენციური შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას იძლევა რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ცნება „პოტენციალი" ასევე შეიცავს **შესაძლებლობებს** (მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეს არის **ბუნებრივი რესურსები და პირობები**, რომლებიც მოცემულ დროის პერიოდში არ გამოიყენება, მაგრამ შეიძლება ჩაერთონ რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზებაში გარკვეულ ტერიტორიაზე).

ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი - ბუნებრივი რეკრეაციული რესურსების, პირობებისა და ტერიტორიის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ერთობლიობაა, რომლებიც გავლენას ახდენენ და გამოიყენებიან ან შეიძლება იქნენ გამოყენებული რეკრეაციული საქმიანობის განვითარებისთვის. ჩვენი აზრით, მოცემულ განსაზღვრებაში **ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის** ჩართვა პრინციპულია, რადგან ის ერთდროულად შეიძლება განიხილებოდეს არამხოლოდ როგორც **რეკრეაციის ორგანიზების შესაძლებლობა**, არამედ როგორც მისი **მალიმიტირებელი ფაქტორი.** მაგალითად, ნებისმიერი ტერიტორია ფლობს გარკვეული ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ნაკრებს, - რაც მას ახასიათებს როგორც საინტერესოს რეკრეაციის თვალსაზრისით. მაგრამ ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებელი, - როგორიცაა გარემოს მდგომარეობა, - ნეგატიური შეფასებისას იქნება მათი **მადესტაბილიზირებელი ფაქტორი**. რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა მეცნიერის ([65]; [66]; [67]; [68]) სამეცნიერო შრომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივ გარემოზე რეკრეაციისა და ტურიზმის გავლენის საკითხებს. გავლენის შედეგები ვლინდება გარემოს შეცვლაში, ბუნებრივ კომპლექსებზე რეკრეაციულ დატვირთვაში, არარაციონალურ ბუნებათსარგებლობაში და ა.შ. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ შეუსწავლელი რჩება საკითხი **გარემოს მდგომარეობის გავლენის შესახებ რეკრეაციის განვითარებაზე** გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. ჩვენი აზრით, **ეკოლოგიური მდგენელი,** რომელიც

ახასიათებს ატმოსფერული ჰაერის, წყლის ობიექტების, მიწისა და ტყის რესურსების და ა.შ. მდგომარეობას, ახდენს პირდაპირ უშუალო გავლენას ტერიტორიის **ბრპ**-ის ჩართვის შესაძლებლობაზე რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზებაში და მოითხოვს შეფასებას და აღრიცხვას.

ამრიგად, ტერიტორიის **ბრპ** შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი მდგენელების სახით :

- **ტერიტორიის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები** : ლანდშაფტები, წყლის, მიწის, ტყის რესურსები - უნიკალურობის, ესთეტიკური მიმზიდველობის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობის, ეგზოტიკურობის, ასევე რეკრეაციულ საქმიანობაში მათი ჩართვის ტექნიკური შესაძლებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.
- **ტერიტორიის ბუნებრივი პირობები:** გეოგრაფიული მდგომარეობა, კლიმატური მახასიათებლები - რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზების შესაძლებლობაზე მათი ზემოქმედების გათვალისწინებით.
- **ტერიტორიის ეკოლოგიური პირობები:** ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა - ტერიტორიის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების რეკრეაციულ სფეროში შესაძლო ჩართვაზე მათი გავლენის გათვალისწინებით.

ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის მდგენელები: ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები და ბუნებრივი პირობები წარმოადგენს **რეკრეაციის განვითარების ბაზისურ ფაქტორებს.** მათგან განსხვავებით, ტერიტორიის ეკოლოგიური პირობები შეიძლება წარმოჩინდეს როგორც **მადესტაბილიზირებელი ფაქტორი**, რომელიც გამოვლინდება ბუნებრივი რესურსების ამოღების შედეგად **ბრპ**-ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემცირების სახით (მაგ., დარღვეული (მოშლილი) მიწების ფართობების გაზრდა, რაც შეუძლებელს ხდის მათი რეკრეაციის სფეროში ჩართვას) და გარემო პირობებსა და რესურსებზე ანთროპოგენური დაბინძურების ზემოქმედების გაზრდის სახით (მაგ.,წყლის ობიექტის სანიტარიულ ნორმატივებთან შეუსაბამობა შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას წყლის ნაპირზე, ზღვის პირას დასვენების ორგანიზებისთვის).

ბრპ-ის შეფასების დროს **საკვანძოა** მისი ტერიტორიული კუთვნილება და რეკრეაციულ სფეროში ჩართვის შესაძლებლობის ხარისხი. ქვეყნების, ცალკეული რეგიონების დარაიონების **ბრპ**-ისადმი მიძღვნილია მრავალი პუბლიკაცია, სადაც ტერიტორიების რეკრეაციული პოტენციალის კომპლექსური შეფასებაა წარმოდგენილი. **ბრპ** შეფასებულია კომპონენტების მიხედვით ქულობრივი შეფასების გზით. ჩვენი აზრით, **შეფასების ძირითადი კრიტერიუმები** უნდა იყოს:

1. ტერიტორიის გარემოსწარმომქმნელი პირობები. გეოგრაფიული მდგომარეობა, ტემპერატურული რეჟიმის, ნალექების, ქარის რეჟიმის, მზიანი დღეების რაოდენობის დახასიათება.

2. საკვლევი სივრცის გარკვეული სახეობის რესურსით ტერიტორიული უზრუნველყოფა. ამრიგად, ტერიტორიის წყლის რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებისთვის გასაანალიზებელი მაჩვენებლები შეიძლება იყოს: წყლის ფონდის მიწის ფართობი, წყლის სავარგულების ფართობი, წყლის ობიექტების რაოდენობა.

3. რესურსის ტერიტორიული კონცენტრაცია. ეს კრიტერიუმი შეიძლება შეფასდეს როგორც რომელიმე რესურსის ფართობის შეფარდება ტერიტორიის საერთო ფართობთან.

4. რესურსების ტერიტორიული შეთავსება (შეხამება). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში წარმოდგენილი რესურსების სახეობების ერთობლიობის ანალიზი, მათი თანაფარდობა (მიწის, ტყის, წყლის, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს რესურსების).

5. რესურსის რეკრეაციული ღირებულება. რეკრეაციულად ღირებული არსებული რესურსები (მაგ., **გდბტ**-ები), მათი კონცენტრაცია საკვლევ ტერიტორიაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია **ბრპ**-ის შეფასებაში საკვლევ ტერიტორიაზე **ეკოლოგიური სიტუაციის ანალიზის** ჩართვა. ეს არის აუცილებელი პირობა ობიექტური შედეგების მისაღებად.

საკვლევი რეგიონის **ბრპ**-ის შეფასება ტარდება მისი მუნიციპალიტეტის სუბიექტების ჭრილში შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: [69]

1. **სუბიექტის უზრუნველყოფელობა ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით :**

$$V_{\text{nrr}}^{j} = \underset{j=1}{\overset{n}{\mathrm{e}}} N_{n}^{ij} k_{i}, \qquad (1)$$

სადაც, V_{nrr}^{j} - j-სუბიექტის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებელია;

N^{ij} - i-სახეობის j-სუბიექტის რესურსებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;

K_i - მაჩვენებლის წონითი კოეფიციენტი.

სუბიექტების ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით უზრუნველყოფის კოეფიციენტები განისაზღვრება ფორმულით:

$$N_{ij} = \frac{S_{ij}}{S_j}, \qquad (2)$$

სადაც, N^{ij} - i-სახეობის j-სუბიექტის რესურსებით უზრუნველყოფის კოეფიციენტია;

S_{ij} - j-სუბიექტის რესურსის i-სახეობის ფართობი;

S_j - j-სუბიექტის ფართობი.

აღრიცხვას ექვემდებარებიან **გდბტ**-ის (ბუნებრივი პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, მცენარეული და ცხოველური სამყაროს დაცვის ტერიტორიების), მუნიციპალური რაიონების ტერიტორიების წყლისა და ტყის ფონდის მიწის ნაკვეთები. კვლევის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენენ: მუნიციპალური წარმონაქმნების საინვესტიციო პასპორტები; რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დადგენილებები განსაკუთრებული ღირებულებების ტერიტორიების შექმნის შესახებ ცხოველური და მცენარეული სამყაროს ობიექტების დაცვისთვის, დებულებები რეგიონის ბუნებრივი პარკების შესახებ, რეგიონის სატყეო მეურნეობების საქმიანობის რეგლამენტები; რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დადგენილება რეგიონის წყლის ფონდის მიწების სახელმწიფო კადასტრული შეფასების შედეგების დამტკიცების შესახებ, „საქსტატის“ რეესტრის სტატისტიკური ინფორმაცია და სხვა წყაროები.

2. **სუბიექტის რესურსებისა და ბუნებრივი პირობების კომფორტულობა და მიმზიდველობა:**

$$V_k^j = \mathrm{e}_{j=1}^{n} W_n^{ij} k_i,$$

(3)

სადაც, V_k^j - j-სუბიექტის რესურსებისა და ბუნებრივი პირობების კომფორტულობისა და მიმზიდველობის მაჩვენებელია;

W_n^{ij} - i-სახეობის რესურსის ან j-სუბიექტის ბუნებრივი პირობების კომფორტულობისა და მიმზიდველობის მაჩვენებელი;

K_i - მაჩვენებლის წონითი კოეფიციენტი.

მაჩვენებლის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული იყო რელიეფის სიმაღლეების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ტემპერატურის საშუალო მაჩვენებლები (ზამთარი/ზაფხული), მზის ნათების ხანგრძლივობა, ტერიტორიის ქარის რეჟიმი. ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენდა მუნიციპალური რაიონების ტოპოგრაფიული რუკები, რეგიონის მეტეომონაცემები და სხვა მონაცემები. ტერიტორიის მიმზიდველობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს რელიეფის მრავალფეროვნების არსებობა; შესაბამისად, მაღალ ქულას მიიღებს სუბიექტი, რომელსაც აქვს სიმაღლეების ამპლიტუდისა და მდინარის ქსელის სიხშირის მაქსიმალური მნიშვნელობები. სუბიექტის რესურსებისა და ბუნებრივი პირობების კომფორტულობისა და მიმზიდველობის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით :

$$W_{ij} = \frac{t_{ij}}{G_i},$$

(4)

სადაც W_{ij} - i-სახეობის რესურსის ან j-სუბიექტის ბუნებრივი პირობების კომფორტულობისა და მიმზიდველობის კოეფიციენტია;

t_{ij} - i-სახეობის რესურსის ან j-სუბიექტის ბუნებრივი პირობების მაჩვენებლის სიდიდე, ქულებში;

G_i - i-სახეობის რესურსის ან ყველა სუბიექტის ბუნებრივი პირობების მაჩვენებლების ჯამური მნიშვნელობა, ქულებში.

მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა განისაზღვროს სუბიექტის **ბრპ**, ამისთვის **აუცილებელია შეიკრიბოს განვითარების** ბაზისური ფაქტორის (F_{bj}) მდგენელები: **სუბიექტის რესურსებით უზრუნველყოფა** (V_{nrr}) და **პირობების კომფორტულობა** (V_k).

3. **სუბიექტის ბრპ-ის გამოყენების მადესტაბილიზირებელი ფაქტორები (ფორმულა (5).**

ბუნებრივი პირობები და რეკრეაციული რესურსები, - რომლებიც წარმოადგენენ ტურისტული საქმიანობის განვითარების ბაზისს სუბიექტის ტერიტორიაზე,- განიცდიან გარემოს ფაქტორების ზემოქმედებას. არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაცია წარმოადგენს **ტერიტორიის ბრპ**-ის სრულყოფილად გამოყენების შემაფერხებელ,

მადესტაბილიზირებელ ფაქტორს. ეკოლოგიური სიტუაციის ობიექტურ შეფასებას წარმოადგენს მადესტაბილიზირებელი ფაქტორის მაჩვენებლის განსაზღვრა.

მაჩვენებლის განსაზღვრისთვის გამოიყენება რეგიონის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები (დარღვეული მიწების ფართობები, ატმოსფეროში გამონაბოლქვის მოცულობები, ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის წყლის ხარისხი). ინფორმაციულ წყაროებს წარმოადგენდა რეგიონის სამედიცინო-სანიტარიული ატლასი, რეგიონის გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენება, სტატისტიკური სამსახურის მონაცემები.

$$F_{dj} = \sum_{j=1}^{n} \frac{v_{ij}}{S_j} k_i, \tag{5}$$

სადაც F_{dj} - j-სუბიექტის **ბრპ**-ის განვითარებაზე მადესტაბილიზირებელი ფაქტორების ზემოქმედების მაჩვენებელია ;

V_{ij} - j-სუბიექტის i-სახეობის რესურსის დაბინძურების მოცულობები;

k_i - i-სახეობის ზემოქმედების წონითი კოეფიციენტი.

4. **სუბიექტის უზრუნველყოფა ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალით დროის მოცემულ მომენტში (ფორმულა (6)).**

სუბიექტის ტერიტორიაზე არსებული **ბრპ** სრულყოფილად ვერ გამოიყენება მადესტაბილიზირებელი ფაქტორების ზემოქმედების გამო, რომელთა უარყოფითი მოქმედება ვლინდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესებაში, რეკრეაციული საქმიანობისთვის უვარგისი ფართობების გაზრდაში და ა.შ. ბაზისური და მადესტაბილიზირებელი ფაქტორების ზემოქმედების განსხვავება არის სუბიექტის **ბრპ**-ის უზრუნველყოფის მაჩვენებელი დროის მოცემულ მომენტში.

$$R_j = F_{bj} - F_{dj}, \tag{6}$$

სადაც R_j - j-სუბიექტის ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალით უზრუნველყოფის მაჩვენებელია.

ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში და პირდაპირ დამოკიდებულია ბუნებრივი გარემოს კომპონენტების მდგომარეობაზე, რომლებიც წარმოადგენენ მისი განვითარების ბაზისს. **სუბიექტის ტერიტორიის უზრუნველყოფა ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალით** შეიძლება გახდეს **გადამწყვეტი ფაქტორი** მონახულების ადგილის შერჩევისას, ამასთან, პოტენციალის შეფასება სპეციალისტებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ ტერიტორიის მნიშვნელობა და კონკურენტუნარიანობა ტურისტულ ბაზარზე [70]. რეგიონების (მუნიციპალიტეტების) ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალის ანალიზის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს მუნიციპალური წარმონაქმნების ეკოლოგიური პასპორტების ფორმირებისას; ბუნებრივი ობიექტების ტურისტული პასპორტების, ტურისტული მარშრუტების შედგენისას; ტერიტორიების საინვესტიციო პასპორტების, ტურიზმის განვითარების

რეგიონული პროგრამებისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენისას - რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვასა და რეგიონული ბიუჯეტის შევსებას.

4.3. ტურისტული კლასტერების ფორმირება

თანამედროვე პირობებში გამოიყენება ტურიზმის ინფრასტრუქტურის ობიექტების სივრცითი განთავსების ახალი მიდგომები. ქვეყანაში ტურიზმის განვითარება ხორციელდება **კლასტერიზაციის პრინციპით**. რეგიონები, - რომლებსაც აქვს ჩამოყალიბებული ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსები, ერთიანდებიან საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანი ინვესტირებისთვის ტურიზმის განვითარებასა და გამსხვილებული ტურისტული კლასტერების (რეგიონული ტურისტული კომპლექსების გაერთიანებების) ფორმირებაში.

კლასტერების ფენომენის დამაარსებელი მაიკლ პორტერი „**კლასტერს**“ ასე განმარტავს - ეს „არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმები, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები (მაგალითად, უნივერსიტეტების, სტანდარტიზაციის სააგენტოების, აგრეთვე სავაჭრო გაერთიანებების), რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ იმავდროულად ეწევიან ერთობლივ საქმიანობას. **კლასტერები განაპირობებს ახლებურ შეხედულებას ეკონომიკასა და მის განვითარებაზე; ბიზნესის, მთავრობისა და ინსტიტუტების ახალ როლზე და ურთიერთდამოკიდებულებების აგების ახალ ხერხებზე, როგორიცაა ბიზნესი-მთავრობა ან ბიზნესი-ინსტიტუტები**“ [71; გვ.608].

ერთ-ერთი ამოცანა - როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში - არის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, კლასტერული მიდგომა არის სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის არამხოლოდ საშუალება (სტრუქტურული ცვლილებები, კონკურენ-ტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმართულების გაძლიერება და სხვ.), არამედ ის წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების სტიმულირებისათვის, რომელიც საბოლოო ჯამში რეგიონის სავაჭრო ბალანსის სტიმულირებაში, დასაქმების ამაღლებაში (გაზრდაში?), სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში ანარიცხებისა და ხელფასის ზრდაში, რეგიონის მრეწველობის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში შეიძლება მდგომარეობდეს (აისახებოდეს) [72; გვ.413-417].

აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით ტურისტული, ტურისტულ-რეკრეაციული კლასტერი განეკუთვნება ინდუსტრიულს (დარგობრივს), რის გამოც ის წარმოადგენს ტრადიციულ სფეროს ეკონომიკაში [73]. **ტურისტული კლასტერის მთავარი მისია კონკურენტუნარიანი ტურიზმის ინდუსტრიის ფორმირების შესაძლებლობაა**, რომელიც საკუთრივ კლასტერის ყველა ელემენტს გულისხმობს: მიზიდვის ადგილს, ადამიანებს,

განათლებას, კაპიტალს და ა.შ. რა თქმა უნდა, ვიზიტორები ტურისტული კლასტერის ერთ ერთი მთავარი შემადგენელია.

ტურისტულ კლასტერებს განეკუთვნება ის კომპანიები, რომლებიც ერთ გეოგრაფიულ საზღვრებში არიან კონცენტრირებულნი და ერთობლივად იყენებენ სპეციალიზებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, შრომის ლოკალურ ბაზარს და მეურნეობის სხვა ფუნქციურ სტრუქტურებს. ტურისტული კლასტერი წარმოადგენს ინდუსტრიულ უწყებათაშორის კომპლექსს, რომელიც თავის თავში მოიცავს საწარმოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობას, ასევე სპეციალიზებული დაწესებულებების, მომწოდებლებისა და პარტნიორების (ტურიზმთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული) გაერთიანებულ ძალისხმევას, რომლებიც დაინტერესებული არიან სამუშაოს კოორდინაციითა და გარემოსთან ურთიერთქმედებით კონკურენტუნარიანი ტურპროდუქტის შემუშავებისა და საერთო მიზნების მიღწევის მიზნით.

ტურისტული კლასტერის ფარგლებში სავარაუდო მონაწილეთა კლასიფიცირება შესაძლებელია შემდეგი სახით:

•ტუროპერატორები - ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები;

•სასტუმროები;

•სატრანსპორტო კომპანიები (ავტობუსი, ავიაფრენები. სარკინიგზო გადაყვანები);

•საგანმანათლებლო დაწესებულებები;

•სავაჭრო და ტურისტული რეგულირების კომიტეტი.

ტურისტულ კლასტერში შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი ბლოკი. რესურსები, რომლებიც **ტურისტული კლასტერის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს,** მათ შორის:

• ადამიანური;

• ბუნებრივ-კლიმატური;

• რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;

• კულტურულ-ისტორიული რეკრეაციული რესურსები;

• ინფრასტრუქტურის ობიექტები, რომლებიც საბოლოო ჯამში **ტურისტული კლასტერის ბიზნეს კომპონენტებს წარმოადგენენ,** მათ შორის:

• განთავსების საშუალებები;

• კვებისა და განთავსების ორგანიზაციები;

• ტურისტული კლასტერის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

• საფინანსო ინფრასტრუქტურა;

• სპორტული ინფრასტრუქტურა.

რეგიონის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მასში მოქმედი სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ, კლასტერული მიდგომა - როგორც ტრადიციული დარგობრივი, სამრეწველო პოლიტიკის ალტერნატივა, კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტური მექანიზმია [**74; გვ.124-128**].

კლასტერების ფორმირების ძირითად მიზნებს წარმოადგენს: ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის, რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და

შეთავაზებული ტურისტული პროდუქტების გაზრდა; ტურისტული საქმიანობის განვითარება და ტურისტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება;. შესაქმნელი კლასტერების საზღვრები შეიძლება არ დაემთხვეს რეგიონების ტერიტორიულ საზღვრებს. ამ გაერთიანებებმა, რომლებსაც ფორმირების საწყის ეტაპზე სახელმწიფო, საინვესტიციო და ინფორმაციული დახმარება ესაჭიროება, - შემდგომ დამოუკიდებლად შეიძლება იფუნქციონირონ. ყოველ ტურისტულ კლასტერს გააჩნია ბირთვი - მიზიდულობის ცენტრი, რომლის გარშემო ფორმირდება ტურისტული მარშრუტები და ტურისტების მომსახურების პროგრამები. ამ პოზიციის საფუძველზე შეიძლება უფრო გამსხვილებული ტურისტული კლასტერების ფორმირება, რომლებიც მოიცავენ სპეციალიზებულ ტურისტულ რაიონებსა და რეგიონებს.

ყოველი კლასტერი - ეს არის გარკვეული ბრენდი, რომელიც ფორმირდება ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის განვითარებისთვის. მთლიანობაში, ყველა ტურისტული კლასტერის განვითარება უზრუნველყოფს შემომყვან და შიდა ტურისტულ ნაკადებს, კლასტერებში შემავალი რეგიონების ტურიზმის განვითარების რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

კლასტერებზე აგებული ეკონომიკა - კონკურენტუნარიანი და ინვესტიციურად მიმზიდველი ეკონომიკის მოდელია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს და წარმოებაში რთავს არამხოლოდ რეგიონის მსხვილ საწარმოებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესსაც [75].

თავი 5. ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები

5.1. ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალი

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების ანალიზი და შეფასება საჭიროა მისი ტურისტული პოტენციალის განსასაზღვრად, რომლის თანახმად ხორციელდება ტურიზმის განვითარების დაგეგმვა გარკვეულ ტერიტორიაზე.

ტურისტული რესურსები საფუძველს წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და მისი მიწოდებისთვის. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტურისტულ რესურსად შეიძლება ჩაითვალოს ყველაფერი, რაც ტურისტულ ინტერესს წარმოადგენს - ანუ არის მიმზიდველი და ხელმისაწვდომი ტურისტებისთვის. არსებობს ტურისტული რესურსების რამდენიმე კლასიფიკაცია, რომელთა საფუძველზე შეიძლება ტურისტული რესურსების ყველა სახეობა დავყოთ **ბუნებრივ კლიმატურ, ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებად.**

ნებისმიერი სახეობის რესურსების ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობა ეფუძნება პოტენციალის კვალიფიციურ ანალიზს, ბაზარზე რესურსის ადგილის საკმაოდ ზუსტ განსაზღვრას, მოცემული რესურსის განვითარების გზებისა და ფორმების დასაბუთებულ შერჩევას, მოცემული რესურსის ათვისებისა და განვითარების პროცესის ყველა მონაწილის კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფას. ზემოთქმული სრულად ეხება ტურიზმის განვითარების რესურსებს. ტურისტული ტერიტორიების განვითარების აუცილებლობა გამომდინარეობს რესურსების გამოყენების კომპლექსური ხასიათიდან, ტურპროდუქტის ფორმირების განსაკუთრებულობებიდან. რეგიონული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენება, თანაც, მაქსიმალური უკუგება შესაძლებელია მხოლოდ მათი კომპლექსური გამოყენებით.

არსებული ტურისტული პოტენციალი ყოველმა რეგიონმა უნდა გამოიყენოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, სხვა რეგიონებიდან ტურისტებისა და უცხოელი ტურისტების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ჩნდება **„ტურიზმის განვითარების პოტენციალი“**-ს მკაფიო განმარტების და **„ტურისტული პოტენციალი“** -ს ცნებისგან მისი განსხვავებული განმარტების აუცილებლობა. „ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის“, „ტურისტული პოტენციალის“ ფორმულირებები ძნელი აღსაქმელია, თანაც, ჯერ-ჯერობით არ არსებობს მოცემული ცნებების ფართოდ აღიარებული ზოგადი პროფესიული ახსნა.

განმარტებით და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ტერმინს „**პოტენციალი**“ (ლათ. potentia – ძალა) უწოდებენ „შესაძლებლობებს, საშუალებებს, მარაგებს, რომელთა გამოყენება შეიძლება რაიმე ამოცანის გადასაჭრელად.“ ეს საკმაოდ ტევადი და უნივერსალური განსაზღვრება შეიძლება საფუძვლად დაედოს ტურიზმის ეკონომიკასა და საერთოდ რეგიონულ ეკონომიკას. აუცილებელია მისი შევსება კონკრეტული

შინაარსით ობიექტისგან დამოკიდებულებით, რომლის პოტენციალი ხასიათდება იმ ამოცანითაც, რომლის გადასაჭრელად შეიძლება გამოყენებული იქნეს პოტენციალი.

ტერმინი „**პოტენციალი**“ ახლოსაა „**რესურსი**“-ის ცნებასთან, მაგრამ ყოველთვის გულისხმობს საგნების, მახასიათებლების, მოვლენების ერთობლიობას. პოტენციალის რესურსისგან კიდევ ერთი განსხვავება მდგომარეობს პოტენციალის საკმაოდ მკაფიო კავშირში კონკრეტულ ამოცანასთან, რომლის გადასაწყვეტად ის განისაზღვრება. ჩვეულებრივ, რესურსი დანიშნულების კონტექსტში განიხილება, მაგრამ მისი კავშირი მომხმარებელთან არსებითი (მნიშვნელოვანი) არ არის.

მათ შორის კიდევ ერთი განსხვავება არსებობს - რომელიმე ობიექტის პოტენციალის აღწერისას, როგორც წესი, სხვა ობიექტის პოტენციალთან შედარების დახმარებით ამ პოტენციალის შეფასებაც იგულისხმება.

„ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის“ ქვეშ იგულისხმება გარკვეულ ტერიტორიაზე ტურისტული საქმიანობის ორგანიზების ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური წინაპირობების მთელი ერთობლიობა. **„რეგიონის ტურიზმის განვითარების პოტენციალი“** არ არის ტურიზმის განვითარების ზემოაღნიშნული წინაპირობების მარტივი ერთობლიობა, არამედ ეს არის რესურსები და პირობები, რომელთა დანიშნულებაა რეგიონის რესურსული შესაძლებლობების ტურისტულ საქმიანობაში უფრო ეფექტიანი გამოყენება და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

რეგიონის რესურსული პოტენციალის გონივრული და ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია: რესურსების რაოდენობრივი შეფასება, პოტენციალის სტრუქტურის შეფასება, კერძო პოტენციალების გამოყენების ხარისხი, რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შეფასება, ტურისტული რესურსების მდგომარეობის სისტემატური აღრიცხვა და რეგიონის ტურიზმის განვითარებაში მათი მნიშვნელობის განსაზღვრა.

ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება განპირობებულია ტურიზმის რესურსების განსხვავებული ბუნებით და რეკრეაციულ და ტურისტულ საქმიანობაში მათი გამოყენების შესაძლებლობებით. ეს გარემოება ჯერ-ჯერობით არ იძლევა ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების უნივერსალური მეთოდიკის ფორმულირების საშუალებას, რადგან ყველა ავტორს გააჩნია შეფასების პარამეტრების ჩამონათვალზე საკუთარი აზრი და კრიტერიალური ბაზა.

გარკვეული ტურისტული რესურსების შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების კონკრეტული მეთოდები. საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობების სპეციფიკური განსხვავებულობა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ტურისტული რესურსების შეფასება მათი პოტენციალის მიხედვით, თუმცა, ავტორები, ჩვეულებრივ, აფასებენ **ტურისტული რესურსების პოტენციალს** და არა მათი **განვითარების პოტენციალს.**

ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასება ეყრდნობა რაოდენობრივ მახასიათებლებს. ეკონომიკური შეფასებისთვის რესურსის ზომის ან მარაგის რაოდენობრივი დახასიათება უნდა იყოს დაკავშირებული საქმიანობის სახეობებთან, რომლებიც მოცემული რესურსის გამოყენებით ხორციელდება. გამოყოფენ ტურისტული რესურსის **ზომების პოტენციურ ტევადობას** - მაქსიმალური მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრულია დროის კონკრეტულ პერიოდში განუსაზღვრელი მოხმარებისთვის,- და

რესურსის **მოხმარებით ღირებულებას** - რესურსის რაოდენობის მოცულობის ფაქტობრივი მნიშვნელობა, რომელიც ხელმისაწვდომია მოხმარებისთვის დროის კონკრეტული მონაკვეთის განმავლობაში (მოხმარების შეზღუდვის, სეზონურობის, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით).

ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასების განსახორციელებლად წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდების (მაგ., რენტა) და ტურისტული რესურსების ირიბი შეფასების გამოყენება (გადასახადები და მოსაკრებლები).

ამა თუ იმ რეგიონში ტურისტული პოტენციალის განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების განსასაზღვრად **აუცილებელია**:

- **პოტენციალის გამოვლენა;**
- **პოტენციალის შეფასება;**
- **მისი გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება;**
- **მისი გამოყენების ინტენსიფიკაციის შესაძლებლობების შეფასება;**
- **ფაქტორების შეფასება, რომლებიც აფერხებენ ტურიზმის განვითარებას რეგიონში;**
- **რეგიონის ტურისტული სფეროს ტერიტორიული ორგანიზაციის პერსპექტიული მოდელის მომზადება და რეალიზაცია.**

ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა არსებული ობიექტების უნიკალურობა; ობიექტების ხელმისაწვდომობაში განსხვავებები; რეგიონის საზღვრებში ობიექტების განლაგების სიმჭიდროვეში განსხვავებები; ობიექტების მრავალფეროვნება და კომპლექსურობა; ობიექტების ფიზიკური მდგომარეობა და სხვა.

5.2. ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი

განვიხილოთ ტურისტული რესურსების ტერიტორიების პოტენციალის შეფასების ყველაზე ცნობილი მიდგომები.

ტურისტული პოტენციალის სიდიდისა და ეფექტიანობის შეფასების მეთოდი [46; გვ.288]. ტურისტული პოტენციალის სიდიდისა და ეფექტიანობის შეფასებისას მოცემულ მეთოდიკაში გამოყენებულია შემდეგი მაჩვენებლები:

- ტურისტული პოტენციალის რესურსების ჯამური მოცულობა;
- ტურისტული პოტენციალის სიდიდე;
- ტურისტული პოტენციალის რეალიზაციის მაჩვენებელი.

ტერიტორიების **ტურისტული პოტენციალის რესურსების ჯამური მოცულობა** ახასიათებს მაქსიმალურად შესაძლებელ მოცულობას ტურისტული რესურსების, რომლებსაც ფლობს ტერიტორია დროის მოცემულ მომენტში, რაც გამოისახება ერთიან განზომილებაში.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შეფასება მიზანშეწონილია შესრულდეს ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა შეირჩეს ერთიანი ღირებულებითი საზომები და პოტენციური მთლიანი

შემოსავლის დათვლა განხორციელდეს ტურისტული პოტენციალის ყველაზე სრული გამოყენების პირობებში.

ეს შესაძლებელია ტურისტული დანახარჯების ჯამური სიდიდის შეფასებისა და ტურისტების მომსახურე სხვადასხვა საწარმოებს შორის მათი განაწილების შესწავლის საშუალებით. მათი შესრულების პროცესში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დიდი მოცულობის პირველადი ინფორმაციის გამოყენების აუცილებლობა. ეს კი, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისთვის მოითხოვს დიდ ფინანსურ ხარჯებს. ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ეკონომიკური შეფასება შეიძლება იყოს შუალედური სიდიდის (მაგ., წლიური) ან ჯამური იმ პერიოდის, რომელიც უტოლდება ტურისტული პოტენციალის აღწარმოების საშუალო ციკლს.

ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივ გამოსახულებად შეიძლება გამოდგეს ტურისტების გარკვეული რაოდენობა, რომელიც განთავსდება მოცემულ ტერიტორიაზე ზიანის მიყენების გარეშე გარემოზე, ისტორიულ-კულტურულ ობიექტებზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე, დასვენების ხარისხზე, ასევე მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე. ტურისტული პოტენციალის ღირებულებითი შეფასება ასევე შესაძლებელია, პირველ რიგში, მისი ძირითადი მდგენელის - ტურისტული რესურსების საშუალებით.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ანალიზისას აუცილებელია რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება - ანუ უნდა შეფასდეს ტურისტული რესურსების არა მხოლოდ პოტენციალი, არამედ მათი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე რეგიონში. დღესდღეობით, ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების შეფასების მეთოდური ამოცანა ტურიზმის განვითარებისთვის ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების კრიტერიუმი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი თანაფარდობის სახით:

$$K_e = E_p / E_e, \qquad (8)$$

სადაც, K_e - ეფექტიანი გამოყენების კრიტერიუმი;

E_p - ტერიტორიული ტურისტული პოტენციალის რეალიზაციიდან მიღებული ეფექტი;

E_e - ხარჯები, რომლებიც საჭიროა E_p მისაღწევად.

თავის მხრივ, E_p - შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი მდგენელის ჯამის სახით, რომელთაგან ერთ-ერთი ახასიათებს ტურიზმის წილს რეგიონული და სახელმწიფო პრობლემების გადაჭრაში, ხოლო მეორე, - საკუთრივ რეკრეაციულ ეფექტს, ანუ სხვაობას ტურიზმის ტურისტული ციკლის საწყის და საბოლოო მდგომარეობას შორის. რაც შეეხება აუცილებელ ხარჯებს E_e, - ის დამოკიდებულია პოტენციალის რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებების სპეციფიკაზე და მისი განსაზღვრა შეიძლება მსხვილი საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის გათვლების პრაქტიკაში ცნობილი მეთოდიკების საშუალებით.

ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა [76 ;228-250]. ტურისტული პოტენციალის შეფასების მოცემული მეთოდიკა მიმართულია

განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების - ეროვნული პარკების პირობებში გამოყენებაზე; თუმცა, მისი გამოყენება სრულიად შესაძლებელია სხვა ტერიტორიებისთვისაც, რადგან მეთოდოლოგიური განსხვავებები მისი სხვა ტურისტული ტერიტორიების შეფასებისთვის გამოყენებაში არ არსებობს.

აღნიშნული მეთოდიკა ითვალისწინებს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ძირითადი კომპონენტების გამოყოფას, რომლებიც ექვემდებარება შეფასებას. კომპონენტები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. **ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტები;**

2. ტურების განხორციელების საშუალებები და პირობები (პროგრამები, ექსკურსიები).

პრაქტიკაში შესაძლებელია ბევრი კომპონენტის რაოდენობრივი შეფასება. ჯამური შეფასების მისაღებად აუცილებელია რაოდენობრივი შეფასების გადაყვანა ხარისხობრივში. მეთოდიკის თანახმად, ხარისხობრივი სკალის ჩვეულებრივი **დაყოფა შემდეგია : ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი.** ხარისხობრივი სკალა შეიძლება შეიცავდეს დამატებით გრადაციასაც, მაგ., უკიდურესად დაბალი და უკიდურესად მაღალი.

ხარისხობრივი სკალა შემდეგ უნდა გარდაიქმნას ქულებად, შემდეგ - ხდება ქულების უბრალო შეკრება. მაგ., ქვეჯგუფის - „ტურების განხორციელების პირობები“ - ისეთი კომპონენტების შეფასებისას, როგორიცაა ობიექტის ტერიტორიის ხელსაყრელობა და ვარგისობა, ტურის კონკრეტული მახასიათებლებით განსახორციელებლად აუცილებელია მათი დაყოფა ტურის განხორციელების ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ კომპონენტებად. უკანასკნელებს აუცილებელია მიენიჭოს ქულები უარყოფითი მნიშვნელობით, გამოაკლდეს შეფასების საერთო საბოლოო ჯამს.

ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასებისთვის მოცემული მეთოდიკა მოითხოვს არსებით საბოლოო დამუშავებას, ვინაიდან იგი ორიენტირებულია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების შეფასებაზე, მაშინ, როცა ჩვენთვის აუცილებელია კომპლექსური მეთოდიკა, რომელმაც უნდა მოიცვას ასევე ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური რესურსების აღრიცხვა.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა [77; გვ.256] გვთავაზობს ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის შეფასებას შემდეგი გეგმით:

ა) **ისტორიული მემკვიდრეობის მიმზიდველი ობიექტების არსებობა** - არქეოლოგიის ძეგლები, მონასტრები, სოფლის ტაძრები; ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია საინტერესო ისტორიულ მოვლენებთან; სოფლებისა და დასახლებების შემორჩენილი არქიტექტურული ცენტრები, ღირსსახსოვარი ადგილები და სხვ.;

ბ) **უნიკალური ბუნებრივი და კულტურულ ლანდშაფტებთან დაკავშირებული ობიექტების არსებობა** - სამონასტრო პარკები, სათავადაზნაურო კარ-მიდამოები და სოფლის პარკები, უძველესი წყალგაყვანილობები, დასვენების თვალსაზრისით მიმზიდველი ტბები, ძველი წისქვილები მდინარეებზე და წყალსატევები, უძველესი ხეივნები და ცალკეული ხე-მცენარეები და ა.შ.;

გ) **ადგილების არსებობა, რომლებიც მოსახლეობამ დამოუკიდებლად აირჩია დასვენებისთვის** - ტყეპარკები დასვენებისა და გასეირნებისთვის; ადგილები კარვების ქალაქების მოსაწყობად; ადგილები მდინარეებთან საზაფხულო პლაჟების მოსაწყობად;

ჭაობიანი მასივები, ადგილები ტბების ნაპირებზე; კენკრის მოსაგროვებლად გამოყენებელი ტყის მასივები; სპორტული ბაიდარებით და რეზინის ნავებით დაშვებისთვის ათვისებული მდინარეები და ა.შ.;

დ) **დასკვნა რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ხასიათის შესახებ**:

- რეგიონის ფარგლებში რეკრეაციული ან ტურისტული საქმიანობის სახეობები;
- აქტიურად გამოყენებადი ობიექტები ტურიზმში;
- ტურიზმის სახეობები, რომელთაც გააჩნიათ განვითარების პერსპექტივები;
- ტურისტებისთვის შეთავაზებული ახალი მარშრუტები;
- ტერიტორიის ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული პოტენციალის გამოყენების შეზღუდვების პრობლემები.

მოცემულ მეთოდიკას გააჩნია შეფასების გამოკვეთილი ალგორითმი, მაგრამ მასში სკალების კრიტერიუმების შეფასების ინსტრუმენტები არ არის დამუშავებული.

ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასების მეთოდიკა [78;გვ.217-230]. აქ შემოთავაზებულია **ტერიტორიების პოტენციალის ქულობრივი შეფასება.** გამოვლენილია ძირითადი კომპონენტები - ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური.

ტურისტული პოტენციალი ფასდება ტურიზმის შედარებით ყველაზე მასობრივ ფორმებთან - გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული, საქმიანი და სამკურნალო, მიმართებაში. ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტს წარმოადგენს აბსტრაქტული ტურისტი, რომელიც ცხოვრობს რეგიონის ფარგლებს გარეთ .

ტურისტული პოტენციალის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული კომპონენტების სიდიდე შემოთავაზებულია გაიზომოს ტერიტორიის მემკვიდრეობის ღირებულების საფუძველზე.

ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასების მიზნებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ: მემკვიდრეობის ობიექტები, რომლებიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული ნორმატიულ დოკუმენტებში და ხელმისაწვდომ ლიტერატურულ წყაროებში; მათი შედარებითი მნიშვნელობის დონე, რაც საშუალებას იძლევა საკმაოდ ადვილად გამოვსახოთ მათი მნიშვნელობა ქულებში. ამავდროულად, ისეთი ფაქტორების მნიშვნელობა, როგორიცაა, კლიმატი, რელიეფი და სხვა, - შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შესწორებითი კოეფიციენტების საშუალებით.

ტურისტული პოტენციალის **სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტის** შეფასებისას ითვალისწინებენ ტრანსპორტსა და სპეციალურ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, რომლებიც გავლენას ახდენს ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარებაზე. ტრანსპორტის როლის შეფასებისთვის საკვანძო კრიტერიუმი შეიძლება იყოს სატრანსპორტო მაგისტრალების სიმჭიდროვე, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა ტერიტორიული ობიექტის ხელმისაწვდომობის ხარისხის დონეს. **ტურისტული ინფრასტრუქტურა ფასდება გაანგარიშებითი მაჩვენებლის** საფუძველზე, რომელიც ასახავს განთავსებისა და კვების საწარმოების რიცხვის ფარდობას ტერიტორიის მოსახლეობის რიცხოვნობასთან.

მეთოდიკას აქვს ქულების დათვლის შესაძლებლობები ყველა კომპონენტის მიხედვით. ბუნებრივი კომპონენტის გამოთვლისას ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებს მინიჭებული აქვს ერთი ქულა, რეგიონულს - ორი, ცენტრალურს - სამი ქულა,

რეგისტრირებულ ობიექტებს - ერთი ქულა. დამატებით შემოყვანილია კოეფიციენტები შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- მემკვიდრეობის ობიექტების ფართობრივი გავრცელება (განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფართობის შეფარდება ტერიტორიის საერთო ფართობთან);
- კლიმატის კომფორტულობა;
- ლანდშაფტური მიმზიდველობა;
- ბუნებრივ-კეროვანი დაავადების დონე;
- ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების ცნობადობა გამოითვლება ენციკლოპედიურ წყაროში ხსენების სიხშირის საფუძველზე.

ისტორიულ-კულტურული კომპონენტის ქულებით გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება არამხოლოდ ცენტრალური მნიშვნელობის ძეგლების ობიექტების მნიშვნელობა - სამი ქულა, ადგილობრივის - ერთი ქულა, - არამედ უძრავი ობიექტის მრავალფეროვნებაც. მისი შეფასება ხდება კოეფიციენტების საშუალებით, გამომდინარე ტურისტული მიმზიდველობიდან: არქეოლოგიური და მონუმენტური ძეგლები - 0.6, ისტორიულები - 0.8, ქალაქთმშენებლობების, არქიტექტურული და კომპლექსური ძეგლები - ერთი ქულა. ჩვენი აზრით, წარმოდგენილმა შეფასებითმა სკალამ უკვე დაკარგა აქტუალობა, - საჭიროებს შეფასებითი მნიშვნელობების კორექტირებას.

შემოთავაზებულია **მაკორექტირებელი კოეფიციენტების [78] დათვლის მეთოდიკა.** რეკომენდებულია ქვეყნის ან რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე სრული ენციკლოპედიური გამოცემის გამოყენება. ყოველი ენციკლოპედიური სტატია შეფასებულია ხუთი ქულით, მისი მოხსენიება - ერთ ქულად. თუ ობიექტი იყო ნახსენები, ემატება ქულები. შემდეგ ქულები ჯამდება და გაითვალისწინება შესწორებითი კოეფიციენტის გამოთვლისას. ამჟამად, საზოგადოების ინფორმატიზაციის პირობებში, ენციკლოპედიური ინფორმაცია აღარ ითვლება ძირითად წყაროდ ობიექტების ცნობების შესახებ. ბეჭდური წყაროები თამამად შეიძლება შეივსოს ინტერნეტის ქსელის ელექტრონული რესურსებით. ინტერნეტში ტურისტული ობიექტების მოხსენიების რაოდენობა, ვიკიპედიასა და სხვა საიტებზე სტატიების არსებობა - ტურისტული რესურსების პოპულარობის დამადასტურებელია.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონის გაანგარიშება, მეთოდიკის თანახმად, მოცემულია ორი რიცხვის დაჯამებით: განთავსების კოლექტიური ობიექტების რიცხვის ადგილობრივი მოსახლეობის ათას კაცზე შეფარდებით და კვების საწარმოების რიცხვის ადგილობრივი მოსახლეობის ათას კაცზე შეფარდებით. ეკონომიკის თვალთახედვით, წარმოდგენილი მაჩვენებლები მთლად კორექტული არ არის და ისინი არ იძლევა ინფრასტრუქტურის განვითარების ობიექტურ შეფასებას.

შეფასების საბოლოო შედეგი წარმოადგენს არა ქულების რაოდენობას, არამედ ყოველი კონკრეტული ტერიტორიის წილს პოტენციალის ბუნებრივ, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკურ კომპონენტებში.

ტურისტული პოტენციალის სიდიდე - ეს არის ტურისტული მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის მაქსიმალურად შესაძლებელი მოცულობა არსებული რესურსების გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე სრულ მათ გამოყენებას. მოცემული მახასიათებელი

ახასიათებს ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად შესაძლებელ უკუგებას. ტურისტული პოტენციალის რეალიზაციის ეს მაჩვენებელი აჩვენებს მისი გამოყენების დონეს, ახასიათებს ტურისტული რესურსების რეალურ უკუგებას. პრაქტიკაში ამ მაჩვენებლის გამოთვლა რთულია - პოტენციალს უნდა ჰქონდეს ღირებულებითი გამოსახვა.

ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდიკების შედარებითი დახასიათების შედეგები აჩვენებს, რომ ტერიტორიების ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის ყოველი განხილული შეფასების მეთოდიკას აქვს გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები. ტურისტული რესურსების ცნობილი შეფასების მეთოდიკების შედარების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- პოტენციალის შეფასება ყველაზე სწორია ტურიზმის განვითარების რესურსების ყველა სახეობის გათვალისწინებით;
- შეფასებისას მნიშვნელოვანია ტურისტული პოტენციალის გამოყენების მაჩვენებელი, განსაზღვრული ტურპროდუქტზე მოთხოვნის მიხედვით, რომელიც ფორმირდება ტურიზმის რესურსების გამოყენებით და ტურისტული საწარმოებისა და მომიჯნავე დარგების საქმიანობის შედეგების მიხედვით.

ამრიგად, არსებობს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდიკაზე დაფუძნებული რეგიონების ტურისტული პოტენციალის შეფასების რამდენიმე სხვადასხვა მეთოდიკა. ბოლოხანს ინტერესი გაიზარდა **ტურიზმის რესურსული ბაზის კომპლექსური შეფასების** ჩატარების მიმართ. **ინტეგრალური შეფასებისას** შეთავაზებულია, მაგალითად, **ტურიზმის განვითარების საკვანძო ფაქტორების გამოყოფა,** რომლებიც გავლენას ახდენს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის სიდიდეზე: **რესურსული, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული და სამომხმარებლო ფაქტორები** [79; გვ.22].

ეს მეთოდიკა იწვევს სამეცნიერო ინტერესს, მაგრამ გააჩნია თავისი ნაკლოვანებები. ავტორი გვთავაზობს პოტენციალის შეფასებას რესურსული, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული და სამომხმარებლო ფაქტორების ზემოქმედების ერთობლიობით, რეგიონული მნიშვნელობის კრიტერიუმების გამოყენებით.

რესურსული ფაქტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რაიონების ბუნებრივ-რეკრეაციული, კულტურულ-ისტორიული რესურსებით გაჯერების მაჩვენებლები. **ეკოლოგიური ფაქტორისთვის** უმნიშვნელოვანესია - რადიოაქტიური დაბინძურების, ტექნოგენური გარდაქმნების, ეკოლოგიური წონასწორობის მაჩვენებლები. **სამომხმარებლო ფაქტორის** შეფასება ხდება ტურისტული ნაკადების ინტენსივობის მაჩვენებლის მიხედვით, **ინფრასტრუქტურულის** - ფასდება სასტუმრო და სატრანსპორტო ქსელის, კვების საწარმოების, გასართობ-სანახაობითი სფეროების, სანატორიულ-კურორტული მეურნეობების, ტურისტული საწარმოების განვითარების დონის მიხედვით. **გაერთიანებული მაჩვენებლის** მიღების საშუალებას იძლევა რესურსული, ეკოლოგიური, სამომხმარებლო, ინფრასტრუქტურული, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ფორმირების საკვანძო ფაქტორების შეფასებების შეკრება.

აღვნიშნავთ, რომ **შეფასებების კრიტერიალური ბაზა** ამ მეთოდიკის საშუალებით შეიცავს პარამეტრების არასაკმარის რაოდენობას, რომლებიც ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის სრულ დახასიათებას არ იძლევა, - ეკოლოგიური ფაქტორის მაჩვენებლის გამოთვლა შეესაბამება არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციის

ტერიტორიას. არსებობს სირთულეები ტერიტორიის ტურისტული მიმზიდველობის შეფასებების შეზღუდვების განსაზღვრაში.

ეს მეთოდიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს **ნებისმიერი რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შესაფასებლად,** კრიტერიუმების შეფასების დაზუსტების, ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის გამოსათვლელი ფორმულების შემდგომი დაზუსტებისა და პოტენციალის გამოყენების შეზღუდვების გათვალისწინებით.

ტურისტული კომპლექსის განვითარების ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდიკა შედგება ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობის, განთავსების კოლექტიური საშუალებების დატვირთვის, რეგიონში ტურიზმის ადგილების დამახასიათებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისგან და რეგიონის საზღვრისპირა უპირატესობების ეფექტიანობის გამოყენების მაჩვენებლებისგან. ვფიქრობთ, რთულია ეფექტიანობის მაჩვენებლების დაკავშირება მეზო- და მაკროდონეზე, მაგრამ, ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კომპლექსური მეთოდის სტრუქტურაში, - კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური რესურსების შეფასების კრიტერიუმების ფორმირებისთვის, - წარმოდგენილი მიდგომის გამოყენება შეიძლება **[80;გვ.22].**

ტურისტული რესურსების შეფასების არსებული მიდგომების ანალიზი საშუალებას იძლევა აუცილებელი კრიტერიალური ბაზის ფორმირებისთვის და რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ინტეგრალური მაჩვენებლის პარამეტრების გამოსათვლელად გაკეთდეს შემდეგი დასკვნები :

- ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდიკებში გამოიყენება შეფასების პარამეტრების შეზღუდული რაოდენობა, რომელიც არ იძლევა რეგიონის განვითარების რესურსული პოტენციალის სრულ წარმოდგენას, -ჩვეულებრივ, გამოიყენებენ ცალკეული რესურსების - ბუნებრივი, რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული, იშვიათად, ინფრასტრუქტურული რესურსების შეფასების პარამეტრებს ;
- შეფასების პარამეტრებში გამოვლენილია ტურიზმის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლების არარსებობა, მაგალითად, ტურისტული მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა, რესურსების ათვისების ტექნოლოგიურობა, ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და სხვ.;
- თანამედროვე ავტორების მიერ შეთავაზებული ტურიზმის რესურსების კომპლექსური შეფასების ნებისმიერი მეთოდიკა მოითხოვს კრიტერიალური საფუძვლის დაზუსტებას ბუნებრივ-კლიმატური, ლანდშაფტური პირობებისა და ტერიტორიის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების შესაბამისად.;
- არსებობს ინფორმაციის შეგროვების პრობლემა, რომელიც აუცილებელია ტურიზმის განვითარების კომპლექსური შეფასების ჩასატარებლად;
- ავტორების მიერ ჩატარებული ინტეგრალური შეფასება, არაიშვიათად, არის სუბიექტური.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის შესახებ, რომ **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების ტიპური მეთოდიკის ფორმირება, -** რომელსაც შეიძლება ეწოდოს **„საყოველთაოდმიღებული“ და „უნივერსალური“, -** წარმოადგენს რთულ ამოცანას, რომლის გადაწყვეტა გაძნელებულია სუსტად დამუშავებული ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზით.

5.3. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა

ნებისმიერი რეგიონი წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომლის რესურსული მდგენელი გადამწყვეტ გავლენას ახდენს მთელი სისტემის ფუნქციონირების შედეგებზე. ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასებისთვის აუცილებელია გამოვთიშოთ შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრები და შევიყვანოთ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა დახმარებით შესაძლებელი იქნება ტურიზმის განვითარების პოტენციალის ობიექტური შეფასების ჩატარება, რომელიც გავლენას იქონიებს მთელი რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე.

ჩვეულებრივ, ლექსიკონში „შეფასების“ ქვეშ მიღებულია:

1. მოქმედება, ზმნა შეფასების მნიშვნელობის მიხედვით - დაინიშნოს ფასი, განისაზღვროს ღირებულება ვისიმე, რისიმე; შედგეს წარმოდგენა , განსჯა ვინმეზე, რაღაცაზე; განისაზღვროს მნიშვნელობა, ხასიათი, როლი და ა.შ. ვიღაცის, რაღაცის.

2. აზრი, მსჯელობა ხარისხზე, ღირსებაზე, მნიშვნელობაზე და ა.შ. ვიღაცის, რაღაცის [**81**].

მეთოდიკა - ეს არის რაიმე მიზანმიმართული მოქმედებების ჩატარების პროცედურა, კვლევის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედების გამომუშავებული მეთოდი, კონკრეტული მასალისა და კონკრეტული პროცედურის ბაზაზე.

ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა კვლევის ობიექტის სტრუქტურის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების, ასევე, გამოიყოს ფაქტების საერთო მასიდან ისინი, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნება განსახილველ საკითხს.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების ანალიზის მეთოდიკის ქვეშ იგულისხმება საშუალებების, ხერხების, შეკრების საშუალებების, დამუშავების, ანალიზისა და რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ ინფორმაციის შეფასების სისტემა. **შეფასების მეთოდიკა ანალიზის მეთოდიკისგან განსხვავდება** იმით, რომ ის გულისხმობს კვლევის შედეგიანობას ანუ გულისხმობს ტურიზმის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შედეგების წარმოდგენას (კოეფიციენტების, მაჩვენებლების გაანგარიშება) და მათ შედარებას რეგიონების ეტალონურ მაჩვენებლებთან (ტურისტული რესურსების ათვისებაში ლიდერი რეგიონების).

რეგიონში ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის კომპლექსური შეფასების მეთოდიკა შეიცავს შეფასების სისტემას, ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კრიტერიუმების ძირითადი ჯგუფების გამოყენებით; ტურისტული პოტენციალის კერძო მაჩვენებლების ფორმირებას - ამ ჯგუფების მიხედვით რეგიონული

ტურიზმის ორგანიზატორებისა და მომხმარებლების პოზიციიდან გამომდინარე; ასევე, რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლას.

ტურისტული რესურსის პოტენციალის შეფასებას ხშირად განსაზღვრავენ მისი გამოყენების კონტექსტში ტურიზმის საბაზო სახეობებთან შედარებით - შემეცნებითი, რეკრეაციული და სხვ. კულტურული და ბუნებრივი ობიექტების,როგორც ტურიზმის განვითარების ცალკეული რესურსების ობიექტური შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვანი რაოდენობის ფაქტორების გათვალისწინებას, კვლევის შედეგების ფორმირებას ცალკეული ობიექტის ან ტურისტული რაიონის მიხედვით შეფასების მისაღებად. შეფასებების შედარება საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნეს ყველაზე მიმზიდველი ობიექტები ან რაიონები, შედგენილი იქნეს რეგიონების, ობიექტების ან ცალკეული რაიონების ტურისტული მიმზიდველობის რეიტინგი.

ჩვენ შემთხვევაში შეფასება ჩატარდება ცალკეული ობიექტების მიხედვით კი არა, არამედ მათი ერთობლიობის მიხედვით. ზემოთ აღინიშნა, რომ რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების მიმართ შეფასებითი მიდგომის გამოყენება შეფერხებულია მრავალი მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხის სუსტი დამუშავების გამო (იხ.თავი 4.3.).

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების მეთოდოლოგიის ფორმირებისთვის განვსაზღვროთ კომპლექსური შეფასების ჩატარების ძირითადი ეტაპები. რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკა ფორმირებულია ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის საერთო მეთოდიკის საფუძველზე. **სიახლე მდგომარეობს მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და პარამეტრების ნაკრებში, შეთავაზებულია შეფასების სკალა ეკოლოგიური ფაქტორის უარყოფითი მნიშვნელობებით.** შევჩერდეთ **ნახ.5.-ზე** მოცემულ ეტაპების ჩამონათვალზე, დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული ეს ეტაპი.

პირველი ეტაპი. „შეფასების ობიექტის“ (ის, რაც უნდა შევაფასოთ) გამოყოფა. რეგიონული დონის გეოგრაფიულ კვლევებში ყველაზე ხშირად შეფასების ობიექტებად გამოიყენება გეოსისტემები. ჩვენ გთავაზობთ, შეფასების ობიექტად გამოვიყენოთ რეგიონის ტურისტული კომპლექსი, რომლის საზღვრები შეესაბამება რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებს. უფრო ზუსტი შეფასებისთვის რეგიონი დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად - მუნიციპალიტეტები, ქალაქების გარეუბნები (შემოგარენი) და სხვ.

მეორე ეტაპი. „შეფასების სუბიექტის“ გამოყოფა, რომლის პოზიციიდან ჩატარდება „ობიექტის“ შეფასება. როგორც წესი, „შეფასების სუბიექტად“ მოიაზრება ტურისტების გარკვეული კატეგორიები, ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორები, ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის სახეობები ან ეტაპები. მოცემულ კვლევაში შეფასების სუბიექტებს წარმოადგენენ რეგიონში ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორები, დარგის საწარმოების ხელმძღვანელები, რეგიონში ტურიზმის მართვის სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები და ტურისტული მომსახურების მომხმარებლები.



ნახ.5. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების ჩატარების ეტაპები

მესამე ეტაპი. ობიექტის შეფასების კრიტერიუმების (ფაქტორების და პირობების) განსაზღვრა (შეფასების მიზნის ფორმულირებიდან გამომდინარე), რომლებსაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა მისი ღირებულების განსაზღვრისათვის. შეფასების ჩატარების მიზანი - **ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის გამოვლენა** შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და რეგიონში ტურისტული საქმიანობის უფრო ეფექტიანი მართვისთვის. ფაქტობრივად, შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალი დადგენილია გადასაწყვეტი პრობლემის ანალიზისა და მკვლევარის წინადადებების საფუძველზე. **ტგრ**-ის შეფასების პარამეტრების საერთო ჩამონათვალიდან შეთავაზებულია, ექსპერტული მეთოდით გამოიყოს ყველაზე ხელსაყრელი, განისაზღვროს შეფასების ყოველი პარამეტრის წონა, წილი რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის მაჩვენებლის განსაზღვრაში.

მეოთხე ეტაპი. შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება. მეორადი ინფორმაციის დამუშავება (ტურიზმის მართვის ადგილობრივი ორგანოს საანგარიშო დოკუმენტაციის) და პირველადი ინფორმაციის შეგროვება, გამოკითხვისა და ექსპერტული შეფასების ჩატარება.

მეხუთე ეტაპი. შეფასების კრიტერიუმების გაზომვის ერთიან სისტემაში მოყვანა. ამისთვის ჩვეულებრივ იყენებენ შეფასებით სკალებს, ნორმირებას, რანჟირებას და ა.შ. ხორციელდება რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის შეფასებითი კრიტერიუმების კერძო და ინტეგრალურ მაჩვენებლებში „გადატანის“ გზების

განსაზღვრა, შემდგომ მათი საშუალებით შეფასების შედეგების მიღებით. ამის შემდეგ ხდება ტურიზმის განვითარების პოტენციალის კერძო მაჩვენებლების გამოთვლა რესურსების ჯგუფების მიხედვით - ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური. გამოყენებულია რანჟირების და შეფასებითი სკალების სისტემა.

მეექვსე ეტაპი. რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებლის გამოთვლა. შემოწმება, შეფასების შედეგების კორექტირება და რეგიონში ტურიზმის განვითარების რესურსების პოტენციალის შეფასების მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. ტურიზმის განვითარების პოტენციალის რესურსების ჯგუფების მიხედვით მიღებული მაჩვენებლების შედარების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს რეგიონის პოზიცია ტურისტულ ბაზარზე, გაკეთდეს მისი განვითარების სტრატეგიის პროგნოზირება. მაგალითად, შეფასების შედეგად მიღებულია შემდეგი სურათი: ბუნებრივ-კლიმატური რესურსების პოტენციალის მნიშვნელობა საშუალოა ან საშუალოზე მაღალი და მნიშვნელოვნად მაღალია სოციალურ-ეკონომიკურ პოტენციალზე, ამასთან, ისტორიულ-კულტურული რესურსების მაჩვენებელი დაბალია. ამ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული ტურიზმის სახეობები: სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული, ეკოლოგიური ტურიზმი.

5.4. ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კრიტერიალური ბაზა

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარების რეგიონული მიზნობრივი პროგრამების დასაბუთების ხარისხი პირდაპირ მოქმედებს პროგრამების გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობასა და საბიუჯეტო საშუალებების ხარჯვაზე. ტურისტული ბაზრის კვლევა თავის თავში მოიცავს დიდი რაოდენობის მეორადი ინფორმაციის დამუშავებას, პირველადი ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. ტურინდუსტრიის საწარმოების განვითარებისა და ტურისტული რესურსების შესახებ მონაცემთა ბაზის ფორმირება მნიშვნელოვნად გააიოლებს ტურიზმის განვითარების რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლების და რეგიონში დარგის განვითარების უფრო ზუსტი პროგნოზების შესადგენად საჭირო ინფორმაციის შეგროვების სამუშაოს. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს რეგიონული ტურიზმის განვითარების მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფას; გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ეფექტიანობაზე, ხელს შეუწყობს რეგიონის ტურისტული დარგისა და მოსაზღვრე დარგების შემდგომ განვითარებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების (წელიწდეული, კვლევები და ა.შ.) თანახმად, შეგვიძლია შემდეგი ინფორმაციის მიღება: ტურინდუსტრიის საწარმოების ფუნქციონირების ძირითადი მაჩვენებლები, ტურიზმის წილი **მშპ**-ში და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

სტატისტიკაში გათვალისწინებულია მომსახურებები, რომლებიც გაეწია მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომლებიც თავისი საქმიანობით უშუალოდ დაკავშირებული არიან ტურისტების მომსახურების გაწევასთან. ეს არ არის სრული ჩამონათვალი ორგანიზაციების, რომლებსაც აქვთ რაიმე შეხება ტურიზმთან. ინფორმაციის შეგროვების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია სწორად მოხდეს სერვისის სფეროს ყველა ადგილობრივი დაწესებულების დაყოფა „ტურისტულ“, “ტურისტული ბიზნესის მომსახურე“, „ორიენტირებული ტურისტებზე“ და „არატურისტულად“. ამ ჯგუფების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების ნუსხის ფორმირება უფრო მოხერხებულია.

ასევე, აუცილებელია ინფორმაცია რეგიონის ტურისტული კომპლექსის ინფრასტრუქტურული კომპონენტებით უზრუნველყოფის ხარჯების შესახებ. აქ საჭიროა რეგულარული და ერთჯერადი დანახარჯების განხილვა, პირველ რიგში, ტურიზმის ამა თუ იმ ობიექტის შენახვის ხარჯების. ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის უნდა დამუშავდეს მათი განსაზღვრის მეთოდიკა. კერძოდ, თუ ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ტურიზმის ობიექტს ჰყავს მომსახურე ორგანიზაციები, მაშინ დანახარჯებს ისინი განსაზღვრავენ. საწარმოების ასეთი დაყოფა ხელს შეუწყობს ტურისტული მომსახურების უფრო სრული და ობიექტური ინფორმაციის მიღებას და რეგიონში ტურისტული ნაკადების დინამიკის დახასიათებას.

სტატისტიკის სამსახურის მიერ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ტურიზმის მართვის რეგიონული ორგანოებისთვის საჭირო დარგის განვითარების მაჩვენებლების გამოთვლა.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების მეთოდიკის კრიტერიალური საფუძვლის ფორმირებისას საჭიროა ტურიზმის განვითარების პოტენციალის შეფასების არსებული მეთოდიკების ავტორების მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლების რაოდენობის გაფართოება, ასევე, ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური რესურსების ჯგუფზე აქცენტის გაკეთება. კერძოდ, ტურიზმის ინფრასტრუქტურის გარდა, უნდა შეფასდეს რესურსები: საგანმანათლებლო და შრომითი კადრების მომზადების სისტემა (ტურიზმის სფეროს უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით); მმართველობითი - რეგიონში ტურიზმის მართვის სტრუქტურა; დაგროვილი გამოცდილება; ინფორმაციული - რეგიონის პოზიციონირება მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე; რეგიონული ტურპროდუქტის წინწაწევა; საინვესტიციო - ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; მატერიალური - ტურიზმის განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დამუშავების ინფორმაციული უზრუნველყოფისა და რეგიონში ტურიზმის განვითარების მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა შეიძლება გადაიჭრას **რეგიონული გეოინფორმაციული სისტემის შექმნის ან ტურისტული კადასტრების სისტემის შემუშავების გზით.**

ყველაზე რთული ეტაპი, რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკის დასაბუთებასა და გამოყენებაში არის **ტურიზმის რესურსების შეფასების პარამეტრებისა და კრიტერიუმების შერჩევა.** იმის გამო, რომ ტურისტული რესურსების მდგომარეობის შესახებ არსებული ღია და ხელმისაწვდომი, ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია არასაკმარისია,

აუცილებელია ტურისტული დაწესებულებების სავალდებულო სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვის ფორმის გაუმჯობესება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტურისტული რესურსების ერთ ნაწილს გააჩნია პირობითად უცვლელი ბუნება (მაგ., კლიმატი, მთები), ხოლო მეორე ნაწილი - დინამიკურად ვითარდება, ჩნდება ახალი ობიექტები - განთავსების, კვების, სატრანსპორტო ორგანიზაციები და სხვ. ამიტომ საჭიროა ტურიზმის განვითარების რესურსების ცვლილებების მუდმივი მონიტორინგი და ტურისტული რესურსების მონაცემთა ბაზის განახლება. რადგან მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია ობიექტურად განიცდის განახლებას გარკვეული ჩამორჩენით, ამიტომ ზოგიერთი რესურსის გამოყენების დინამიკის ასახვა რთულია (მაგ., ტურისტული კლუბების და მასში ამოქმედებული მონაწილეების რაოდენობა).

იმ შემთხვევებში, როდესაც სტატისტიკური ინფორმაცია საერთოდ არ არსებობს, აუცილებელია **ექსპერტების გამოცდილების** გამოყენება. ექსპერტული შეფასების გამოყენება ხდება რეგიონში ტურისტული დარგის განვითარების ზოგიერთი ასპექტის გაურკვევლობის ხარისხის შესამცირებლად და ტურიზმის რესურსების გამოყენების ხარისხის შესაფასებლად.

ახლა განვიხილოთ **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების პარამეტრების** ფორმირების საკითხი. მიზანშეწონილია ტურიზმის განვითარების პოტენციალის შეფასების ჩატარება ორი პოზიციიდან: მომხმარებლებისა და ტურიზმის მართვის სახელმწიფო ორგანოების ტურიზმის ორგანიზატორების, საზოგადოებრივი ტურისტული ორგანიზაციების, დარგის საწარმოებისა და კადრების მომზადების საგანმანათლებლო დაწესებულებების.

შეფასების პარამეტრები განსაზღვრავენ ტურიზმის განვითარების რესურსების მნიშვნელობას. მაგალითად, ბუნების ძეგლები და **გდბტ**-ები ფასდება მათი სტატუსის მიხედვით - შედის: **იუნესკოს** (მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციის) ნუსხაში, თუ ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობის ნუსხაში. რეალურად, მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელოვანი რესურსების არსებობა მიმზიდველობას მატებს ტერიტორიას და ხელს უწყობს ორგანიზებული და არაორგანიზებული ტურისტული ნაკადების მომატებას.

დანართი 3-ში წარმოდგენილია ქვეყნის სუბიექტების რეგიონების ტურისტული მიმზიდველობის რეიტინგის მაჩვენებლების ნუსხა, შემუშავებული ტურიზმის განვითარებისთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი რეგიონების გამოსავლენად. ჩამონათვალში განსაზღვრულია ტერიტორიის მიმზიდველობის კრიტერიუმები პლაჟის, კულტურულ-შემეცნებითი, საქმიანი, აქტიური, გამაჯანსაღებელი, ეკოლოგიური, საკრუიზო და სოფლის ტურიზმის პოზიციიდან. წარმოდგენილი ჩამონათვალი გარკვეულწილად საინტერესოა, მაგრამ არ შეიძლება იყოს რეგიონის ტურისტული პოტენციალის განსაზღვრის საფუძველი.

ტურიზმის რესურსების შეფასების პარამეტრების ჩამონათვალი პოტენციალის განსასაზღვრად. ნუსხა შეიცავს შეფასების პარამეტრების შემდეგ ჯგუფებს:

- ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ობიექტების ეგზოტიკურობის, მიმზიდველობის და უნიკალურობის ზომა;

- ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული პოტენციალის და ტერიტორიის ხელმისაწვდომობა;
- რეკრეაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა;
- ტერიტორიის რეკრეაციული და ტურისტული შესაძლებლობები და მათი გამოყენების ხარისხი. რეკრეაციული საქმიანობის რესურსები და პირობები;
- ტერიტორიის რეკრეაციული გამოყენების ტრადიციები;
- მოსახლეობის ცხოვრების წესი და ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული მემკვიდრეობის აღქმა (ადგილობრივი მოსახლეობის, შიდა ტურისტების, უცხოელი ტურისტების მიერ);
- ბუნებრივ-კლიმატური და ლანდშაფტური პირობები;
- დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებაზე;
- დასვენების ტერიტორიული ორგანიზების ძირითადი ასპექტების ურთიერთდაკავშირებული შესწავლა;
- რეკრეაციული საქმიანობის პეიზაჟური მდგენელი და სხვ. **[10].**

აღნიშნული მეთოდიკის თანახმად, ტურიზმის განვითარების რესურსების შესწავლა ხდება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მნიშვნელოვნობის სკალის 0-დან 5-მდე ქულების მეშვეობით.

დავუბრუნდეთ ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკის აღწერას **(იხ.ნახ.4.).** ავტორების მიერ ფორმულირებულია **რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრების ნაკრები რესურსების სამი ჯგუფისთვის - ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკურისთვის.** შექმნილია შეფასების პარამეტრების სამი ჯგუფი, რომლებშიც გამოყოფილია 34 ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი - **(იხ. ცხრილი 8).**

ბუნებრივ-კლიმატური რესურსების ჯგუფისთვის გამოყოფილია შეფასების 10 პარამეტრი, მათ შორის: ეკოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური პირობების კომფორტულობის ხარისხი, ესთეტიკური ხარისხი, კონტრასტულობა, მიმზიდველობა, **გდბტ**-ის არსებობა, ბუნების ძეგლები, ტურისტული რესურსების ტევადობა, ტურისტული ათვისების ხარისხი და ბუნებრივ კომპლექსებზე ფაქტიური დატვირთვა.

ტურიზმის განვითარების ისტორიულ-კულტურული რესურსების შეფასების პარამეტრების შემადგენლობა შეიცავს 10 პარამეტრს: ობიექტების ისტორიული და კულტურული ღირებულება, გაჯერებულობა, ესთეტიკური ხარისხი, მიმზიდველობა, ობიექტების მდგომარეობა, ობიექტების მნიშვნელობა, ათვისების ტექნოლოგიურობა, კულტურული რესურსების ტევადობა, ტურისტული ათვისების ხარისხი და კულტურულ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა.

სოციალურ-ეკონომიკური რესურსების შეფასების პარამეტრების ჯგუფი შეიცავს 14 პარამეტრს: რეგიონში სატრანსპორტო მიმოსვლა, განთავსების საშუალებები, კვების საწარმოები, გასართობ-სანახაობითი საწარმოები, სანატორიულ-კურორტული საწარმოები, რეგიონული ტურპროდუქტის შესაქმნელად ტუროპერატორების მუშაობა, საკადრო და საგანმანათლებლო რესურსები, მატერიალური რესურსები, საინვესტიციო რესურსები, მმართველობითი რესურსები, ტურისტული მოთხოვნისა და წინადადების

დინამიკა, ტურიზმის განვითარების სახელმწიფო რეგულირების ხარისხი - გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების არსებობა.

დანართი 5-ში განთავსებულია ექსპერტული შეფასების ჩატარების გამოკითხვის ფურცლების ზომები, შესარჩევად ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასების კრიტერიუმებისთვის მომხმარებლების პოზიციიდან და ტურიზმის ორგანიზატორების პოზიციიდან (ექსპერტებისთვის შეთავაზებულია მნიშვნელოვნობის 10 ქულიანი სკალა). ექსპერტული გამოკითხვის ფურცლების დამუშავების შედეგების მიხედვით განისაზღვრება შეფასების პარამეტრების წონითი კოეფიციენტები (დანართი 6).

ცხრილი 8

ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების პარამეტრები ჯგუფების მიხედვით

რესურსების ჯგუფები	შეფასების უმნიშვნელოვანესი პარამეტრები	
	ტურისტების პოზიციიდან	ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორების პოზიციიდან
1. ბუნებრივ-კლიმატური რესურსები	1. ეკოლოგიურობა 2. კომფორტულობა ბუნებრივ-კლიმატური პირობების 3. ესთეტიკური ხარისხი 4. კონტრასტულობა (პეიზაჟური მრავალფეროვნება) 5. მიმზიდველობა	1. გდბტ- ცენტრალური, ადგილობრივი მნიშვნელობის 2. ბუნების ძეგლები - ცენტრალური, ადგილობრივი მნიშვნელობის. 3. ბუნებრივი რესურსების ტევადობა 4. ტურისტული ათვისების ხარისხი 5. ბუნებრივ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა
2. ისტორიულ-კულტურული ძეგლები	1. ისტორიული და კულტურული ღირებულება 2. ობიექტებით გაჯერებულობა 3.ესთეტიკური ხარისხი 4.მიმზიდველობა 5.ობიექტების ტექნიკური მდგომარეობა	1.ობიექტების მნიშვნელობა - ცენტრალური, ადგილობრივი მნიშვნელობის. 2.ათვისების ტექნოლოგიურობა 3.კულტურული რესურსების ტევადობა 4.ტურისტული ათვისების ხარისხი 5.კულტურულ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა
3. სოციალურ-ეკონომიკური რესურსები	1 .სატრანსპორტო მიმოსვლა 2. განთავსების საშუალებები 3. კვების საწარმოები 4. გასართობი-სანახაობითი საწარმოები 5. სანატორიულ-კურორტული საწარმოები 6. ტუროპერატორების მუშაობა, რეგიონული ტურპროდუქტი 7. ინფორმაციული რესურსები (ტურპროდუქტის წინწაწევა)	1. საკადრო და საგანმანათლებლო რესურსები 2. მატერიალური რესურსები 3. საინვესტიციო რესურსები 4. მმართველობითი რესურსები 5. ტურისტული მოთხოვნის დინამიკა 6. ტურისტული შეთავაზება 7. სახელმწიფო რეგულირება

დანართი 6-ში მოყვანილი პარამეტრები აღნიშნულია: **მომხმარებლებისთვის** მნიშვნელოვანი - **„*„** ; **ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორებისთვის** - **„**„**.

მნიშვნელოვანია **„*„** -ით გამოყოფილი ტურისტების მიერ შეფასებული პარამეტრები, რადგან სწორედ ის აჩვენებს ტურისტების ინტერესს რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური რესურსებისადმი. განვითარების რესურსების ჯგუფების მიხედვით შეფასების პარამეტრები, - აღნიშნული **„**„**-ით, - მნიშვნელოვანია ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორების შესაფასებლად, რადგან ის აჩვენებს ტურიზმის განვითარების რესურსების გამოყენების ხარისხს და ტურისტული პროდუქტის შესაქმნელ შესაძლებლობებს.

მომხმარებელთა პოზიციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა: ესთეტიკური ხარისხი - მხატვრულობა; ეკოლოგიურობა; ბუნებრივი პირობების კომფორტულობა და მიმზიდველობა (ბუნებრივ-კლიმატური რესურსების ჯგუფის მიხედვით); ატრაქციულობა და ობიექტების მდგომარეობა (ტურიზმის განვითარების ისტორიულ-კულტურული რესურსების ჯგუფის მიხედვით); სატრანსპორტო მიმოსვლა, განთავსების საშუალებების მდგომარეობა და გასართობ-სანახაობითი საწარმოები (სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის მიხედვით).

ტურიზმის ორგანიზატორების პოზიციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების შემდეგი პარამეტრები: **გდბტ**-ისა და ცენტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლების (ბუნებრივ-კლიმატური რესურსების ჯგუფის მიხედვით) არსებობა; ობიექტების მნიშვნელოვნება - ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი (ტურიზმის განვითარების ისტორიულ-კულტურული რესურსების ჯგუფის მიხედვით); რეგიონში საინვესტიციო რესურსების არსებობა და სახელმწიფო რეგულირების ხარისხი (სოციალურ-ეკონომიკური რესურსების ჯგუფის მიხედვით).

განისაზღვრა ტურისტული რესურსების შეფასების კრიტერიუმები. შერჩეული პარამეტრების შეფასების კრიტერიუმების ფორმირებისთვის გამოყენებულია ტურისტული რესურსების შეფასების **ქულობრივი სკალა.** ტურისტულ საქმიანობაში გარკვეული რესურსის სარგებლიანობის ხარისხის გამოყენებიდან გამომდინარე, ყოველ კრიტერიუმს შეესაბამება შესაბამისი განსაზღვრული ქულების რაოდენობა:

„1“ - არახელსაყრელი პირობები ტურპროდუქტის შესაქმნელად;

„2“ - ნაწილობრივ ხელსაყრელი პირობები ტურპროდუქტის შესაქმნელად;

„3“ - ხელსაყრელი პირობები ტურპროდუქტის შესაქმნელად;

„4“ - საკმაოდ ხელსაყრელი პირობები ტურპროდუქტის შესაქმნელად;

„5“ - ყველაზე ხელსაყრელი პირობები ტურპროდუქტის შესაქმნელად.

როგორც ჩანს, შეფასებისთვის გამოიყენება 5-ქულიანი სკალა, რომელიც განსაზღვრავს რესურსის ხელსაყრელიანობის ხარისხს ტურპროდუქტის შესაქმნელად.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკის გამოყენება აჩვენებს შეფასების შერჩეული კრიტერიუმების გამოყენების ეფექტიანობას. წარმოდგენილი შეფასების სკალა შეიცავს რეგიონის ეკოლოგიური ფაქტორის უარყოფით მნიშვნელობას:

- „-2“ - საკმაოდ არასასიამოვნო პირობები;
- „-1“ - ზომიერად არასასიამოვნო პირობები;

➢ „0“ - რეპელენტური ფაქტორების არარსებობა.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების ჩატარების პროცესში აღინიშნა, რომ ტურიზმის განვითარების რესურსების ინტეგრალური შეფასების ერთიანი უნივერსალური მეთოდიკის ფორმირებისას დაბრკოლებას წარმოადგენს არამარტო რეგიონების ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში განსხვავება და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (რაც განსაზღვრავს მათი შეფასების პარამეტრების ნაკრებს), არამედ თვით შეფასების ფორმაც. დღესდღეობით, გამოიკვეთა შეფასების ორი ურთიერთჩანაცვლებადი ფორმა: **ხარისხობრივი და ქულობრივი.**

ხარისხობრივი შეფასებების ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საშუალებას იძლევა ლოგიკურად დასაბუთდეს შეფასებითი ნიშნები. ხარისხობრივი შეფასებები გამოიყენება ფაქტორების წონადობის განსასაზღვრად მათემატიკური მეთოდების გამოყენებით.

ქულობრივი შეფასება ხასიათდება მოკლე გამოსახვით და შედარების შესაძლებლობით, ხშირად გამოიყენება ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შესაფასებლად.

ტერიტორიის ტურისტული ბონიტირების მეთოდი (ქულების ჯამის მიხედვით შეფასება) გამოიყენება ტურიზმის გეოგრაფიასა და რეკრეაციულ გეოგრაფიაში. ეს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ტერიტორიული ერთეულის ცალკეული თვისებები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთნაირი ღირებულება (შერჩეული სკალის თანახმად) ღებულობენ პუნქტების შესაბამის რიცხვს. სხვადასხვა „ხარისხები“ დაიყვანება საერთო მნიშვნელამდე, პუნქტების ჯამი იძლევა მოცემული სივრცობრივი ერთეულის სინთეზურ შეფასებას, მისი ტურისტული მიმზიდველობიდან გამომდინარე.

შემდგომ, ხორციელდება მიღებული მნიშვნელობების ნორმირება ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების (რომლებიც განისაზღვრება რეგიონში რესურსების არსებობით) სკალის მეშვეობით.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების პროცესში შემუშავებული შეფასებითი სკალის მიხედვით გამოითვლება პოტენციალის კერძო მაჩვენებლები ტურიზმის განვითარების რესურსების ჯგუფების მიხედვით, წონითი კოეფიციენტების გათვალისწინებით.

აღვნიშნავთ, რომ ტურისტული პოტენციალის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმების კომპლექსური გამოყენება რეგიონის ტურისტული რესურსების ღირებულების როგორც გაზრდის, ასევე შემცირების (მისი არახელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობა, არასასიამოვნო ფაქტორების არსებობა და ა.შ.) საშუალებას იძლევა **[82].**

ყოველი რაიონის, ქალაქის შემოგარენის ტურიზმის განვითარების რესურსების კერძო პოტენციალის შეფასება ტურიზმის განვითარების რესურსების ჯგუფების მიხედვით ხორციელდება ფორმულით:

$$P_{ml} = \sum_{i=1}^{n} \frac{p_i v_i}{n_m}, \qquad (9)$$

სადაც, P_{ml} - ტურიზმის განვითარების პოტენციალის კერძო მაჩვენებელია რესურსების გარკვეული ჯგუფის მიხედვით, რეგიონის გარკვეული მუნიციპალიტეტებისათვის;

m - ტურიზმის განვითარების რესურსების ჯგუფის ნომერი;

l - ქალაქის შემოგარენის რაიონის მუნიციპალური ნომერი;

P_i -- ტურიზმის განვითარების პოტენციალის შეფასება რესურსების ყოველი ჯგუფის შესაბამისი კრიტერიუმის i მიხედვით, ქულებში;

V_i - შეფასების კრიტერიუმის i წონითი კოეფიციენტი;

n - ჯგუფში შეფასების კრიტერიუმების რაოდენობა.

ყოველი რაიონისთვის ტურიზმის განვითარების პოტენციალის მაჩვენებელი განისაზღვრება რესურსების სამი ჯგუფის მიხედვით კერძო პოტენციალების ჯამიდან საშუალო მნიშვნელობის გამოყვანის გზით:

$$R_l = \frac{\sum_{m=1}^{t} P_{ml}}{t}, \qquad (10)$$

სადაც, R_l - გარკვეული რაიონის, ქალაქის შემოგარენში ტურიზმის განვითარების პოტენციალის მაჩვენებელი;

t - ტურიზმის განვითარების რესურსების ჯგუფების რაოდენობა.

მთელი რეგიონისთვის ტურიზმის განვითარების პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებელი განისაზღვრება ფორმულით:

$$I = \frac{\sum_{l=1}^{k} R_l}{k}, \qquad (11)$$

სადაც, I - რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებელი;

k - შეფასების ობიექტების რაოდენობა (რაიონების და ქალაქის შემოგარენის).

განვსაზღროთ შეზღუდვები (რეგიონის) რაიონების ტურისტული მიმზიდველობის განსაზღვრისთვის ტურიზმის განვითარების პოტენციალის მნიშვნელობის მიხედვით. გამოვყოთ შეზღუდვები და განვიხილოთ **ცხრ. 9-ში.**

ტურისტული პოტენციალის მაჩვენებლის მნიშვნელობის პარამეტრები ფორმირდება რეგიონული ტურიზმის განვითარების პოზიციიდან. შემომყვანი ტურიზმის ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრისას განხორციელდება პოტენციალის მნიშვნელობების გადაადგილება, რადგან შეფასების კრიტერიუმები შეიცვლება. ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების შედეგების მიხედვით გამოჩნდება რაიონები, რომელთაც აქვთ ტურიზმის განვითარების უმაღლესი პოტენციალი.

ცხრილი 9

ტურიზმის განვითარების პოტენციალის სიდიდის შეზღუდვები (რეგიონი) მუნიციპალიტეტებში, ქალაქების შემოგარენში

№	ტურიზმის განვითარების პოტენციალი	შეზღუდვები
1.	პოტენციალის ძალიან მაღალი მნიშვნელობა	0.90
2.	პოტენციალის მაღალი მნიშვნელობა	0.75 < 0.90
3.	პოტენციალის საშუალოზე მაღალი მნიშვნელობა	0.60 < 0.75
4.	პოტენციალის საშუალო მნიშვნელობა	0.45 < 0.60
5.	პოტენციალის საშუალოზე დაბალი მნიშვნელობა	0.30 < 0.45
6.	პოტენციალის დაბალი მნიშვნელობა	0.15 < 0.30
7.	პოტენციალის არარსებობა	1 < 0.15

აქ ჩამოყალიბებულია ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების კრიტერიალური ბაზა და ტურიზმის განვითარების ცალკეული რესურსების შეფასების სკალა [**82**].

ტურიზმის განვითარების ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური რესურსების პოტენციალის მიღებული სიდიდეების ჭრილში საჭიროა ჩატარდეს რესურსების ყოველი ჯგუფის მდგომარეობის **შედარებითი შეფასება.** აქედან გამომდინარე, რეგიონის ყველა რაიონისთვის განისაზღვრება ტურიზმის პერსპექტიული სახეობები.

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების უფრო დეტალური კვლევა, ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების (მუნიციპალიტეტების) **ტურისტული პოტენციალის განსაზღვრა და ტურიზმის განვითარების მიმართულებების მეცნიერული დასაბუთება** შესაძლებელს გახდის რეგიონული ტურიზმის მართვის სფეროში ამაღლდეს მმართველობითი გადაწყვეტილებების სიზუსტე და შედეგიანობა, ხელს შეუწყობს რეგიონში ტურისტული საქმიანობის რეალიზაციიდან მულტიპლიკატური ეფექტის მიღებას.

5.5. ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების მეთოდიკის გამოყენების ძირითადი მიმართულებები

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეფასება - ეს არის მოქმედი და შეცნობილი სუბიექტისთვის რაღაცის ღირებულების დადგენის საშუალება, „რესურსული“ პროფილის ტურისტულ-გეოგრაფიულ ნაშრომებში ყველაზე უფრო გამოყენებადი მეთოდი.
ამ ზოგად განსაზღვრებას უკან მოჰყვება მიდგომების დიდი რაოდენობა და კონკრეტული მეთოდები ტურიზმის გეოგრაფიაში. პირობითად მათი გაყოფა შეიძლება ორ ტიპად:

1) **ტურიზმში ობიექტი-სუბიექტის დამოკიდებულების ანალიზი „სტიმული-რეაქცია“-ს მეთოდით.** კონცეფცია „სტიმული-რეაქცია“ ტურიზმის გეოგრაფიის პრაქტიკაში შემოვიდა ე.წ. „ქცევის გეოგრაფიიდან“(ბიჰევიორისტული გეოგრაფიიდან; ინგლ. – BEHAVIOUR - ქცევა) - სივრცობრივი ქცევის მეცნიერებიდან, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ცნება - „**სტიმული**“ და **„რეაქცია“**. სტიმული - ორგანიზმზე ზემოქმედებაა, ხოლო რეაქცია - სტიმულზე ადამიანის პასუხი. XX ს. მეორე ნახევარში ქცევის ფსიქოლოგიას ჩაენაცვლა კოგნიტური ფსიქოლოგია, თუმცა, თეორიას „სტიმული-რეაქცია“ არ დაუკარგავს თავისი კონსტრუქციული ხასიათი .
2) **ტურისტული საქმიანობის შეფასების სოციალურ-ეკონომიკური მეთოდები მის სხვადასხვა ასპექტებში:** რესურსებიდან დაწყებული მათ ეფექტურ გამოყენებამდე მოტივაციების რეალიზაციისა და დასვენების მოთხოვნილებების მიზნით დამთავრებული. ამასთან, მიღებული შეფასებების ასახვის ფორმა მერყეობს ფართო დიაპაზონში უმარტივესი ქულობრივი შეფასებებიდან ეკონომიკურ და მათემატიკურ ფორმებამდე.

ნახ.6-ზე აღნიშნულია **უკუკავშირის არსებობა,** რომელიც მიუთითებს ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის ცვლილებების შემდგომი მონიტორინგის, რეგიონების ტურისტული მიმზიდველობის ფორმირების პროცესების დინამიკის კვლევის მნიშვნელობაზე.

ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების შედეგების ეფექტიანი გამოყენებისთვის შეიქმნა **ტურისტული გეოპორტალის დამუშავების კონცეფცია.** განისაზღვრა მისი ჩანაცვლებისა და შინაარსის სტრუქტურა. ტურისტული გეოპორტალის დამუშავების კონცეფცია მდგომარეობს გეოინფორმაციული სისტემის - **გის**-ის ფორმირებაში მარტივი და მომხმარებლისთვის მიმზიდველი ინტერფეისით, რომელიც ტურიზმის განვითარების რიგი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის, რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარების მართვის საშუალებას იძლევა.



ნახ. 6. ტურისტული რესურსების გამოყენების შედეგების შეფასების სქემა

გეოპორტალის შექმნის მთავარი მიზანი - მომხმარებლების ინფორმირება ქვეყანაში არსებული ტურიზმის განვითარების რესურსების შესახებ. გეოპორტალის საშუალებით ხორციელდება მომხმარებლების ინფორმირება მომავალი რეგიონული ტურპროდუქტის შესახებ, რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე და მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია უცხოელი ტურისტების ჩამოსვლასთან და სხვ.

ახლა განვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია **რეგიონული ტურისტული გის**-ის საშუალებით.

ინფორმაციის შეგროვება და ტურისტული რესურსებისა და ობიექტების შეფასება. ტურისტული **გის**-ის შექმნის მეთოდური უზრუნველყოფა დაკავშირებულია ტურისტული რესურსების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ტურისტული რესურსების შეფასების სტანდარტული მეთოდიკის განსაზღვრასთან; ტურისტული რესურსებისა და პირობების (რომლებიც შეადგენს რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს) კომპლექსური შეფასების საკითხის გადაჭრასთან.

ტერიტორიის ტურისტული დარაიონების ჩატარება ხორციელდება ტურისტული **გის**-ის ფორმირების დასაწყისში. რაიონების ტურიზმის რესურსების ანალიზის შედეგების საფუძველზე ტარდება მათი რეიტინგული შეფასება საერთაშორისო, ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის ტურისტული კომპლექსების, ასევე პერსპექტიული და ძნელადმისადგომი რაიონების გამოყოფით. ტურისტული ტერიტორიებისა და ობიექტების პასპორტიზაცია შეიცავს ძირითად ელემენტებს: დასახელება, მისი ადგილმდებარეობის, კარტოგრაფიულ საფუძველთან მიბმული მოედნებისა და საზღვრების აღწერა, შემადგენლობა, დანიშნულება, ინფორმაცია მესაკუთრეზე და სხვა ცნობები. ყველა ტურისტული რესურსებისა და ობიექტების პასპორტები კლასიფიცირდება და შეიტანება **გის**-ის ერთიან მონაცემთა ბაზაში.

მონაცემთა ბაზებისა და ბანკების ფორმირება - ისტორიულ-კულტურული ობიექტების, ტურისტული მარშრუტების, ტურიზმის ინფრასტრუქტურის ობიექტების. ეს შესაქმნელი **ტურისტული გის**-ის აუცილებელი ელემენტია. სწორედ ტურისტული ინფორმაციის ამ საცავების საფუძველზე და ანალიტიკური ინსტრუმენტების საშუალებით **ტურისტული გის**-ი იძენს ღირებულებას და ხდება ინტერაქტიური. მისი საშუალებით შესაძლებელია ტურისტული მარშრუტების დამოუკიდებელი პროექტირება, კომფორტულობის მიხედვით განთავსების საშუალებების შედარება, დამატებითი მომსახურების ნაკრების შერჩევა და ა.შ. **ტურისტულ გის**-ში გეოსივრცითი მონაცემების წარდგენის შესაძლებლობების უფრო ფართოდ გამოყენებისთვის მიზანშეწონილია დაემატოს ტურისტული ობიექტების ფოტოები, ვიდეორგოლები, აუდიოჩანაწერები, 3D-გამოსახულებები და სხვ. **გის**-ის საშუალებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ტურისტული ღონისძიებების ონლაინ ტრანსლირება თუ წინასწარ დადგება (დამონტაჟდება) ვებ-კამერები და უზრუნველყოფილი იქნება სერვერთან კავშირი.

ტერიტორიის ტურისტული სპეციალიზაციის განსაზღვრა. თემატური რუკებისა და ჩანართების შექმნა - არის ტურისტული რესურსების ანალიზის შედეგი და **გის**-ის ტექნიკური განხორციელება. რეგიონის ტურისტულ სპეციალიზაციას განსაზღვრავს რესურსების ცალკეული ჯგუფების მდგომარეობა. ჩვეულებრივ, ტურისტული საქმიანობის სპეციალიზაცია აისახება თემატურ კარტოგრაფიულ მასალებში. უნდა აღინიშნოს, რომ **ტურისტული გის**-ი შეიძლება იქცეს **პლატფორმად ტურისტული რესურსების კადასტრის სისტემის შექმნისთვის** იმ პირობით, რომ მოცემული სისტემა ფორმირდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერით.

რეგიონში ტურიზმის მართვის სფეროს გადაწყვეტილებების მხარდაჭერა. ეს არის **ტურისტული გის**-ის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო.

მხარდაჭერა განსაზღვრავს **გის**-ის გამოყენების ეფექტიანობას.**რეგიონული გის**-ის რიგი ობიექტების ზოგიერთი ფუნქცია და ცნობა მიუწვდომელია ჩვეულებრივი მომხმარებლებისთვის, მაგრამ ტურიზმის მართვის სფეროს სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური ორგანოები და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სურვილის შემთხვევაში, უფლებამოსილი არიან მიიღონ დაშვება აუცილებელ ინფორმაციაზე.

ტერიტორიის ტურისტული პროდუქტის და ბრენდის წინწაწევა. გეოპორტალის ტექნოლოგიური შესაძლებლობები საშუალებას იძლევა მიმზიდველი და ხელმისაწვდომი ფორმით აჩვენოს ტერიტორიის ტურისტული შესაძლებლობები და ფორმირება გაუკეთოს მის ტერიტორიას. სამწუხაროდ, ხშირ ემთხვევაში მომხმარებელთა ფართო წრისთვის ნაკლებადაა ცნობილი რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ. აღვნიშნავთ, რომ **ტურიზმის განვითარების რეგიონული გის**-ების შექმნა შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს რეგიონის ტურისტული რესურსების გამოყენების ეფექტიანობა. ტურისტული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის ძირითადი მიმართულებები, მიღებული გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით, ასახულია **ცხრ.10-ში.** რეგიონში მაღალეფექტური ტურისტული კომპლექსის განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის მის, როგორც საერთაშორისო სამეწარმეო და საქმიანი თანამშრომლობის სფეროს, მიმზიდველობას.

გის-ის შევსების სტრუქტურა და ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა **რაიონების ტურისტული გის**-ების პროექტირებისას.

აღვნიშნავთ, რომ **რეგიონული ტურისტული გის**-ის დანერგვა, პირველ რიგში, წარმოადგენს სოციალურ პროექტს, მაგრამ პერსპექტივაში ის შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გაიზარდოს ტურისტული ნაკადები რეგიონში.

ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების შედეგები და ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების მეცნიერული დასაბუთება შეცდომების არიდებისა და ტურიზმის განვითარების პროგრამების ღონისძიებების რეალიზაციის ეფექტიანობის ზრდის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საინვესტიციო პროექტების რაოდენობის გაზრდის საშუალებას იძლევა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებლები, არამარტო ტურისტული დარგის, არამედ მთლიანად რეგიონული ეკონომიკისაც. ტურიზმის განვითარება შესაძლებელს გახდის რეგიონის ეკონომიკის დივერსიფიცირების, უზრუნველყოფს მის დაჩქარებულ გაზრდას.

რეგიონული გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია მიმართული უნდა იყოს ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის განვითარებაზე და ქვეყნის ინტეგრაციაზე მსოფლიო ტურისტულ სივრცეში. აუცილებელია ქვეყნის ყველა რეგიონის ტურისტული რესურსების გახსნილობის და ხელმისაწვდომობის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ეს მოითხოვს ტურისტული გეოინფორმაციული სისტემების შექმნას, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ტურისტული პოტენციალისა და რეგიონების ტურისტული შესაძლებლობების შესახებ.

ცხრილი 10

ტურიზმის განვითარების რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებები რეგიონული გის-ების გამოყენებით

ტურისტული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებები	**პრობლემის გადაწყვეტით დაკა-ვებული ორგანო**	**მნიშვნელობის დონე**
ტურისტული რესურსებისა და ობიექტების ინფორმაციის შეგროვების მეთოდიკის სრულყოფა	სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები	სახელმწიფო
ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის გამოყენების უფრო ობიექტური შეფასებისთვის გაფართოებული ანგარიშგების შემოღება	ტურიზმის ადმინისტრაცია, სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები	სახელმწიფო
ტურისტული ინდუსტრიის ტურისტული რესურსებისა და ობიექტების რეესტრების აუცილებელი წარმოება რეგიონებში ტურიზმის მართვის სახელმწიფო ორგანოების მიერ	ცენტრის სუბიექტების მარეგულირებელი ორგანოები, საქსტატი	სახელმწიფო, რეგიონული
რეგიონების ტურისტული ინდუსტრი-ის ტურისტული რესურსებისა და ობიექტების მონაცემთა ბანკების ფორმირება	საქსტატი, ცენტრის სუბიექტებში ტურიზმის განვითარების ორგანოები	რეგიონული
ტურიზმის განვითარების რეგიონული გეოინფორმაციული სისტემის დამუშავება	დამმუშავებელი	რეგიონული
რეგიონების ტურისტული რესურსების შეფასების მეთოდიკების სრულყოფა, რომლებიც შეიცავს შესწორებით კოეფი-ციენტებს ტერიტორიის ფიზიკურ-გეგრაფიული პირობებისა და მისი ტურისტული სპეციალიზაციისგან დამოკიდებულებით	სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, ტურიზმის ადმინისტრაცია	სახელმწიფო
რეგიონების ტურისტული რესურსების კომპლექსური შეფასების ჩატარება	სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, ტურიზმის ადმინისტრაცია, ცენტრის სუბიექტებში ტურიზმის განვითარების ორგანოები	სახელმწიფო, რეგიონული

გეოპორტალის ინფორმაციის გამოყენება ტერიტორიის ტურიზმისთვის გადაწყვეტილებების მისაღებად, ტურიზმის განვითარების პროგრამების დასასაბუთებლად	ტურიზმის ადმინისტრაცია, ცენტრის სუბიექტებში ტურიზმის განვითარების ორგანოები	რეგიონული
რეგიონის წინწაწევა ტურისტულ ბაზარზე, რეგიონული ტურპროდუქტის წინწაწევა, ტერიტორიის ტურისტული იმიჯის ფორმირება	ადგილობრივი ტუროპერატორები, სხვა რეგიონების ტუროპერატორები, ცენტრის სუბიექტებში ტურიზმის განვითარების ორგანოები, გეოპორტალის დამმუშავებლები	საერთაშორისო, რეგიონთა-შორისი, ადგილობრივი
ტურისტული ნაკადების გაზრდა	ტუროპერატორები, ცენტრის სუბიექტებში ტურიზმის განვი თარების ორგანოები, გეოპორტა ლის დამმუშავებლები	რეგიონული

ქვეყანაში არსებული **ტურისტული რესურსების ეფექტიანი მართვა შეუძლებელია მათი კომპლექსური შეფასების გარეშე,** რომელიც უნდა ტარდებოდეს რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში. პრაქტიკაში ტურისტული დარაიონება ჩვეულებრივ ხორციელდება ბუნებრივ-ტერიტორიული სისტემების საზღვრების შესაბამისად. ასეთი მიდგომა მართებულია მხოლოდ **ტურიზმის განვითარების განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ან ტურისტული კლასტერების ფორმირებისას.**

გამოვყოფთ ზოგიერთ პრობლემას, რომლებიც **ხელს უშლის** ქვეყნის ტურიზმის რესურსული მდგენელის ეფექტიან მართვას:

- რეგიონების ტურისტული რესურსების შესახებ სრული და ხელმისაწვდომი ინფორმაციის არარსებობა;
- ტურისტული რესურსებისა და ობიექტების აღრიცხვის ერთიანი ხელმისაწვდომი ინფორმაციული სისტემის არარსებობა;
- ტურისტული რესურსების შესახებ საყოველთაოდ მიღებული ინფორმაციის შეგროვების ეფექტიანი მეთოდის არარსებობა, რომელიც შესრულებულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (**მტო**) მოთხოვნების გათვალისწინებით;
- რეგიონების ტურისტული ვებსაიტების არასაკმარისი რაოდენობა და ხარისხი, წინწაწევის სტრატეგია;
- ქვეყნის ტურისტული რესურსების წინწაწევის არასაკმარისი ფინანსირება.

ქვეყნის ტურისტული რესურსების ეფექტიანი მართვის აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისთვის აუცილებელია ტურისტული რესურსების ინფორმაციის შეგროვებისა და შეფასების მეთოდური საფუძვლების სრულყოფა. ეს უნდა გაკეთდეს ქვეყნის სუბიექტების **თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემების** - **გის**-ების შექმნის გზით. თანამედროვე პირობებში **განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული ტურისტული გისების შექმნას.**

უნდა აღინიშნოს, რომ **ტურისტული გის**-ი შეიძლება გახდეს **პლატფორმა ტურისტული რესურსების კადასტრის** (რაზედაც ზემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრეთ)

სისტემის შექმნისთვის იმ პირობით, რომ მოცემული სისტემა ფორმირდება ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით და თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე. **რეგიონულ ტურისტულ გის**-ს უნდა გააჩნდეს ღია ხელმისაწვდომობა. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც გეოპორტალი. ასევე, **გის**-ს უნდა გააჩნდეს ინტერაქტიურობის ელემენტები, ინფორმაციის ოპერატიული განახლება და შეძლოს ანალიტიკური ფუნქციების შესრულება. **რეგიონული გი**ს-ის ინტერაქტიურ რუკაზე შეიძლება აისახოს ტურიზმის განვითარებისთვის პრიორიტეტული ტურისტული რაიონები, განხორციელდეს ტურისტული სპეციალიზაცია.

შესაძლოა, **რეგიონული გის**-ის რიგი ობიექტების ზოგიერთი ფუნქცია და ცნობა არ იყოს ხელმისაწვდომი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის, თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოებს ტურიზმის მართვის სფეროში და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეძლებათ, სურვილის შემთხვევაში, მიიღონ დაშვება აუცილებელ ინფორმაციაზე. ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ **ქვეყანაში ტურიზმის განვითარების გის**-ის შექმნის ინიციატივა და მუშაობის კოორდინაცია უნდა ეკუთვნოდეს **ტურიზმის ადმინისტრაციას.**

რეგიონული ტურისტული გეოინფორმაციული პორტალი შეიძლება იყოს ოპერატიული, სრული და უტყუარი ინფორმაციის წყარო **რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის** შესახებ. ის შესაძლებელს გახდის ეფექტიანად გადაიჭრას **ტურიზმის მართვის** ბევრი ამოცანა, გაიზარდოს კონკურენტუნარიანობა და ხელი შეეწყოს სხვა რეგიონებიდან ტურისტებისა და უცხოელი ტურისტების შემოდინებას.

5.6. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება

მიუხედავად თავისი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის როლისა, ტურისტულ-რეკრეციული საქმიანობა იწვევს გარემოს სახეცვლილებას. ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. რეგულირების ყველაზე მოთხოვნად ეკონომიკურ ინსტრუმენტს დღესდღეობით წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდების სისტემატიზაცია და უნივერსალური მეთოდიკის შემუშავება საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს ყველა ეკონომიკური ინსტრუმენტი ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისგან დაცვის საკითხებში და ამით გაიზარდოს გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დაცვა -შენარჩუნება.

არსებული მიდგომებისა და ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდების კრიტიკული ანალიზის შედეგების თანახმად, ავტორებმა შემოგვთავაზეს მათ მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, რომელიც წარმოდგენილია ნახ.2-ზე. ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მრავალრიცხოვან არსებულ მიდგომებს შორის

გამოყოფილია ისინი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (**ტრრ**) შეფასებისას:

- ინტეგრალური მიდგომა;
- შედარებითი მიდგომა (საბაზრო ფასების გამოყენება);
- შემოსავლითი მიდგომა (მიწის რენტის კაპიტალიზაცია);
- ხარჯვითი მიდგომა (ჩანაცვლებაზე ხარჯის განსაზღვრა, კვლავწარმოება, აღდგენა და გადაადგილება);
- ალტერნატიული ღირებულების ხარჯის ან ხელიდანგაშვებული მოგების კონცეფცია;
- სუროგატული ბაზრების მოდელირება.

ტრრ-ის ეკონომიკური შეფასების მიდგომა უნდა შეირჩეს წარმოებული შეფასების მიზნებიდან გამომდინარე (**ნახ.7**).

ტრრ-ის ეკონომიკური შეფასებისთვის რეკომენდებული მეთოდები დაჯგუფებულია გამოყოფილი მეტობის შესაბამისად.

1. ინტეგრალური (კომპლექსური) მიდგომა. გულისხმობს სავარაუდო საქმიანობის თანაფარდობას მისი განხორციელების შესაძლებლობასთან მიმართებაში, სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება ხდება გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით. ეს სისტემა შეიცავს საზოგადოებრივ წარმოებაზე, ჯანმრთელობასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე ასეთი ზემოქმედების პირდაპირ და ირიბ შედეგებს [**83**].

რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასებისთვის კომპლექსური მიდგომის შემადგენლობაში შეიძლება შემდეგი მეთოდების გამოყენება : **კადასტრული შეფასება; ქულობრივი შეფასება; საერთო ეკონომიკური ღირებულების შეფასება.**

კადასტრული შეფასება. შეფასების მოცემული მეთოდი ეფუძნება ბუნებრივი რესურსის კონკრეტული სახეობის შესახებ ინფორმაციის ერთობლიობას; შეიცავს მისი რაოდენობის (მარაგების), ასაკის, ხარისხობრივი შემადგენლობისა და სტრუქტურის, ადგილმდებარეობის მახასიათებლებს და სხვა მრავალ მაჩვენებელს (ინდიკატორებს). კადასტრული ჯგუფები (რომლებადაც იყოფა ესა თუ ის ბუნებრივი რესურსი, მაგ., მიწის) განსაზღვრულია ქულებით (მაგალითად, 1-დან 100-მდე). არსებული კადასტრების მონაცემების მიხედვით, უნდა განისაზღვროს ყველაზე მაღალი სუფთა შემოსავლის და ყველაზე დაბალი დანახარჯის ათვისების, გამოყენების, კვლავწარმოების და ბუნებრივი აქტივების მოცემული სახეობის დაცვის პირობები. კადასტრული მეთოდი უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების უფრო დეტალიზებულ შეფასებას შედარებით გამარტივებულ ხარჯვით და რენტულ მეთოდებთან და შეიძლება გამოყენებული იქნეს თითოეულ მათგანთან ერთობლიობაში [**84**].



ნახ. 7. **ტრრ** ეკონომიკური შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია შეფასების მიდგომებისგან დამოკიდებულებით

ქულობრივი შეფასება. ბუნებრივი რესურსების შეფასება ქულობრივი მეთოდით მდგომარეობს იმაში, რომ რესურსების კრიტერიუმების მნიშვნელობებს ქულები ენიჭება გარკვეული წესების შესაბამისად. შემდგომ, მიღებული ქულები მრავლდება შესაბამისი კრიტერიუმების ხვედრითი წილის კოეფიციენტებზე, მიღებული მნიშვნელობები იკრიბება და გამოითვლება რაღაც ჯამური ქულა, რომელიც ასახავს რეკრეაციული რესურსის შეფასებას. კრიტერიუმების ხვედრითი წილის კოეფიციენტები დგინდება შეფასების ჩატარების მიზნებისა და განსაკუთრებულობის გათვალისწინებით. მაგრამ შეფასების ქულობრივი მეთოდები სუბიექტურია და, როგორც წესი, არ იძლევა გამოთვლით მაჩვენებლებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკურ ანალიზში. იმავდროულად, ბუნებრივი რესურსების ბევრი მახასიათებელი შეიძლება გაიზომოს მხოლოდ პირობითი (შედარებითი) სიდიდეებით, მაგალითად, რომელიმე ლანდშაფტის შემეცნებითი ღირებულება. ამიტომ იქ, სადაც რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ან ჯერ არ არის შემუშავებული, ქულობრივი მეთოდების გამოყენება არის შეფასების ერთადერთი შესაძლებელი მეთოდი.

ქულობრივი შეფასების მეთოდიკა.

მოცემული მეთოდიკა ფართოდ, ზოგჯერ გაუმართლებლად, არის გავრცელებული. ის არის ერთი შეხედვით ადვილად ხელმისაწვდომი და განხორციელებადი, თუმცა, ეს დიდი შეცდომაა. ყოველი რეკრეაციულ-ტურისტული კვლევის „ქულების“ უკან დგას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები „სტიმული-რეაქცია“-ის ტიპის, რომელიმე შესაძლებლობის შესაბამისად.

ყველა სახის ქულობრივი შეფასებისთვის საჭიროა **ქულობრივი შეფასების ძირითადი ეტაპების** დაცვა, კერძოდ :

1. კვლევის ამოცანების განსაზღვრა;
2. შეფასებითი მაჩვენებლების გამოვლენა;
3. შეფასებითი სკალების დამუშავება, როგორც წესი, „სტიმული-რეაქცია“ კონცეფციის ბაზაზე;
4. კერძო შეფასებების მიღება (ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით);
5. ინტეგრალური შეფასებების მიღება (მეცნიერულად დასაბუთებული განზოგადების კრიტერიუმების საფუძველზე);
6. შეფასების ანალიზი.

განვიხილოთ გამოყოფილი ექვსივე ეტაპის მეთოდური პრობლემები.

პირველი ეტაპი. ძირითადი პრობლემა მდგომარეობს შეფასების სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრებაში - კონკრეტული რა მიზნით ჩატარდება შეფასება? არადამაკმაყოფილებელი შეფასების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი არის დეკლარაციულობა, რომელიც მჭიდრო კავშირშია მათი განსაზღვრების ბუნდოვანებასთან. შეფასება, - თუ გავაფართოებთ ზემოთ განსაზღვრულს, - ასახავს სუბიექტისა და ობიექტური რეალობის ურთიერთქმედებას. იგი არის ობიექტური რეალობის სუბიექტური გამოსახულება.

ღირებულებები განპირობებულია ადამიანის პრაქტიკული საქმიანობით და მჭიდრო კავშირშია მის არსებობასა და საქმიანობასთან - მხოლოდ ადამიანისთვის და მხოლოდ ადამიანის საშუალებით რეალობა იძენს ღირებულებით აქსიოლოგიურ ხასიათს. ამასთან, აქტუალური შეფასებების ცვალებადობის აცილება შეუძლებელია, ვინაიდან ყოველი

საზოგადოებრივი ჯგუფი და ყოველი ინდივიდი სისტემაში „სტიმული-რეაქცია“ ავლენს თავის განსაკუთრებულობას, უფრო მეტი, ცხოვრების სიტუაცია ისეთია, რომ იცვლება მოტივაციები, ისევე, როგორც იცვლება თვით სიტუაცია. ამიტომ ტურისტულ-რეკრეაციული შეფასების მოცემულ ეტაპზე სუბიექტისა და ობიექტის შეფასების დასაბუთება არის არა ფორმალური, არამედ მკაცრად შემოქმედებითი სამეცნიერო სამუშაო მკვლევარის. „ამოცანა ბიჰევიორისტის მდგომარეობს იმაში, რომ ამოიცნოს „სტიმული-რეაქცია“ დამოკიდებულების ჯაჭვი და ამ გზით ახსნას ქცევა“.

მეორე ეტაპი. აქ მთავარი პრინციპია ვოლუნტარიზმის არარსებობა. ეს არის რთული ეტაპი, რომელიც მოითხოვს წამყვანი, უპირატესად რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყოფის აუცილებლობას, მაჩვენებლების გაერთიანებას (აგრეგაციას) და, ბოლოს, მოითხოვს ტურისტების (საზოგადოებრივი ჯგუფების, ინდივიდების) გარკვეულ სტიმულებზე რეაქციის საკმაოდ დახვეწილ ზედმიწევნით ცოდნას. სწორედ ამ სტადიაზე ვლინდება მკვლევარის ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი.

მესამე ეტაპი. ეს არის მაჩვენებლების შეფასებითი სკალების შემუშავება . რაოდენობრივი შეფასებები ქმნიან სკალების გართულებული რიგითობის ჩამონათვლის ოთხ სახეობას : **კლასიფიკაციის (ნომინალური), რიგობითი, ინტერვალების და ურთიერთდამოკიდებულების.**

კლასიფიკაციის (ნომინალური) სკალა გამოიყენება მხოლოდ ობიექტების განსხვავებულობისთვის. რიცხვი ამ სკალაში მხოლოდ კლასიფიკაციის საშუალებაა. ნომინალური სკალები ასახავენ ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ციკლების კლასიფიკაციას ან **ტრს** -ის ტიპოლოგიას.

რიგობითი სკალა ემსახურება ობიექტების მოწესრიგებას გარკვეული ნიშნის მიხედვით. ასეთი სკალები ტურიზმის სფეროში ცოტა არ არის : განთავსების საშუალებების კატეგორიზაცია (სასტუმროების, მოტელების, კემპინგების და ა.შ.; კლიმატის ტიპების რეკრეაციული მკურნალობის მიზნებისთვის; პეიზაჟების მორფოლოგიური განსაკუთრებულობის და ა.შ.).

ამ ორი სკალით ოპერირებისას არავითარ არითმეტიკულ ოპერაციებს რიცხვებზე აზრი არ აქვს და, საერთოდ, ვერც განხორციელდება ისინი. ფართოდ გავრცელება მოიპოვა რიგობითმა სკალებმა ექსპერტების ანკეტირებაში. კლასიკური მაგალითი შეიძლება იყოს რესპონდენტების მიერ ფართოდ გამოყენებული რეკრეაციული ობიექტების მიმზიდველობის რანჟირების მეთოდი.

ინტერვალების სკალა. ეფუძნება რეალური რიცხვების რიგითობისა და შეკრების თვისებებს. გეოგრაფიაში აღწერილია **ქულობრივი მეთოდი,** რომელიც ითვალისწინებს შერჩეული პირველადი მაჩვენებლების (აბსოლუტური სიდიდეების) [ეს ზემოთ აღწერილი მეორე ეტაპია] შეფასებას ქულების საშუალებით ინტერვალური სკალის გამოყენებით (ცხრ. 11).

ცხრილი 11

პირველადი მაჩვენებლების შეფასების სკალა 5-ქულიანი სისტემით

შეფასება ქულებით	პირველადი მაჩვენებლების გრადაცია
1	F_{min} - (F_{min} + i)
2	(F_{min} + i) - (F_{min} + 2i)
3	(F_{min} + 2i) - (F_{min} + 3i)
4	(F_{min} + 3i) - (F_{min} + 4i)
5	(F_{min} + 4) - (F_{max} + 5)

ამავე დროს, ყოველი პირველადი მაჩვენებლისთვის (F) ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში საზღვრავენ (F_{max}) მაქსიმალურ და (F_{min}) მნიშვნელობებს. სხვაობა (F_{max}) - (F_{min}) წაროადგენს დაყოფის ინტერვალს (i) ყოველი გრადაციისთვის, რომელსაც აფასებენ შესაბამისი ქულით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტერვალების სკალაზე შეიძლება ნებისმიერი შუალედები იყოს მიღებული. ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმ შემთხვევაში, როცა არ ხდება სუბიექტ-ობიექტის შესწავლა. მაგ., არსებობს ტემპერატურის სკალები ცელსიუსის, კელვინის, ფარენგეიტის, რეომიურის, - რომლებიც განსხვავდებიან ნულის ათვლის პრინციპით და გრადუირებით. ინტერვალურ სკალებში შეკრებისა და გამოკლების ოპერაციები კანონზომიერია, ხოლო გამრავლება და გაყოფა მოითხოვს ათვლის ნულოვან წერტილს, რომელიც პირობითია. თუ არსებობს წინასწარ მოცემული ნულოვანი წერტილი (ფიზიკაში, მაგ., ბუნებრივი ნული - ნივთიერების, ობიექტის არარსებობა), მაშინ ინტერვალების სკალა გადადის ურთიერთობების სკალაში. ამ სკალაზე რიცხვებზე სრულდება ოთხი არითმეტიკული მოქმედება და შედარების ოპერაცია.

სოციალურ მეცნიერებებში, რომლებსაც განეკუთვნება ტურიზმის გეოგრაფია, შენარჩუნებულია მითითებული სკალების საერთო თვისებები და მათი დარღვევა არ შეიძლება.

ინტერვალური სკალები საშუალებას იძლევა სხვადასხვა რანჟირების რიგები გამოვიყენოთ მთავარი რაოდენობრივი შეფასებისთვის. რა არის აქ **მთავარი პრობლემა**? ის შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **შეფასებითი სკალების აგება მეთოდური თვალთახედვით მდგომარეობს გაზომვიდან შეფასებაზე გადასვლის არსებითი კანონზომიერების პოვნაში.**

გაზომვების სკალა - მხოლოდ საწყისი მასალაა, რომელიც ახასიათებს ტურისტზე ზემოქმედების ობიექტს უწყვეტი სკალის საშუალებით. თუ გეოგრაფმა შეისწავლა ტურისტზე ობიექტის ზემოქმედების დამოკიდებულების სახეობა (სწორხაზოვანი, ლოგარითმული და ა.შ.), მაშინ მას შეუძლია გადაიყვანოს გაზომვების სკალა შეფასების სკალაში (ნახ. 8).

A

B



ნახ.8

არსებობს ქულობრივი სკალების რამდენიმე ძირითადი სახეობა [85] საყრდენი (გასაზომი) სკალის გრადაციის მიხედვით ქულების განაწილების ნიშნით (ნახ. 9).



ნახ.9

დ.ლ.არმანდის მიერ მოყვანილი პირობითი (მაგრამ თეორიულად მნიშვნელოვანი) მაგალითიდან ჩანს, რომ საყრდენი სკალა A შეიცავს 80 გრადაციას. შემდგომ მეცნიერი უშვებს, რომ სიზუსტის ხარისხი, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება, გვაიძულებს, მაგალითად, სკალა გავყოთ 4 ქულად (სკალა B). ამავე დროს, იმისგან დამოკიდებულებით, თუ რა მნიშვნელობა აქვთ პირველსა და მომდევნო გრადაციებს შორის განსხვავებებს შეფასების შედეგებისთვის, ქულობრივი არითმეტიკული სკალები შეიძლება იყოს შემდეგნაირად: 1)

თანაზომიერი არითმეტიკული ქულობრივი (იგივე სკალა B); 2) გაფართოებული (რეაქცია მცირდება სტიმულზე) - სკალა C; 3) დავიწროებული (რეაქცია სტიმულზე იზრდება) - სკალა D. საყრდენ სკალაში (ახლა ის უკვე კანონზომიერად იწოდება ალგებრულად) სიდიდეები შეიძლება გადადიოდეს ნულიდან (სკალა E), რის შესახებ მეტყველებს ტერჯანგის [86] ფიზიოლოგიური კომფორტის ინდექსების სკალა. ალგებრული ქულობრივი შეფასებისთვის, როგორც ჩანს **ნახ.9**-დან, დ.ლ.არმანდმა ააგო სკალა, რომელიც ფართოვდება ბოლოებისკენ (F). ამ სკალის თანახმად, ქულების დაგროვება უნდა მოხდეს საყრდენი სკალის იმ ნაწილში, სადაც ის იძლევა ინფორმაციის ყველაზე დიდ მოცულობას. თუ ქულების განაწილება არათანაზომიერია, მაშინ ისინი უნდა გაიზარდოს ან შემცირდეს გარკვეული მათემატიკური ფუნქციის კანონის თანახმად. ქულები, რომლებიც არ ემორჩილება არავითარ კანონს, არალოგიკურია და გამოყენებისას შეიძლება შეცდომები გამოიწვიონ.

შეფასებითი სკალების საკითხის ლოგიკური დასრულებისთვის არმანდის ქულობრივი სკალები წარმოდგენილია დეკარტის კოორდინატებში და შედარებისთვის მოცემულია გრაფიკი, რომელზეც ასახულია შეფასებებზე დაკვირვების მათემატიკური დამუშავების შედეგები, რომლებიც გამოიყვანეს ექსპერტებმა (ნახ.10). მიღებულია სასურველობის სკალა (ფუნქცია), სასურველობის (ან უპირატესობის) სკალის სდანიშნულება მდგომარეობს შეფასების შედეგად ფიზიოლიგიურ და ფსიქოლოგიურ პარამეტრებს შორის შესაბამისობის დადგენაში, რომელიც შეიძლება ასე გამოისახოს:

$$d = \exp\,[\exp -(y)]$$

სადაც, exp - ექსპონენტების აღნიშვნაა,
y -შესაფასებელი მაჩვენებლის სიდიდე.



ნახ.10

ვერტიკალური ღერძი დაყოფილია 5 ინტერვალად: „ძალიან ცუდი“, „ცუდი“, „დამაკმაყოფილებელი“, „კარგი“ და „ძალიან კარგი“. ჰორიზონტალურ ღერძზე

გამოყოფილია „მონაკვეთი“ მინუს 2-დან (ამ წერტილში ფუნქცია თითქმის უტოლდება ერთს) + 6-მდე (ამ წერტილში ფუნქცია ახლოსაა ნულთან). გამოყოფილ მონაკვეთზე დატანილია გასაზომი მაჩვენებლის სიდიდე, რომლითაც ხდება შესაფასებელი ობიექტის ხარისხობრივი მხარეების შესახებ მსჯელობა.

დასკვნა ასეთია : **შეფასებითი მსჯელობა** - ეს არის ძალიან საპასუხისმგებლო კვლევითი ამოცანა, რომელიც იგება „სტიმული-რეაქცია“-ს კონკრეტულ კვლევებზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, ტურიზმის გეოგრაფიაში სუსტადაა დამუშავებული.

მეხუთე ეტაპი - ნიშნავს კერძო შეფასებების ინტეგრალურში გაერთიანებას (გეოგრაფიაში ეს განსაკუთრებით აუცილებელია). წარმოიშვება მრავალი მეთოდური პრობლემა. კერძოდ, თუ სკალირება უზრუნველყოფს ხარისხობრივი მონაცემების გადაყვანას რაოდენობრივ მაჩვენებლებში, მაშინ კერძო შეფასებების სინთეზის ეტაპმა უნდა უზრუნველყოს კანონზომიერება (აუცილებელია მეცნიერული საფუძველი და მათი გაერთიანების გზა).

ზოგადი სახით ინტეგრალური შეფასება (y) შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ფუნქცია კერძო შეფასებების {X}: $y=\int(k^1x^1, k2x2,\ldots knxn)$, სადაც k - კერძო შეფასებების მნიშვნელოვნობის კოეფიციენტებია, n - კერძო შეფასებების რიცხვი. ამავე დროს შესაძლებელია $\int$ ყველაზე განსხვავებული ფუნქციები.

უფრო ხშირად გამოიყენება კერძო შეფასებების დაჯამების მეთოდი მათი მნიშვნელოვნობის გათვალისწინებით. სხვა მეთოდი - ქულების გადამრავლება, გამოიყენება იშვიათად, რადგან გადამრავლებისას თუ ერთმა მაჩვენებელმა მიიღო შეფასება ნული (0) - ეს ნიშნავს, რომ ტურისტული საქმიანობის რომელიღაც სახეობა შეუძლებელია (პირობების არარსებობის გამო), მაშინ ყველა ქულების გადამრავლებითაც მიიღება „ნული“ (რიგ შემთხვევებში, აბსოლუტურად შესაძლებელია). მაგ., ცნობილია და დღემდე აქტუალური ა.სკამონისა და ტ.გოფმანის ნაშრომი [**87**], სადაც შესწავლილია ტყის ფართობების რეკრეაციულ-ესთეტიკური ღირებულება. იმავდროულად, ნულოვანი ქულა მიიღო სავარგულებმა, რომელთაც ფართობის მიხედვით გააჩნდა ნულოვანი ქულა (რაც გადამრავლებისას გადახაზავს შესაფასებელი ტერიტორიის ყველა დადებით თვისებას). როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ზოგჯერ „ინტეგრირების“ დროს გამოიყენება დაყოფა.

ინტეგრალური შეფასებების მისაღებად ასევე გამოიყენება ისეთი ფორმალურ-მათემატიკური მეთოდები, როგორიცაა, ფაქტორული და კლასტერული ანალიზი, ლატენტურ-სტრუქტურული ანალიზი (ასახავს სტრუქტურას, რომელსაც უშუალოდ ადგილი არ აქვს [**88**] შეფასებების სინთეზირების (აგრეგაციის). სხვა სერიოზული პრობლემა მდგომარეობს კერძო შეფასებების მნიშვნელოვნობის კოეფიციენტების მეცნიერულ დასაბუთებაში. ეს კოეფიციენტები ძალიან ფართოდ გამოიყენება ტურისტულ-რეკრეაციულ შეფასებებში. ძალიან ხშირად მნიშვნელოვნობის კოეფიციენტები განისაზღვრება ინტუიციურად (რაც ეწინააღმდეგება მეცნიერულ მიდგომებს). რიგ შემთხვევებში გამოიყენება ექსპერტული მიდგომა, რაც ასევე სუბიექტურია. ზოგი მკვლევარი ცდილობს ამ ოპერაციაში შემოიტანოს ფორმალური მეთოდები, მაგ., იყენებენ რა უმცირესი კვადრატების მეთოდს ან ფაქტორული ანალიზის

მეთოდს. მაგრამ თვით ეს მეთოდები თხოულობს დიდი რაოდენობის უტყუარ სტატისტიკურ ინფორმაციას, ეს კი - მკვლევრების ერთ-ერთი პრობლემათაგანია.

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მათემატიკური მეთოდების გამოყენებისას შეფასების მთელი პროცედურა რთულად კონტროლირებადია. შეფასების ლოგიკური დასაბუთებისას კი შეფასებები ღებულობს მეტნაკლებად უტყუარ ხასიათს.

შეფასების ფორმები შეიძლება იყოს სიტყვიერი/ვერბალური (პირობები და ფაქტები არასასურველია, სასურველია,ყველაზე სასურველია) ან ციფრული (1,2,3,...და ა.შ.). ხშირად გამოიყენება ციფრული გამოსახვა,რადგან უფრო მოკლეა და საშუალებას იძლევა შეჯერდეს სხვადასხვა შედარებითი შედეგები, თუმცა, პასუხისმგებლობა რელევანტურობაზე მაინც ეკისრება მხოლოდ მკვლევარს.

ყოველთვის წარმოიქმნება სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ინტეგრალური ქულობრივი შეფასებები არ ასახავს შესაფასებელი ობიექტების შინაგან ხარისხობრივ განსხვავებას, თუმცა, იმავდროულად, არ შეიძლება ინტუიციურად მსჯელობა ობიექტის შესახებ კერძო შეფასებების მიხედვით. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი მდგომარეობს საერთო და კერძო შეფასებების ევრისტიკულ შეხამებაში, რომლებიც ყოველთვის უნდა ჩატარდეს პარალელურად - როგორც ასახვა მთელისა და ნაწილების ერთიანობის.

მეექვსე ეტაპი - მდგომარეობს მიღებული შეფასებების ანალიზში ანუ დასაბუთებაში - შეესაბამება თუ არა მიღებული შედეგი სინამდვილეს. საბოლოოდ, ეს, რა თქმა უნდა, გადაწყდება პრაქტიკაში შემოწმებით. ამიტომ შეფასებითი სკალების შედარებისას ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ანალოგი-რაიონების მოძიება, სადაც დასაპროექტებელი ღონისძიება უკვე განხორციელებულია ან დამოკიდებულება „ობიექტი-სუბიექტი“ უკვე ცნობილია და მისი საშუალებით შეიძლება სკალის შემოწმება, ხოლო მნიშვნელოვნობის კოეფიციენტები შეიძლება დამუშავდეს კარგად ცნობილი საკვანძო რაიონების პრაქტიკის საფუძველზე.

საერთო ეკონომიკური ღირებულების (სეღ) შეფასება - მიდგომა, რომელშიც არის მცდელობა, კომპლექსურად იქნეს გათვალისწინებული არამხოლოდ პირდაპირი რესურსული, არამედ ბუნების ასიმილაციური ფუნქციებიც. საერთო ეკონომიკური ღირებულების მოცემული კონცეფცია საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი გარემოს დაცვასთან, მის რესურსებსა და მომსახურებასთან (მათ შორის, რომლებიც არ არიან გამოხატული უშუალოდ ფულადი ფორმით, გამომდინარე საბაზრო უპირატესობებიდან) [**84**].

საერთო ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია შეიცავს:

- ღირებულებას (რომელიც განპირობებულია ეკოლოგიური სიკეთეების პირდაპირი ფაქტობრივი გამოყენებით), რომლის გაზომვა შეიძლება ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიური სიკეთეების მოხმარებით მიღებული შემოსავლის საშუალებით;
- რესურსების ირიბი გამოყენების გზით მიღებულ ღირებულებას, რომელიც, როგორც წესი, იზომება დამატებითი შემოსავლების საშუალებით;
- გადადებულ ალტერნატიულ ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია პირდაპირი (ან ირიბი) სარგებლის მიღების გადადებულ შესაძლებლობასთან

ეკოლოგიური სიკეთეების გამოყენებით მომავალში; მას, ჩვეულებრივ, გამოხატავენ მზადყოფნის საშუალებით - გადაიხადონ გარემოს დაცვაში და გამოიყენონ მომავალში;

- მემკვიდრეობის მიღების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება მზადყოფნით - გადაიხადონ სუფთა ბუნებრივ გარემოში, რომელსაც გამოიყენებენ მომავალი თაობები;
- არსებობის ღირებულებას, რომელსაც, განსხვავებით გადადებული ალტერნატივის ღირებულებისგან, განსაზღვრავენ არა შესაძლო მომავალი შემოსავლებით (რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიური სიკეთეების გამოყენებასთან), არამედ სუფთა და პროდუქტიული ბუნებრივი გარემოს თვით ფაქტის არსებობით.

2. ხარჯვითი მიდგომა, - ესადაგება ბუნებრივი ობიექტების კვლავწარმოების ღირებულების ან მათ მიერ შესრულებული ბუნებისდაცვითი ფუნქციას. ბუნებრივ ობიექტებს ასევე აფასებენ გადაადგილების სიკეთეებამდე (რომელიც შექმნილია მსგავსი ობიექტებით) მისასვლელად გაწეული ხარჯით. მაგალითად, სასმელი წყლით მომარაგების წყაროები შეიძლება შეფასდეს დანიშნულების ადგილამდე წყლის მიყვანაზე გაწეული დანახარჯებით [89].

რეკრეაციული რესურსების კვლავწარმოებისა და აღდგენის ღირებულება. მოცემული მეთოდი ბუნებრივი ობიექტის აღდგენისა და კვლავწარმოებისთვის აუცილებელ ხარჯს განიხილავს როგორც ბუნებრივი ობიექტის მინიმალურ ეკონომიკურ შეფასებას და დასაკარგი ბუნებრივი ობიექტის ფიზიკური ანაზღაურებისთვის საკომპენსაციო გადასახადების გამოსაანგარიშებელ საფუძველს [90].

ჩანაცვლების ღირებულება გულისხმობს ბუნებრივი ობიექტის შეფასებას რაღაც ხელოვნურად შექმნილი ობიექტის (რომელიც იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც ბუნებრივი ობიექტი) ღირებულების მიხედვით [91].

გადაადგილებაზე ხარჯი გულისხმობს ობიექტის შეფასებას ობიექტის ფიზიკურ გადაადგილებაზე გაწეული ხარჯის მიხედვით. მაგალითად, წყალმომარაგების წყაროს სამრეწველო ჩამდინარე ბინძური წყლებით გაჭუჭყიანების ხარჯად ჩაითვლება ახალი წყალშემკრების მშენებლობაზე გაწეული დანახარჯი, კომუნიკაციების გაყვანაზე დანახარჯების ჩათვლით.

3. შემოსავლითი მიდგომა გულისხმობს შემოსავლის მიღებას გამოყენებული უძრავი რეკრეაციული ობიექტების რენტის გადასახადების ამოღების გზით.

რენტული შეფასება. რენტის თეორიის განმარტებები მრავალგვარია, ხოლო მისი გამოთვლის წარმოდგენილი საშუალებები საკმაოდ რთული და ბევრი რესურსისთვის არ არის შემუშავებული. ასეთი გაურკვევლობა ართულებს რენტული შეფასებისა და გადასახადების დანერგვას პრაქტიკაში. საჭიროა **ბუნებათსარგებლობის სისტემის** შექმნა, რომელიც დაეფუძნება გამოყენებული ბუნებრივი რესურსების რენტული გადასახადების ამოღებას. ამგვარად დაიწყებს მოქმედებას ამოღების პრინციპი დიფერენციული რენტის საზოგადოების სასარგებლოდ. **დიფერენციული პრინციპი** უნდა იქცეს სხვადასხვა

დონის ბიუჯეტების შემოსავლების წყაროდ, ასევე ტერიტორიულ ჭრილში საქმიანობის სხვადასხვა სახეობის განაწილების რეგულატორად [83].

4. ალტერნატიული ღირებულების (ალტერნატიული დანახარჯების) ან **ხელიდანგაშვებული სარგებლიანობის კონცეფცია.** მისი გამოყენება რეკრეაციულ ტერიტორიებთან მიმართებაში საშუალებას იძლევა ღირებულება შეფასდეს ხელიდანგაშვებული შემოსავლებისა და სარგებლის საშუალებით, რომელთა მიღება შესაძლებელი იქნებოდა მოცემული ტერიტორიების სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში [84].

გაშვებული სარგებელი. გაშვებულ სარგებელში იგულისხმება არმიღებული შემოსავლები და შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება მიღებული ყოფილიყო, თუ ბუნებრივი რეკრეაციული რესურსი არ იქნებოდა დაზიანებული, გამოფიტული ან ამოღებული.

სარგებელი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა რეკრეაციული რესურსების სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში. ეს მეთოდი ბუნებრივი რესურსის შეფასების საშუალებას იძლევა სარგებლის გზით, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა რესურსის სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში.

5. შედარებითი მიდგომა. რეკრეაციული რესურსების ეს გზა მოიცავს ორ მეთოდს : საბაზრო შეფასებას და ჰედონისტურ ფასწარმოქმნას.

გამოყენებული ბუნებრივი რესურსების საბაზრო ფასი. ბუნებრივ რესურსზე ფასის ფორმირება (მისი კლასიკური გაგებით) შეიძლება მხოლოდ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბუნებრივი რესურსებისთვის. რესურსების შეზღუდულობის გამო მათზე მოთხოვნა მდგრადია. უფრო მეტიც, ბუნებრივი რესურსების ბაზრისთვის დამახასიათებელია მოთხოვნის კონცენტრაცია, რომელიც მონოპსონიის (ერთადერთი მყიდველი) და ოლიგოპსონიის (მყიდველების მცირე რაოდენობა) მოვლენებს ტიპურ მოვლენებად აქცევს.

ჰედონისტური ფასწარმოქმნა. ჰედონისტური ფასწარმოქმნის მეთოდი ეფუძნება იმას, რომ ღირებულება (ფასი) (მაგალითად, ტყის ფონდის ნაკვეთის), მოსახლეობის თვალსაზრისით, შეიძლება განისაზღვროს იმ თანხებით, რომელსაც გადაიხდის მოსახლეობა უძრავი ქონების ობიექტებში (რომლებიც თავის თავში მოიცავენ მოცემული ნაკვეთის მახასიათებლებს). თუ გარკვეულ ადგილას ადამიანები მუდმივად იხდიან სახლსა და მიწაში მეტს, ვიდრე სხვა ადგილებში და, თუ ფასში ასეთი სხვაობისას გათვალისწინებული იქნება სხვა დანარჩენი შესაძლო არარეკრეაციული მიზეზები, მაშინ დარჩენილი სხვაობა ფასში განეკუთვნება რეკრეაციულ ფაქტორს. ანუ ამ მეთოდის მეშვეობით ეკოსისტემური ბიომრავალფეროვნების შეფასება ხდება ამ ფაქტორთან დაკავშირებული უძრავი ქონების საერთო ღირებულების შემადგენლობაში [84].

6. სუროგატული ბაზრების მოდელირება გულისხმობს ჰიპოთეტური საბაზრო ფასების კონსტრუირებას, რათა შეფასდეს გარემოს თვისებები და ხარისხი, რომლებსაც არ გააჩნიათ საბაზრო ღირებულება - რადგან ამ ტიპის მომსახურების ბაზრები არ არსებობს. ფასები, რომლებიც პირობითად ჩაანაცვლებენ საბაზრო ფასებს, დგინდება

გარემოს ამ თვისებებისა და ხარისხის მოცემული თვისებების მომხმარებლების მიერ შეფასების გამოვლენის გზით.

სუბიექტური შეფასების მეთოდები (მომხმარებლების უპირატესობები) - გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის შესაფასებელი ობიექტების რეალური ბაზრები. გამოიყენება სტანდარტული გამოკითხვის ტექნოლოგია იმ ადგილის მოსახლეობისთვის, რომელსაც გააჩნია გარკვეული ეკოლოგიური და ესთეტიკური ღირებულება ან გარკვეული რეკრეაციული რესურსი. ხდება მოცემული რესურსის დაცვისთვის ადამიანების მიერ გადახდის სურვილის გარკვევა (მაგალითად, ბუნებრივი გარემოს სისუფთავის, ჰაერის დაცვის და ა.შ.). ეს მეთოდები გამოიყენება უნიკალური ობიექტების ან ტერიტორიების (რომელთაც გააჩნიათ რეკრეაციული მნიშვნელობა), მონახულების გადასახადის სიდიდის დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაფასებელ ობიექტებზე დაშვების შეზღუდვის შესაძლებლობა.

სუბიექტური შეფასების მეთოდებს განეკუთვნება შემდეგი მეთოდები:

მომხმარებლის დამატებითი სარგებელი - ეს არის თანხა, რომლის დამატებით გადახდისთვის მზად არის მომხმარებელი იმ თანხასთან ერთად, რომელსაც იხდის სინამდვილეში. მომხმარებლის დამატებითი სარგებლის მეთოდი ბუნებრივი სიკეთეების ღირებულების მოდელირების საშუალებას იძლევა, რაც ეფუძნება ამ სიკეთეების მომხმარებლებისა და გამომყენებლების უპირატესობების გამოვლენას, გამომდინარე მათი სურვილიდან, - გადაიხადონ ამ სიკეთეებისთვის. მაგალითად, ირკვევა - რა თანხა უნდა გადაიხადოს ადამიანმა გარკვეული ადგილის მონახულებისთვის. თუ შესაფასებელ ადგილზე დაშვება შეზღუდულია და მისი მონახულებისთვის დადგენილია გადასახადი, მაშინ დგინდება, - რამდენი ადამიანია მზად გადაიხადოს დამატებით დადგენილ გადასახადზე. დადგენილი გადასახადის და დამატებითი გადასახადის თანხა (განსაზღვრული თავად ადამიანის მიერ), ასახავს მოცემული ობიექტის ღირებულებას ინდივიდისთვის. შესაბამისად, შესაფასებელ ობიექტზე დაშვების გადასახადების საერთო თანხა (რომელიც მზად არის გადაიხადოს ყველა დამთვალიერებელმა), წარმოადგენს მის ღირებულებით შეფასებას. შედეგების სანდოობა, მიღებული მოცემული მეთოდის შედეგად, დამოკიდებულია გამოკითხულების ინფორმირებაზე, შერჩევის გაგებაზე.

ადამიანების მზადყოფნა, მიიღონ სიკეთეებზე უარისთქმის კომპენსაცია - ჰიპოთეტური ფასების განსაზღვრა რაღაც სიკეთის ნამდვილი შეფასების გარკვევის გზით ინდივიდებთან. ამისთვის ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის სხვადასხვა სახის გამოკითხვა. გამოკითხვა შეიცავს პირდაპირ კითხვებს მომხმარებლების მიმართ, - რამდენად არიან მზად გადაიხადონ ეკოლოგიური სიკეთეებისთვის ან მიიღონ კომპენსაცია სიკეთეების დაკარგვის შემთხვევაში.

ადამიანების მზადყოფნა , გადაიხადონ - მეთოდის დანიშნულებაა მოსახლეობის გარემომცველი ბუნებრივი გარემოს და ეკოლოგიური სიკეთეების (რითაც ისინი სარგებლობენ) ღირებულების შეფასება. მეთოდს საფუძვლად უდევს გადასახადის სიდიდის დადგენა, რომელიც თანახმაა გადაიხადოს გარკვეულ ადგილას მცხოვრებმა მოსახლეობამ რომელიმე ბუნებრივი ობიექტის (მაგ., ტყის) ან ბუნებრივი რესურსის (მაგ., წყლის) დაცვის მიზნით.

სუბიექტური შეფასების მეთოდებით რეკრეაციული რესურსების შეფასება წარმოებს მოცემული ადგილის მოსახლეობის გამოკითხვის გზით, რომლის საფუძველზე

განისაზღვრება ადამიანების (რომლებიც სარგებლობენ ეკოლოგიური სიკეთეებით ან რესურსებით) მიახლოებითი რიცხვი და გადასახადის საშუალო სიდიდე, რომელიც მზად არიან დახარჯონ გამოკითხულებმა მოცემული სიკეთეების დაცვაზე ან მოცემული რესურსის გამოყენებაზე. მოსახლეობის გადასახადის ჯამური სიდიდე იძლევა ეკოლოგიური სიკეთის ან ბუნებრივი რესურსის საერთო ღირებულების შეფასებას, რომელიც გამოიხატება ადამიანების მზადყოფნაში, - გადაიხადონ.

სატრანსპორტო -საგზაო ხარჯების მეთოდი (უპირატესობების დადგენის). ამ მეთოდით ფასდება გარკვეულ ადგილას არსებული ეკოლოგიური სიკეთეებისთვის გადახდის მზადყოფნა, გამომდინარე ინფორმაციიდან დროისა და ფულის ხარჯვის შესახებ, რომელიც მიიღება ამ ადგილის მონახულებისას. მეთოდი მდგომარეობს საინტერესო ადგილამდე მიღწევისთვის ფულადი საშუალებების ან დროის ხარჯვის განსაზღვრაში. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება დაცული ტერიტორიების, ეროვნული პარკებისა და ველური ბუნების ადგილების რეკრეაციული (ან ტურისტული) ღირებულების განსასაზღვრად. რეკრეაციის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება დამთვალიერებლების რაოდენობით წლის განმავლობაში, როგორც ობიექტის ფასისა და დამთვალიერებლების საცხოვრებელი ადგილიდან შესაფასებელი ობიექტის განთავსების ადგილამდე მანძილის ფუნქცია. ფასი შედგება შესასვლელი გადასახადისგან, მგზავრობაზე დანახარჯებისა და ხელიდანგაშვებული შემოსავლებისგან. აქ ადგილი აქვს ტიპურ დაღმავალ მრუდს ვიზიტზე ხარჯებსა და შესრულებულ ვიზიტებს შორის თანაფარდობაში. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ მნიშვნელოვან მანძილზე რეკრეაციული ადგილიდან (მათ აქვთ მაღალი სატრანსპორტო ხარჯი), ახორციელებენ წელიწადში რამდენიმე ვიზიტს, მაშინ როცა რეკრეაციული ადგილიდან ახლოს მცხოვრებლებს (დაბალი სატრანსპორტო ხარჯით) , - ახასიათებთ უფრო ხშირი ვიზიტების ტენდენცია.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის საერთო ეკონომიკური ღირებულების მისაღებად შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი, ჩამოთვლილი მეთოდებიდან.

შეფასების ჩატარებისას მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზისთვის მკვლევარს შეუძლია შეახამოს სხვადასხვა მიდგომები და მეთოდიკები.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის ეკონომიკური შეფასების მიზნობრივ მდგენელად შეიძლება გამოიყოს :

- რესურსის ღირებულების შეფასება განადგურების ან დეგრადაციისგან გარემოს დაცვის მიზნით (გარემოსდაცვითი შეფასება);
- რესურსის სამომხმარებლო თვისებების შეფასება მისი გამოყენების შემდეგ (ექსპლუატაციური შეფასება);
- რესურსის მიმზიდველობისა და მისი ესთეტიკური თვისებების შეფასება (ესთეტიკური შეფასება);
- რესურსის დაკარგვის ან დაბინძურების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება;
- რესურსების შეფასება მათი აღრიცხვის და ბუნებრივი ობიექტების მაჩვენებლებისა და თვისებების, მათი რაოდენობისა და ხარისხის შესახებ ინფორმაციის არსებობის მიზნით (საინფორმაციო-სააღრიცხვო შეფასება).

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

ჩვენს მიერ ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ხელისუფლება ხელს უნდა უწყობდეს ტურისტულ-რეკრეაციულ საქმიანობას ქვეყანაში. ხელისუფლება საკანონმდებლო გზით უნდა განსაზღვრავდეს დამატებით შესაძლებლობებს რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის განვითარებისთვის. თუმცა, საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წელს, საკმაოდ მოძველებულია. შესაბამისად, აღნიშნული კანონის რიგი დებულებები ვერ პასუხობს მიმდინარე გამოწვევებს [92].

ტურიზმის სფეროში მოქმედ სპეციალურ კანონს ასევე წარმოადგენს საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ [93], რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნებას და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვას. ამისათვის კანონი განსაზღვრავს, რა განეკუთვნება ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ადგენს სამ ზონას (მკაცრი, შეზღუდული რეჟიმის და სამეთვალყურეო) და მათ რეგულირებას ახდენს. მთავრობის დადგენილებით არის შედგენილი საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი [94; გვ.9].

ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნის მიზანს წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის განვითარების გზით.

რეკრეაციული რესურსების აქტიური გამოყენების ტენდენციები, მათი ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპებს, უნდა აწონასწორებდეს საზოგადოების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ამ მხრივ მეტად აქტუალური ხდება ბუნებრივი გარემოს ნეგატიური ცვლილებებისგან დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავების საკითხები, რომლებსაც მიეკუთვნება **ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა** [95].

განხილული რეგიონული ტურიზმის რესურსების შეფასების არსებითი მეთოდოლოგიური მიდგომები, საშუალებას იძლევა დაიხვეწოს ამოცანის გადაწყვეტის გზები, გაფართოვდეს ინფორმაციული ბაზა რეგიონული ტურიზმის სფეროში გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღებისთვის და შეიქმნას წინაპირობები საკითხების შემდგომი კვლევებისთვის.

ქვეყნის რესურსული პოტენციალის ეფექტიან ათვისებას ხელს უშლის: ქვეყნის რეგიონების ტურისტული რესურსების შესახებ სრული და სანდო ინფორმაციის არარსებობა; რეგიონების რესურსული ბაზის შეფასების ჩატარების მეთოდოლოგიური ასპექტების არასაკმარისი დამუშავება; ქვეყანაში ტურიზმის მართვის არაეფექტური მექანიზმი და ტურისტული კანონმდებლობის არასრულყოფილება (საკმაოდ მოძველებული); შიდა ტურიზმის განვითარების მოტივაციის (სხვადასხვა ნიზეზით) ნაკლებობა.

ქვეყანაში შიდა და შემომყვანი ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია: რეგიონის ტურისტული ათვისების მკაფიო სტრატეგია; რეგიონებში ტურიზმის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტიანი პროგრამების რეალიზება; ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობების წინ წასაწევად ტურისტული მომსახურების მსოფლიო ბაზარზე ინტენსიური საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტურისტულ-რესურსული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები, ამ პროცესის ეფექტიანობა საკმაოდ დაბალია და დღის წესრიგში აყენებს, საქართველოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციულ–ეკონომიკური მექანიზმების ფორმირების აუცილებლობის საკითხს.

ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების შედეგები და ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების მეცნიერული დასაბუთება საშუალებას მოგვცემს აცილებული იქნეს შეცდომები ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავებისას და გაიზარდოს რეგიონული ღონისძიებების რეალიზების ეფექტიანობა. ტურიზმის განვითარება უნდა დაეფუძნოს რესურსული პოტენციალის სისტემურ, კომპლექსურ შესწავლას. შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებლები არამხოლოდ ტურისტული დარგის, არამედ რეგიონული და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის.

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები

1. http://gov.ge/files/495_66443_702865_1292.pdf
2. ნ. გრძელიშვილი. ,,რეგიონი-ეკონომიკა პოლიტიკა, მართვა''. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი : 2020. გვ. 52-53
3. ნ.ჭითანავა. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და მართვა: მიზნები, მიმართულებები, მექანიზმი, გამოცდილება. - ,,საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში''. ბათუმი-თბილისი : 2001. გვ. 8-9
4. იფშირაძე ა., ღავთაძე გ. ,,რეგიონთაშორისი დისპროპორციები საქართველოში და მათი დაძლევის გზები (ევროპული გამოცდილების მიხედვით)''. https://ejournals.atsu.ge/BLSS2017/eJournal/Papers/IpshiradzeAza.pdf
5. ე. ბარათაშვილი, გ. ჯოლია, ნ. გრძელიშვილი, ი. მამალაძე, დ. სეხნიაშვილი, დ. ჩახვაშვილი. ,,ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება''.- თბილისი: 2011. ნაწ.1., თავი 12.
6. Д.В. Рожкова. ,,К ВОПРОСУ ФОРМИРОВАНИЯ И РАЗВИТИЯ ЛОКАЛЬНОГО РЫНКА: ТЕОРЕТИЧЕСКИЙ АСПЕКТ''. - Вестник Алтайского государственного аграрного университета № 2 (124), 2015. с.138
7. Арсланова Г.Х., Хисматуллин М. М. ,,Влияние индустрии туризма на социально-экономическое развитие региона“.- Вектор науки ТГУ, № 3 (29), 2014
8. ა. დევაძე, ნ. გრძელიშვილი. ტურიზმი საქართველოში - „არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები''- მონოგრაფია; 2012. გვ.21
9. მ. უკლება. ,,ტურისტულ რეკრეაციული რესურსები - შეფასება, ტრანსფორმაცია''. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახ. უნივერსიტეტი.- თბილისი: 2009. გვ.161
10. Кусков А. С. Туристское ресурсоведение: учеб. пособие. – М.: „Академия“, 2008. с. 208
11. ნ.პავლიაშვილი. მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია - კონსპექტი, ნაწილი 1. 2018.გვ.3
12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=11
13. Пирожник И. И. Основы географии туризма и экскурсионного обслуживания. – Минск: Университетское изд-во, 1985. с. 250
14. ნ. გრძელიშვილი. „რელიგიური ტურიზმი“ - სახელმძღვანელო; 2018
15. ა. დევაძე, ნ. გრძელიშვილი. „ტურიზმი საქართველოში - არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები''.- მონოგრაფია; 2012
16. Крачило Н. П. Основы туризмоведения. – Киев: Вища школа,1980. с. 117
17. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 https://gnta.ge/ge/publication/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0/
18. Кусков А. С., Нехаева Н. Е. Рекреационная география: учеб.-метод. пособие. – Саранск: Издательство Мордовского гос. ун-та, 2010. с.80
19. Speiser, B., Europa am Oberrhein. Der grenzüberschreitende Regionalismus am Beispiel der oberrheinischen Kooperation, Basel: 1993. S. 193

20. Etymologische Wörterbuch des Deutschen, 2. Aufl., 1993.
21. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI. - თბ.: 1960. გვ. 387
22. Esterbauer, F., Regionalismus. Phänomen-Planungsmittel-Herausforderung für Europa, München: 1978. S. 27
22* დ.მოურავიძე ,რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში, თბილისი: სესპსკი შრომების კრებული, ტ. I, თბ.1996
23. ი. მესხია, ე. გველესიანი. ,,რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა''. გამომცემლობა ,,ინოვაცია", - თბ.: 2010. გვ. 224
24. Hrbek/Weyand, Betrifft: Das Europa der Regionen, 1994
25. ე.ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ნ. გალახვარიძე, ნ. ნადარეიშვილი. ,,რეგიონული ეკონომიკა''. - სახელმძღვანელო; თბ.: 2010. გვ. 14-15
26. გ.ხუბუა. ,,ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი''. თბ.: 2000. გვ. 524
27. Н. Некрасов. Региональная экономика.- М.: 1978. с. 345
28. В. Бильчак, В. Захаров. Региональная экономика: Монография. - Калининград. 1998
29. Шимин Н.А. Новый подход к трактовке понятия «туристский регион» / Электронный ресурс/ – Управление экономическими системами. 2010
30. Гуляев В. Г. Туризм: экономика и социальное развитие. – М.: Финансы и статистика, 2003. с. 304
31. Квартальнов В. А. Туризм: учебник для образовательных учреждений туристского профиля. – М.: Финансы и статистика. - 2006. с. 315
32. Колобова А. А. Рекреационно-туристский комплекс как объект регионального управления /Электронный ресурс // Сб. науч. тр. СевКавГТУ, Сер. Экономика. 2005. – № 2.
33. Nodar Grdzelishvili, Laura Kvaratskhelia. ,,ASPECTS OF TOURISM-RECREATIONAL RESOURCES MANAGEMENT IN THE REGION". Менеджмент и маркетинг - Опыт и проблемы. Сборник научных трудов,- 2021. Минск: Беларусь; с.198-202
34. რ. გრძელიშვილი. ტურისტული კარტოგრაფიის როლი ქვეყნის სახის ფორმირებაში. სამეცნიერო ჟურნალი ,,სამართლი და ეკონომიკა'' #6; 2015. გვ.29-34
35. https://www.geostat.ge/media/35350/saqartvelos_bunebrivi_resursebi_da_garemos_dacva_2019.pdf
36. http://geofauna.ge/index.php?page=geo_nature_single&id=67
37. Лукьянова Н.С. География туризма: туристские регионы мира и России. Изд-во: Кнорус Г. - М.: 2010. с. 170
38. http://unesco.ge/?page_id=645&lang=ge
39. http://unesco.ge/?page_id=479
40. http://unesco.ge/?page_id=570
41. https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20459
42. https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-nominacia-kolkhuri-tyeebi-da-charbteni.aspx
43. საქართველოს დაცული ტერიტორიები.თბილისი : 2007
44. http://apa.gov.ge/ge/protected-areas
45. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30#!

46. http://nala.ge/climatechange/uploads/Studies/ENVIRONMENTALANDCLIMATECHAGEISTITUTIONALSET-UPINGEORGIANMUNICIPALITIESGeo.pdf
47. M. Merlo and L. Croitoru. Valuing Mediterranean Forests: Towards Total Economic Value, CABI International, Wallingford UK/Cambridge MA (2005)
48. Tyrväinen L., Pauleit. S. Seeland, K. & de Vries, S. (2005): Benefits and uses of urban forests and trees. In: Konijnendijk C.C., Nilsson K., Randrup T.B. & Schipperijn J. (eds.): Urban forests and trees – A reference book. Springer, Berlin: pp. 81-114
49. The Aesthetics of Forestry: What has Empirical Preference Research Taught Us? 1989. Environmental Management, 13 (1): pp. 55-74
50. Liisa Tyrvainen, Kirsi Makinen, Jasper Schipperijn. Tools for mapping social values of urban woodlands and other green areas. Landscape and Urban Planning 79 (2007). pp. 5–19
51. გიორგი კვესიტაძე. თანამედროვე ეკოლოგია: გარემოს მდგომარეობა, დისბალანსის გამომწვევი მიზეზები და რემედიაციული ტექნოლოგიები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. „მეცნიერება“. 2020
52. ვ.ჩხაიძე, ი.სალუქვაძე. ინფორმაციული ტექნოლოგიები გეოგრაფიაში. თბილისი: 2009-2019. გვ. 9
53. ს. ცირამუა. ვებ და მობილურ ტექნოლოგიებში ინტეგრირებული ვირტუალური ტურისტული მარშრუტების გეოინფორმაციული სისტემა. 2014
54. А. В. Кошкарев и др. // Тематическое картографирование для создания инфраструктур пространственных данных: материалы IX науч. конф. по тематической картографии; Иркутск, 9–12 ноября 2010 г. – Иркутск: ИГУ, 2012. с. 80–82
55. ლ.თუმანიშვილი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის ძირითადი მიმდინარე პროექტები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან ინტეგრირების საკითხი.- სააგენტოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო სამსახური. 2014
56. ლუიზა დე მარკო. "რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისთვის" პროექტის ფარგლებში განხორციელებული მისიის ანგარიში. 2014
57. ,,გზა მომავლისკენ” - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა. თბილისი, 2014
58. ე. ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი, ჯ.ზარანდია, ნ.გალახვარიძე. რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა - (სახელმძღვანელო). თბილისი: 2013. გვ. 258-264
59. ოთარ ფარესიშვილი, ლაურა კვარაცხელია, ვალენტინა მირზაევი. სამედიცინო (სარეაბილიტაციო) ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში. ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა, #1, იანვარი-ივნისი 2020. გვ. 53-67
60. Стратегия социально-экономического развития Волгоградской области (2008–2025 гг.) / подред. д. э. н., проф. О. В. Иншакова. – Волгоград :Изд-во ВолГУ, 2008. с. 356
61. Зализняк Е. А. Региональный туризм: основные признаки и условия развития / Е. А. Зализняк// Вестник Волгоградского гос. университета. Сер. 3, Экон. Экол.; 2011. – № 2(19). с. 70–77.
62. Мищенко В.В. Экономика регионов : учеб.пособие / В. В. Мищенко. – Барнаул : Изд-во АлтГУ, 2002. с. 160

63. Нудельман М.С. Социально-экономические проблемы рекреационного природопользования / М. С. Нудельман. – Киев : Наукова думка,1987. с. 132
64. Боголюбова С. А. Эколого-экономическая оценка рекреационных ресурсов : учеб. пособие для студентов вузов / С. А. Боголюбова. – М. : Изд.центр «Академия», 2009. с. 256
65. Гуляев В. Г. Туризм: экономика и социальное развитие / В. Г. Гуляев. – М. : Финансы и статистика, 2003. с. 304
66. Менеджмент туризма: Туризм и отраслевые системы : учебник / И. В. Зорин [и др.]. – М. : Финансы и статистика, 2002. с. 272
67. Казанская Н.С. Рекреационные леса (состояние, охрана, перспективы использования)/ Н. С. Казанская, В. В. Ланина, М. М. Марфенин. - М. : Лесная промышленность, 1977. с. 96
68. Черняева Т. И. Туризм и окружающая среда: пространство взаимодействия / Т. И. Черняева // Перспективы развития туристских ресурсов Саратовской области : материалы региональной науч.-практ. конф. – Саратов : ИППОЛИТ, 1999. с. 152–162.
69. Е.А. Зализняк. Оценка природно-рекреационного потенциала муниципальных районов. Вестник Волгогр. гос. ун-та. Сер. 3, Экон. Экол. 2012. № 2 (21)
70. Grdzelishvili N., Kvaratskhelia L. METHODOLOGICAL FEATURES AND PROBLEMS OF ASSESSMENT OF TOURIST AND RECREATIONAL RESOURCES OF THE TERRITORY. VOL 3, № 60 (2020). Sciences of Europe (Praha, Czech Republic).
71. Портер М.Э. Конкуренция /пер. с англ.-М.: Вильямс, с. 2006-608
72. ნ. გრძელოშვილი. რეგიონული კლასტერები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები''. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. - თბილისი, 2014 წლის 27-28 ივნისი; გვ. 413-417
73. Bergman E.M., Feser E.J. National industry cluster emplates: a framework for applied regional cluster analysis // Regional studies. – 2000. 34(1), pp. 1-19
74. Roelandt Theo, Pim den Hertog, Jacobs Dany. “Nederlandse clusters in beeld” //ESB, 1997. – V.12, N2. – pp.124-128
75. ნ. გრძელიშვილი. ,,რეგიონი - ეკონომიკა, პოლიტიკა, მართვა''. გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბ.: 2020. გვ. 382
76. Дроздов А. В. Выявление, оценка и использование туристских ресурсов России: современная ситуация, проблемы и пути их решения // Актуальные проблемы туризма: сб. науч. тр. Российской международной академии туризма., Вып. 1. – М.: Меркурий, 2007. с. 228–250
77. Колбовский Е. Ю. Экологический туризм и экология туризма. М.: Издательский центр “Академия“, 2006. с. 256
78. Худеньких Ю. А. Подходы к оценке туристского потенциала территории на примере районов Пермского края // География и туризм: сб. науч. тр. – Пермь: ПГУ, 2006. с. 217–230
79. Карчевская Е. Н. Методическое обеспечение регионального развития пространственной дифференциации туризма (на примере Гомельской области): автореф.

дис. на соиск. учен. степ. канд. географич. наук. Калининград: Гомельский государственный технический университет им. П. О. Сухого, 2008. с. 22
80. Федюкова Н. В. Экономическая эффективность туристского комплекса приграничного региона (на примере Псковской области): автореф.дис. на соиск. учен. степ. канд. экон. наук. – СПб.: СПбГЭУ, 2011. с. 22
81. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7388
82. Ушакова Е.О. Методический подход к комплексной оценке ресурсов развития туризма региона // Региональная экономика: теория и практика. – 2013., № 48. с.42–49
83. Бабина Ю. Рентный доход при использовании природных ресурсов // Экономист. 2001. № 6., с. 12–19
84. Боголюбова С.А. Эколого-экономическая оценка рекреационных ресурсов: учеб. пособие для студ. высш.учеб. заведений М.: Издательский центр «Академия», 2009. с.256
85. Кружалин В.И. География туризма: учебник/В.И.Кружалин, Н.С.Мироненко, Н.В.Зигерн-Корн, Н.В.Шабалина –М.: Федеральное агентство по туризму, 2014.с.336
86. Рекреационные системы/ Ред. Мироненко Н.С., Бочваров.М.- М.: Изд-во МГУ, 1986
87. Scamoni A., Hoffman G.Verfahren zur Darstellung des Erholungswertes von Waldgebiten.- Archiv Forstwesen,1969., Bd. 18, #1
88. Рекреационные системы./Ред.Мироненко Н.С., Бочваров М.-М.:Изд-во МГУ, 1986 с.69-72
89. Гирусов Э.В., Бобылев С.Н. Экология и экономика природопользования. М.: Юнити-Дана, 2005. с. 591
90. Нестерова О.А. Принципы и методы экономической оценки земель и живой природы. Аналитический справочник / Под ред. О.А. Нестеровой и А.А. Тишкова. Редактор-составитель: А.С. Мартынов. М.: Проект ГЭФ «Сохранение биоразнообразия», Институт экономики природопользования, 2002. с. 95
91. Солдатова С.А. Экономическая оценка рекреационных ресурсов как основа рационального природопользования // Культура народов Причерноморья. 2001. № 25., с. 164–170
92. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=11
93. საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32476?publication=13
94. ტურიზმის რეგულირება. პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა ტურიზმის ინსტიტუტი. -ბათუმი: 2017
95. ნ. გრძელიშვილი, ლ. კვარაცხელია, თ. ექვთიმიშვილი. ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება. სამეცნიერო ჟურნალი ,,სამართალი და ეკონომიკა''. #12;2021
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/338404/1/Samartali_Da_Ekonomika_2021_N12.pdf

დანართები

დანართი 1. ტურისტული რესურსების კლასიფიკაცია რეგიონის პოტენციალის შეფასებისთვის *)



---

*) კლასიფიკაციაში გამოყენებულია მასალები სახელმძღვანელოდან [10]

დანართი 2. ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის სტრუქტურა *)



---

*) მასალები გამოყენებულია სახელმძღვანელოდან [10]

დანართი 3. ქვეყნის სუბიექტების ტურისტული მიმზიდველობის რეიტინგის მაჩვენებლების ნუსხა

#	ტერიტორიის მიზიდულობის კრიტერიუმები ტურიზმის სხვადასხვა სახეობის პოზიციიდან გამომდინარე
I. პლაჟის ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	პლაჟების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კვალიფიკაცია და მიენიჭათ I კატეგორია
2.	პლაჟების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კვალიფიკაცია და მიენიჭათ II კატეგორია
3.	პლაჟების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კვალიფიკაცია და მიენიჭათ III კატეგორია
4.	მზიანი დღეების რაოდენობა
5.	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილებისა და კურორტების რაოდენობა
6.	1-ლი და 2-რე სანაპირო ხაზის საპლაჟო ოტელების რაოდენობა
7.	საერთო ფართობი/პლაჟების სიგრძე, რომლებმაც გაიარა კლასიფიკაცია
II. კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების არსებობა, რომლებიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების სიაში
2.	კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების არსებობა, რომლებიც შეტანილია ობიექტი-კანდიდატების ნუსხაში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების სიაში შესატანად
3.	კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობა, რომლებიც შეტანილია ქვეყნის ხალხების კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთიან სახელმწიფო რეესტრში
4.	მუზეუმების, სახლ-მუზეუმების რაოდენობა, რომლებიც მიძღვნილია მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი წარმომადგენლების ცხოვრებისადმი
5.	ტერმინალების, ტურისტული ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობის წერტილების რაოდენობა
6.	სასტუმროებისა და განთავსების ანალოგიური საშუალებების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კვალიფიკაცია და მიენიჭა კატეგორია „მინი-ოტელი“, „ერთი ვარსკვლავი“, „ორი ვარსკვლავი“, „სამი ვარსკვლავი“
7.	ჩვენების ობიექტების რაოდენობა, სადაც ტარდება ექსკურსიები
8.	კულტურულ-ისტორიული ხასიათის განსაკუთრებული მოვლენების ტურიზმის საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი დონის ღონისძიებების რაოდენობა
III. საქმიანი ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	

1.	რეგიონში სამეცნიერო-საწარმოო ობიექტების რაოდენობა, რომლებიც არიან ტურისტული ჩვენების ობიექტები
2.	რეგიონში სამეცნიერო-საწარმოო ობიექტების რაოდენობა, რომლებიც პოტენციურად შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურისტული ჩვენების ობიექტებად
3.	სასტუმროების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კვალიფიკაცია და მიენიჭა კატეგორია „5 ვარსკვლავი“, „4 ვარსკვლავი“ და „3 ვარსკვლავი“
4.	მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსების რაოდენობა
5.	საგამოფენო ცენტრების რაოდენობა
6.	კონგრეს-ცენტრების რაოდენობა
7.	განსაკუთრებული მოვლენების ტურიზმის საქმიანი ხასიათის საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების რაოდენობა
IV. აქტიური ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	სამონადირეო სავარგულების ფართობი
2.	სათევზაო მეურნეობების ფართობი
3.	სამთო სათხილამურო ტრასების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კლასიფიკაცია და მიენიჭა რომელიმე კატეგორია (წითელი, მწვანე, ლურჯი, შავი)
4.	ტყის ტურისტული მარშრუტების სიგრძე
5.	მთის ტურისტული მარშრუტების სიგრძე
6.	წყლის ტურისტული მარშრუტების სიგრძე
7.	განთავსების სპეციალიზებული საშუალებების რაოდენობა, სანატორიულ-კურორტული ორგანიზაციების გამოკლებით
V.გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	სანატორიულ-საკურორტო ორგანიზაციების რაოდენობა
2.	სანატორიულ-საკურორტო ორგანიზაციების რაოდენობის დინამიკა
3.	სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში საწოლი-ადგილების რაოდენობა
4.	მინერალური წყაროების არსებობა
5.	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილებისა და კურორტების საერთო ფართობი
6.	დენდროლოგიური პარკებისა და ბოტანიკური ბაღების საერთო ფართობი
7.	საკურორტო ზონებში განლაგებული სასტუმროებისა და განთავსების ანალოგიური

	საშუალებების, ასევე განთავსების სპეციალიზებული საშუალებების რაოდენობა
VI. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	ბუნებრივი პარკების რაოდენობა
2.	ბუნებრივი პარკების საერთო ფართობი
3.	განსაკუთრებული დაცული ტერიტორიების ფართობი
4.	ბუნების ძეგლების რაოდენობა
5.	მთის ტურისტული მარშრუტების სიგრძე
6.	ტყის ტურისტული მარშრუტების სიგრძე
7.	წყლის ტურისტული მარშრუტების სიგრძე
VII. საკრუიზო ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	სამდინარო პორტების სამგზავრო ტერმინალების გამტარუნარიანობის ერთობლიობა
2.	საზღვაო პორტების სამგზავრო ტერმინალების გამტარუნარიანობის ერთობლიობა
3.	საკრუიზო მარშრუტების რაოდენობა
4.	თავისუფალი დროისა და გართობის ობიექტების რაოდენობა
5.	ტრადიციული სახალხო სარეწების რაოდენობა, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ტურისტული ჩვენების ობიექტები და გამოიყენება კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად
6.	ნებადართული ნაოსნობის პერიოდი
7.	საკრუიზო ხომალდების რაოდენობა
VIII. სოფლის ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები	
1.	დენდროლოგიური პარკებისა და ბოტანიკური ბაღების რაოდენობა
2.	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ადგილებისა და კურორტების რაოდენობა
3.	სასტუმროების რაოდენობა, რომლებმაც გაიარა კლასიფიკაცია და მინიჭებული აქვთ
	მინიოტელის კატეგორია, „1 ვარსკვლავი“
4.	ტრადიციული სახალხო სარეწების რაოდენობა, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც ტურისტული ჩვენების ობიექტები და გამოიყენებიან კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად
5.	სახლმფლობელების/სასტუმროების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ სოფლის ტურიზმის სპეციალიზაცია

6.	ტუროპერატორების წილი, რომლებიც სპეციალიზებული არიან შიგა ტურიზმში
7.	ფერმერული და კერძო დამხმარე მეურნეობების რაოდენობა, რომლებიც დაკავებული არიან სოფლის ტურიზმში

*) კლასიფიკაციაში გამოყენებულია მასალები სახელმძღვანელოდან [10]

დანართი 4. რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების შეფასების პარამეტრების ნუსხა *)

პარამეტრის დასახელება	პარამეტრის გამოყენების შესაძლებლობა ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსურ შეფასებაში	მნიშვნელობის ხარისხი 0-დან 5-ქულამდე ყოველი კრიტერიუმის მიხედვით
1. ეგზოტიკურობის,მიმზიდველობის და უნიკალურობის საზომი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ობიექტების	ინფორმაციული არსი კულტურულ-ისტორიული ობიექტების. ობიექტების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტებისა და ძეგლების არსებობა, რომლებიც შეტანილია იუნესკოს სიაში. ტიპობრიობა მოცემული სახეობის ობიექტებს შორის. ადგილის კონტრასტულობის ხარისხი მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან მიმართებაში. ობიექტებისა და მოვლენების შემხვედრობისა და განუმეორებლობის ხარისხი. ისტორიულ-კულტურული ობიექტების მოდა და ხელმისაწვდომობა მოთხოვნის ადგილებთან მიმართებაში. კულტურული კომპლექსების სანდოობა და ტევადობა. ობიექტების ზომები და ფორმები, ასევე მათი დათვალიერების შესაძლებლობა	
2. ხელმისაწვდომობა ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული პოტენციალისა და ტერიტორიების	ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა. სივრცობრივი ხელმისაწვდომობა. დროითი ხელმისაწვდომობა. პოლიტიკური ხელმისაწვდომობა.	

	სოციალურ-ეკონომიკური ხელმისა წვდომობა. ფინანსური ხელმისაწვდომობა. ინფორმაციული ხელმისაწვდომობა. ფორმალური ხელმისაწვდომობა. ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობა	
3. რეკრეაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა	განთავსების ინდუსტრია. კვების ინდუსტრია. გართობის ინდუსტრია. სატრანსპორტო გადაზიდვების ინდუსტრია	
4. ტერიტორიის რეკრეაციული და ტურისტული შესაძლებლობები და მათი გამოყენების ხარისხი. რეკრეაცი ული საქმიანობის რესურსები და პირობები	ტერიტორიის სამედიცინო-გეოგრაფიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები. ტერიტორიის მიკროკლიმატური განსაკუთრებულობა. ტერიტორიის კულტურულ-ისტორი ული მნიშვნელობა. ტერიტორიის რეკრეაციული ათვისე ბა და რეკრეაციული ათვისებუ ლობა. რეკრეაციული რესურსების ტევადო ბა. ტერიტორიის რეკრეაციული და ტურისტული რესურსების შესახებ ინფორმაციული მდგენელი. რეკრეაციისა და ტურიზმის განვითა რების მაგენერირებელი, მარეალიზე ბელი და მალოკალიზებელი ფაქტორები	
5. ტერიტორიის რეკრეაციული გამოყენების ტრადიციები	ტერიტორიის რეკრეაციული ათვისების დონე. ტერიტორიის სოციალურ-კულტურ ული გარდაქმნები. რეგიონში რეკრეაციისა და ტურიზ მის განვითარების ტრადიციული და უნიკალური მიმართულებები. ტურისტული ცენტრები და ტურიზ მის ცენტრები: მათი სპეციფიკა, სპეციალიზაცია და განსაკუთრებუ ლობა ფორმირებისა და განვითა რების. რაიონის ათვისების ხარისხი და ათვისების პერიოდი. ტერიტორიის რეკრეაციული	

	გამოყენების ფორმები	
6. მოსახლეობის ცხოვრების წესი და აღქმა ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული მემკვიდრეობის ადგილობრივი მოსახლეობის, შიდა ტურისტების, უცხოელი ტურისტების მიერ	ტრადიციები. პატრიოტიზმის გრძნობა. ტოლერანტობა. კრიმინოგენური სიტუაცია	
7. ბუნებრივ-კლიმატური და ლანდშაფტური პირობები	კლიმატური პირობები. ოროგრაფიული პირობები. ჰიდროლოგიური პირობები. ფაუნისტური და ფლორისტული რესურსები. განსაკუთრებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიები და უნიკალური ბუნებრივი ობიექტები. ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, მათი კომფორტულობა: ადგილის მეტეოროლოგიური პირობები, ამინდის ცვლილებების კონტრასტულობა და ა.შ. ტოპოლოგიური (ადგილის უნიკალურობა; ბუნებრივი გარემოებებისა და ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რეკრეაციული რესურსების ურთიერთქმედების ფორმების შეხამება), ფუნქციონალური (პირობები სამოყვარულო სარეწებისთვის: სოკოსა და კენკრის, ნადირობის, თევზაობის, არასამრეწველო ნადირობის მხეცებსა და ფრინველებზე; პირობები ტერიტორიის გამოსაყოფად საბაღე-სააგარაკოს მოსაწყობად) და ესთეტიკური თვისებები (ტერიტორიის უნარი რეკრეანტის ფსიქოემოციურ სფეროზე ზემოქმედების)	

8. დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარებაზე	იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ობიექტების არსებობა. გამოვლენა ბუნების სტიქიური მოვლენებისა და ტექნოგენური საქმიანობის (ავარიები და კატასტროფები) შედეგების. ხარისხი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის საერთაშორისო და შიდა ტურიზმის. შესაძლებლობა ადგილობრივი მოსახლეობისა და შრომითი რესურსების გამოყენების. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში	
9.ურთიერთდაკავშირებული შესწავლა დასვენების ტერიტორიული ორგანიზების ძირითადი ასპექტების	ფორმები დასვენების ორგანიზების. პერსპექტიული მიმართულებები დასვენების ორგანიზების. რეკრეაციული ინფრასტრუქტურა და მისი სივრცითი ორგანიზების განსაკუთრებულობა. ტურისტულ-რეკრეაციული დიფერენციაცია სივრცის. ეკოლოგიური მდგომარეობა ობიექტების ტერიტორიის. რეკრეაციული და ეროვნულ-სამეურნეო მნიშვნელობა ტერიტორიის	
10. პეიზაჟური მდგენელი რეკრეაციული საქმიანობის	შიდა პეიზაჟური მრავალფეროვნება. შიდა მორფოლოგიური სტრუქტურა ლანდშაფტის (რელიეფი, მცენარეული საფარი, ჰიდროგრაფია, ლანდშაფტის კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათი). საერთო მიმზიდველობა პეიზაჟების, პეიზაჟების შეხამება და მათ შორის ურთიერთკავშირი	
11. სხვა პარამეტრები		

*) ნუსხაში გამოყენებულია მასალები სასწავლო-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოდან [18].

დანართი 5. ექსპერტის გამოკითხვის ფურცელი *)

რეგიონის ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსური შეფასების განსახორციელებლად, ტურისტული პოტენციალის ინტეგრალური მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით, ხდება შეფასების მნიშვნელოვნობის მაჩვენებლების გამოვლენა ტურისტული რესურსების სხვადასხვა ჯგუფებისთვის. საჭიროა შეფასების ყოველი პარამეტრის გასწვრივ ქულის დასმა (1-დან 10-მდე), რომელიც, თქვენი შეხედულებით, შეესაბამება მაჩვენებლის მნიშვნელოვნობას ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის ინტეგრალური შეფასებისთვის.

თქვენი აზრი მნიშვნელოვანია ტურიზმის ორგანიზატორებისა და ტურისტული მომსახურების მომხმარებლების, შესაბამისად, პოზიციიდან კრიტერიუმების წონადობის განსასაზღვრად.

ფორმა # 1 - ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასების კრიტერიუმის შერჩევა მომხმარებლის პოზიციიდან

#	შეფასების პარამეტრის დასახელება	მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი პარამეტრის სკალა									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	1. ბუნებრივ-კლიმატური რესურსები										
1.1.	ბუნებრივი პირობების კომფორტულობა										
1.2.	მიმზიდველობა										
1.3.	კონტრასტულობა										
1.4.	ესთეტიკური ხარისხი (თვალწარმტაცობა)										
1.5.	ეკოლოგიურობა										
	2. ისტორიულ-კულტურული რესურსები										
2.1.	ობიექტებით გაჯერებულობა										
2.2.	ესთეტიკური ხარისხი										
2.3.	მიმზიდველობა										
2.4.	ისტორიული და კულტურული ღირებულება										
2.5.	ობიექტების მდგომარეობა										
	3. სოციალურ-ეკონომიკური რესურსები										
3.1.	სატრანსპორტო ქსელი										
3.2.	განთავსების საშუალებები										
3.3.	კვების საწარმოები										
3.4.	გასართობ-სანახაობრივი საწარმოები										
3.5.	სანიტარიულ-კურორტული საწარმოები										
3.6.	ტუროპერატორების საქმიანობა, ტურპროდუქტი										
3.7.	ინფორმაციული რესურსები										

*) კლასიფიკაცია აღებულია [82].

ფორმა # 2 - ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასების კრიტერიუმების შერჩევა
ტურიზმის ორგანიზატორების პოზიციიდან

#	შეფასების პარამეტრის დასახელება	ტურიზმის ორგანიზატორებისთვის მნიშვნელოვანი პარამეტრების სკალა									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.	ბუნებრივ-კლიმატური რესურსები										
1.1.	ბუნების ძეგლები (რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობის)										
1.2.	გდბტ (რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობის)										
1.3.	ბუნებრივი რესურსების ტევადობა										
1.4.	ტურისტული ათვისების ხარისხი										
1.5.	ბუნებრივ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა										
2.	ისტორიულ-კულტურული რესურსები										
2.1.	ობიექტების მნიშვნელოვნობა (რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობის)										
2.2.	ათვისების ტექნოლოგიურობა										
2.3.	კულტურული კომპლექსების ტევადობა										
2.4.	ტურისტული ათვისების ხარისხი										
2.5.	კულტურულ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა										
3.	სოციალურ-ეკონომიკური რესურსები										
3.1.	საკადრო და საგანმანათლებლო რესურსები										
3.2.	მმართველობითი რესურსები										
3.3.	მატერიალური რესურსები										
3.4.	საინვესტიციო რესურსები										
3.5.	ტურისტული მოთხოვნილების დინამიკა										
3.6.	ტურისტული შეთავაზების მდგომარეობა										
3.7.	სახელმწიფო რეგულირება										

*) კლასიფიკაცია აღებულია [82].

დანართი 6. შეფასების პარამეტრების წონადობის კოეფიციენტები ტურიზმის რესურსების ჯგუფების მიხედვით *)

#	შეფასების პარამეტრები	საშუალო მნიშვნელობა	წონადობის კოეფიციენტი
	1. ბუნებრივ - კლიმატური რესურსები		
1.1	ეკოლოგიურობა•		
1.2.	კომფორტულობა ბუნებრივ-კლიმატური პირობების•		
1.3.	ესთეტიკური ხარისხი (თვალწარმტაცობა)*		
1.4.	კონტრასტულობა (პეიზაჟური მრავალფეროვნება)*		
1.5.	მიმზიდველობა•		
1.6.	გდბტ (რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობა)••		
1.7.	ბუნების ძეგლები ((რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობა)••		
1.8.	ბუნებრივი რესურსების ტევადობა**		
1.9.	ტურისტული ათვისების ხარისხი**		
1.10.	ბუნებრივ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა••		
	2. ისტორიულ - კულტურული რესურსები		
2.1.	ისტორიული და კულტურული ღირებულება*		
2.2.	ობიექტებით გაჯერებულობა*		
2.3.	ესთეტიკური ხარისხი*		
2.4.	მიმზიდველობა*		
2.5.	ობიექტების მდგომარეობა*		
2.6.	ობიექტების მნიშვნელოვნობა(რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობა)••		
2.7.	ათვისების ტექნოლოგიურობა**		
2.8.	კულტურული რესურსების ტევადობა**		
2.9.	ტურისტული ათვისების ხარისხი**		

2.10.	კულტურულ კომპლექსებზე ტურისტული დატვირთვა**		
	3. სოციალურ - ეკონომიკური რესურსები		
3.1.	სატრანსპორტო ქსელი*		
3.2.	განთავსების საშუალებები*		
3.3.	კვების საწარმოები*		
3.4.	გასართობ-სანახაობრივი საწარმოები*		
3.5	სანიტარიულ-კურორტული საწარმოები*		
3.6.	ტუროპერატორების სამუშაო, რეგიონული ტურპროდუქტი*		
3.7.	ინფორმაციული რესურსები (ტურპროდუქტის წინწაწევა)*		
3.8.	საკადრო და საგანმანათლებლო რესურსები**		
3.9.	მატერიალური რესურსები**		
3.10.	საინვესტიციო რესურსები**		
3.11.	მმართველობითი რესურსები**		
3.12.	ტურისტული მოთხოვნილებების დინამიკა**		
3.13.	ტურისტული შეთავაზება**		
3.14.	სახელმწიფო რეგულირება**		

*) კლასიფიკაცია აღებულია [82].

შენიშვნა. *) აღნიშნულია შეფასების პარამეტრები, რომლებიც მნიშვნელოვანია ტურისტული მომსახურების მომხმარებლებისთვის;

**) აღნიშნულია შეფასების პარამეტრები, რომლებიც მნიშვნელოვანია ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორებისთვის.